

ქართული ენის ინსტიტუტი

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

K 253.462  
3

# სისხლის სამართალი

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონმდებლობის  
სამსახური, თბილისი

კაპიტონ კვირკვილია

F 86 047  
ქართული  
ლიბრარი  
K+28  
16 სპე



# სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

(სისხლის სამართლის კანონი,  
დანაშაული და სასჯელი)

დამამუშავებელი

სპეკ-2000  
შემოქმედებულია

გამომცემლობა „სამართალი“

თბილისი 2004

სისხლის სამართალი  
ზოგადი ნაწილი  
დამამუშავებელი



ქართული  
ენების ინსტიტუტი

ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტისა და თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სამეგრელოს ფილიალის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტებზე სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში წაკითხული ლექციების კურსს. მასში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის საკითხები.

წიგნის მიზანია, დახმარება გაუწიოს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, ასპირანტებს, ასევე სხვა დაინტერესებულ მკითხველს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დაუფლებაში.

**რედაქტორი მირაბ ტურაპვა**

K 253.462

- © გამომცემლობა „სამართალი“, 2004
- © ქ. კვიციანი, 2004

ISBN 99940-703-9-8

საქართველოს  
პარლამენტის  
ქართული  
ბიბლიოთეკა

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს - ლიკა  
და ლევან ბერიშვილებს, გიორგი და  
ნურა (თამარ) ჭანჭურიებს, რომელთა  
უსაზღვრო სიყვარულმა მომერა ძალა  
დამენერა და გამომერა ეს წიგნი



წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ჩემს მიერ დაგეგმილ დამოუკიდებელი უნივერსიტეტისა და თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სამეგრელოს რეგიონის ფილიალის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტებზე სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში წაითხული ლექციების კურსს. იგი შედგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდური სამმართველოს მიერ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ბაზაზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ლექციების კურსში კომენტირებულია ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლები – პირველიდან ასმეშიდეს ჩათვლით. მასში ზოგიერთი თეორიული საკითხები, ცნებები და დებულებები გადმოცემულია ახლებურად, რა დროსაც ფართოდ გვაქვს გამოყენებული ქართველ მეცნიერ-იურისტთა მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, აგრეთვე რუს მეცნიერ-იურისტთა შრომები და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოები და კომენტარები. გამოყენებული ლიტერატურის დასახელება და ავტორი მითითებულია წიგნის შესაბამისი გვერდის სქოლიოში.

ცხადია, ეს წიგნი არ იქნება უნაკლო და ამიტომ ყველა სამართლიან და სასარგებლო შენიშვნას დიდი მადლიერებით გავიზიარებ. ვფიქრობ, იგი დახმარებას გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დაუფლებაში.

აქვე მინდა გამოვხატო გულწრფელი მადლობა სამართლის დოქტორის, ბატონ მერაბ ტურავასადმი, რომლის რჩევამ და უშუალო დახმარებამ შემაძლებინა ლექციების ამ კურსის შედგენა და გამოცემა.

კავშირის კვანძები



სისხლის სამართლის ცნება, აპოცანაჰი, პრინციპები და სისტემა, სისხლის სამართლის მეცნიერება

§1. სისხლის სამართლის ცნება, საგანი და მეთოდი

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის სისტემის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნება და წარმოადგენს სასწავლო დისციპლინას – სისხლის სამართლის კურსს, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის მეცნიერებას. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დარგს, რომელშიც იკვეთება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა და მისი სახელმწიფოსაგან მოწყვეტა შეუძლებელია.

სისხლის სამართალი წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებულ ერთგვაროვანი იურიდიული ნორმების (ქცევის წესების) ერთობლიობას, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და პრინციპებს, განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის საშიში რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელთა სახეებს, რომელიც უნდა შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს, ასევე ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების პირობებს.

სისხლის სამართლის ნორმა არის ზოგადი ხასიათის ქცევის წესი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ და რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებით.

სისხლის სამართლის ნორმათა თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ისინი ადგენენ მხოლოდ მოქალაქეთა ვალდებულებებს არ ჩაიდინონ ისეთი ქმედებანი, რაც სახელმწიფოს მიერ დანაშაულად არის გამოცხადებული. დანაშაულის ჩადენისაგან თავშეკავების მოთხოვნა ყველაზე უფრო მინიმალურია იმ მოთხოვნებისა, რაც კი სამართალმა ადამიანს შეიძლება წარუდგინოს, ამიტომ სისხლის სამართლის ნორმები, სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, არ შეიცავენ სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის დაწესებულ აკრძალვათა შესაბამის უფლებებს, რადგანაც დანაშაულის ჩადენით პირი ვადის სახელმწიფოსთან

ურთიერთობების გარეთ — კერძოდ, დანაშაულის თავიდან აცილების გამო ადრე აღმოცენებული ურთიერთობებიდან, რის გამოც მისი სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართლის საქმეებში სამართლის ნორმებით დადგენილი წესების დაცვით რეგულირდება. სისხლის სამართლის ნორმით, რომელიც გადმოცემულია კანონის მუხლში, ხდება საზოგადოებაში მიმდინარე მართლსაწინააღმდეგო ურთიერთობების მოწესრიგება.)

საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობა განპირობებულია იმით, რომ ადამიანები თავიანთი მრავალმხრივი ინტერესების და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ერთმანეთთან ამყარებენ ქონებრივ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და სხვა სახის პირად ურთიერთობებს, რომელიც საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს. იმისათვის, რათა ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ არ ხდებოდეს მეორე პირის ან პირთა ჯგუფის ხარჯზე საკუთარი ინტერესების უპირატესი დაკმაყოფილება და ამ ნიადაგზე კონფლიქტები, აუცილებელია ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგება, რისთვისაც სახელმწიფო ქმნის სამართლებრივ ნორმებს, სადაც ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირთა უფლებები და მოვალეობანი და ამით ეს საზოგადოებრივი ურთიერთობა იღებს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმას.

ამრიგად, სამართლის ნორმის საფუძველზე მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას უწოდებენ სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა დაკავშირებულია იურიდიულ ფაქტთან, რომელიც ამ ურთიერთობის აუცილებელი წინამძღვარია.

საერთოდ სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იყოს შრომითი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ბუნებისდაცვითი, საოჯახო, სისხლისსამართლებრივი და სხვა, რომლებიც სამართლის შესაბამისი დარგის ნორმებით წესრიგდებიან.

ამრიგად, სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. იგი დაკავშირებულია კანონით გათვალისწინებულ ყველაზე უფრო საზოგადოებრივად საშიშ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან — დანაშაულთან, რომელიც ხელყოფს კანონით დაცულ ინდივიდუალურ და საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეებს.

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებია: 1) ფიზიკური პირი — ადამიანი, რომლის მართლსაწინააღმდეგო და

ბრალეული მოქმედებით ზიანი მიადგა ან ზიანის მიყენების რეალური საფრთხე შეექმნა კანონით დაცულ ობიექტს და 2) სახელმწიფო თავისი სამართალდამცავი ორგანოებით, რომელიც კონსტიტუტურულად შესაბამისად უფლებამოსილია და ვალდებულია დააჯიჯნოს საზოგადოებრივი ურთიერთობა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად დასაჯოს კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობის დამრღვევი პირი.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ადგება ზიანი ან ემუქრება ზიანის მიყენების საფრთხე.

სახელმწიფო სამართლებრივი სიკეთის დასაცავად გამოსცემს რა კანონს, ამით საზოგადოების დელიქტუნიანი წევრებს აფრთხილებს, არ დაარღვიონ მასში მოცემული აკრძალვები, რათა მათი მართლზომიერი ქმედებით თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით და ნეგატიურ შემთხვევაში სისრულეში მოჰყავს კანონის მუქარა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩამდენი პირების მიმართ სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნით იყენებს სხვით გათვალისწინებულ სასჯელის სახეებს.

- სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა დანაშაულის თავიდან აცილების გამო, რომელიც კანონმდებლობის მიერ სისხლის სამართლის კანონის ამოქმედების შედეგია. აქედან გამომდინარე, არ არის ზუსტი სოციოლოგიური კონცეფცია, რომელიც დღემდე გაბატონებულია და ამტკიცებს, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა დანაშაულის ჩადენის გამო და არა პირიქით, დანაშაულის თავიდან აცილების გამო. დანაშაულის ჩადენა კი არ ქმნის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, არამედ პირიქით, ხელყოფს სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ადრე დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობას, დანაშაულის ჩადენით იგი ლოგიკურადაც და იურიდიულადაც გადის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სივრციდან, ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობის განმარტოებული პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართალი არ ადგენს. ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ დანაშაული სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო იდეის უარყოფა. აქედან გამომდინარე, დანაშაულის თავიდან აცილების გამო წარმოიშობილი

ურთიერთობა წყდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან და იწყება ახალი ტიპის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არსი გამოიხატება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ამოქმედებაში და მარეგულირებელი ფუნქციის შესრულებაში, ე.ი. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემასა და დასჯაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესების დაცვით<sup>1</sup>.

ამრიგად, სისხლის სამართლის რეგულირების საგანია საზოგადოებრივი ურთიერთობის ის სფერო, რომელსაც პირის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით ზიანი მიადგა ან ასეთი ზიანის მიყენების რეალური საფრთხე შეექმნა, ხოლო ამ ურთიერთობის რეგულირების მეთოდია დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემა და კანონის შესაბამისად დასჯა, რომლის გარანტია სახელმწიფო თავისი სამართალდამცავი ორგანოებით.

ქართულ ენაზე „სისხლის სამართალი“, რომელსაც ვსწავლობთ, ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვა „სისხლს“, რომელიც ისტორიულად პირველყოფილი თემური წყობილებიდან მომდინარეობს, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობის წევრთა საერთო ინტერესებისათვის მავნე და მიუღებელ ცალკეულ პირთა ქმედებაზე რეაგირება სისხლის ზღვევინების გზით ხორციელდებოდა.

დროთა ვითარებაში, როცა საზოგადოებამ გააცნობიერა სისხლის ალების უძველესი ინსტიტუტის მოქმედების უარყოფითი შედეგები, სისხლის ალება თანდათან ქონებრივი საზღაურით (კომპოზიციით) შეიცვალა, მაგრამ ტერმინი «სისხლი» ისევ დარჩა, როგორც ცუდი, საზოგადოებისათვის მიუღებელ საქციელზე პასუხისმგებლობის სიმბოლო, ე.ი. როგორც სასჯელის სიმბოლო. რუსები სამართლის იმ დარგს, რომელსაც ჩვენ, ქართველები, სისხლის სამართალს ვეძახით, უწოდებენ «უგოლოვნოე პრავო»-ს, რომელიც ისტორიულად იმ ვითარებას ასახავს, როცა დამნაშავე ცუდი, საძრახისი საქმის ჩადენისათვის საკუთარი თავით აგებდა პასუხს და მომდინარეობს სიტყვა «ოზქგოლოვიტ»-იდან. გერმანელები იმას, რასაც ჩვენ სისხლის სამართალს ვუწოდებთ, ეძახიან დასჯით სამართალს.

<sup>1</sup> გ. ნაჭყებია, სამართლის სისტემა, როგორც ორიდოლო მეცნიერებათა დაფუძნების ლოგიკური პირობა. კრებული - სამართლის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 1994 წ. გვ. 416-418.

## §2. სისხლის სამართლის ამოცანები, ფუნქციები და მიზანი



საქართველოს  
სამართლებრივი  
სისტემა

სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანაა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაიცვას: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საკუთრება, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, გარემო, საქართველოს კონსტიტუციური წეს-წყობილება, აგრეთვე კაცობრიობის მშვიდობა და უშიშროება. ამ ამოცანებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასრულებს დაცვით, აღმზრდელობით და წამახალისებელ ფუნქციებს.

დაცვითი ფუნქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ამ ამოცანის განსახორციელებლად სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს სასჯელს, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.

აღმზრდელობითი ფუნქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მისი პრაქტიკულად გამოყენება კონკრეტულ დამნაშავე პირთა მიმართ, საზოგადოებაში ზრდის კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებას და მოქალაქეებს უნერგავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობის რწმენას. გარდა ამისა, ხელს უწყობს მომავალში სხვა დანაშაულის აცდენას, როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრივ, ეს კი საწინდარია იმისა, რომ საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ნებაყოფილობით ასრულებდეს კანონის მოთხოვნებს.

წამახალისებელი ფუნქციის არსი მდგომარეობს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა აქტივობის სტიმულირებაში, რისთვისაც სისხლის სამართლის კანონი ინდივიდუალური და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის დაცვის უზრუნველსაყოფად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს პირს აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, დამნაშავეის შეპყრობის დროს მიყენებული ზიანისათვის, თუ დაცული იქნება ქმედების მართლზომიერების პირობები. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კანონი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებენ იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, რომლებიც ნებაყოფილობით ჩააბარებენ ცეცხლ-სასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას, ფეთქებად ნივთიერებას ან

ნარკოტიკულ საშუალებებს, რომელიც უკანონოდ იყო შექმნილი ან შენახული და სხვ.

სისხლის სამართლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის პოლიტიკის სწორად და მიზნობრივად გამოყენებას. სისხლის სამართლის პოლიტიკა არის საერთო სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი დარგი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საქმიანობის ძირითად გეზს სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით დანაშაულთან საბრძოლველად და მისი თავიდან ასაცილებლად. სისხლის სამართლის პოლიტიკა ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება. პირველი მიმართულება მდგომარეობს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ მკაცრი დასჯითი პრაქტიკის გატარებაში, ხოლო მეორე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული და მართლსაწინააღმდეგო შედეგი მძიმე არ არის, ისეთი სასჯელის სახის და ზომის გამოყენებაში, რაც მათი საზოგადოებისაგან იზოლირებასთან არ იქნება დაკავშირებული.

სისხლის სამართლის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

### **§3. სისხლის სამართალი და მისი მომიჯნავე სამართლის დარგები**

სისხლის სამართალს კავშირი აქვს სამართლის სხვა დარგებთან, კერძოდ იგი ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის საპროცესო სამართალთან და შეიძლება ითქვას, რომ მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, რადგან სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება არ შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის მოთხოვნათა დაცვის გარეშე. მაგალითად, თუ სისხლის სამართალი წარმოადგენს ისეთი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და სასჯელის რომელი სახე და ზომა უნდა შეეფარდოს მის ჩამდენ პირს, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები კი განსაზღვრავენ მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობას სისხლის სამართლის საქმეთა მოკვლევის და განხილვის დროს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ კანონით დადგენილი შეზღუდვების შეფარდებისა

და უდანაშაულო პირთა გამართლების უზრუნველყოფის მიზნით.

სისხლის სამართალი მჭიდრო კავშირშია სასჯელალსრულებით სამართალთან, მაგრამ მათ შორის არსებითი ხასიათის სხვაობა არსებობს. სისხლის სამართალი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სისხლისსამართლებრივ იძულებით ღონისძიებას. სასჯელ-ალსრულებითი სამართლის რეგულირების საგანს კი წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობები, რომელთა შორის მთავარია მსჯავრდებულთა შეგუება მათთვის დაწესებულ შეზღუდვებთან და მათი გამოსწორების უზრუნველყოფა შრომა-გასწორებითი ზემოქმედებით. სასჯელ-თალსრულებითი სამართალი აგრეთვე აწესრიგებს სახელმწიფოსა და დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს შორის ურთიერთობას სასჯელის აღსრულების პროცესში, რომელიც გულისხმობს სასჯელის მოხდის და მათგან განთავისუფლების პირობების დაცვასა და სხვ.

სისხლის სამართალი ახლოსაა ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა სამართალთან. ორივე დარგს საქმე აქვს სამართალ-დარღვევებთან, მაგრამ სისხლის სამართალი აწესრიგებს ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოიშობა და ზემოქმედებისათვის იყენებს სისხლის სამართლის სასჯელს, რომელიც იწვევს ნასამართლობას. ადმინისტრაციული სამართალი კი, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, აწესრიგებს მმართველობის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობებიდან გამომდინარე სამართალდარღვევებს, რომლებიც მართლსაწინააღმდეგო შედეგის სიმცირის გამო წარმოადგენს გადაცდომას და იძულებით ღონისძიებად იყენებს სახდელებს, რომლებიც თავისი ხასიათით უფრო მსუბუქია, ვიდრე სისხლის სამართლის სასჯელი და არ იწვევს ნასამართლობას.

სისხლის სამართლისაგან განსხვავებით სამოქალაქო სამართალი არის რა კერძო სამართლის დამოუკიდებელი დარგი, არეგულირებს პირთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს და სამოქალაქო უფლებათა დაცვისათვის იყენებს

ისეთ იძულებით ღონისძიებებს როგორცაა, უფლების აღიარება, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, ნიუთონის დაბრუნება, სხვისი უფლების დამრღვევი პირისათვის ზარალის ანაზღაურების დაკისრება და სხვ.

ქართული  
საქართველო

სისხლის სამართალს კავშირი აქვს საერთაშორისო სამართალსთან. საერთაშორისო სამართალი არ შედის არც ერთი შიდა-სახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში, მაგრამ მისი ნორმები და დებულებები იქმნებიან სახელმწიფოთა შორის შეთანხმების შედეგად, გამოხატულებას ჰპოულობენ უმთავრესად საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში და ზოგ შემთხვევაში წარმოადგენენ სისხლის სამართლის წყაროს. «ნორმატიული აქტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლში საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის დასახელებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველო შეუერთდა თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებას და იყისრა ვალდებულია მათი მოთხოვნების შესასრულებლად, რამაც ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის ახალ კოდექსში. მაგალითად, ჟენევის 1949 წლის კონვენციაში და მათ დამატებით ოქმებში მოცემულია ომის დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რომელიც ჩვენმა სისხლის სამართლის კოდექსმა გადმოიღო და გათვალისწინებულია 411-413-ე მუხლებში. დანაშაულის ეს სპეციალური შემადგენლობები ძველი კოდექსით გათვალისწინებული არ იყო და მათი გამოყენება პირდაპირ არ შეიძლებოდა. საქართველოს სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის კავშირზე მეტყველებს «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს და თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით.

სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის კავშირზე მიუთითებს სისხლის სამართლის ამჟამად მოქმედი კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ადგენს: «ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს».

სისხლის სამართალს კავშირი აქვს სხვა დარგობრივ მეცნიერებებთან, კერძოდ, კრიმინოლოგიასთან, რომელიც შეისწავლის მთლიანად დამნაშავეობას, როგორც სოციალურ ნეგატიურ მოვლენას და მის ხელშემწყობ პირობებს, ასევე დამნაშავეის პირობებს. შეიმუშავებს დამნაშავეობის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების აცილებისაკენ მიმართული რეკომენდაციების სისტემას. სისხლის სამართალს და კრიმინოლოგიას ერთი ამოცანა აქვთ, მაგრამ ამ ამოცანას ისინი წყვეტენ სხვადასხვა მეთოდით. კრიმინოლოგია დამნაშავეობას სწავლობს იურიდიული და სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით და იძლევა რეკომენდაციებს, სისხლის სამართალი კი სწავლობს ცალკეულ კონკრეტულ დანაშაულებებს, აგრეთვე იყვლევს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმებს ლოგიკური ანალიზის მეთოდის საფუძველზე და იყენებს მას დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის. კრიმინოლოგიის მონაცემების გარეშე სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარება და სრულყოფა შეუძლებელი იქნებოდა. უკანასკნელ დროს კრიმინოლოგია სისხლის სამართალს გამოეყო ცალკე დისციპლინად.

სისხლის სამართლის ნორმების პრაქტიკულად გამოყენების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორცაა: სასამართლო მედიცინა, რომელიც წყვეტს სისხლის სამართლის საქმეების გამოკვლევა-გადაწყვეტისათვის საჭირო სამედიცინო და ბიოლოგიურ პრობლემებს;

სასამართლო ფსიქიატრია, რომელიც გვეხმარება ფსიქიკური დაავადების ნიშნების მქონე პირის შერაცხადობის საკითხის დადგენაში;

ფსიქოლოგია, რომელიც გვეხმარება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტების (მოტივის, მიზნის და სხვა საკითხების) შესწავლასა და გაანალიზებაში;

კრიმინალისტიკა, რომელიც გვეხმარება დანაშაულის გახსნისათვის საჭირო დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენის, დაფიქსირებისა და გამოკვლევის საქმეში;

სასამართლო სტატისტიკა და მისი სტრუქტურული ნაწილი, სისხლის სამართლის სტატისტიკა, რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ გამოიყენება ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზაციის თუ დეკრიმინალიზაციის საჭიროების გამოსავლენად, რაც კანონმდებლობის სრულყოფის შესაძლებლობას იძლევა.

#### §4. სისხლის სამართლისა და მორალის თანაფარობა

იმისათვის, რათა სწორად გავიგოთ სისხლის სამართლის ურთიერთობა და მისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, საჭიროა, გავარჯვიოთ ის ურთიერთობა, რაც არსებობს ერთის მხრივ სისხლის სამართალსა და მეორეს მხრივ მორალს შორის.

მორალი ანუ ზნეობა საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. იგი გამოხატულია სათანადო ნორმებში ანუ ქცევის წესებში, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობებს საზოგადოებაში. მორალის ნორმებში მოცემულია საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე ჩამოყალიბებული ადამიანთა შეხედულებები ბოროტებაზე, სინდისსა და პატიოსნებაზე, საქებასა თუ საძრახისზე და ასე შემდეგ. ამრიგად, მორალი წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობის რეგულატორს. ამით იგი ემსგავსება სისხლის სამართალს, მაგრამ მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

სისხლის სამართლის ნორმები იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ და ჩამოყალიბებულია შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში, ხოლო მორალური ანუ ზნეობრივი ნორმები იქმნება საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე. სისხლის სამართლის ნორმები სახელმწიფოს ნებას გამოხატავს, ზნეობა კი სახელმწიფოში არსებულ ყველა სოციალურ ფენას შეიძლება ჰქონდეს და აქვს კიდევაც და ისინი შეიძლება უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არსებობს საერთო – სახალხო ზნეობრივი ნორმებიც. საერთო ზნეობრივი ნორმები მით უფრო მეტი რაოდენობისაა, რაც უფრო მეტი ერთიანობაა საზოგადოების წევრებს შორის, ხოლო ნაკლები, როცა მეტი დაპირისპირებაა საზოგადოებრივ ფენებს შორის.

სისხლის სამართლის ნორმები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემულ წერილობით ნორმატიულ აქტებშია მოცემული, ზნეობის ნორმები კი დაუწერელი ქცევის წესებია, რომლებიც ადამიანის საზოგადოებრივ შეგნებაში ან საზოგადოებრივი ფენის შიგნით გაბატონებულ შეხედულებებში არსებობენ. სისხლის სამართლებრივი ნორმების შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით, ხოლო მორალური ნორმების შესრულება უზრუნველყოფილია მხოლოდ

საზოგადოებრივი აზრის შემოქმედებით, რომელიც გამოისატება უზნეო საქციელის ჩამდენი პირის გაკიცხვაში<sup>2</sup>. ადამიანები მორალურ ნორმებს ასრულებენ ნებაყოფილობით და ამით პატივსაცემნი საზოგადოებას, მის საერთო ინტერესებს. ადამიანები ანუ ზნეობის ნორმების დაცვით ავტორიტეტს იხვეჭენ ამხანაგებში, კოლექტივსა და საზოგადოებაში.

სისხლის სამართლის წესით დასჯადი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ კანონის ნორმებს, არამედ კულტურის და ზნეობის ნორმებს, ამიტომ ამორალურია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ამორალური ქცევა არ ითვლება დანაშაულად და არ ისჯება სისხლის სამართლის წესით, რადგანაც კანონმდებელი ქმედების ხასიათისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების (ზიანის) ხარისხის მიხედვით არ თვლის საჭიროდ მორალის ანუ ზნეობის ყველა ნორმა დააკანონოს და მისი შესრულება უზრუნველყოს სახელმწიფო იძულებითი სანქციებით.

## **§5. სისხლის სამართლის პრინციპები**

სისხლის სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების მისიის შესრულების დროს ხელმძღვანელობს სხვადასხვა პრინციპებით. ეს პრინციპებია: კანონიერების პრინციპი, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, ბრალეულობის პრინციპი, სამართლიანობის პრინციპი და ჰუმანურობის პრინციპი.

1. კანონიერების პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციიდან, მდგომარეობს იმაში, რომ არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით და კანონის შესაბამისად. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ პირის ქმედებაში უნდა იყოს დანაშაულის ის შემადგენლობა, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონი და მას უნდა დაენიშნოს

<sup>2</sup> გ. ინჟირველი, სახელმწიფო და სამართლის თეორია. თბილისი 1999 წელი გვ. 51-52.

მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია ამ დანაშაულისათვის, და ბოლოს პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან მხოლოდ კანონში აღნიშნული პირობით და საფუძვლით.

2. კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართლის კანონის წინაშე ყველა თანასწორია და დანაშაულის ჩამდენი პირები ერთნაირად აგებენ პასუხს წარმომავლობის, სოციალური, თანამდებობრივი თუ ქონებრივი მდგომარეობის, განათლების, რელიგიისადმი დამოკიდებულების და საქმიანობის მიუხედავად.

3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, უნდა ისჯებოდეს სისხლის სამართლის წესით ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე. სახელმწიფოში არ უნდა არსებობდეს "ელიტარული ზონა". ყველა უნდა იყოს დარწმუნებული, რომ დანაშაულის ჩადენისათვის მას მოელის სამართლიანი სასჯელის მოხდა.

4. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს მხოლოდ ის ფიზიკური პირი, რომელმაც ერთპიროვნულად თუ თანამონაწილეობით ჩაიდინა დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართალი არ იცნობს იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მისი ხელმძღვანელი თანამდებობის პირები დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხს აგებენ საერთო წესით.

5. ბრალეულობის პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ჩვენი სისხლის სამართალი, მტკიცედ დგას რა სუბიექტური შერაცხვის პრინციპზე, მისთვის უცხრა პასუხისმგებლობა მხოლოდ ობიექტური შერაცხვის საფუძველზე, ე.ი. პასუხისმგებლობა პირადი ბრალის გარეშე, თუნდაც სახეზე იყოს მნიშვნელოვანი ზიანი.

6. სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი დაისაჯოს მხოლოდ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ბრალის ხარისხისა და პირადი თვისებების გათვალისწინებით, რომ არავინ არ შეიძლება დაისაჯოს ორჯერ ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენისათვის. ამ პრინციპის განხორციელება განსაკუთრებულ მინიშნელობას იძენს

სასამართლოს მიერ სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრის დროს.

7. ჰუმანურობის პრინციპის არსი მდგომარეობს პიროვნებისადმი სათუთ, ადამიანურ დამოკიდებულებაში, რომელსაც თუნდაც დანაშაული აქვს ჩადენილი, პირველ რიგში უნდა შევხედოთ როგორც ადამიანს. სასჯელის მიზანი დასჯასთან ერთად უნდა იყოს მისი გამოსწორება და ახალი დანაშაულის აცილება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად სისხლის სამართალი იმ პირობის მიმართ, რომლებმაც ჩადინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული, იყენებს ჰუმანურ ღონისძიებებს, დაწყებული პირობითი მსჯავრიდან და სასჯელის მოხდის გადაკადებიდან, დამთავრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან სრულ განთავისუფლებამდე, ანდა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებების შეფარდებამდე. სისხლის სამართალში ჰუმანურობის პრინციპი მარტო დანაშაულის აღზრდა-გამოსწორებაზე ზრუნვით როდი ამოიწურება. ჰუმანურობის პრინციპის გამოხატულებაა ისიც, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სისხლის სამართალი პირის მიმართ იყენებს სასჯელის უფრო მკაცრ ზომებს, რითაც მტკიცედ იცავს საზოგადოებრივ ურთიერთობას დამნაშავეობისაგან.

პროფესორ გ. ნაჭყეტიას აზრით, სისხლის სამართლის პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, აწესრიგებენ სისხლის სამართლის კანონშემოქმედებით ურთიერთობებს, ხოლო სისხლის სამართლის კანონის შემუშავებისა და მიღების შემდეგ ისინი გამოიყენებიან სასჯელის დანიშვნის დროსაც და ამ თვალსაზრისით ისინი სისხლის სამართლის დარგის ყოფიერების კანონებია, რომლებიც ერთობლიობაში ადგენენ სამართლის ამ დარგის შინაარსს<sup>3</sup>.

## §6. სისხლის სამართლის სისტემა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, წარმოადგენს ისეთი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად და რა სასჯელი უნდა შეეფარდოს მის ჩამდენ პირს.

სისხლის სამართალი მასში შემაგალი ნორმების თავისებურებათა

<sup>3</sup> გ. ნაჭყეტია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი 1998 წ. გვ. 129-133.



მიხედვით იყოფა ორ ძირითად ნაწილად: სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილად.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი შეიცავს ზოგადი პრინციპებსა და დებულებებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ყველა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა სწორად გადაწყვეტისათვის. იგი შეისწავლის სისხლის სამართლის კანონმდებლობას, დანაშაულსა და სასჯელს. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. იგი შეიცავს ცალკეულ დანაშაულთა ამომწურავ ჩამონათვალს. თითოეულ ამ დანაშაულს თავისი სახელი ჰქვია, სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლად არის ჩამოყალიბებული და შედგება დისპოზიციისა და სანქციისაგან. დისპოზიციაში აღწერილია ამ სახის დანაშაულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო სანქციაში მითითებულია სასჯელის სახე და ზომა, რომელიც სასამართლომ უნდა დაუნიშნოს დანაშაულის ჩამდენ პირს.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულთა ცალკე სახეები, რომელთაც ერთგვაროვანი ობიექტები აქვთ, დაჯგუფებული არიან ცალ-ცალკე თავებად, რომელთა განლაგების მიხედვით წარმოგვიდგება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა.

სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ქმნიან ერთ მთლიან დარგს - სისხლის სამართალს, რომელთა დაყოფა და ცალ-ცალკე შესწავლა ნაკარნახევეია მხოლოდ მეთოდური თვალსაზრისით.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რომლის სისტემა, ძირითადად, შეესაბამება მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს, მთლიანად არ ემთხვევა სისხლის სამართლის მეცნიერების სისტემას, რადგანაც მისი შესწავლის საგანი უფრო ფართოა, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერების შესასწავლ თემათა რაოდენობა უფრო მეტია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის თემების და შესაბამისად თავების რაოდენობაზე.

## §7. სისხლის სამართლის მეცნიერება, მისი შინაარსი და ამოცანები

სისხლის სამართლის მეცნიერება

სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, რივი ურთიერთობის მოწესრიგების საშუალება, უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ მისი მეცნიერებად ჩამოყალიბება გაცილებით უფრო გვიან დაიწყო, ეს კი განაპირობა იმან, რომ საჭირო შეიქმნა დანაშაულის და სასჯელის, როგორც სინამდვილის მოვლენების შესწავლა და მათი თეორიული ახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონების საფუძველზე, რის გამოც სისხლის სამართლის კანონმდებლობა ეფუძნება სისხლის სამართლის მეცნიერებას.

სისხლის სამართლის მეცნიერება არის საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა, სინამდვილის მოვლენების, პრინციპებისა და კანონების შესახებ და წარმოადგენს ამ დარგის ობიექტური, ჭეშმარიტი ცოდნის სისტემატიზაციას აბსტრაქტულ-ლოგიკური ფორმით.

იურიდიულ სახელმძღვანელო ლიტერატურაში სისხლის სამართლის მეცნიერებას განმარტავენ, როგორც მოცემულ ეტაპზე გაბატონებულ სისხლისსამართლებრივი წარმოდგენების, შეხედულებების და იდეების სისტემას დანაშაულის და სასჯელის შესახებ.

სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია სისხლის სამართლის თეორია, რომელიც არის ადამიანის გონებრივი მოღვაწეობის ფორმა. მისი მიზანია ცდის, ექსპერიმენტისა და პრაქტიკული ცხოვრების ანალიზის საფუძველზე მოიპოვოს ცოდნა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შესახებ და ერთიანი სახით წარმოადგინოს ის, როგორც ახალი მეცნიერული ჰიპოთეზა ან მათი ერთობლიობა, რომელიც უმთავრესად დადასტურებულია. ამ მიზნით სისხლის სამართლის თეორია სწავლობს დანაშაულსა და სასჯელს, სისხლის სამართლის განვითარებისა და გამოყენების საკითხებს, დამნაშავეობასთან და მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის პრობლემებს, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც რეგულირდება სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

სისხლის სამართლის თეორიის ჭეშმარიტების კრიტერიუმი პრაქტიკული ცხოვრებაა და ამის გამო სისხლის სამართლის მეცნიერება და თეორია მუდამ მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პრაქტიკასთან, რომელიც თავისებური ლაბორატორიაა

სისხლის სამართლის კანონების ავკარგიანობის დასადგენად. სასამართლო პრაქტიკა გადასცემს სისხლის სამართლის მეცნიერებას სოციალურ ინფორმაციებს, რომელთა დაკვირვებით შესწავლისა და განზოგადების გზით სისხლის სამართლის მეცნიერება შეიმუშავებს წინადადებებს მოქმედი კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

სისხლის სამართლის მეცნიერების შესწავლის საგანია აგრეთვე სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა, რადგანაც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება სისხლის-სამართლებრივ ნორმებს მოითხოვს, ეს ნორმები კი კანონშია გამოხატული და კანონშემოქმედების პროდუქტია. ამიტომ სავესებით სწორად ასყენის პროფ. გ. ნაჭყეზია, რომ: "სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და სისხლისსამართლებრივი კანონშემოქმედებითი ურთიერთობა ერთიანია, როგორც ერთიანია არსება და მოვლენა. ამ ერთიანობაზე ფუძნდება კიდევაც სისხლის სამართლის მეცნიერება, როგორც იურიდიული მეცნიერება<sup>4</sup>".

სისხლის სამართლის მეცნიერების შესწავლის საგანია აგრეთვე სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების კვლევა, საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესწავლა, მათი დადებითი გამოცდილებების გამოყენება, როგორც კანონშემოქმედებითი, ისე მეცნიერული კვლევის სფეროში.

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი უფრო ფართოა, ვიდრე სისხლის სამართლის საგანი.

სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის მეცნიერებას, გარდა შესასწავლი საკითხების მოცულობისა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ის, რომ პირველი წარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილების გამო აღმოცენებულ საზოგადოებრივი ურთიერთობების უშუალო რეგულატორს, რისთვისაც ის იყენებს სახელმწიფო იძულებით ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა სისხლის სამართლის სასჯელი, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის მეცნიერება არ არის საზოგადოებრივი ურთიერთობების უშუალო რეგულატორი და დამცველი და მის დანიშნულებას წარმოადგენს მხოლოდ ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმების შინაარსის შესწავლა და მათი შეცვლის, გაუქმების თუ ახალი კანონების მიღების საჭიროების მეცნიერული დასაბუთება.

<sup>4</sup> გ. ნაჭყეზია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი 1998 წ. გვ. 186

სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანაა: 1) მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი, რათა შეფასდეს და განისაზღვროს სისხლისსამართლებრივი ნორმების სოციალური განპირობებულობა და ეფექტურობა მოცემულ ეტაპზე; 2) ცხოვრების დღის წესრიგში წამოჭრილი სოციალური მოვლენის კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის შესახებ წინადადებების შემუშავება და შეტანა ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში; 3) დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება; 4) მოწინავე სახელმწიფოების სისხლის სამართლის თეორიისა და კანონმდებლობის პრაქტიკის შესწავლა და გამოყენება; 5) სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების პროგნოზირება და დასაბუთებულობა; 6) სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ კონცეფციის გამომუშავება, რომელიც შესატყვისი იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების მიზნებისათვის.



სისხლის სამართლის კანონი

ეროვნული  
პარლამენტი

§1. სისხლის სამართლის კანონის ცნება, მისი ძირითადი და  
საპროცესო ნიშნები

სისხლის სამართლის კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებულ, შესასრულებლად სავალდებულო, მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგადი წესებისაგან, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო პრინციპებს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებას, რომელიც უნდა დაენიშნოს მის ჩამდენს.

სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის მთელი დარგის კანონების სისტემატიზირებულ, ერთიან პრინციპზე აგებულ ახალ კანონს, არის სისხლის სამართლის ერთადერთი წყარო, რაც იმას ნიშნავს, რომ არავინ არ შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში და დაისაჯოს იმ ქმედებისათვის, რომელიც ამ კოდექსში დანაშაულად არ არის გამოცხადებული. ახალმიღებული კანონის ნორმა დაუყოვნებლივ შედის სისხლის სამართლის კოდექსში და, ამდენად, საქართველოს მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა შედგება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსისაგან, რასაც თავისი უპირატესობა აქვს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსებთან, სადაც კოდექსთან ერთად არსებობს მრავალი ევრეთწოდებული დამატებითი სისხლის სამართლის კანონი.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველო შეუერთდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და აიღო ვალდებულებები მათი მოთხოვნების შესასრულებლად, რისი შედეგია ის რომ ჩვენ ახალი სისხლის სამართლის კოდექსში ასახვა ჰპოვა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებმა და ნორმებმა. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის მე-20 მუხლის თანახმად სამოსამართლო კანონგამოყენების

პროცესში საერთაშორისო ხალხმეკრულების ნორმებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმასთან შედარებით.

სისხლის სამართლის კანონს ახასიათებს შემდეგი ძირითადი და სპეციფიკური ნიშნები: სისხლის სამართლის კანონის მიზანსა და საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის «ე» პუნქტის თანხმად მიეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

სისხლის სამართლის კანონის დამახასიათებელია ის, რომ მას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ: ა) სახელმწიფოს არც ერთ სხვა ორგანოს, გარდა პარლამენტისა, უფლება არა აქვს გამოსცეს, შეცვალოს ან გააუქმოს იგი; ბ) ყველა სხვა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს კანონს და თუ მათ შორის წინააღმდეგობა აღმოჩნდება, უპირატესი ძალა აქვს კანონს; გ) სისხლის სამართლის კანონის შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების და მოქალაქეების მიერ.

სისხლის სამართლის კანონის შემდეგი დამახასიათებელი ნიშანია მისი ნორმატიულობა. კანონი შეიცავს სამართლის ნორმებს. ე.ი. ადამიანთა ქცევის საყოველთაო-სავალდებულო წესებს, რომლებიც ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას კი არ ეხება, არამედ გათვლილია მრავალჯერადი გამოყენებისათვის განუსაზღვრელი რაოდენობის პირთა მიმართ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმა ეხება სხვადასხვა პირებს, რომლებიც აღმოჩნდებიან ამ ნორმებით გათვალისწინებულ პირობებში და მდგომარეობაში. სამართლის ნორმები მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ მოიქცნენ საზოგადოების წევრები ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და რა მოქმედებისაგან მართებთ თავის შეკავება.

სისხლის სამართლის კანონის სპეციფიკური ნიშნებია: 1). სისხლის სამართლის კანონის რეგულირების საგანია სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა დელიქტუნარიან წევრებს შორის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომლის მიზანია დანაშაულის თავიდან აცილება და საზოგადოებრივი ურთიერთობათა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვა. სისხლისსამართლებრივი

ურთიერთობის სუბიექტები არიან: ა). პირი, რომელმაც დაარღვია კანონით დადგენილი აკრძალვა და ჩაიდინა დანაშაული; ბ). სახელმწიფო თავისი სამართალდამცავი ორგანოების სახით. 2). სისხლის სამართლის კანონის სპეციფიკური თავისებურებების გამოხატება, რომ იგი წინასწარ კრძალავს ისეთ სისხლისსამართლებრივ მოქმედებებს, რომლებიც მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენენ პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოსათვის და რომლის ჩადენისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი.

## §.2 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიის ძირითადი ეტაპები.

კაცობრიობის ისტორია, რომელმაც პირველყოფილი-თემური წყობილების შემდეგ გაიარა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ოთხი ფორმაცია ანუ ეტაპი, იცნობს სახელმწიფოსა და სამართლის ოთხ ტიპს: მონათმფლობელურს, ფეოდალურს, ბურჟუაზიულსა და ევრეთწოდებულ სოციალისტურს.

1. ამრიგად, ისტორიულად პირველი სახელმწიფო და სამართალი მონათმფლობელური იყო. მონათმფლობელური სამართალი, მათ შორის სისხლის სამართალი წარმოადგენდა ქცევის წესების ერთობლიობას, რომელიც დადგენილი ან სანქცირებული იყო მონათმფლობელურ სახელმწიფოს მიერ და მისი შესრულება უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფოს იძულებითი აპარატით.

მონათმფლობელური სამართალი იყო უთანასწორობის სამართალი. იგი უთანასწორობას აწესებდა არა მარტო მონათმფლობელსა და მონას, არამედ საზოგადოების სხვა თავისუფალ მოქალაქეთა შორისაც.

მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფარმაცია გაიარა ეგვიპტემ, ბაბილონმა, ინდოეთმა, ჩინეთმა და სხვა ქვეყნის ხალხმა, მაგრამ მონათმფლობელურმა სამართალმა განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია ძველ საბერძნეთში და რომში. რომის თორმეტი ტაბულის კანონი და ათენის დრაკონის კანონი წარმოადგენდნენ მონათმფლობელური სამართლის კლასიკურ ნიმუშებს.

ცნობილია, რომ პირველყოფილი-თემური წყობილების რღვევის

შემდეგ ყველა ქვეყნის ხალხს არ გაუვლია მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფარმაცია, მაგალითად გერმანიას, არაბეთს, აღმოსავლეთის ქვეყნებს და სხვა ხალხს, მათ შორის საქართველოსაც.

2. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი, ისე როგორც სისხლის სამართალი, აშკარა წოდებრივი ხასიათისა იყო. ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალს ეკუთვნოდა წარმოების ძირითადი საშუალება - მიწა. ყმა-გლეხობა კი ვალდებული იყვნენ უსასყიდლოდ დაემუშავებინათ მათი მამულები. ფეოდალურ სახელმწიფოში სისხლის სამართალი უზრუნველყოფდა ფეოდალების საკუთრებისა და პრივილეგიების უპირატეს დაცვას.

ფეოდალური სისხლის სამართლის წოდებრივი ხასიათი გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთიდაიგივე დანაშაულისათვის განსხვავებულ სასჯელს აწესებდა სხვადასხვა წოდების წარმომადგენლისათვის, რაშიც დავრწმუნდებით ფეოდალური სამართლის ძეგლების შესწავლის დროს.

3. ბურჟუაზიულმა სახელმწიფო და სამართალმა ხელისუფლებაში მოსვლისას აღიარა რიგი პროგრესიული პრინციპები, როგორცაა: «კანონის წინაშე ყველას თანასწორობა», «არ არსებობს დანაშაული და სასჯელი კანონის გარეშე» და სხვ. ეს დემოკრატიული პრინციპები მიმართული იყო ფეოდალური წოდებრივი პრივილეგიების წინააღმდეგ და გამოხატული იყო საფრანგეთის 1791 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ უფრო დასრულებული სახით აღიარებული იყო 1801 წელს ნაპოლეონის მიერ გამოცემულ სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის ზეგავლენით ევროპის რიგ ქვეყნებმა მიიღეს სისხლის სამართლის კოდექსები.

ამრიგად, ბურჟუაზიული სამართალი ბევრად უფრო პროგრესიულია სხვა ტიპების სამართალთან შედარებით. ბურჟუაზიული სამართალი უარყოფს ყოველგვარ წოდებრივ პრივილეგიებს და ყველა მოქალაქეს თანასწოროფლებიანად აცხადებს, თუმცა საბოლოო ანგარიშში მოქალაქის მდგომარეობას და ფაქტობრივ უფლებებს განსაზღვრავს მისი სიმდიდრე, მაგრამ ისიც ინდა აღინიშნოს, რომ სიმდიდრის მოპოვების თვალსაზრისით საზოგადოების წევრთა უფლებები თანასწორია და გამდიდრების შესაძლებლობა პიროვნების უნარზეც არის დამოკიდებული. ბურჟუაზიული სამართალი, მათ შორის სისხლის სამართალი, იცავს კერძო საკუთრებას, თავისუფალ მეწარმეობას, საბაზრო ეკონომიკას. მოწინავე ბურჟუაზიული ქვეყნების

სამართალი განამტკიცებს კანონის უზენაესობას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, უდანაშაულობის პრეზუმციას, სასჯელის გარდაუვალობას.

გარდა ამისა, განხორციელდა რიგი პროგრესული რეფორმები, როგორცაა პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაცია, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დანერგვა და სხვ.

4. სოციალისტურმა სახელმწიფო და სამართალმა, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოების რესპუბლიკის ფორმით შეიქმნა და ყოფილი მეფის რუსეთის თითქმის მთელს ტერიტორიას მოიცავდა, ვერ გაამართლა და ვერ გაანხორციელა გამოცხადებული ღონისძიებები და პრინციპები არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად და სოციალურად, რამაც გამოიწვია მისი დემონტაჟი და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესატყვისი სამართლის სისტემის შექმნა.

### **§3. სისხლისსამართლებრივი ნორმები ძართულ სამართლებრივ კვლევში**

საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას მსოფლიოში, სადაც დიდი ხნიდან სამართლის წიგნები იწერებოდა, მაგრამ ისტორიული ბედუკულობათობის გამო მე-9 საუკუნეზე ადრე დაწერილ სამართლის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენ აქ სისხლისსამართლებრივი ნორმების შემცველ შემდეგ უმნიშვნელოვანეს ძეგლებს შევხებით:

1. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი შედგენილი უნდა იყოს IX-XI საუკუნეებში. ამ სამართლის წიგნიდან შემორჩენილია 61 მუხლი, რომელიც უფრო გვიან იყო შეტანილი ბექა-ალბულას სამართლის წიგნში. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნიდან შემორჩენილი 61 მუხლი ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავს, ფრაგმენტებში დანაშაულის სახეებიდან ნახსენებია მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ძარცვა, ქურდობა, და სხვა ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა.

<sup>5</sup> გ. ინჭორველი, სახელმწიფო და სამართლის თეორია, თბილისი 1999 წელი. გვ. 33.  
<sup>6</sup> გ. ინჭორველი, დასახელებული ნაშრომი გვ. 33-34.

ფრაგმენტი სასჯელთა სახეებიდან იცნობს: სიყვდილით დასჯას დასახიჩრებას, დამნაშავეის დაზარალებულისათვის გადაცემას, ქონებრივ საზღაურებს და სხვ.

ქრონიკული

2. ძეგლის დება. ეს სამართლის წიგნი გიორგი V ბრწყინვალის მიერ შედგენილი ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის XIV საუკუნის 30-იან წლებში, სადაც იმ დროს ადგილი ჰქონია სრულ ანარქიას. კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას, მკვლევლობებს, ქურდობას, ყაჩაღობას, სალაშქროდ გასვლაზე უარის თქმას, «ცინის დაქცევას» და ასე შემდეგ. ეს ძეგლი შეიცავს 41 მუხლს და 5 მუხლის გარდა, ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებს წარმოადგენს.

ძეგლი იცნობს სასჯელის შემდეგ სახეებს: გამოსასყიდ თანხას ანუ «სისხლის ფასს», გაძევებას, მამულის ჩამორთმევას, ჯარიმას, ბეგარას. გიორგი ბრწყინვალის სამართლის ამ წიგნიდან კარგად ჩანს, რომ იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯერ კიდევ თემური წყობილებაა, სადაც ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი ახლად იდგამს ფეხს, რომელიც ცდილობს განამტკიცოს ცენტრალური ხელისუფლება.

3. ბექა-აღბულას სამართლის წიგნი. იგი XIII-XIV საუკუნეებშია შედგენილი და ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი სამცხე-საათაბაგოს გამგებელ მანდატურთუხუცეს ბექას ეკუთვნოდა, ხოლო მეორე კი მის შვილიშვილს, ამავე საათაბაგოს ამირსპასალარს — აღბულას. ეს ძეგლი შედგება შესავალისა და 98 მუხლისაგან. წიგნი იცნობს და აღიარებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, დანაშაულში თანამონაწილეთა დიფერენციალურ პასუხისმგებლობას, დამთავრებულ დანაშაულს ასხვავებს დანაშაულის მცდელობისაგან, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებადაა მიჩნეული, იცნობს დანაშაულის შემდეგ სახეებს: მკვლევლობას, სხეულის დაზიანებას, შეურაცხყოფას, ცილისწამებას, სქესობრივ დანაშაულს, ქალის მოტაცებას, ქურდობას, მექრთამეობას, ლალატსა და მის მომწესრიგებელ ნორმებს.

ბექა-აღბულას სამართლის წიგნში შეტანილი იყო ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები დაახლოებით 60 მუხლის ოდენობით, რომელიც ასევე გამოიყენებოდა გასშირებულ დანაშაულთა მოსაწესრიგებლად.

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი შეიცავს როგორც სისხლის ასევე სამოქალაქო სამართლის ნორმებს.

4. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. სამართლის ეს წიგნი შედგენილია «სწავლულ კაცთა» მიერ მე-18 საუკუნის დასაწყისში, ქართლის ცნობილი მეფის ვახტანგ VI-ის მეთაურობით. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ეს წიგნი შედგენილი იყო ქართლის სამეფოსათვის, იგი მალე გავრცელდა მთელს ქვეყანაში, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ იგი საქართველოში მოქმედ ჩვეულებით სამართალს ეფუძნებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებულია:

1. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა ანუ თვითონ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი. 2. სამართალი მოსესი (ებრაული სამართალი). 3. ბერძნული სამართალი, 4. სომხური სამართალი, 5. გიორგი V ბრწყინვალეს «ძეგლის დადება». 6. ალბუღას სამართალი და 7. კათალიკოსთა სამართალი.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა ხალხის სამართლის წიგნთა კრებულთა შორის წინააღმდეგობებიც ბევრია. სამართლის წიგნის კრებულთა შორის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნს, თუმცა სხვა ქართულ სამართლის წიგნებსაც იყენებდნენ. კანონმდებელი კრებულის უცხო ნაწილს განიხილავდა, როგორც ისეთ სამართლებრივ სიძველეთა არსენალს, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში შეძლებდა საჭირო იარაღის აღებას. ე.ი. ბერძნული, ებრაული, სომხური, სამართლის წიგნები დამხმარე ხასიათს ატარებდნენ<sup>7</sup>.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში გაერთიანებულია როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის ხასიათის ნორმები.

ვახტანგ VI-ის წიგნში მოცემულია სახელმწიფოსა და ეკლესიის, განსაკუთრებით მმართველების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი, მკვლელობა, სხეულის დაზიანება (დაშავება და დაჭრა), ფიზიკური ძალადობა (ცემა, დარტყმა), ქალის მოტაცება, ცოლის მიტოვება, სახლზე და მამულზე თავდასხმა, ქურდობა და სხვ.

სამართლის ეს წიგნი იცნობს ბრალის ორ ფორმას – განზრახვას

<sup>7</sup> გ. ნადარეშივილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო და სამართლის ისტორია. თბილისი, 1986 წელი, გვ. 109-110

და გაუფრთხილებლობას, ცალკე გამოყოფს და განიხილავს ფათერაკის (შემთხვევის) ცნებას. აღიარებს პიროვნული და მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწყებით ასაკს (10 წლიდან), პასუხისმგებლობის გამაქარწყლებელ და შემამსუბუქებელ-დამამძიმებელ გარემოებებს, მცდელობასა და თანამონაწილეობას დანაშაულში. ყველა ეს საკითხი თავისი ბუნებით და შინაარსით ჩვენი ეროვნული სისხლის სამართლის საფუძვლებს გამოსახავენ.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სასჯელთა სისტემაში მთავარია წოდებრივი პრინციპით აგებული სისხლის დაურევების წესი, რომელსაც სისხლის სამართალში ჩვეულებრივ კომპოზიციების სისტემას უწოდებენ, რომლის დროსაც ხელმძღვანელობენ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოსაზრებით და საზღაური მით უფრო მეტია, რაც უფრო მნიშვნელოვანია მიყენებული ვნება, მაგრამ წარმოშობით იგი მაინც შურისძიების უფლების გამოსყიდვას წარმოადგენს, რადგანაც კომპოზიციის მიღების შემდეგ დაზარალებული მხარე უარს ამბობდა შურისძიებაზე.

კომპოზიციის მთელი სისტემა ვახტანგ-VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით აგებული იყო მარტივ საფუძველზე: საზოგადოება შედგება რამდენიმე იერარქიულად დაქვემდებარებული ჯგუფისაგან და ყოველი ზემდგომი ფენის სისხლის საზღაური ქვემდგომი ფენის სისხლის საზღაურის ორჯერ ოდენობას წარმოადგენს, რაც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 33 მუხლში ასეა გადმოცემული: «... ეს ასე არის გარიგებული: გლეხის სისხლზე ერთი-ორად მსახურისა არის. მსახურზე ერთი-ორად ცალ-მოგვის აზნაურიშვილისა. ცალ-მოგვზე ერთი-ორად შუას აზნაურიშვილისა არის, შუა აზნაურზედ ერთი-ორად დიდი აზნაურისა. დიდს აზნაურზე ერთი-ორად დაბალი თავადისა. დაბალს თავადზე ერთი-ორად შუა თავადისა. შუა თავადზე ერთი-ორად დიდებულისა.» გარდა სისხლის დაურევების სისტემისა, ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნი იცნობდა საჯარო ხასიათის სასჯელთა სისტემას, რომელიც ბაგრატ კურაპალატის, გიორგი V ბრწყინვალის და ბექა-ალბულას სამართლის წიგნების სასჯელთა სისტემიდან არის აღებული<sup>8</sup>.

აკადემიკოს ისიდორე დოლიძის აზრით, ვახტანგ VI არის

<sup>8</sup> აღ. ვაჩიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. I ნაწ. 1946 წ. გვ. 25-26, 90-91.

ქართველი «იუსტინიანე», ხოლო მის მიერ შედგენილი სამართლის კრებული კი – საქართველოს «კორპუს იურის ცივილის».

პროფესორ მიხეილ კეკელიას სიტყვებით რომ ვთქვათ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ამიერკავკასია მოგვაგონებს ვულკანს, რომლის კრატერზეც საქართველო იმყოფება. ამ დროს იმერეთს მიბჯენილი აქვს თურქული, ხოლო ქართლ-კახეთს ირანული მახვილი. კასპიის ზღვასა და ჩრდილოეთ კავკასიასთან უკვე რუსეთის სასაზღვრო ბოძებია აღმართული და აშკარად იგრძნობა თურქეთის, ირანისა და მეფის რუსეთის დაინტერესება საქართველოს ბედით. 1783 წელს საქართველო შევიდა რუსეთის მფარველობაში, რომელმაც კიდევ უფრო გაართულა საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა მწხობელ სახელმწიფოებთან<sup>9</sup>. 1795 წლის კრწანისის ომმა ცხადყო სახელმწიფოებრიობის კრიზისი, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოცხადდა, ხოლო 1810 წლიდან მან ფაქტობრივად დაიპყრო დასავლეთ საქართველოც და ამით ბოლო მოეღო მსოფლიოში ერთ-ერთ უძველესი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

#### **§4. რუსეთის იმპერიის კანონების მოქმედება საქართველოში მისი რუსეთთან შერიბების შემდეგ**

რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ რუსეთის მეფის ბრძანებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ნორმები, რომელიც შეეხებოდა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, გაუქმდა, ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც განაგრძობდნენ მოქმედებას. აღნიშნულ ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ სამოქალაქო საქმეები უნდა გადაწყვეტილიყო ქართული ადათისა და ვახტანგ VI-ის სამართლის ნორმებით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები კი – რუსეთის იმპერიის კანონების მიხედვით.

რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის დროს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შექმნის იდეა უარყოფილ იქნა. სამაგიეროდ დაიწყო მუშაობა «რუსეთის იმპერიის კანონთა ნაყრების» (Свод законов Российской империи) შესაქმნელად, რომელშიც

<sup>9</sup> მ. კეკელია. სასამართლოს ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. 1970 წელი, წიგნი I, გვ. 24-25.

შევიდა რუსეთში 1649 წლიდან 1825 წლამდე გამოცემული საკანონმდებლო აქტები და 1830 წელს გამოიცა 46 ტომად. შემდეგ კი საკანონმდებლო სიძველეების ამ უზარმაზარი კრებულში შეირჩა სამოქმედო ძალის მქონე კანონმდებლობა 15 ტომად, რომელიც ძალაში შევიდა 1835 წელს. იგი წარმოადგენდა სამართლის სხვადასხვა დარგში (სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, საფინანსო სამართალი) მომქმედი კანონების სისტემატურ გამოცემას, რომელიც გამოიყენებოდა საქართველოშიც.

მეფის რუსეთში 1845 წელს დამტკიცდა «სჯულდება სისხლის სამართალისა და გამასწორებელ სასჯელთა შესახებ», რომელსაც «კანონთა ნაკრების» მეთხუთმეტე ტომის პირველი ნაწილი უნდა შეეცვალა. იგი 1846 წელს შევიდა ძალაში და შედგებოდა 2224 მუხლისაგან. «სჯულდებით» დადგენილი იყო 11 სახის სასჯელი, მათ შორის: 1) წოდებრივი უფლებების ჩამორთმევა და სიკვდილით დასჯა, 2) წოდებრივი უფლებების ჩამორთმევა და საკატორლო სამუშაო გადასახლება უვადო ან ოთხიდან ოც წლამდე ვადით, 3) ყველა წოდებრივი უფლებების აყრა და ციშირში საცხოვრებლად გადასახლება, 4) ყველა წოდებრივი უფლებების აყრა და კავკასიაში საცხოვრებლად გადასახლება და სხვ.

რუსეთის მთავრობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1861 წ.) იცავდა რა მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს, აჩვენებდა რუს ხალხს ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი მოსახლეობისათვის, როგორც დაბალი რასისათვის და ოფიციალურად უწოდებდა მათ «ინოროდცებს». რუსეთის იმპერიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა აშკარად ითვალისწინებდა «ინოროდცებისათვის» საერთო სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამონაკლისებს. მაგალითად, 1885 წელს ახალი რედაქციით გამოცემული «სისხლის სამართლისა და გამასწორებელი სასჯელების სჯულდების» 530-ე მუხლი ეხებოდა ებრაელთა წრიდან გამოსული სამხედრო მოსამსახურის დაფარვას, 1171-ე მუხლი კი ებრაელთა მიერ მათთვის მუდმივ საცხოვრებლად დანიშნულ ადგილის ფარგლებს გარეთ ცხოვრებას და სავაჭრო საქმიანობას. დანაშაულის ისეთივე სპეციალური შემადგენლობები იყო გათვალისწინებული მუსლიმანების, ბალტიისპირელების, არაქრისტიანების მიმართ. აღნიშნულთან ერთად, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობის ნაციონალისტური ხასიათი ჩანს იქიდანაც, რომ 1870 წლის რეფორმების შემდეგ რუსეთში შეიქმნა ადგილობრივი თვითმ-

მართველობითი ორგანოები - ერთობები, რომელიც არჩევითი იყო, მაგრამ საქართველოს ეს არ შეეხებოდა და ეს ორგანო მას არ ჰყოლია. საქართველოს ასევე არ მისცეს უფლება ჰყოლოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რასაც იმით ასაბუთებდნენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიძლება არსებობდა მხოლოდ მაღალი კულტურისა და განვითარების ქვეყანაში, რითაც ფესქვემ გაითვალა ისეთი ძველი და მაღალი კულტურის ქვეყნის ინტერესები, როგორც იყო საქართველო<sup>10</sup>.

## §5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლისსამართლებრივი აქტები

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა 1917 წელს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციების შემდეგ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. 1919 წლის მარტის თვეში დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება, რომელმაც იურიდიულად დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობა და გააუქმა რუსეთის კანონების მოქმედება საქართველოში. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის ბაზაზე უნდა გაშლილიყო საკანონმდებლო საქმიანობა, მაგრამ მან მხოლოდ 4 დღე იარსება და 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა საქართველოში იძულებით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ამრიგად, 1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და მას შემდეგ 70 წლის მანძილზე ფორმალურად ითვლებოდა «სუვერენულ რესპუბლიკად» საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მიღებული სამივე სისხლის სამართლის კოდექსი (1922, 1928, 1960) შედგენილი იყო რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო 1990 წლიდან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უკანასკნელ საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მიუხედავად მრავალი

<sup>10</sup> გ. ნადარეიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო და სამართლის ისტორია. თბილისი, 1986 წელი, გვ. 375-376; 382-385, 403-415-416.

კვლილებების, დამატებების და შესწორებების შეტანისა, იგი მიიჩნევა არ იყო ეროვნული და კვლავ ჭარბად შეიცავდა საბჭოური იდეოლოგიის შტამებს. ერთ-ერთ ასეთ იდეოლოგიურ შტამს ამ კოდექსში წარმოადგენდა საზოგადოებრივი საშიშროების ცნებისა რომელიც დანაშაულისა და სხვა სისხლისსამართლებრივი ცნებებისა და ინსტიტუტების განსაზღვრის მთავარ ნიშნად იყო მიჩნეული.

## §6. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი

1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 26 დეკემბრის განკარგულებით დაფუძნდა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოში არსებული სამართლებრივი ტრადიციების დასავლურ სამართალთან ჰარმონიზაციის გათვალისწინებით მოეზადებინა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესატყვისი სისხლის სამართლის კანონმდებლობა. დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა გ. ტყეშელიაძემ 1994 წლის მაისის თვეში ქ. თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილი იყო სამართლის რეფორმებისადმი საქართველოში, თავის მოხსენებაში, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდიფიკაციის პრობლემების შესახებ, აღნიშნა, რომ დანაშაულისა და სხვა სისხლისსამართლებრივი ცნებების დამახასიათებელ არსებით ნიშნად საზოგადოებრივი საშიშროების მიჩნევა საბჭოური იდეოლოგიური შტამებია, რომელიც პირობადადებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ზეგავლენით და წინადადება წამოაყენა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეული ყოფილიყო ქმედების მართლწინააღმდეგობა, ამასთან ერთად «საზოგადოებრივი საშიშროების» ნაცვლად უნდა ყოფილიყო მითითება «ზიანზე» და ამით ხაზგასმული იქნებოდა, რომ სახელმწიფო და სისხლის სამართალი დანაშაულისაგან იცავს არა მარტო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, არამედ თითოეული ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს<sup>11</sup>.

<sup>11</sup> მ. ტყეშელიაძე, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის პრობლემები. 1994 წ. თბ. კრებული. სამართლის რეფორმა საქართველოში. გვ. 397.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებელი დარგობრივი კომისიის მიერ შექმნილი კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს და იგი ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან. კანონშემოქმედთა აზრით, ეს კოდექსი გარდამავალი პერიოდის საკანონმდებლო აქტია, რომელიც თანდათან იხვეწება და სრულყოფილ სახეს ღებულობს. ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც ქართველ კანონშემოქმედთა დამოუკიდებელი საკანონმდებლო ნება გამომჟღავნდა.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ახლებურად ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შინაარსი. ეს კოდექსი აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის სტრუქტურა შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული სამი ელემენტისაგან. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი იძლევა დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრას და ადგენს: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი სისხლის სამართლის ნორმათა თავისებურებების მიხედვით იყოფა ორ ნაწილად: სისხლის სამართლის ზოგად ნაწილად და სისხლის სამართლის კერძო ნაწილად.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი შეისწავლის: სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და მისი მოქმედების ფარგლებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს – დანაშაულს, დანაშაულის კატეგორიებს, ერთიანი დანაშაულის სახეებს, დანაშაულის სიმრავლეს, დაუმთავრებელ დანაშაულს, დანაშაულის ამსრულებლობასა და დანაშაულში თანამონაწილეობას, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს, ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, სასჯელს, მის სისტემას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების საკითხებს, არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს და შეურაცხადი პირისათვის სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პირობებსა და წესს.

სისხლის სამართლის ზოგად ნაწილს მოქმედ სისხლის სამართლის

კოდექსში დათმობილი აქვს ექვსი კარი, რომელიც შედგება 18-  
თავისაგან. ზოგადი ნაწილი იწყება პირველი მუხლით და მთავრდება  
107-ე მუხლით.

ქართული

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მუხლები შეიცავს საზოგადო  
ხასიათის პრინციპებს და დებულებებს, რომელთაც სავალდებულო  
ძალა აქვთ ყველა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა სწორად  
გადაწყვეტისათვის.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ზოგადი ნაწილის  
გაგრძელებას წარმოადგენს, იწყება მე-7 კარით და მთავრდება  
მე-14 კარით, თითოეულ კარში რამდენიმე თავია, რომელშიც  
დანაშაულთა სახეები დაჯგუფებულია გვარობითი ობიექტების  
შესაბამისად და ამ განლაგების მიხედვით წარმოგვიდგება სისხლის  
სამართლის კერძო ნაწილის სისტემა, სადაც, ძველი სისხლის  
სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილისაგან განსხვავებით,  
წინა პლანზეა წამოწეული იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა  
დაცვა, რომელიც თავისი სოციალური შინაარსით განსაკუთრებული  
ღირებულებისაა. აღნიშნულის მაჩვენებელია ის, რომ კერძო ნაწილი  
იწყება ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით, მაშინ  
როდესაც, სისხლის სამართლის ძველი კოდექსით პიროვნების  
წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გათვალისწინებული იყო  
მესამე თავში.

სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის მჭიდრო  
კავშირი აშკარად ვლინდება საგამოძიებო და სასამართლო  
პრაქტიკაში, როცა წყდება საკითხი პირის სისხლისსამართლებრივ  
პასუხისგებაში მიცემისა და განსასჯელისათვის სასჯელის ზომის  
განსაზღვრის შესახებ. მაგალითად, იმისათვის, რომ პირი მიეცეს  
სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში იმ დანაშაულისათვის,  
რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის კერძო ნაწილის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა),  
აუცილებელია, გამოძიებამ დაადგინოს, რომ ამ ქმედების ჩამდენი  
პირი შერაცხადია (სსკ-ის 33-34-ე, მუხლები), ქმედება ჩადენილი  
იყო განზრახ და არა გაუფრთხილებლობით (სსკ-ის მე-9 და მე-10  
მუხლები), რომ არ იყო მკვლელობა ჩადენილი მართლწინა-  
აღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში (სსკ-ის 28-32-ე მუხლები),  
ან ბრალის გამომრიცხველ ან შემამსუბუქებელი გარემოებების  
არსებობის პირობებში (სსკ-ის 33-38 მუხლები) და სხვა, ხოლო  
სასამართლო განზრახ მკვლელობისათვის პირის მიმართ სსკ-ის

108-ე მუხლით სასჯელის დანიშვნის დროს ვალდებულია იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლებით, როგორცაა 22-ე მუხლი (სასჯელის მიზანი), 53-ე მუხლი (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები), 54-ე მუხლი (სასჯელის დანიშვნის შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას) და სხვ. დასახელებული მუხლები კი მიეკუთვნებიან სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს.

## §7. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების სტრუქტურა

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის მუხლები აგებულია განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ ზოგადი ნაწილის მუხლებში გადმოცემულია სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის მნიშვნელობის მქონე ზოგადი დებულებები და პრინციპები, რომლებიც ერთნაირად სავალდებულოა კერძო ნაწილით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის შემადგენლობისათვის და არ ითვალისწინებს სანქციას, მაშინ როდესაც კერძო ნაწილის ყველა მუხლი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორც წესი, დისპოზიციასთან ერთად ითვალისწინებს სანქციას.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში მოცემულია სამართლის ნორმები. როგორც წესი, ერთი მუხლი შეიცავს ერთ ნორმას, მაგრამ ზოგჯერ ერთ მუხლში ორი ან მეტი ნორმა შეიძლება იყოს და მუხლი შეიძლება შედგებოდეს ნაწილებისაგან ან პუნქტებისაგან. მაგალითად, სსკ-ის 118-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად ძძიმე დაზიანებას, ორი ნაწილისაგან შედგება, ხოლო სსკ-ის 109-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში, მოიცავს 14 პუნქტს. მუხლის თითოეული ნაწილი ცალკე აზრით არის გამოყოფილი, რომელიც აღინიშნება ციფრით, ხოლო როდესაც მუხლი შედგება პუნქტებისაგან, იგი აღინიშნება ასოებით. მუხლის თითოეულ ნაწილს აქვს თავისი დისპოზიცია და სანქცია, ხოლო მუხლს, რომელიც პუნქტებისაგან შედგება, აქვს ერთი საერთო სანქცია. დისპოზიცია და სანქცია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლების აუცილებელ და აშკარად გამონათულ ელემენტებს წარმოადგენენ. სისხლის სამართალში სამართლის ნორმების მესამე ელემენტი - ჰიპოთეზა ერწყმის დისპოზიციას.

## 1. ჰიპოთეზა და მისი სპეციფიკა

სამართლის თეორიაში ჰიპოთეზას განსაზღვრავენ როგორც სამართლის ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგომის შემთხვევაში მოქმედებას იწყებს ქცევის წესი, რომელიც მოცემულია დისპოზიციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰიპოთეზა გვიჩვენებს, თუ რა შემთხვევაში და პირობებში უნდა იქნეს გამოყენებული სამართალდარღვევისათვის იძულების სასამართლო წესი.

სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში ჰიპოთეზა მკაფიოდ გამოყოფილი არაა და იგი ფაქტობრივად ერწყმის დისპოზიციას. ჰიპოთეზა ნორმაში ჩამოყალიბებულია მსჯელობის სახით, რომელიც შემდეგი ფორმულის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ: «თუ — მაშინ». ამ ფორმულის პირველი ნაწილს («თუ») შეიძლება ვუწოდოთ ჰიპოთეზა, ხოლო მეორე ნაწილის («მაშინ») დისპოზიცია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირის მიერ ჩადენილია სსკ-ის რომელიმე მუხლის დისპოზიციაში აღწერილი ქმედება, მაშინ ეს პირი უნდა დაისაჯოს ამავე მუხლის სანქციის ფარგლებში. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1928 წლის რედაქციით გამოცემული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთ მუხლში ჰიპოთეზისა და დისპოზიციის დამოკიდებულება უფრო მკაფიოდ იყო წარმოჩენილი. მაგალითად, 146-ე მუხლის სტრუქტურა ასე იყო ჩამოყალიბებული: «განზრახ მკვლელობა, უკეთუ იგი ჩადენილია ისეთი უცარი და ძლიერი სულიერი აღელვების ზეგავლენით, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, ხოლო 147-ე მუხლი ჩამოყალიბებული იყო ასეთნაირად: «აუცილებელი მოგერიების სპონტანური გადაცილება, უკეთუ ამას შედეგად მოჰყვა თავმდამსხმელის სიკვდილი, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე». როგორც ვხედავთ, აქ სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურებში სიტყვა «უკეთუ» გამოხატავს ჰიპოთეზას, რომლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მოქმედებას იწყებს ქცევის წესი, რომელიც მოცემულია დისპოზიციაში და მას მოჰყვება სანქცია, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული დამნაშავეს მიმართ.

ამრიგად, «ჰიპოთეზა არის სისხლის სამართლის ნორმის ეს ნაწილი, რომელშიც აღწერილი პირობების არსებობის დროს ნორმა იწყებს მოქმედებას»<sup>12</sup>»

სისხლის სამართლის ნორმის გამოყენების პირობები მოცემულია სსკ-ის ზოგად ნაწილში, რომელიც ვრცელდება კერძო ნაწილის მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე. ამის გამო კერძო ნაწილის ნორმები 108-ე მუხლიდან 413-ე მუხლის ჩათვლით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თითოეული იყოფა ორ ნაწილად – დისპოზიციად და სანქციად. გამონაკლისს წარმოადგენს 307-ე მუხლი, რომელიც განმარტავს, თუ რომელი ქმედებები ითვლება სამშობლოს ღალატად და 382-ე მუხლი, რომელიც განმარტავს სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ცნებას. ამ მუხლებს სანქცია არა აქვთ და ამიტომ კერძო ნაწილის ნორმებად არ უნდა ჩაითვალოს.

## 2. დისპოზიცია და მისი სახეები

დისპოზიცია ეწოდება სამართლის ნორმის იმ ნაწილს, სადაც აღწერილია ცალკეულ დანაშაულთა დამახასიათებელი ნიშნები, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი კანონმდებლის მიერ დადგენილი სავალდებულო ქცევის წესის შინაარსია, რომელიც შეიცავს მითითებას სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

სისხლის სამართლის ნორმებში, როგორც ჰიპოთეზა, ისე სანქცია დისპოზიციის გარშემოა დაჯგუფებული და იგი მათი დამაკავშირებელი რგოლია.

ქცევის წესის შინაარსის გამოხატვის ფორმის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ მავალელები, ამკრძალავი და აღმჭურველი დისპოზიციები.

მავალელები დისპოზიცია ჩამოყალიბებულია, როგორც მოთხოვნა ამა თუ იმ მოქმედების შესრულების შესახებ. მაგალითად, სსკ-ის 129-ე მუხლს აქვს მავალელები დისპოზიცია და ყველას გვავალებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელ და გადაუდებელ დახმარების გაწევას, აგრეთვე დახმარების საჭიროების აუცილებლად შეტყობინებას სათანადო დაწესებუ-

<sup>12</sup> ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, თბილისი 1996 წ. გვ. 35

ლებისათვის ან პირისათვის და ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ითვალისწინებს სასჯელს ჯარიმის ან გამასწორებელი სამუშაოს ან ტუსალობის ანდა თავისუფლების აღკვეთის სახით.

ამკრძალავი დისპოზიცია მუხლში ჩამოყალიბებულია იმ ქმედების შესრულების პირდაპირი აკრძალვის სახით. ვერძო ნაწილის მუხლებს, რომლებიც დანაშაულის ცალკეულ სახეებს შეეხებიან, ამკრძალავი დისპოზიციები აქვთ.

აღმჭურველი დისპოზიცია მუხლის ნორმაში ჩამოყალიბებულია, როგორც პირის უფლება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებაზე. იგი პირს პირდაპირ არ ავალებს და არც უკრძალავს რაიმე მოქმედების შესრულებას.

სისხლისსამართლებრივი ნორმების დისპოზიციები შეიძლება იყოს მარტივი, აღწერილობითი, მითითებითი და ბლანკეტური.

მარტივ დისპოზიციაში აღნიშნულია მხოლოდ ქმედების სახელწოდება საყოველთაოდ ცნობილი ტერმინით მისი დამახასიათებელი ნიშნების აღწერის გარეშე. მარტივ დისპოზიციას განონმდებელი იყენებს მაშინ, როდესაც მისი აზრით ამ სახის დანაშაულის ნიშნები ყველასათვის ნათელია. ასეთია მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის დისპოზიცია, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის ამ დანაშაულის ნიშნების დაუსახელებლად. მარტივი დისპოზიცია აქვს აგრეთვე სსკ-ის 339-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს მოხელისათვის ქრთამის მიცემას და ა.შ.

აღწერილობითი ეწოდება ისეთ დისპოზიციას, რომელშიც არამარტო დანაშაულის სახელწოდებაა დასახელებული, არამედ აღწერილია აგრეთვე მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებიც. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია, რომელიც ქურდობას განმარტავს, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. აქ დისპოზიცია შეიცავს არამარტო დანაშაულის სახელწოდებას, არამედ მისი დამახასიათებელი ნიშნების აღწერასაც.

მითითებითი ეწოდება ისეთ დისპოზიციას, რომელიც მოცემული დანაშაულის ნიშნების დასადგენად მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნებზე. მაგალითად, სსკ-ის 122 მუხლის დისპოზიცია არის მითითებითი. ეს მუხლი ითვალისწინებს

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას. ამ მუხლის დამნაშავეზე შესაფარდებლად საჭიროა სახეზე იყოს არა მხოლოდ მასში აღწერილი ნიშანი (აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება), არამედ აგრეთვე სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით დადგენილი ნიშნებიც, რომლებიც განსაზღვრავენ ჯანმრთელობის თუ როგორი დაზიანება ჩაითვლება მძიმედ და ნაკლებად მძიმედ. მითითებითი დისპოზიციას კანონმდებელი იყენებს იმისათვის, რომ აცილებულ იქნეს ერთი და იგივე ცნების მრავალჯერ განმეორება და განმარტება კოდექსში.

ბლანკეტური ეწოდება ისეთ დისპოზიციას, რომელშიც არ არის აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები და მათ დასადგენად კანონმდებელი მიუთითებს არა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებზე, არამედ სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზე, როგორცაა დებულებები, წესდებები, ინსტრუქციები, ბრძანებები და ა. შ. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 394-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს საყარაულო სამსახურის წესის დარღვევას. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის შინაარსის გარკვევისათვის უნდა გავეცნოთ საყარაულო სამსახურის წესდებას, რომელიც დამტკიცებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ. ამ წესდების გაცნობის შემდეგ ნათელი წარმოდგენა გვექნება, თუ რა ნიშნებით ხასიათდება საყარაულო სამსახურის წესების დარღვევა და ქმედებასაც სწორად დავაკვალიფიცირებთ. ბლანკეტურ დისპოზიციას შეიცავს აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 290-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სავეტერინარო წესის და მცენარის დაავადებასთან და მავნებელთან ბრძოლის წესის დარღვევას, რომელიც გამოცემულია შესაბამისი უწყების მიერ ცალკე ნორმატიულ აქტად.

სამართლის ნორმის დისპოზიციის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ დანაშაულის შემდეგი სახეები: მატერიალური დანაშაული, ფორმალური დანაშაული და ალკვეთილი დანაშაული.

დანაშაული მატერიალურია მაშინ, როცა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციის კონსტრუქცია მოითხოვს ქმედებასთან ერთად შედეგის დადგომას. მატერიალურ დანაშაულს მიეკუთვნება განზრახ მკვლელობა, ქურდობა და სხვ. ასეთი დანაშაული დამთავრებულად ითვლება შედეგის დადგომის

შემთხვევაში, მაგრამ თუ შედეგი დამნაშავესაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ დადგა, საქმე გვექნება მატერიალური დანაშაულის მცდელობასთან ე.ი. მკვლელობის, ქურდობის, სხვა შედეგიანი დანაშაულის ჩადენის მცდელობასთან.

დანაშაული ფორმალურია, მაშინ როდესაც ნორმის დისპოზიცია არ მოითხოვს ქმედების შედეგს და საკმარისად მიაჩნია ქმედების ჩადენის მართო ფაქტი შედეგის გარეშე. ფორმალური დანაშაულია, მაგალითად, ყაჩაღობა, რომელიც დამთავრებულად ითვლება სხვისი ქონების დაუფლების მიზნით პირზე თავდასხმის მომენტიდან, როდესაც მას თან ერთვის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

დანაშაული ალკვეთილია, როცა მუხლის დისპოზიცია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს მართლ-საწინააღმდეგო ქმედების დაწყებისთანავე, შედეგის დადგომამდე გაცილებით ადრე, რათა ძირშივე ალკვეთოს ეს განსაკუთრებით საშიში ქმედება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 315-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შეთქმულებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად. ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლება შეთქმულებისათვის შეკრებისთანავე.

### 3. სანქცია და მისი სახეები

სისხლის სამართალში სანქცია სამართლის ნორმის ის ნაწილია, რომელშიც მითითებულია, თუ რა შედეგი მოჰყვება დისპოზიციაში აღნიშნული აკრძალვის დარღვევას. მოკლედ, სანქცია მიუთითებს სასჯელის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც სახელმწიფო იყენებს დისპოზიციაში აღწერილი სავალდებულო ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე პირის მიმართ. სანქციის სახეები ჩამოყალიბებულია მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში და იგი ამომწურავია.

სსკ-ის მე-40 მუხლის თანახმად სასჯელის შემდეგი სახეებია დადგენილი:

- ა) ჯარიმა;
- ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;



საქართველოს  
არჩევნების  
სამსახური

- გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
- დ) გამასწორებელი სამუშაო;
- ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;
- ვ) თავისუფლების შეზღუდვა;
- ზ) ტუსალობა;
- თ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;
- ი) უვადო თავისუფლების აღკვეთა;

სისხლის სამართლის სანქცია შეიძლება იყოს რამდენიმე სახის: აბსოლუტურად განსაზღვრული, შედარებით განსაზღვრული, ალტერნატიული და კუმულაციური.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია ზუსტად განსაზღვრავს სასჯელის როგორც სახეს, ისე მის ზომასაც. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის ძველი კოდექსის 277-ე მუხლით ბრძოლის ველის თვითნებურად დატოვება ან იარაღით მოქმედებაზე უარის თქმა ისჯებოდა თხუთმეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით. აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში მიზანშეუწონელია, რადგანაც გამორიცხავს სასამართლოს მიერ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას, რაც გაითვალისწინა სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა და იგი არ გამოიყენება.

შედარებით განსაზღვრული სანქცია ითვალისწინებს სასჯელის როგორც სახეს, ასევე მის უმდაბლეს და უმაღლეს ზღვრებს. ასეთი სანქცია შეიძლება ორი სახის იყოს: ა) სასჯელის მინიმალური ზღვრის დამწესებელი და ბ) სასჯელის მაქსიმალური ზღვრის დამწესებელი.

პირველის მაგალითია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან რვა წლამდე. როგორც, ვხედავთ ამ მუხლის სანქციაში მოცემულია როგორც უმდაბლესი, ისე უმაღლესი ზღვარი და სასამართლოს მხოლოდ ამ ფარგლებში აქვს უფლება დამნაშავეს განუსაზღვროს სასჯელის ზომა.

მეორე სახის (სასჯელის მაქსიმალური ზღვრის დამწესებელი) სანქციის მაგალითია საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვს წლამდე. ამ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს დამნაშავეს დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ექვს წლამდე და არავითარ შემთხვევაში ამაზე მეტი, მაგრამ სასჯელის მინიმუმად

შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ 6 თვისა, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება არანაკლებ ექვსი თვისა. შედარებით განსაზღვრული სანქცია ხელს უწყობს სასამართლოს მიერ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელების უზრუნველყოფას.

ალტერნატიული სანქცია ითვალისწინებს სასჯელის ორ და მეტ სახეს და კანონმდებელი სასჯელის დამდგენ სუბიექტს ე.ი. სასამართლოს უფლებას ანიჭებს შეარჩიოს და გამოიყენოს სანქციაში მითითებული სასჯელის ერთ-ერთი სახე. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ქურდობას, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და აწესებს ალტერნატიულ სანქციის შემდეგ სახეებს: ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით. ამ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს დამნაშავეს შეუფარდოს დასახელებული სასჯელებიდან მხოლოდ ერთი რომელიმე.

კუმულაციური სანქცია შეიცავს სასჯელის რამდენიმე სახეს და კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებისას მათი ერთდროულად გამოყენებას ერთი და იმავე დამნაშავეს მიმართ ამ სანქციების შეერთების გზით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული უკანონო აბორტი, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ეს მუხლი სანქციის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ამ შემთხვევაში კანონი სასამართლოს უფლებას აძლევს გამოიყენოს დამნაშავეს მიმართ, როგორც თავისუფლების აღკვეთა, ისე გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდის შემდეგ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლამდე ვერ დაიკავებს თანამდებობას, ან ვერ განხორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აკრძალული ჰქონდა.

მითითებითი სანქცია, რომელიც სისხლის სამართლის ძველი კოდექსით გამოიყენებოდა, საქართველოს ამჟამად მოქმედ კოდექსში პრაქტიკულად არ გვხვდება.



**სისხლის სამართლის კანონის მოქმედების  
შარბლავი**

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები, როგორც გვარეობითი ცნება, თავის თავში მოიცავს ორ საკითხს: 1) სისხლის სამართლის კანონის მოქმედებას დროში და 2) სისხლის სამართლის კანონის მოქმედებას სივრცეში. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში გულისხმობს დანაშაულის ჩადენის დროისა და კანონის უკუძალის ფარგლების განსაზღვრას, ხოლო სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ადგილს და სხვა მასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სისხლის სამართლით აღიარებულ პრინციპებს.

**§1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში და  
დანაშაულის ჩადენის დროის ცნება  
(სსკ-ის მე-2 მუხლი)**

სსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს.

სისხლის სამართლის კანონი მოქმედად ითვლება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, ვიდრე ამა თუ იმ კანონიერი საფუძვლით ძალას დაკარგავდეს. დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შეიძლება მოქმედებდეს ამა თუ იმ ურთიერთობის მოსაწყისრიგებლად მხოლოდ ერთი კანონი.

სისხლის სამართლის კანონის მიღების წესი კონსტიტუციითაა რეგლამენტებული. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ხუთი დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების გამოყენებასთან. უკან დაბრუნებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის შენიშვნებს კენჭს უყრის პარლამენტი და თუ იგი მიღებული იქნება, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის

ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, ამ ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მეხუთე დღისა მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეხუთმეტე დღეს, თუ თვით კანონის ტექსტში სხვა ვადა არ არის მითითებული. კანონი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, ეს კი ნიშნავს, რომ იგი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე. ოფიციალურ ორგანოდ კი ითვლება: «საქართველოს საკანონმდებლო მაცნე», აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებები“.

სასამართლოს უფლება არა აქვს ახალგამოცემული კანონით განსაჯოს ქმედება, რომელიც ჩადენილი იყო დროის იმ მონაკვეთში, როცა ეს კანონი თუმცა გამოქვეყნებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის ამჟამად მოქმედი კოდექსი პარლამენტის მიერ მიღებული იყო 1999 წლის 22 ივნისს, მაგრამ ეს კოდექსი ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან. ეს წესი იმისათვისაა მიღებული, რომ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ ახალ კანონს და თავიანთი მოქმედება წარმართონ მისი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო კანონის შემფარდებელი ორგანოების თანამდებობის პირებმა ღრმად შეისწავლონ ეს კანონი და სწორად გამოიყენონ საქმიანობაში.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად კანონი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს იმ შემთხვევაში თუ: 1) გავიდა ვადა, რომლითაც იგი იქნა მიღებული; 2) მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც ძველ კანონს ძალადაკარგულად აცხადებს; 3) ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებულია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს ძველი კანონის იურიდიული ძალის დაკარგვას.

ახალი საკანონმდებლო აქტის მიღების შემთხვევაში ძალადაკარგულად ითვლება შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ყველა კანონქვემდებარე აქტი ან მისი ნაწილი. 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება ძალადაკარგულია 2000 წლის 1 ივნისის შემდეგ ჩადენილი ქმედების

მიმართ, მაგრამ მანამდე ჩადენილი დანაშაულის მიმართ იგი კვლავაც გამოიყენება, თუ ახალი კოდექსი არ აუქმებს ქმედების დასჯადობას ან არ ამსუბუქებს სასჯელს.

სისხლის სამართლის კანონის სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დანაშაული ჩადენილად. ამას განსაზღვრავს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც აწესებს: „დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს“.

ამრიგად, დანაშაულის ჩადენის დროა ქმედების ჩადენის ანუ დანაშაულებრივი ნების გამოვლენის დრო. შედეგის დადგომას მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, პირს საწამლავი დააღვინეს შაბათს, რის შედეგად ის გარდაიცვალა ორშაბათს, დანაშაულის ჩადენის დროა შაბათი და დამნაშავის მიმართ გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მის მიერ მსხვერპლის მოწამვლის დღეს, ე.ი. შაბათს.

თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენის დროდ ჩაითვლება: ამსრულებლისათვის დანაშაულის აღსრულებითი მოქმედების ჩადენის მომენტი, ხოლო დანარჩენი თანამონაწილეებისათვის მათი საკუთარი მოქმედების ჩადენის მომენტი. ამიტომ თუ დანაშაულის ჩასადენად პირის წაქეზების მომენტში ერთი კანონი მოქმედებდა, ხოლო მისი აღსრულების დროს კი ახალი კანონი იყო შესული ძალაში, წამქეზებლის მოქმედება ჩადენილად ითვლება ძველი კანონის დროს, ხოლო ამსრულებლისა ახალი კანონის მოქმედების დროს და შესაბამისად წამქეზებელი წაქეზებისათვის პასუხს აგებს ძველი კანონით, ხოლო ამსრულებელი ახალი კანონის მიხედვით.

დანაშაულის მცდელობის დროს გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის მცდელობის დროს. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების დროს, დანაშაულის ჩადენის დროა დანაშაულის მოსამზადებელი ქმედების ჩადენის დრო.

უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ჩადენის დროა, ის დრო, როცა პირს უნდა ემოქმედა.

განგრძობადი დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც შესრულებულ იქნა უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტი, მაგალითად სხვისი ქონების ნაწილ-ნაწილად გატაცება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა, დაკვალიფიცირდება სსკ-ის იმ მუხლით, რომელიც ძალაში იყო სხვისი ქონების

უკანასკნელი ნაწილის გატაცების მომენტში.

დენადი დანაშაულის მიმართაც გამოიყენება იგივე პრინციპი და იგი დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა შეწყდა დანაშაულებრივი ქმედება, მაგალითად, დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის დატოვება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით, დამთავრებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც შეწყდა ეს მოქმედება და ეს პირი დაისჯება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა დეზერტირობის აქტის აღკვეთის ან თვით დანაშაულის მიერ თავისი ნება-სურვილით მისი შეწყვეტის დროს.

## **§2. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა და ანალოგია (სსკ-ის მუხლი მე-3)**

კანონის უკუძალა უნდა გავიგოთ, როგორც ახალი კანონის გამოყენება იმ დანაშაულებათა მიმართ, რომელიც ჩადენილი იყო ძველი კანონების მოქმედების დროს. კანონის უკუძალის საკითხები მოწესრიგებულია სსკ-ის მე-3 მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს“.

ყველა სხვა შემთხვევაში კანონს უკუძალა აქვს. ქმედების შემადგენლობის სახელწოდების შეცვლა ან მათი გაერთიანება ერთ შემადგენლობად არ ნიშნავს ქმედების დასჯადობის გაუქმებას, მაგალითად, ძველი კოდექსის 79-ე მუხლი ითვალისწინებდა კონტრაბანდას და მას განიხილავდა როგორც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ხელყოფას, მაგრამ მას შემდეგ, რაც საგარეო ვაჭრობაზე გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია, ამ დანაშაულის სოციალური არსიც შეიცვალა. ამიტომ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ამ დანაშაულს სახელწოდება შეუცვალა და უწოდა საბაჟო წესების დარღვევა, რომელიც, როგორც დასჯადი ქმედება, გაითვალისწინა 214-ე მუხლად და მიაკუთვნა ეკონომიკურ დანაშაულთა ჯგუფს.

თუ ძველ კოდექსთან შედარებით ახალ კოდექსში არ გვხვდება ქმედების ესა თუ ის შემადგენლობა, ეს ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და არ დაისჯება. მაგალითად, ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ქალის მოტაცება მასთან

ქორწინების მიზნით, ახალ კოდექსში არაა ასეთი ქმედების სპეციალური შემადგენლობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მონდა ასეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დეკრიმინალიზაცია. ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, ახალი კოდექსის მიხედვით, განიხილება როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ასეთი ქმედების დასჯადობა გათვალისწინებულია სსკ-ის 143-ე მუხლით.

ახალი კოდექსი არ ითვალისწინებს ისეთ სპეციალურ შემადგენლობას, როგორცაა სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება, რომელიც მოცემულია ძველი კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლში, ვინაიდან მოხდა ამ ქმედების დეპენალტიზაცია, მაგრამ იგივე ქმედების დასჯადობას, გატაცების ხერხის მიხედვით ითვალისწინებს ახალი კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი (ქურდობა დიდი ოდენობით). 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი (ძარცვა დიდი ოდენობით), 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი (დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება) და სხვა მომდევნო მუხლები.

სსკ-ის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ახალი სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში“. მაგალითად, თუ პირს ძველი კანონით მისჯილი ჰქონდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ზოლო ახალი კანონით იგივე ქმედებისათვის სასჯელის ზომის მაქსიმუმად დადგენილია 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ ასეთ პირს სასჯელი უნდა შეუმცირდეს, მაქსიმუმ 8 წლამდე, ესე იგი არაუმეტეს კანონის მაქსიმუმამდე.

ახალმა კანონმა შეიძლება ერთდროულად კიდევაც გაამყაროს და კიდევაც შეამსუბუქოს სასჯელი, მაგალითად, გაითვალისწინოს სასჯელის უფრო დაბალი ან მაღალი მინიმუმი და პირიქით, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ის კანონი, რომელიც საქმის ყველა გარემოების მიხედვით უფრო მეტად შეამსუბუქებს დამნაშავეს მდგომარეობას. ახალი კანონი ძველთან შედარებით ამსუბუქებს თუ არა სასჯელს – უნდა გადაწყდეს ამ ორი კანონის სანქციების შედარებით.

სსკ-ის მე-3 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ დანაშაულის ჩადენიდან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოყენებულ უნდა იქნეს ყველაზე მსუბუქი კანონი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასჯელის მოხდის რეჟიმის განსაზღვრის დროს გამოიყენება ახალი კანონი, მიუხედავად კანონის გამყარებისა.

აღმზრდელითი შემოქმედების იძულებითი ღონისძიებები რომლებიც გათვალისწინებულია ახალი კოდექსის 91-ე მუხლისასევე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, რომლებიც მოცემულია ახალი კოდექსის 102-ე მუხლში, წარმოადგენენ არა სასჯელს, არამედ სოციალური დაცვის ღონისძიებებს. ამიტომ სსკ-ის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, აღმზრდელითი შემოქმედების იძულებითი ღონისძიება და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, ხოლო უშვებს მას პიროვნების სასარგებლოდ. პიროვნების სასარგებლოდ ანალოგიის დაშვების გამოსატყულებაა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიერ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების (მუხლი 32-ე) და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების (მუხლი 38-ე) აღიარება.

### § 3. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში (ზოგადი მიმოხილვა)

სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების საკითხი დაკავშირებულია სახელმწიფოს სუვერენიტეტთან. პირი, ვინც დანაშაულს ჩადენს, პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენის ადგილის სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. კანონის სივრცეში მოქმედების ამ წესს ტერიტორიულობის პრინციპი ეწოდება. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვადასხვანაირად წყვეტს საკითხს იმის მიხედვით, თუ სად არის დანაშაული ჩადენილი – საქართველოს ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის რეგულირდება სსკ-ის მე-4 მუხლით, ხოლო საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის კი – ამავე კოდექსის მე-5 მუხლით.

დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს იმის გასარკვევად, თუ რომელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის

იურისდიქცია უნდა განხორციელდეს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. ამ საკითხს სისხლის სამართლის თეორია ისტორიულად სხვადასხვანაირად წყვეტდა. მაგალითად, „შედევს“ თეორიის მიხედვით დანაშაულის ჩადენის ადგილია მისი შედეგის დადგომის ადგილი. ხოლო „მოქმედების“ თეორია დანაშაულის ჩადენის ადგილად აცხადებს დანაშაულბრივი ქმედების ჩადენის ადგილს. ორივე ეს თეორია გარკვეულწილად ზღუდავდა სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს, რის გამოც აუცილებელი შეიქმნა მათი სინთეზირება. ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრის დროს აღიარებს ეგრეთწოდებულ „სუყველგანობის“ (ანუ „საყოველთაობის“) პრინციპს, რომლის მიხედვით დანაშაულის ჩადენის ადგილია, როგორც ქმედების ჩადენის ადგილი, სადაც პირმა თავისი დანაშაულბრივი ნება გამოავლინა, ასევე ამ ქმედების შედეგის დადგომის ადგილი. მაგალითად, პირმა მსხვერპლს საწამლაგი დააღვინა საქართველოში, ეს პირი გაემგზავრა სომხეთში, სადაც მიღებული საწამლავისაგან გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ადგილია, როგორც საქართველო, ისე სომხეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფოს თანაბარი უფლებები აქვს დამნაშავე გაასამართლოს თავისი სისხლის სამართლის კანონით, მაგრამ გაასამართლებს ის სახელმწიფო, რომლის ხელში აღმოჩნდება დამნაშავე და მას დამნაშავის გადაცემის ვალდებულება არ წარმოეშობა.

უმოქმედების დროს დანაშაულის ჩადენის ადგილია იქ, სადაც უნდა ემოქმედა პირს, ასევე ის ადგილი, სადაც უმოქმედების შედეგი დადგა ან პირის წარმოდგენით უნდა დამდგარიყო შედეგი.

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული თანამონაწილისათვის ჩადენილია როგორც ამსრულებლის მიერ ქმედების ჩადენისა და შედეგის დადგომის ადგილას, აგრეთვე იქ, სადაც თანამონაწილე მოქმედებდა, ხოლო უმოქმედების შემთხვევაში უნდა ემოქმედა.<sup>13</sup>

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი მოქმედების ფარგლებისა და სახელმწიფოს იურისდიქციის განსაზღვრის დროს ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებს. ეს პრინციპებია: ტერიტორიულობის პრინციპი, აქტიური პერსონალურობის ანუ მოქალაქეობის პრინციპი, დაცვის პრინციპი, უნივერსალურობის პრინციპი და მონაცველეობითი მართლმსაჯულების პრინციპი.

<sup>13</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. ქ. თბილისი 2000 წ. გვ. 12-18

§4. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება  
საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის  
(სსპ-ის მე-4 მუხლი)

ეროვნული  
სამართლებრივი

როგორც ითქვა, ტერიტორიულობის პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცემული სისხლის სამართლის კანონი მოქმედებს ყველა მოქალაქის მიმართ, ვინც დანაშაულს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მარტო საქართველოს მოქალაქეს, არამედ აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ქვეშ იგულისხმება:  
1) ხმელეთი სახელმწიფო საზღვრების დარღვევაში; 2) შიდა წყლები, რომელსაც მიეკუთვნება: ა) მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად საქართველოს ეკუთვნის; ბ) შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; გ) საქართველოს წყლები, რომელიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ნაგებობების უკიდურეს წერტილზე გამავალი ხაზით; 3) საქართველოს ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა), რომელსაც მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანე 12 საზღვაო მილია, რომელიც აითვლება ზღვის უმეტესი მოქცევის ზოლიდან; 4) საჰაერო სივრცე, რომელსაც მიეკუთვნება საქართველოს სახმელეთო და საზღვაო სივრცის ვერტიკალურად მდებარე ატმოსფერო; 5) წიაღისეული, სახმელეთო ტერიტორიისა და წყლების სიღრმის მიუხედავად; 6) კონტინენტური შელფი, რომელიც არის ზღვის ფსკერი, ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საგზაო მილის მანძილზე. კონტინენტური შელფის გარე საზღვარი ცალკეულ შემთხვევაში დგინდება მოსაზღვრე ან მოპირდაპირე სახელმწიფოსთან საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით; 7) საქართველოს აღმით მოცურავე სამხედრო გემი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი; 8) საქართველოს აღმით მოცურავე არასამხედრო გემი ღია ზღვაში; 9) საქართველოს სამხედრო საჰაერო ხომალდი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი; 10) საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდი, რომელიც უცხო

სახელმწიფო ტერიტორიაზე არ იმყოფება.

საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის საზღვაო სივრცე, რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 კმ<sup>2</sup> სივრცე მილს და გამოიყენება ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებისათვის.

ტერიტორიულობის პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს სუვერენიტეტის იდეიდან გამომდინარეობს, გათვალისწინებულია ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლით, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით“.

სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდება, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს კონტინენტურ შეღწეზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილ დანაშაულზე“. „სუყოველგანობის“ პრინციპის მიხედვით დანაშაული საქართველოშია ჩადენილი, თუ იგი აქ ჩაიდინეს ან შედეგი აქ დადგა.

ტერიტორიულობის პრინციპით სახელმწიფოს იურისდიქციის განსაზღვრის დროს გამონაკლისია ეგრეთწოდებული ექსტერიტორიალობის წესი. ამ წესის მიხედვით, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ, თუ მას დადგენილი წესის მიხედვით იმუნიტეტი არ მოეხსნა, არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ შეიძლება გასამართლდეს საქართველოში ჩვენი სისხლის სამართლის კანონით.

ის საკითხი, თუ ვინ სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით, ანუ ექსტერიტორიალობის წესით, მოწესრიგებულია ვენის 1961 წლის სექტემბრის საერთაშორისო კონვენციით დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ.

დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, უპირველეს ყოვლისა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, პარლამენტისა და მთავრობის დელეგაციათა წევრები, აგრეთვე ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და თანამდებობის პირები, რომლებიც საქართველოში

<sup>14</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ 1998 წელს 17 ივლისი

ჩამოდიან სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებებში, კონფერენციებში და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად. ასევე დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს დიპლომატიური კორპუსის პერსონალი: მირჩველი, სავაჭრო წარმომადგენელი, სამხედრო, სამხედრო და სამხედრო საჰაერო ატაშეები.

ნაცვალგების საფუძველზე ამავე უფლებით სარგებლობენ დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და მათი ოჯახის წევრები.

დიპლომატიური იმუნიტეტი ვრცელდება აგრეთვე დიპლომატიურ კურიერზე, რომელსაც დავალებული აქვს განსაზღვრული დიპლომატიური ფოსტის გადაზიდვა.

დიპლომატიური იმუნიტეტი გულისხმობს პირად ხელშეუხებლობას. ასეთი უფლებით აღჭურვილი პირები არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ ან პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემულნი, ან გამოძახებული სასამართლოში მოწმის სახით. ხელშეუხებელია მათი საცხოვრებელი ბინა, სამუშაო ადგილი, გადაზიდვის და გადაყვანის საშუალებანი (ავტომანქანა, თვითმფრინავი), მათთან ჩრკეა აკრძალულია.

სსკ-ის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა ზომალდზე, რომელიც უფლებამოსილია სარგებლოს საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით, ანდა ასეთი ზომალდის წინააღმდეგ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

აქ კანონი ზომალდის ქვეშ გულისხმობს როგორც მცურავ, ისე მფრინავ ობიექტებს და თვლის მას საქართველოს ტერიტორიად.

ახალი კოდექსი განსხვავებას არ აკეთებს სამოქალაქო და სამხედრო ზომალდებს შორის. აქ მოქმედებს „სუყველგანობის“ პრინციპი. მაგალითად, თუ ქართული გემი იმყოფება უცხო ქვეყნის ნავსადგურში და მასზე მოხდა დანაშაული, ამ ქმედების მიმართ გავრცელდება როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის იურისდიქცია და დამნაშავეს თავისი სისხლის სამართლის კანონით გასამართლებს ის სახელმწიფო, რომლის ხელში აღმოჩნდება დანაშაულის ჩამდენი. ანალოგიურად წყდება საკითხი, თუ დანაშაული მოხდა საელჩოს ტერიტორიაზე.

საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის მეოთხე ნაწილი არეგულირებს

დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლე პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს და ადგენს: „თუ უცხო ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ატყუებულ სხვა პირმა, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინეს, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით“.

ამრიგად, დიპლომატიური იმუნიტეტი არ გულისხმობს დანაშაულისათვის სრულ უპასუხესმგებლობას. მათი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება დიპლომატიური გზით. დამნაშავე გადაეცემა იმ სახელმწიფოს, რომელმაც ის აღჭურვა იმუნიტეტით და ეს სახელმწიფო განახორციელებს მასზე თავის იურისდიქციას. დიპლომატიური იმუნიტეტით აღჭურვილი პირი ჩვენს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს იურისდიქციას მხოლოდ მაშინ დაექვემდებარება, როცა არსებობს იმ სახელმწიფოს პირდაპირი და ნათლად გამოთქმული თანხმობა, რომლის წარმომადგენელიც იგი არის.

დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლე პირთა წრე შეიძლება გაფართოვდეს ან შეიკვეცოს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე.

1998 წლის 17 ივლისს რომში მიღებული „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო სტატუსის“ თანახმად, არც შიდა-სახელმწიფოებრივი და არც დიპლომატიური იმუნიტეტი არ აბრკოლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ოთხი სახის დანაშაული. კერძოდ: 1. გენოციდი; 2. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ; 3. ომის დანაშაული და 4. აგრესია.

აღნიშნული დანაშაულებები გათვალისწინებულია ახალი კოდექსის მეთოთხმეტე კარის XVII თავში. მათი ჩადენის შემთხვევაში პირი შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.<sup>15</sup>

<sup>15</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც საერთაშორისო პუბლიცისტიკური სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, წიგნი: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი, 2002 წ. გვ. 191-228

§5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა  
საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის.  
(ზოგადი მიმოხილვა)



დანაშაულის სუბიექტები, ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, რომლებიც იყოფიან სამ ჯგუფად: 1) საქართველოს მოქალაქეები; 2) უცხოეთის მოქალაქეები და 3) მოქალაქეობის არმქონე პირები.

ჩვეულებრივ, მოქალაქეობა გულისხმობს პირის მიყუთვნებას კონკრეტული სახელმწიფოსადმი, რომელიც ხასიათდება ურთიერთსანაცვლო ორმხრივი პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირით. საქართველოს მოქალაქეობა რეგულირებულია საქართველოს 1993 წლის 25 მარტის კანონით "მოქალაქეობის შესახებ". საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთია საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

უცხოეთის მოქალაქეებად ითვლებიან ის პირები, რომელთაც არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი.

მოქალაქეობის არმქონე პირი გულისხმობს ადამიანს, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს და ასევე არ გააჩნია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი თავისი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები. მოქალაქეობის არმქონე პირები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: 1) რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და 2) რომლებიც დროებით ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე.

მოქალაქეობის არ მქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, თავიანთი სამართლებრივი სტატუსით თითქმის უთანაბრდებიან საქართველოს მოქალაქეს და ისინი ტერიტორიალური და მოქალაქეობრივი პრინციპის საფუძველზე სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის.

მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, თავიანთი სამართლებრივი სტატუსით უთანაბრდებიან უცხოეთის მოქალაქეებს.

საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის-

სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვეტილია საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლით, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. ამ მუხლის აგების დროს კანონმდებელი ეყრდნობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აქტიური ელემენტურობის ანუ მოქალაქეობრივ პრინციპთან ურთიერთმდებლობისათვის ცნობილ სხვა პრინციპებსაც, როგორცაა რეალურობის ანუ დაცვის და უნივერსალურობის პრინციპებს. ამ პრინციპების მიხედვით განვიხილოთ სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები.

### **1) აქტიური პერსონალურობის ანუ მოქალაქეობის პრინციპი (სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილი)**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ტერიტორიულობის პრინციპი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, ვერ უზრუნველყოფს იმ პირთა დასჯას, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. ამიტომ მას ავსებს მოქალაქეობის პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში, იმყოფებიან რა საქართველოს კანონის დაცვისა და მფარველობის ქვეშ, ვალდებული არიან დაემორჩილონ მას, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, თუნდაც საზღვარგარეთ. ამიტომ თუ ისინი საზღვარგარეთ ყოფნისას ჩაიდინენ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს, მათზე გავრცელდება საქართველოს იურისდიქცია, ესე იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ჩვენი სისხლის სამართლის კანონით. სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებში შესაბამისად, თუ საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი უცხოეთში ჩაიდინს დანაშაულს, ხოლო შემდეგ საქართველოში შეპყრობილი ან სასამართლოსა და გამომძიების მიერ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში იქნება მიცემული – ამ პიროვნებას საქართველო არ გადასცემს უცხო სახელმწიფოს და გაასამართლებს თავისი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. მოქალაქეობის პრინციპის მოქმედების ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სამი ვარიანტი: 1) საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არ მქონე პირმა დანაშაული

ჩაიღინა უცხო სახელმწიფოში, სადაც იგი დასჯად ქმედებად ითვლება, მაგრამ ჩვენი კოდექსით დასჯადი არაა, საქართველო ასეთ პირს ვერ დასჯის და ვერც გადასცემს უცხო სახელმწიფოს, რადგანაც ჩვენი კანონი იცავს მას. 2) საქართველოს მოქალაქეებს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არ მქონე პირმა დანაშაული ჩაიღინა უცხო სახელმწიფოში, რომელიც ორივე სახელმწიფოს კანონით დასჯადია. ასეთი პირი არ გადაეცემა უცხო სახელმწიფოს და იგი დაისჯება ჩვენი კანონით, რომლის მფარველობის ქვეშ იმყოფება იგი. 3) საქართველოს მოქალაქეებს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არ მქონე პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიღინა უცხო სახელმწიფოში, რომელიც იქაური კანონით დასჯადი არაა, მაგრამ ჩვენი კანონით დასჯადია - ასეთი პირი დაისჯება ჩვენი კანონით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მოქმედებდა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ და ამასთან ერთად ეს დანაშაული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიისაა.

## 2) რეალურობის ანუ დაცვის პრინციპი (სსკ-ის მე-5 მუხლის შესამე ნაწილი)

საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის შესამე ნაწილი ამბობს: „საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არ მქონე პირს, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებთ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით“. როგორც ვხედავთ, მე-5 მუხლის შესამე ნაწილი აგებულია რეალურობის ანუ დაცვის და უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე. რეალურობის ანუ დაცვის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო თავის იურისდიქციას ავრცელებს საზღვარგარეთ ჩადენილ იმ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია უცხო ქვეყნის მოქალაქის აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში და ამით იცავს ის საქართველოს ან მისი მოქალაქეების ინტერესების ხელყოფას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისაგან.

ამრიგად, რეალურობის ანუ დაცვის პრინციპი ავსებს იმ სარევეებს, რაც გააჩნიათ მოქალაქეობრივ და ტერიტორიულ პრინციპებს, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას საქართველოს კანონით უცხოელის დასჯისთვის, მაშინ როდესაც უცხოელის მიერ უცხოეთში ჩადენილია საქართველოს სახელმწიფოს ან მისი მოქალაქის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მაგალითად, თუ უკრაინის მოქალაქემ ქ. ხარკოვში დამამძიმებელ გარემოებაში ჩაიდინა საქართველოს მოქალაქის განზრახ მკვლელობა – საქმე ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციას, რითაც ჩვენი კანონი იცავს საქართველოს მოქალაქის ინტერესებს.

### **3) უნივერსალურობის პრინციპი (სსკ-ის მე-5 მუხლის მესამე ნაწილი)**

სსკ-ის მე-5 მუხლის მესამე ნაწილში რეალურობის პრინციპთან ერთად გამოყენებულია უნივერსალურობის პრინციპი, რომლის გამოხატულებაცაა ის, რომ საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, გარდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისა, ჩვენი კანონით შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცეს მაშინაც, როცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოცემული დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

უნივერსალურობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს იურისდიქციის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის ჩადენის ადგილს და დამნაშავის მოქალაქეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირმა საზღვარგარეთ ჩაიდინა ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც იქ დასჯადი არ არის და ამავე დროს არ არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ასეთი პირი შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცეს ჩვენი კანონით, თუ პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. აქ ლაპარაკია უცხო ქვეყანაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებით დასჯადად არის გამოცხადებული.



დამნაშავის გადაცემის (ექსტრადიცია) პრობლემა განსაკუთრებით საერთაშორისო სამართალს, სადაც დამუშავდა და შეიქმნა მისი ძირითადი დებულებები. დამნაშავის გადაცემის დროს მოქმედებს მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი, რომელიც აღიარებს პოლიტიკური თავშესაფრის უფლებას უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის.

დამნაშავის გადაცემის ქვეშ იგულისხმება დამნაშავის გადაცემა ერთი სახელმწიფოს მიერ, სადაც იგი იმყოფება, მეორე სახელმწიფოსათვის, სადაც ჩადენილი იყო დანაშაული, ან რომლის მოქალაქეც იგი არის.

საერთაშორისო სამართალი იცნობს გადაცემის ორ სახეს: დამნაშავის გადაცემას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად და მსჯავრდებულის გადაცემას სასჯელის მოსახდელად.

დამნაშავის გადაცემის ნორმატიული საფუძველი შეიძლება იყოს საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმებები და კონვენციები დანაშაულის ცალკეული სახეების წინააღმდეგ ბრძოლისა და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების ურთიერთგაწევის შესახებ, სხვა ორმხრივი შეთანხმებები და ეროვნული კანონები, რომლებიც ამ საკითხს ეხებიან.

საერთაშორისო ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული დანაშაულის კატეგორიები, რომელიც იწვევს დამნაშავის გადაცემას იმ სახელმწიფოსათვის, სადაც ჩადენილია იგი, ანდა რომლის მოქალაქეც იგი არის. საერთოდ მიღებულია, რომ დამნაშავის გადაცემისათვის აუცილებელია გადამცემი და მიმღები სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გადასაცემი პირის ქმედება წარმოადგენდეს დანაშაულს და ისჯებოდეს თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა.

იგივე პირობებია გათვალისწინებული მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გადაცემისათვის, რომლის იურიდიული საფუძველია დამნაშავის გადამცემი სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული.

დამნაშავის გადაცემის შესახებ თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მიერ დადებულ კონვენციაში არის ერთი განსხვავებული მითითება შემოთხსენებული წესებიდან, რაც იმაში გამოიხატება, რომ

დამნაშავის გადაცემა შეიძლება, თუ პირი მსჯავრდებულთა არასრულწლოებებს ექვემდებარება თვით თავისუფლების აღკვეთით.

საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით დამნაშავის გადაცემის მოთხოვნის უფლება სახელმწიფოს აქვს შემდეგ შემთხვევაში: 1) დანაშაული ჩადენილია მის ტერიტორიაზე; 2) დამნაშავე არის მომთხოვნი სახელმწიფოს მოქალაქე და 3) დანაშაული მიმართული იყო ამ სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

საქართველოს საბჭოური კონსტიტუციით და სისხლის სამართლის კოდექსით დამნაშავის გადაცემის საკითხი რეგულირებული არ იყო.

დამოუკიდებელი საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ დაადგინა, რომ „დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება“ (მუხლი 47-ე).

საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს 22 ივლისს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსმა შეავსო არსებული ხარვეზები და მე-6 მუხლით, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, დამნაშავის გადაცემის საკითხი დაარეგულირა შემდეგნაირად:

სსკ-ის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება იყვნენ ექსტრადირებულნი სხვა სახელმწიფოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

სსკ-ის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

სსკ-ის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად: „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაული“

სათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური წესით".

სსკ-ის მე-6 მუხლის მესამე ნაწილი იცავს მასში აღნიშნული კატეგორიის პირებს არაობიექტური და უსამართლო მართლმსაჯულებისა და პოლიტიკური ანგარიშსწორებისაგან.

საქართველოს მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს.

თუ საქართველოს მოქალაქის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსით გათვალისწინებული ოთხი სახის დანაშაული, კერძოდ: გენოციდი, აგრესია, ომის დანაშაული და დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, იგი შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს: 1) შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის; 2) ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაული არ არის; 3) პირი, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ამის საფუძველია ის, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში ამ კატეგორიის დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის წესების დაცვით.

გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ამ კატეგორიის დამნაშავის გადაცემა დიპლომატიური მოლაპარაკების გზით, იმ პირობით, თუ დამნაშავის გადაცემის მომთხოვნი სახელმწიფო გადაძვემ სახელმწიფოს მისცემს წერილობით გარანტიას იმის შესახებ, რომ გადაცემული დამნაშავის მიმართ არ იქნება გამოყენებული სიკვდილით დასჯა და ეს გარანტია საიმედოა.<sup>16</sup>

<sup>16</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა თბილისი 2000 წელი გვერდი 18-29



სისხლის სამართლის კანონი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, აქედან გამომდინარე, საჭიროა სამართლის წილობისა და კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთმანეთთან სწორად მისადაგება, ეს კი განაპირობებს კანონის განმარტების აუცილებლობას.

სისხლის სამართლის კანონის განმარტება ნიშნავს ამ კანონში კანონმდებლის მიერ ჩადებული შინაარსის ზუსტად დადგენას მასში ნახარი ტერმინების განსაზღვრისა და იმ სოცილურ-ეკონომიკური პირობების გამოყვლევის გზით, რომლებმაც განაპირობეს ამ კანონის მიღება.

კანონის განმარტება ხდება არა მარტო მასში აღმორჩენილი ხარვეზებისა და გაუგებრობის დროს, არამედ მისი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობასთან შეფარდების ყველა შემთხვევაში.

კანონის განმარტება უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად და შეუცდომლად გამოყენებას. კანონის განმარტების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ოფიციალური ორგანოს მიერ გამოქვეყნებული კანონის იმ ტექსტით, რომელშიც შესულია მისი ყველა დამატება და ცვლილება.

კანონის განმარტების სახეობა: 1) კანონის განმარტება სუბიექტის მიხედვით; 2) კანონის განმარტება ხერხების მიხედვით და 3) კანონის განმარტება მოცულობის მიხედვით.

1. სუბიექტის მიხედვით კანონის განმარტება შეიძლება დაიყოს ორ ქვეჯგუფად; ოფიციალურ ანუ ლეგალურ განმარტებად და არაოფიციალურ განმარტებად.

ოფიციალურ ანუ ლეგალურ განმარტებას იძლევა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი და მას გარკვეული სავალდებულო ძალა აქვს.

ოფიციალური ანუ ლეგალური განმარტება თავის მხრივ იყოფა ორ სახედ: აუტენტურ და სასამართლო ანუ კაზუალურ განმარტებად.

აუტენტური განმარტება არის ისეთი განმარტება, რომელსაც იძლევა საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის საფუძველზე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი. ასეთი განმარტება ახალი კანონის მიღებას ნიშნავს, რომელსაც ისეთივე ძალა აქვს, როგორც მის მიერ განმარტებულ კანონს და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა დაწესებულების, თანამდებობის პირის და მოქალაქეებისათვის.

სასამართლო ანუ კაზუალური განმარტება ეწოდება კანონის ისეთ განმარტებას, რომელსაც აკეთებენ საერთოდ სასამართლოები ცალკეული სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას. განმარტებები მოცემულია კანონიერ ძალაში შესულ განმარტებებში. შემდგომი სასამართლოს დადგენილებებში და სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმეზე.

კანონმდებლობის ცალკეულ ნორმათა განმარტება ხდება აგრეთვე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ კონკრეტულ გადაწყვეტილებებში, რომელიც ქვეყნდება ყოველთვიურად უზენაესი სასამართლოს კრებულის სახით.

არაოფიციალურ განმარტებას მიეკუთვნება მეცნიერული ანუ დოქტრინული განმარტება, რომელსაც იძლევიან სამეცნიერო-იურიდიული ინსტიტუტები და პროფესიონალი იურისტები მონოგრაფიებში, სტატიებში, სახელმძღვანელოებში, მოქმედი კანონის კომენტარებში და სხვ. მათი ავტორიტეტი მაღალია და ემყარება საკითხების სპეციალური იურიდიული კვლევის შედეგებს. კანონის ასეთ განმარტებას თუმცა არა აქვს სავალდებულო ძალა, მაგრამ დიდ დახმარებას უწევს თანამდებობის პირებს პრაქტიკულ მუშაობაში, კერძოდ სისხლის სამართლის კანონის სწორად გაგებასა და გამოყენებაში და ამასთან ხელს უწყობს სისხლის სამართლის მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

2. სისხლის სამართლის კანონის განმარტება ხერხების მიხედვით იყოფა შემდეგ ქვესახეებად: გრამატიკულ, ლოგიკურ, სისტემატურ, ისტორიულ-პოლიტიკურ განმარტებებად.

გრამატიკული განმარტების დროს კანონის ზუსტი შინაარსი დგინდება მისი ტექსტის სინტაქსური და ეტიმოლოგიური გარჩევისა და მასში ნახმარი სიტყვების, ცნებების და ტერმინების მნიშვნელობის გარკვევის გზით, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის შეფარდებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარდგენისათვის ჯიუტად თავის არიდებას, ანდა დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემების შეტანას - საყმარისია მასში აღნიშნული სამი გარემოებიდან ერთი რომელიმეს სახეზე არსებობა. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს დასახელებული მუხლის ტექსტის გრამატიკული განმარტება, კერძოდ განმაცალკევებული კავშირის „ანდა“ და „ან“ კავშირის ხმარება. თუ განმაცალკევებული კავშირი „ანდა“ ან „ან“-ის ნაცვლად ნახმარი

იქნებოდა შემაერთებული კავშირი „და“, მაშინ სსკ-ის 355-ე მუხლი მიიღებდა სხვა შინაარსს და ამ მუხლის გამოყენებისათვის საჭირო იქნებოდა სამივე გარემოების ერთობლივად სახეზე არსებობა. განაპირობებული ანუ ფილოლოგიური განმარტების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო დამაკავშირებელ და განმაცალკევებელ სიტყვებს, არამედ აგრეთვე სასვენი ნიშნების განლაგების გათვალისწინებას. ვინაიდან იმის მიხედვით, თუ წინადადების რა ადგილზე იქნება დასმული წერტილი, მძიმე, ტირე და სხვა — შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული კანონის შინაარსი.

კანონში ნახმარი ზოგიერთი ძნელად გასაგები სიტყვების და ტერმინების ზუსტი შინაარსის (მაგალითად, ანგარება, ქვენაგრძობა, ტერორი, ბანდიტიზმი, გარყენილი მოქმედება და ასე შემდეგ) დასადგენად საჭიროა ლექსიკონების გამოყენება. ეს განპირობებული იმით, რომ კანონში ნახმარ ყველა სიტყვას და ტერმინს თავისი შინაარსობრივი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს და მათი შინაარსის დაუზუსტებლობა გამოიწვევს კანონის აზრის დამახინჯებას.

კანონის ლოგიკური განმარტება ნიშნავს ნორმის შინაარსის გარკვევას აზროვნების კანონების საფუძველზე, რა დროსაც ხდება ნორმის ლოგიკური დაშლა რამდენიმე ნორმად და მათი გარჩევის გზით ამ ნორმის გამოცემის მიზნის და შინაარსის გარკვევას ფორმალური ლოგიკის წესების მეშვეობით.

კანონის ლოგიკური განმარტების მეორე წესია ეგრეთ წოდებული „ხარისხის დასვენა“ ანუ დასვენა, რომელიც ორ ვარიანტს გულისხმობს: 1) ის, ვინც უფლებამოსილია ან ვალდებულია დიდზე ის უფლებამოსილი და ვალდებულია მცირეზე; 2) ის, ვისაც ეკრძალება მცირე, მას ეკრძალება დიდი.

კანონის ამ განმარტების ვარიანტების გამოყენების შედეგად ვიღებთ ლოგიკურ დასვენას ანუ ხარისხის დასვენას.

ლოგიკური განმარტების მესამე წესია ეგრეთ წოდებული დასვენა „ანალოგიიდან“, რაც ნიშნავს ანალოგიის გამოყენებას კანონის ფარგლებში. მაგალითად, სსკ-ის 90-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის განთავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, თუ მის მიერ პირველად ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაული, მაგრამ ღრმად მოხუცებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა — კანონით პირდაპირ არაა შემამსუბუქებელ გარემოებად მოხსენებული. ასეთ შემთხვევაში ანალოგიიდან დასვენის წესის შესაბამისად, სასამართლოს ღრმად

მოსუცებულობა შეუძლია ჩათვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების საფუძვლად. დასკვნა „ანალოგიიდან“ სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩვენს სისხლის სამართალი ცნობდეს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ.

კანონის ლოგიკური განმარტების მეოთხე წესია ევრეთ წოდებული დასკვნა საწინააღმდეგოდან. სამართლის ნორმების შინაარსიდან შეიძლება ლოგიკურად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა გამომდინარეობდეს. ამ დროს დგინდება ერთ-ერთი მსჯელობის მცდარობა, რაც ნიშნავს, რომ რადგანაც ერთი დასკვნა მცდარია, მეორე ავტომატურად ჭეშმარიტი იქნება.<sup>17</sup>

კანონის სისტემატური განმარტება მდგომარეობს სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევაში მოქმედი სისხლის სამართლის საერთო სისტემაში მისი ადგილის, შინაარსით მასთან ახლოს მდგომი კანონებთან დაპირისპირებისა და მათგან გამიჯვნის საშუალებით. ამ გზით შესაძლებელი ხდება სამართლის ნორმებს შორის ნამდვილი თუ მოჩვენებითი წინააღმდეგობების აცილება და კანონის ნამდვილი აზრის გარკვევა.

მაგალითად, იმის დასაზუსტებლად, სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული დამნაშავის მოქმედება, რომელსაც სხვისი სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, უნდა გამოვიყენოთ განმარტების ეს ხერხი, რისთვისაც უნდა განვახორციელოთ სისხლის სამართლის კოდექსის ყველა იმ მუხლების შედარებით კვლევა, რომლებიც ითვალისწინებენ სხვისი სიცოცხლის მოსპობას, რათა საბოლოოდ დავაზუსტოთ სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით გათვალისწინებულ მკვლელობასთან გვაქვს საქმე.

კანონის ისტორიულ-პოლიტიკური განმარტების ხერხი გამოიყენება, მაშინ, როდესაც საჭირო ხდება იმ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების, გარემოებებისა და მიზეზების დადგენა, რომლებმაც განაპირობეს კანონმდებლობის მიერ შესაბამისი კანონის მიღება. ამ სახის განმარტებისათვის საჭიროა კანონპროექტის შემდგენელი კომისიის მასალების გაცნობა. კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული შენიშვნების შესწავლა, კანონპროექტისა და საბოლოოდ მიღებული კანონის ტექსტის შედარება.

<sup>17</sup> ბიძინა საყანელი, სამართლის თეორია, თბილისი, 1997წ. გვ. 189-190

აღსანიშნავია, რომ ისტორიულ-პოლიტიკური განმარტების შედეგად გამოვლინდება ხოლმე ისეთი ნორმები, რომლებიც ფორმალურად არ არიან გაუქმებული, მაგრამ ფაქტობრივად ძალა დაკარგული აქვთ და მათი გამოყენება არ ხდება ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების არსებითად შეცვლის გამო.

კანონის ისტორიულ-პოლიტიკურ განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

3. კანონის განმარტება მოცულობის მიხედვით შეიძლება იყოს: შუბლუდვითი, განვრცობითი და სიტყვა-სიტყვითი.

შუბლუდვითი განმარტების დროს კანონს ეძლევა უფრო ვიწრო, შუბლუდული აზრი, ვიდრე კანონის სიტყვა-სიტყვითი აზრია. შუბლუდვითი განმარტების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 171-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვნის ჩაბმას ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, რომლის ცნების ქვეშ სასამართლო პრაქტიკაში იგულისხმება არასრულწლოვნის მონაწილეობა იმ დანაშაულში, რომელშიც ის ჩააბა სრულწლოვანმა, მაგრამ სსკ-ის 171-ე მუხლის შინაარსის პირდაპირი მნიშვნელობით გაგების შემთხვევაში გამოდის, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტი შეიძლება იყოს 18 წელს მიულწეველიც, ვინაიდან სსკ-ის 33-ე მუხლის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 14 წლის ასაკიდან. იმის გამო, რომ არასრულწლოვანს ასაკის გამო ჯერ კიდევ არა აქვს უნარი ყველა თავისი მოქმედება სრულად წარმართოს კანონის შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკაში კანონის შუბლუდვითი განმარტების საფუძველზე თოთხმეტი წლის ნაცვლად ამ სახის დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწყება დამკვიდრდა თვრამეტი წლის ასაკიდან და მხოლოდ ამ ასაკს მიღწეული პირი შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში სსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

კანონის განვრცობითი განმარტება ეწოდება ისეთ განმარტებას, რომლის დროს ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს უფრო ფართოდ, ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოსატყულებაა. ასეთ შემთხვევაში სამართლის ნორმის რედაქცია, ისე როგორც შუბლუდვითი განმარტების დროს, მთლიანად და ზუსტად არ გამოსატყავს კანონმდებლობის ნებას და ნორმის შეფარდებისას

მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს მოვლენათა და ფაქტების ისეთ წრეზე, რაც მხედველობაში ჰქონდა კანონმდებელს ამ ნორმის გამოცემისას. განვრცობითი განმარტების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ პუნქტი, ითვალისწინებს ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას. ამ მუხლის ტექსტის პირდაპირი აზრი, შედეგის მიხედვით, გულისხმობს ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას. მაგრამ თუ განზრახვა დამთავრდა ერთი პირის სიცოცხლის მოსპობით, ხოლო მეორე პირი დამნაშავესაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გადარჩა, დანაშაულის შემადგენლობა (სსკ-ის 109-ე მუხლი) იგივე დარჩება, ხოლო თვით ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ პუნქტით და მე-19 – 109-ე მუხლის „ა“ პუნქტით. ამ სახის დასკვნის საფუძველს გვაძლევს კანონის განვრცობითი განმარტების წესი.

კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტება გვაქვს მაშინ, როდესაც ნორმაში ნახმარ სიტყვებს და გამოთქმებს არა აქვთ განსხვავებული მნიშვნელობა და ამრიგად, კანონის აზრი ზუსტად შეესაბამება მის ტექსტსა და ნორმის შინაარსს.

სიტყვა-სიტყვითი განმარტება კანონის განმარტების საერთო წესია და ფართოდ გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში.<sup>18</sup>

<sup>18</sup> გ. ინწკორველი, სახელმწიფო და სამართლის თეორია, თბილისი 1999 წ. გვ. 131-137.



**დანაშაულის ცნება და სასამართლო პროცესული ნიშნები**

**§1. დანაშაულის ცნება და დამახასიათებელი ნიშნები  
(სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი)**

დანაშაულის ცნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს სისხლის სამართალში. დანაშაული სოციალური მოვლენაა და მისი განსაზღვრა ერთნაირი არ ყოფილა ყველა ეპოქასა და ხალხში, რადგანაც სახელმწიფოსა და სამართლის ტიპების შეცვლასთან ერთად იცვლებოდა საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი შეგნება და შესაბამისად წარმოდგენა დანაშაულის შინაარსსა და მის დამახასიათებელ ნიშნებზე.

ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ახლებურად ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შინაარსი. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესეიგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ეს არის დანაშაულის ცნების ზოგადი განსაზღვრა და ხაზგასმულია, რომ დასახელებული ნიშნები (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი) უნდა ახასიათებდეს უკლებლივ ყველა კონკრეტულ დანაშაულს. დანაშაულის ასეთი ზოგადი განსაზღვრა შეესაბამება დანაშაულის საერთო შემადგენლობას, რომელსაც სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი იძლევა.

დანაშაულის საერთო შემადგენლობის შესაბამისად სსკ-ის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებულია დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რომელთაც დანაშაულის საერთო (ზოგადი) დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად გააჩნიათ თავისი ტიპური დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, სხვისი ქონების ქურდობას, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 77-ე მუხლით, გარდა იმისა, რომ იგი საერთოდ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა, გააჩნია კონკრეტული ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ქურდობის ობიექტი უნდა იყოს სხვისი მოძრავი ნივთი, რომლის დაუფლება უნდა ხდებოდეს ფარულად

და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რითაც ის განსხვავდება სხვა ამ გვარისავე დანაშაულისაგან, მაგალითად, ძარცვისაგან, რომელიც ასევე სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაა მისაკუთრების მიზნით, მაგრამ ხორციელდება არა ფარულად, არამედ აშკარად.

ამრიგად, სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილი ცალკეული დანაშაულის შემადგენლობის, რომელსაც დანაშაულის საერთო დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად გააჩნიათ თავისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები - ვუწოდებთ დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობას და ამ გაგებით ყველა დანაშაული ერთდროულად შეიცავს როგორც საერთო, ისე ამ სახის ქმედებისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ ნიშანთა ერთობლიობას.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზეა აგებული და ამ სისტემის მიხედვით დანაშაულის ძირითადი და საერთო დამახასიათებელი ნიშნებია: 1. ქმედების შემადგენლობა, 2. მართლწინააღმდეგობა და 3. ბრალი.

განვიხილოთ ცალ-ცალკე დანაშაულის ეს დამახასიათებელი ნიშნები:

### 1. ქმედების შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობა, როგორც დანაშაულის ნიშანი, გულისხმობს ადამიანის ნების გარეგან გამოვლენას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაში. მართლწინააღმდეგო ქმედება გამოირიცხავს დანაშაულის შემადგენლობას.

არ არსებობს დანაშაული ქმედების შემადგენლობის გარეშე. ტერმინი „ქმედება“, რომელსაც კანონმდებელი ხმარობს დანაშაულის განსაზღვრის დროს, გულისხმობს როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, ისე უმოქმედობას. მაგალითად, თმ პისტოლეთიდან გასროლით განზრახ მოკლა ი. აქ ქმედების შემადგენლობა განხორციელებულია აქტიური მოქმედებით. მეხანძრემ ცეცხლმოკიდებული სახლიდან, მიუხედავად შესაძლებლობისა, არ გამოიყვანა მოქალაქე ა. ამ შემთხვევაში დანაშაული განხორციელებულია უმოქმედობით. ორივე შემთხვევაში ქმედება დანაშაულმდებრივია და დასჯადია.

უმოქმედობა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, როცა, პირს ეკისრებოდა მოქმედების

სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ეგრეთწოდებული სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია და ჰქონდა ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობა. პირის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს: ა) კანონიდან (სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება); ბ) სამსახურებრივი ან პროფესიონალური მოვალეობიდან (ექიმი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს); გ) წინა მოქმედებიდან (მძლოლი, რომელმაც მოძრაობის დროს დააზიანა ადამიანი, ვალდებულია აღმოუჩინოს მას გადაუდებელი დახმარება) დ) ხელშეკრულებიდან (პირმა ხელშეკრულებით იყისრა ვალდებულია, მოუაროს ავადმყოფს ან ბავშვს, რომელიც არ შეასრულა, რამაც გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო შედეგი).


არსებობს ორი სახის უმოქმედობა: წმინდა უმოქმედობა და შერეული უმოქმედობა. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მთელი რიგი მუხლები პირდაპირ ითვალისწინებენ ეგრეთწოდებულ "წმინდა უმოქმედობით" გამოწვეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და დასჯადობას. წმინდა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულის მაგალითებია: განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხლი), დაუხმარებლობა (სსკ-ის 129-ე მუხლი), განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა (სსკ-ის 376-ე მუხლი), ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 130-ე მუხლი) და ა.შ.

წმინდა უმოქმედობა სუბიექტური მხრივ გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. პირს შეგნებული აქვს, რომ კანონი მას სპეციალური ნორმით ავალებს მოქმედებას, რომლის შესრულების შესაძლებლობა აქვს და ამ სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით, შედეგით თაყიდან იქნება აცილებული, მაგრამ სურვილი აქვს თავი აარიდოს მის შესრულებას. ამ შემთხვევაში, უმოქმედობის მოტივი არის დაზარება, გულგრილობა, უდარდელობა, იმედი იმისა, რომ სხვა დაეხმარება განსაცდელში ან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირს და ა.შ. წმინდა უმოქმედობის დროს პირს დამოკიდებულება საკუთარი ქმედებისადმი განზრახვია, ხოლო შედეგისადმი გაუფრთხილებლობითი.

შერეული უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის მაგალითია: დელი მიერ წინასწარ შეცნობით მცირეწლოვანი შვილის განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 109-ე მუხლის „დ“ პუნქტი), მესანძრის მიერ

მუროსძიების მოტივით, პირის განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 108-ე მუხლი) და სხვ.

შერეული უმოქმედობით განზრახი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც თანაამსრულებლობით, ასევე თანამონაწილეობით.



შერეული უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დანაშაულის დროს პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი მოქმედების ობიექტური შემაღგენლობის ყველა ნიშანი, მათ შორის შედეგი. ასევე შეგნებული უნდა ჰქონდეს თავისი სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია.

ცნობილია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლები კანონმდებლობის მიერ კონსტრუირებულია არა უმოქმედობით, არამედ აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებისათვის. იმ შემთხვევაში, როცა დედა არ აწოვებს ძუძუს თავის შვილს იმ მიზნით, რომ მოყვდეს, ცხადია, დედის უმოქმედობა ჩაითვლება ჩვილის სიკვდილის უშუალო მიზეზად, რადგანაც ასეთი უმოქმედობა ტოლფასია აქტიური მოქმედებისა, როგორცაა იმავე მიზნით ბავშვის მოწამელის, დასახიჩრების და ა.შ. ამიტომ კანონმდებლის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის შექმნილია სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი, რომელშიც მოცემულ პირობათა არსებობისას უნდა დაკვალიფიცირდეს უმოქმედობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები.

შერეული უმოქმედობით ჩადენილი ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით რომ დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია სახეზე იყოს სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული უმოქმედობის მიზეზობრიობის სამი პირობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. გარდა ამისა, აუცილებელია აგრეთვე სსკ-ის მე-9 მუხლის მოთხოვნები იყოს დაცული, რაც გამოიხატება იმაში, რომ უმოქმედობით მართლსაწინააღმდეგო შედეგის განმარტოვებელი პირის განზრახვა უნდა შეიცავდეს სამივე კომპონენტს, ე.ი. პირმა უნდა იცოდეს, რას აკეთებს, ჰქონდეს სურვილი იმისა, რასაც აკეთებს და ჰქონდეს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება.

ქმედების შემაღგენლობის განხორციელების აუცილებელი

პირობა ადამიანის მიერ ქმედების ჩადენა ანუ ფიზიკური პირის მიერ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი საკუთრი დაზიანება ან მისთვის საფრთხის შექმნა.

სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი საკუთრი არის ორის სახის: 1) ინდივიდუალური სამართლებრივი საკუთრი (ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა, უფლებები და თავისუფლებები, საკუთრება და ა.შ.) და 2) საყოველთაო სამართლებრივი საკუთრი (სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, კაცობრიობის მშვიდობა და უშიშროება და ა.შ.).

ქმედების შემადგენლობა გვარობითი ცნებაა და მასში იგულისხმება ქმედების, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ნიშნები.

ქმედებას მჭიდრო კავშირი აქვს ადამიანის ინტელექტუალურ სფეროსთან, რადგანაც იგი აზროვნების პროცესით იწყება. ქმედების შემადგენლობა ფსიქოლოგიურად ხასიათდება სუბიექტურ ნებელობით და ობიექტური ნიშნებით. სუბიექტურ-ნებელობით ნიშანში იგულისხმება ქმედების მოტივაცია და მიზანდასახულობა. ესე იგი რეაგირება გარეგან ფაქტორებზე მათი ავკარგინაობის მოფიქრებისა და აწონ-დაწონვის გზით და გადაწყვეტილების მიღება საკუთარი სურვილისა და არჩევანის მიხედვით. ნება არის გადაწყვეტილების მიღება გონებაში ამა თუ მოქმედების შესრულების შესახებ. იგი იწყება მოთხოვნილებების გაცნობიერებით და მთავრდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით თუ მისგან თავის შეკავების გადაწყვეტილების მიღებით.

ამრიგად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა იგივეა, რაც ქმედების სუბიექტური მხარე და გამოხატავს დანაშაულის სუბიექტურ განწყობას მისი ქმედებისა და შედეგის მიმართ და ამდენად ის მხოლოდ გონების სფეროს ეკუთვნის და მხოლოდ იდეალურად არსებობს. ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში ანუ დანაშაულის სუბიექტურ მხარეში შედის განზრახვა და გაუფრთხილებლობა. ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ელემენტები, როგორცაა ემოციები, მოტივი, მიზანი და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა არის დანაშაულის გარეგანი მხარე, რომელიც გამოიხატება ქმედების სუბიექტის მიერ მისთვის გონების კარნახით მიღებული მიზანდასახული გადაწყვეტილების განხორციელებაში ფიზიკური მოძრაობის ან მისგან თავის შეკავების

გზით, რომელიც იწვევს უარყოფით ცვლილებებს გარესამყაროში და ზიანს აყენებს ან ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ სამართლებრივ სიყუთეს. ამ გაგებით ქმედების ობიექტური შემადგენლობა ასეთია: ა) ქმედების სუბიექტი, რომელიც განიცდის იმას, რომ ქმედება ჩადენილია ფიზიკური პირის ადამიანის მიერ. ბ) ქმედების ობიექტი ე. ი. სამართლებრივი სიყუთე, რომელსაც ქმედების შედეგად ზიანი მიაღდა გ) ქმედება და მისი შედეგი დ) მიზნობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ე) შედეგის ობიექტური შერაცხვა და ვ) ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ელემენტები (დრო, ადგილი, ხერხი, საშუალება ვითარება).

ქმედების შემადგენლობა დანაშაულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია სახეზე იყოს მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა, რადგანაც მათი ნერვულ-ფიზიოლოგიური საფუძველი ერთიანია, რომელიც თავის ტვინის ქერქში აისახება. აღნიშნულის გამო ქმედება რეფრექტორულ და ინსტიქტურ მოძრაობათა დროს არ იძლევა დანაშაულის შემადგენლობას, იმის გამო რომ ასეთ შემთხვევაში თავის ტვინი ვერ ასრულებს კონტროლის ფუნქციას და ქმედება არ არის ნებელობითი.

ნებელობითი მოქმედება არ არსებობს აგრეთვე დაუძლეველი ძალის და ფიზიკური ძალადობის დროს, რადგანაც ადამიანს არა აქვს საშუალება მოიქცეს გონების კარნახის მიხედვით. ფსიქიკური ძალადობა (მუქარა) არ გამორიცხავს ნებელობით მოქმედებას და პირი პასუხს აგებს მუქარის 'ზეგავლენით ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ სახეზე არ არის უკიდურესი აუცილებლობის პირობები (სსკ-ის 30-ე მუხლი).

ადამიანი პასუხს აგებს იმპულსური მოქმედებისათვის. მაგალითად, აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ მას ჰქონდა შეგნებული მოქმედების შესრულების შესაძლებლობა. ეს არის შემთხვევა, როცა პირი იმყოფება ფიზიოლოგიურ აფექტში, რომელიც ამუხრუჭებს ადამიანის შეგნებულ ინტელექტუალურ პროცესებს, მაგრამ მთლიანად არ გამორიცხავს თვითკონტროლს და გარემოში სწორად გარკვევის უნარს.

ქმედება დანაშაულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია იგი ჩადენილი იყოს კანონით დადგენილ ასაკს (14 წელი) მიღწეული, შერაცხადი პირის მიერ და არ უნდა არსებობდეს მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები.

გარდა ამისა, უნდა არსებობდეს მიზნობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

როგორც ზემოთ ვთქვით, ქმედება აზრობრივი პროცესით იწყება, რომელიც თავისთავად არ შეიძლება დანაშაულებრივი იყოს; თუმცა თან არ ახლავს კანონით აკრძალული მოქმედების ჩადენა, რომელიც ზიანს აყენებს ან ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს. ქმედების დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნად აღიარებიდან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება არა შიშველი აზრი, შეხედულება ან ადამიანის უარყოფითი მიდრეკილებები, არამედ მხოლოდ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

ამრიგად, ქმედების შემადგენლობა, როგორც დანაშაულის ერთერთი ნიშანი, არის ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლის დისპოზიციასთან, სადაც მოცემულია აკრძალვა და აღწერილია ამ დანაშაულის კონკრეტული დამახასიათებელი ნიშნები. თუ ქმედების შემადგენლობა თავისი შინაარსით არ შეესაბამება კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლის დისპოზიციაში აღწერილი დანაშაულის ნიშნებს, ასეთი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს და მამასადამე — დასჯადს. სწორედ ამ გაგებით და საფუძვლით ვამბობთ, რომ დანაშაული არის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ქმედების შემადგენლობის ზემოთ დასახელებული სუბიექტური და ობიექტური ნიშნების დეტალურად შესწავლა წარმოადგენს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის საფუძველს.

## 2. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია და ფართო გაგებით გამოიხატება პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობაში მოქმედი სამართლის ნორმებთან ერთად კულტურისა და ზნეობის ნორმებისადმი ანუ ცივილიზებულ სახელმწიფოში გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებებისადმი.

მართლწინააღმდეგობა შეიძლება არსებობდეს ბრალის გარეშეც

(მაგალითად, ფსიქიკურად ავადმყოფის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა), ხოლო პირიქით, ბრალი არ შეიძლება არსებობდეს მართლწინააღმდეგობის გარეშე.

ამრიგად, მართლწინააღმდეგობა ნიშნავს პირის მიერ ნორმის მოთხოვნის შეუსრულებლობას ან მისთვის გვერდის ავლას განზრახ ან გაუფრთხილებლობით, რომელიც იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებები იმის მიხედვით, თუ რამდენად საშიშია ისინი საზოგადოებისათვის, იყოფა შემდეგ სახეებად: 1) დანაშაული, ანუ სისხლისსამართლებრივი დარღვევა; 2) ადმინისტრაციული დარღვევა; 3) დისციპლინარული დარღვევა და 4) სამოქალაქო სამართლებრივი დარღვევა.

ადმინისტრაციული დარღვევა არის პირის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო მმართველობით ორგანოთა მიერ დადგენილ წესებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სანიტარული წესების უზრუნველყოფის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების გატარების, ვაჭრობისა და ფინანსების, მრეწველობის, ელექტრონული და თბოენერგიის წესისამებრ გამოყენების დარგში და ა.შ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით.

დისციპლინარული დარღვევა არის ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია სამსახურით დაკისრებულ მოვალეობასთან და ეწინააღმდეგება დადგენილ შინაგანაწესს. დისციპლინური დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას მრომის კანონთა კოდექსის მიხედვით.

სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევა ეწოდება ისეთ არამართლზომიერ ქცევას, რომელიც არღვევს მოქალაქეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს და ქონებრივ ზიანს აყენებს კერძო პირს, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ორგანიზაციებს, აგრეთვე არაქონებრივი ხასიათის ზოგიერთი პირადი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს. სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევა იწვევს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რაც გამოიხატება ისეთი იძულებითი ღონისძიებების გამოყენებაში,

როგორცაა: ზარალის ანაზღაურების დაკისრება, პირის უფლებების აღიარება, პირის უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, ნივთის დაბრუნების მოვალეობის დაკისრება და სხვა.

ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამართლებრივი დარღვევები შედარებით ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას ქმნიან, იურიდიული გაგებით დანაშაულს არ წარმოადგენენ და არ იწვევენ სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა ისინიც იწვევენ ქმედების სუბიექტების მიმართ მათთვის არასასურველ იძულებით ღონისძიებებს, რომელიც სახელმწიფოს მიერ წინასწარ დადგენილი სამართლებრივ ნორმებში.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ყველაზე მძიმე სახეა დანაშაული. მართლწინააღმდეგობა ფართო ცნებაა. იგი შეიძლება იყოს მატერიალური და ფორმალური. მატერიალური მართლწინააღმდეგობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ფორმალური და გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობას ე.წ. კულტურული ნორმებისადმი და არა ვიწროდ გაგებულ სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, პირის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომელიც დანაშაულად არ არის გამოცხადებული და სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში შეტანილი, დანაშაულად არ ჩაითვლება. მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს აქვს უფლება ესა თუ ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება აიყვანოს დანაშაულის რანგში, რამაც ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველ ნაწილში, სადაც სიტყვა-სიტყვითაა ნათქვამი: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას“. ამით აღიარებულია სისხლის სამართალში საყოველთაოდ მიღებული პრინციპი, რომ „არ არის დანაშაული კანონის გარეშე“.

ცხოვრებაში ხდება, რომ ადამიანები ამა თუ იმ ქმედებას აღიქვამენ როგორც მართლსაწინააღმდეგოს და დასჯადს, მაგრამ თუ ეს ქმედება კანონით არ არის დანაშაულად გამოცხადებული, არავის არა აქვს უფლება ამ ქმედების დანაშაულად გამოცხადებამდე ებრძოლოს მას სისხლისსამართლებრივი ღონისძიების გამოყენებით.

ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი: „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“, მაშასადამე, მართლწინააღმდეგობა კანონის გარეშე არ არსებობს.

სისხლის სამართალი მართლწინააღმდეგობას ე.წ. მატერიალურ შემადგენლობებში უკავშირებს მართლსაწინააღმდეგობა ქმედების ან უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა მაშინ არის დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანი, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა და დადგენილია მიზნობრივი კავშირი ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის და თანაც ზიანი მნიშვნელოვანია. მატერიალური დანაშაულის შემადგენლობას მიეკუთვნება: განზრახ მკვლელობა, სხვისი ნივთის ქურდობა და ა.შ. მკვლელობა დამთავრებულად რომ ჩაითვალოს, სახეზე უნდა იყოს სხვისი სიცოცხლის მოსპობა, ქურდობა დამთავრებულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია დამნაშავე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დაუფლოს სხვის ნივთს.

სისხლის სამართალი მართლწინააღმდეგობას დანაშაულის ფორმალური შემადგენლობის დროს არ უკავშირებს ჩადენილი ქმედების შედეგს და მიზნობრივ კავშირს ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ფორმალური მართლწინააღმდეგობის დროს კანონმდებელი სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლში აღწერს მხოლოდ ამ სახის დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნებს შედეგზე მითითების გარეშე. ფორმალური შემადგენლობის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება დანაშაულის შეუტყობინებლობა სათანადო ორგანოებისათვის იმ პირის მიერ, რომელმაც იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან კიდევ ცრუ დასმენა. ფორმალური მართლწინააღმდეგობით ჩადენილი დანაშაული დამთავრებულად ითვლება თვით კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის მომენტიდან მატერიალური ზიანის დადგომის მიუხედავად.

ამრიგად, მართლწინააღმდეგობა ანუ კანონსაწინააღმდეგო მოქმედება არის დანაშაულის ფორმალური ნიშანი, მაგრამ იგი კი არ უპირისპირდება ქმედების საზოგადოებრივ საშიშროების ცნებას, რომელიც ძველი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულის ძირითად ნიშნად იყო მიჩნეული, არამედ მასთან შინაარსობრივად კავშირშია, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანი,


გულისხმობს იმას, რომ ეს ქმედება არის კანონით აკრძალული და დასჯადი, იმის გამო რომ საზოგადოებისათვის საშიშროება და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ან ზიანის მიყენებით ვმუქვდება სამართლებრივ სიკეთეს.

აღნიშნულის გამო დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნებიდან ისეთი შეფასებითი ნიშნის ამორიცხვა, როგორცაა საზოგადოებრივი საშიშროება და მისი შეცვლა აღწერილობითი ნიშნით, კერძოდ, მატერიალურ (ობიექტურ) მართლწინააღმდეგობაზე მითითებით, რასაც ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ამკვიდრებს, სავსებით სწორია, რადგანაც ფაქტობრივად ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება ჩვენი კანონმდებლობის მიერ მხედველობაში იყო მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის თითოეული მუხლის და მისი ნაწილის ჩამოყალიბების დროს.

მართლწინააღმდეგობა დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ბრალეულად, ვინაიდან „ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული“.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ქმედების ზოგიერთი შემადგენლობა, რომელიც თუმცა შეიცავს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ზოგიერთი გარემოებათა არსებობისას დანაშაულად არ ითვლება. ასეთი ქმედებები არა თუ მართლსაწინააღმდეგოა, არამედ პირიქით სასარგებლოა და თავისი ხასიათით წარმოადგენს მართლზომიერ მოქმედებას.

ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი კანონით დადგენილი გარემოებებია: 1. აუცილებელი მოგერიება, თუ მოგერიების ფარგლების გადაცილებას არა აქვს ადგილი (სსკ-ის 28-ე მუხ.) 2. დამნაშავის შეპყრობა საამისოდ აუცილებელი ზომების გადაუცილებლად (სსკ-ის 29-ე მუხ.) 3. უკიდურესი აუცილებლობა, თუ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე (სსკ-ის 30-ე მუხ.) 4. მართლზომიერი რისკი, თუ მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე და თუ მიღებული იყო რისკის გამწვევის მიერ ყველა შესაძლო ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად (სსკ-ის 31-ე მუხ.) და 5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა ზეკანონური გარემოებების დროს (სსკ-ის 32-ე მუხ.).



მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ დასახელებულ გარემოებებს უფრო დეტალურად განვიხილავთ მეთორმეტე თავში, რომელიც ეძღვნება მართლწინააღმდეგობის გამომხატველ გარემოებებს.

მართლწინააღმდეგობის, როგორც დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნის შესწავლის დროს უნდა შევეხოთ დანაშაულის ფორმალურ ნიშნებს, რომელიც სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით არის გათვალისწინებული. იგი ადგენს: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდის მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“. ამ შემთხვევაში, სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი გულსხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც ფორმალურად მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს დანაშაულს.

დანაშაულის ფორმალური ნიშნების ქვეშ იგულისხმება ისეთი ნიშნები, რომლებითაც იგი ემსგავსება სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას. მაგალითად, ქალმა რომელსაც ჰყავს 3 მცირეწლოვანი ბავშვი, საზოგადოებრივი მუდრეობის ყანიდან მოიპარა კარტოფილი, რომელიც მოხარშა და აჭამა შეილებს. მის მიერ ჩადენილი ქმედება ფორმალურად მართლსაწინააღმდეგოა და ემთხვევა სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (ქურდობის) ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს ისეთ ზიანს, რომელიც აუცილებელად საჭიროებდეს სისხლისსამართლებრივი წესით რეაგირებას. მსგავს შემთხვევაში ასეთი პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარი უნდა ეთქვას. ასეთი პირი შეიძლება მიცემულ იქნეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში სხვისი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის.

სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო დიდი ოდენობით ზიანის მიყენებაზე, მაგრამ ეს ზიანი არ დადგა მისი ნებისაგან და მოუკიდებელი მიზეზების გამო.

### 3. ბრალი



დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით, ბრალი არის დანაშაულის აუცილებელი ნიშანი. პირი არ შეიძლება იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში და დაენიშნოს მას სასჯელი ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე. ბრალი კი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. ბრალის აბსტრაქტული გაგება არ არსებობს, იგი ყოველთვის გულისხმობს კონკრეტული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას. არსებობს ბრალის ცნების სხვადასხვა გაგება და შესაბამისად სისხლის სამართალი იცნობს ბრალის სამ თეორიას: წმინდა ფსიქოლოგიურ თეორიას, ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას და წმინდა ნორმატიულ შეფასებით თეორიას.

1. წმინდა ფსიქოლოგიური თეორია ბრალს განმარტავს როგორც პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. ამ თეორიის ერთ-ერთი ნაკლია ის, რომ დაუდევრობის დროს პირის ბრალი შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ გაკიცხვის მომენტიტ და არა ფსიქიკური მომენტიტ, რადგანაც პირს წარმოდგენა არა აქვს შედეგზე. ეს თეორია უარყოფს ბრალის დადგენაში შეფასებით მომენტს და მიუღებელია.

2. ნორმატიულ-ფსიქოლოგიურმა თეორიამ ბრალის ცნებაში შემოიტანა შეფასების მომენტი და ბრალს განსაზღვრავს, როგორც პირის გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი. როგორც ვხედავთ ეს თეორიაც ბრალს მიიჩნევს, როგორც პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი იმ განსხვავებით, რომ ხაზს უსვამს მის გასაკიცხაობას.

საბჭოური სისხლის სამართლის თეორია იზიარებდა ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიებს და ბრალს განმარტავდა, როგორც პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან და ამ ქმედებით გამოწვეულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ამრიგად, საბჭოური სისხლის სამართალი, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის ძველი კოდექსი განზრახვას და გაუფრთხი

ლებლობას თვლიდა ბრალის ფორმებად და არა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის დამოუკიდებელ ელემენტებად. ამავ პოზიციასზე დგას რუსეთის ფედერაციის ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი.

3. ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის განვითარებას მოჰყვა ბრალის წმინდა ნორმატიულ-შეფასებითი თეორიის ჩამოყალიბება, რამაც უარყო ბრალის ზემოთ დასახელებული ფსიქოლოგიური თეორიები.

წმინდა ნორმატიულ-შეფასებითი თეორიის მიხედვით ბრალი არ არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადმი, არამედ იგი არის ნორმატიულ-შეფასებითი კატეგორია. ბრალი თვითონ კი არაა შეფასება, არამედ პირის ქმედების ნორმატიული შეფასების ობიექტია, რომელსაც კანონმდებელი მოსამართლეს ანდობს. ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მოსამართლე დაადგენს პირის მიერ მართლ-საწინააღმდეგო ქმედების ჩადენას განზრახ ან გაუფრთხილებლობით და ამისათვის გაკიცხავს მას, ე.ი. ბრალი არის გაკიცხვა.

ბრალის წმინდა ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიის ჩამოყალიბება უკავშირდება სისხლის სამართლის ფინალურ სკოლას, რომელიც XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ვითარდება. ამ სკოლის ფუძემდებელია ჰანს ველცელი, რომლის აზრით, განზრახვა არ არის ბრალის ნიშანი, ბრალი არის პირის განზრახვის მხოლოდ შეფასება, მისი გასაკიცხაობა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის თეორიაში იყო მწვავე დისკუსია ფსიქოლოგიური და ნორმატიულ-შეფასებითი თეორიის მომხრეთა შორის ბრალის ცნების გაგების საკითხზე.

ფსიქოლოგიური თეორიის მომხრეთა აზრით, ბრალი არსებობს ობიექტურად, იურისტთა შეგნების გარეშე. მისი შეცნობა შესაძლებელია დამნაშავის მოქმედების მიხედვით. დამნაშავის შეგნება და ნებელობა ერთმანეთთან გარკვეულწილად შეთანხმებულია და ბრალი შეიძლება განისაზღვროს როგორც განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, ე.ი. პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულს შორის.

ნორმატიულ-შეფასებითი თეორიის მომხრეთა შეხედულება, რომელიც ბრალს განმარტავს როგორც მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივ გაკიცხვას მართლსაწინააღმდეგო

ქმედებისათვის და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ქმედებისა და შედეგისადმი – დისკუსიის მიერ უარყოფილია.<sup>19</sup>

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ორიენტირებულია გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაზე, შეიძლება ითქვას, რომ აღიარებს ბრალის წმინდა ნორმატიულობას ანუ შეფასებით თეორიას. ამ თეორიის თანახმად, ბრალის არსებობის საკითხი წყდება მოსამართლის მართლშეგნებაში და იგი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსამართლემ ქმედება ცნო გასაკიცხად. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილ ქმედებას ამოწმებს და ადარებს სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციამი აღწერილი დანაშაულის ნიშნებს და თუ ისინი ემთხვევიან ერთმანეთს, ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის პრინციპების გათვალისწინებით შეაფასებს მას, როგორც მართლსაწინააღმდეგოს, ბრალეულს და გაკიცხავს მის ჩამდენ პირს სისხლისსამართლებრივად, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.

სამართლის დოქტორი, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებული დარგობრივი კომისიის წევრი მ. ტურავა თავის შრომაში «სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა» ბრალის ცნებას განმარტავს შემდეგნაირად: «ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, ანუ ბრალი არის გაკიცხვა (და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი). ე.ი. ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას. წინასწარ გამოძიებაში ბრალდების წაყენება არის მხოლოდ ვარაუდი, რომ ბრალდებულს მოსამართლე სამართლებრივად გაკიცხავს»<sup>20</sup>.

ბრალის წმინდა ნორმატიული-შეფასებითი თეორიის მიხედვით განზრახვა არის მოსამართლის მიერ პირის ბრალეულად ცნობის და გაკიცხვის ერთ-ერთი კრიტერიუმი, და არა ბრალის ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ქმედების განზრახ ჩამდენი უფრო მკაცრად იკიცხება (ისჯება) ვიდრე ამავე ქმედების გაუფრთხილებლობით ჩამდენი, ე.ი. განზრახვის დროს ბრალის

<sup>19</sup> გამოყენებულია Уголовное право российской федерации, общая часть. 1998 г. стр. 181-182

<sup>20</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი, 2002 წ. გვ. 309-310

სარისხის უფრო მაღალია, ვიდრე გაუფრთხილებლობის დროს. ბრალის სარისხი კი განაპირობებს სასჯელის სიმკაცრეს.

პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ჩადენასთან დაკავშირებით სისხლის სამართალში იხმარება ტერმინები განზრახი და გაუფრთხილებლობითი ბრალი და შესაბამისად განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მოქმედი სისხლის სამართალი განზრახვას და გაუფრთხილებლობას მიიჩნევდეს ბრალის ფორმებად. განზრახვა არის ფსიქიკური კატეგორია, რომელიც შეფასებისაგან თავისუფალია, სოლო ბრალი კი შეფასებითი კატეგორიაა. განზრახვა და გაუფრთხილებლობა მოსამართლის მიერ პირის ქმედების და შესაბამისად ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაყიციხვის კრიტერიუმები არიან, რომლებიც მოტივთან და მიზანთან ერთად დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის დამოუკიდებელ ელემენტებს წარმოადგენენ და მთლიანობაში გვიჩვენებენ პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, განწყობას ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგისადმი. ამიტომ, პირის ფსიქიკური დამოკიდებულების მაჩვენებელია არა ბრალი, არამედ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება, რომლის სამართლებრივი შეფასების შედეგია ბრალი და იგი წარმოადგენს პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაყიციხვის საფუძველს.

პროფესორ გ. ნაჭყებიას აზრით, ქმედებისა და მისი შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება არც ბრალია და არც მისი ფორმები. პირის ფსიქიკური დამოკიდებულება სუბიექტის ქცევის მოტივსა და მიზანში გამოიხატება, მაგრამ მათგან მოწყვეტით ბრალის ცნება შეუძლებელია. მისი აზრით, არსებობს პირის ფსიქიკური დამოკიდებულებისა და ბრალის კავშირის ფორმები და ამ კავშირის ფორმებს წარმოადგენენ, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომლებიც ერთის მხრივ უკავშირდებიან ქმედებისა და მისი შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრივ - ბრალს. მისივე განმარტებით: „ბრალი მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა, რომელიც ანტისაზოგადობრივ ქმედებაში გამოიხატება. ეს არის ბრალის კატეგორიული განმარტება, რომელიც ბრალის კატეგორიის უძირითადეს ნიშნებს გამოხატავს. იგულისხმება, რომ ბრალი ფილოსოფიური კატეგორიაა, რომელიც პასუხისმგებლობის ასპექტების კავშირის ფორმას წარმოადგენს. ამ პოზიციიდან აშკარაა,

რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, როგორც ქმედებისა და მისი შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, გამოხატული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, ჰრაქტის-ქრატულ-ლემატკაში. ფსიქოლოგიზმია, რადგან ბრალი უმეტესწილად ფსიქოლოგიურ ცნებას წარმოადგენს. ბრალის ცნება კი ფსიქოლოგიაში არ არსებობს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე არ არსებობს, ხოლო მართლწინააღმდეგობის ცნება ნორმისა და მისი შესატყვისი ურთიერთობის ცნებას მოითხოვს. ეს პრობლემა კი ფსიქოლოგიური პრობლემა არ არის. ქმედებისა და მისი შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატება არა ბრალში, არამედ მოტივსა და მიზანში, დანაშაული კი ფსიქოლოგიურად ქცევა კი არაა, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის (მოტივის და მიზნის) განხორციელების ხერხია".<sup>21</sup>

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლაშა-გიორგი კუტალია თავის შრომაში „ბრალი სისხლის სამართალში“ ბრალის ცნებას ასე გამოხატავს: „ბრალი არის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნებისმიერად ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის სუბიექტური მიზეზი“.<sup>22</sup>

ბრალი არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე. პირს მართლსაწინააღმდეგო ქმედება რომ ბრალად შეერაცხოს, აუცილებელი პირობაა, რომ იგი მიღწეული იყოს კანონით დადგენილი 14 წლის ასაკს და ამავე დროს იყოს თავისი ფსიქიკური მდგომარეობით შერაცხადი, ე.ი. აცნობიერებდეს და აკონტროლებდეს თავის მოქმედების ფაქტობრივ მხარეს.

გარდა აღნიშნულისა, პირი რომ ბრალეულად ვცნოთ ქმედების ჩადენაში, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიზეზობრივი კავშირის არარსებობა მთლიანად გამოორიცხავს პირის ინდივიდუალურ ბრალს, მაგრამ მიზეზობრივი კავშირის არსებობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ქმედება ბრალეულია და დასჯადია. ასეთ შემთხვევაში პირის სისხლისსამართლებრივი

<sup>21</sup> გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, ქ. თბილისი, 2001 წელი, გვ. 301-303, 309-310

<sup>22</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2000 წ. გვ. 833



პასუხისმგებლობის საკითხი წყდება ინდივიდუალური ბრალის პრინციპის მიხედვით.

სამართლის დოქტორის მ. ტურავას შეფასებით «შეიქმნება უკუაღივსებელი, რომ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა უარყოფილად დატოვა გებატონეული ფსიქოლოგიური თეორია და აღიარა ბრალის შეფასებითი ანუ ნორმატიული თეორია<sup>23</sup>».

აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელია ის, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის IX თავში მოცემულია ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ბრალის გამომრიცხველ ზეკანონური გარემოებების დადგენა სამოსამართლო სამართალშემოქმედების სფერო გახდა და მოსამართლეებს მიეცათ უფლება პიროვნების სასარგებლოდ გამოიყენონ ანალოგია.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს ბრალის გამომრიცხველ შემდეგ გარემოებებს:

1. შეურაცხაობა ასაკის გამო (33-ე მუხლი);
  2. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო (34-ე მუხლი);
  3. შეცდომას (36-ე მუხლი);
  4. ბრძანების ან განკარგულების შესრულებას (37-ე მუხლი)
  - და 5. ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს (38-ე მუხლი).
- ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის საკითხს წვეტს მოსამართლე პირის მიერ ჩადენილი ქმედების ნორმატიული შეფასების გზით, რაც ადასტურებს იმას, რომ ბრალი არის შეფასებითი კატეგორია და არა პირის ფსიქიკური დამოციდებულია მისი ქმედებისა და შედეგისადმი.

შეიძლება დავასვენათ, რომ ბრალი არის რა სოციალური გაყიცხვა, მის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის სახელით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სასამართლოს მიერ ფასდება დანაშაულად, ხოლო მისი ჩამდენი კი ბრალეულად, რისთვისაც ენიშნება სასჯელი.

ამრიგად, კანონსაწინააღმდეგო ქცევა დანაშაულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია ერთდროულად სახეზე იყოს ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

ძველი სისხლის სამართალი დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევდა აგრეთვე ქმედების დასჯადობას, მაგრამ ეს საკითხი

<sup>23</sup> მ. ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი, 2002 წ.

მაცნე იწვევდა დავას. ერთნი თვლიდნენ რომ დასჯადობა დანაშაულის აუცილებელი ნიშანი იყო, სხვებს კი მიაჩნდათ რომ დასჯადობა საერთოდ არ წარმოადგენდა დანაშაულის დამოუკიდებელ ნიშანს. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადობას არ თვლის დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნად და მიაჩნია დანაშაულის იურიდიულ შედეგად.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, დანაშაულის ნიშნებია:

1. ქმედების შემადგენლობა, ე.ი. პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის ან მუხლის ნაწილის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი – ადამიანი, რომელიც მიღწეულია კანონით დადგენილ თოთხმეტი წლის ასაკს და ფსიქიკურად შერაცხადია. ქმედების შემადგენლობის განხორციელების აუცილებელი პირობაა ქმედების ჩადენა ანუ პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან მისთვის საფრთხის შექმნა.

2. მართლწინააღმდეგობა, ე.ი. ქმედების შემადგენლობის განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმებს, არამედ კულტურისა და ზნეობის ნორმებს ანუ ცივილიზებულ სახელმწიფოში გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებებს. მართლწინააღმდეგობა არის დანაშაულის ფორმალური ნიშანი, რომელიც უკავშირდება ქმედების შედეგს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამართლებრივ სიკეთეზე ზიანის მისაყენებლად გამოყენებული მოქმედება ან უმოქმედობა მიზნობრივ კავშირშია შედეგთან და ეს შედეგი სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია.

3. ბრალი, ე.ი. მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, ანუ ბრალი არის გაკიცხვა. ბრალი არ არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი, რადგანაც იგი არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინა პირმა დანაშაული. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი, რომელსაც მართავს ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესები. მოტივი და მიზანი ვლინდება განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოქმედებაში, რომლებიც ბრალის ეტაპზე წარმოადგენენ არა ფსიქიკური დამოკიდებულების მომენტებს, არამედ მხოლოდ ინდივიდუალური

გაიცხვის კრიტერიუმებს (განზრახვა უფრო იციცხება, ვიდრე გაუფრთხილებლობა) და შესაბამისად განსაზღვრავს ბრალის წარისხსნა ბრალისაგან განსხვავებით, განზრახვა არის ფსიქიკური კატეგორია და შინაარსობრივად შეფასებისაგან თავისუფალია, მაშინ რაღაცა ბრალი არ არის ფსიქოლოგიური ცნება და მხოლოდ შეფასებითი კატეგორიაა, მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალური სამართლებრივი გაიცხვაა მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დანაშაულის ცნება შეიძლება განესაზღვროთ უფრო ვრცლად, ვიდრე ეს სსე-ის მე-7 მუხლშია მოცემული და ასე ჩამოვაყალიბოთ:

დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ჩადენილი კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით, რომელიც ფიზიკურ, ქონებრივ, მორალურ ან სხვაგვარ ზიანს აყენებს ან ასეთი ზიანის მიყენების კონკრეტულ საფრთხეს უქმნის ადამიანს, საზოგადოებას ან სახელმწიფოს, ესე იგი სისხლის სამართლის კანონით დაცულ ინდივიდუალურ ან საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეს.

## §2. დანაშაულის განსხვავება სხვა სამართალდარღვევებისაგან, ამორალური ქცევისაგან

დანაშაული განსხვავდება სხვა სამართალდარღვევებისაგან და ამორალური ქცევებისაგან, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამართალდარღვევა, იქნება ის ადმინისტრაციული, დისციპლინური, სამოქალაქო-სამართლებრივი თუ დანაშაულებრივი, ყველა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, მაგრამ მათ შორის ყველაზე საშიში დანაშაულია, რადგანაც იგი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის პიროვნებას, საზოგადოებას და სახელმწიფოს, რის გამოც ასეთი ხასიათის სამართალდარღვევა კანონმდებლის მიერ აყვანილია დანაშაულის რანგში და სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში შეტანილია როგორც დასჯადი ქმედება. აღნიშნულის გამო ადამიანი, რომელიც მსჯავრდებულია დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით, მსჯავრდებულია ასევე ამორალური ქცევისათვის. ამასთან ერთად საზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ყველა ამორალური ქცევა კანონმდებლის მიერ არ არის

სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევად გამოცხადებული და ამიტომ არ ისჯება სისხლის სამართლის წესით, ამ შემთხვევაში კანონმდებელი არ თვლის საჭიროდ მორალის ყველა ნორმა დააკანონოს და აღჭურვოს სახელმწიფო იძულებით სანქციით, რადგან მათზე რეაგირებისათვის საუპარისად მიაჩნია საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ზნეობრივად კიცხავს ამორალურ ქცევას და უარყოფითად აფასებს უზნეო საქციელის ჩამდენ პირს, რითაც ილახება მისი ავტორიტეტი საზოგადოებაში. სწორედ ესაა საფუძველი იმისა, რომ ძველი კოდექსისაგან განსხვავებით ახალი კოდექსი ამორალურობას არ თვლის დანაშაულის ცალკე დამახასიათებელ ნიშნად.

### §3. ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია

სისხლის სამართლის პოლიტიკის და შესაბამისად საკანონმდებლო შემოქმედების უმთავრესი პრობლემაა იმ სოციალურად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წრის დადგენა, რომელიც დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული და გამოცხადებული, ასევე წარსულში დანაშაულად გამოცხადებული ზოგიერთი მოძველებული ქმედების ამორიცხვა დანაშაულთა კატალოგიდან. სისხლის სამართლის კანონი პირობადებული უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი მოთხოვნებით. მოკლედ, კანონი უნდა პასუხობდეს საზოგადოების დღევანდელ ცხოვრებას და ურთიერთობებს და თანაც მიღებული კანონი უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, რომელთა გამო აღმოცენდებიან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონით უნდა დარეგულირდნენ.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში შეიცვალა პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა. ვაჭრობის თავისუფლების გამოცხადებამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ წარმოშვა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რაც უცხო იყო სოციალისტური წყობისათვის და რამაც განაპირობა ძველი კანონმდებლობის შეცვლა და ახალი კანონმდებლობის მიღება, ე.ი. ქმედებების დეკრიმინალიზაცია ან კრიმინალიზაცია.

იმ სოციალურად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წრის დადგენას, რომელიც დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში შეტანილი, ეწოდება ქმედების კრიმინალიზაცია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

კრიმინალიზაცია ნიშნავს ადრე ნებადართული ქმედების დანაშაულად გამოცხადებას და მის დანაშაულთა კატალოგში შეტანას. ქმედების კრიმინალიზაციას განაპირობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალწარმოშობილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა.

წარსულში დანაშაულად გამოცხადებული ქმედების ამორიცხვას დანაშაულთა კატალოგიდან და მისი დასჯადობის გაუქმებას ეწოდება დეკრიმინალიზაცია. ქმედების დეკრიმინალიზაცია შეიძლება გამოწვეული იყოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების გაფართოებით, საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებებიდან გამომდინარე და სხვ.

ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია ესაა სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი პროცესი და სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწის, სრულყოფის და განახლების საშუალება.

#### **§4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და საფუძველი (სსკ-ის მ-7 მუხლი)**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სახელმწიფო იძულების ღონისძიებების გამოყენება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაულის ჩადენა, ე.ი. სსკ-ის 108-413-ე მუხლებით გათვალისწინებული მართლ-საწინააღმდეგო ქმედებიდან ერთ-ერთის ჩადენა განზრახ ან გაუფრთხილებლობით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებაში მიცემა დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენებასთან. პირველი ყოველთვის წინ უსწრებს მეორეს.

ამრიგად, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ ისეთი ქმედებისათვის, რაც გათვალისწინებულია კანონით და შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის იმ ძირითად ნიშნებს, რითაც ხასიათდება ქმედების სუბიექტური და ობიექტური თვისებები. ეს ნიშნებია: ქმედების შემადგენლობა, მართლწინა-აღმდეგობა და ბრალი. სამივე ჩამოთვლილი ნიშანი ერთ მთლიანობაში გვევლინება, ურთიერთდაკავშირებულია და ქმედებაში მათი მხოლოდ ერთდროულად არსებობა იძლევა საფუძველს მისი ჩამდენი პირის

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მისაცემად. დასახელებულ ნიშნებიდან თუნდაც ერთი ნიშნის არარსებობა ნიშნავს, რომ დანაშაულებრივად არ ჩადენილა.

დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის კანონის გამოცემა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებელმა ამ აკრძალვის ადრესატია სისხლის სამართლის სუბიექტი (აღამიანი), რომელიც ვალდებულია იმოქმედოს კანონის შესაბამისად ე.ი. მართლზომიერად. ამრიგად, იქმნება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობა ერთის მხრივ სახელმწიფოსა და მეორეს მხრივ სისხლის სამართლის სუბიექტებს შორის, რომელიც გამომდინარეობს დანაშაულის თავიდან აცილების გამო აღმოცენებული ურთიერთობიდან.

ამ ურთიერთობაში სახელმწიფო კანონის საფუძველზე და მისი ფარგლებში კიცხავს (სჯის) დამნაშავეს, ზღუდავს მის სამართლებრივ სტატუსს და აყისრებს მოვალეობას ითმინოს პირადი და ქონებრივი ხასიათის შეზღუდვები იმ მიზნით, რომ აღსდგეს დაზარალებული კანონიერი უფლებები და გარდა ამისა მოხდეს დამნაშავეს შეგნება და მოქმედების რესოციალიზაცია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც გაივლის სხვადასხვა სტადიას სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და პირის ბრალდებულად პასუხისმგებაში მიცემა, წინასწარი გამოძიების დამთავრება და სასამართლოში საქმის გაგზავნა საბრალდებო დაყენით, სასამართლოში საქმის განხილვა და სასჯელის დანიშვნა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება და ნასამართლეობა, რომელიც ძირითადი და დამატებითი სასჯელი მოხდის შემდეგაც გრძელდება კანონით დადგენილი წესით მისი გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე და მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიციის ან სხვა სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენების დროს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტადიების გავლამდე შეიძლება შეწყდეს თუ წინასწარი გამოძიებისა ან საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბრალდება არ დადასტურდება ან დადგინდება გარემოებები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავენ. ასეთ შემთხვევაში წინასწარ გამოძიებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლით საფუძველზე გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის

წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 504-ე მუხლის შესაბამისად - გამამართლებელი განაჩენი.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში მოცემულია დანაშაულის ცნების ზოგადი განსაზღვრა, რაც შეესაბამება დანაშაულის საერთო შემადგენლობას, მაგრამ დანაშაულის საერთო შემადგენლობის საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებულია დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, სადაც აღწერილია ცალკეულ დანაშაულთა კონკრეტული დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა არსებობა არის კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული პირი შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის და არა საერთოდ დანაშაულის ჩადენისათვის.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსხვავდება სხვა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ეს გამოწვეულია იმით, რომ დანაშაული ყველგან უფრო საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა და ამიტომ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენებასთან და ნასამართლობასთან, მაშინ როდესაც სხვა სახის სამართალდარღვევები, როგორცაა ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო სამართალდარღვევები, შესაბამისად იწვევენ მხოლოდ ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებული არ არის სისხლისსამართლებრივ სასჯელთან და ნასამართლობასთან.

## §5. ბრალი და ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების საკითხი

ნებისყოფის თავისუფლების საკითხს ჩვეულებრივ პიროვნების თავისუფლების საკითხად თვლიან და ამ კონტექსტში ნებისყოფის თავისუფლების და პიროვნების თავისუფლების ტერმინებს ერთსა და იმავე მნიშვნელობას აძლევენ.

მხოლოდ ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების დადებითად დასაწყვეტის შემთხვევაში შეიძლება ბრალის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველად აღიარება.

ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა ძველია. მის გარშემო ბევრი უფიქრობათ და უწერიათ თითქმის ყველა ეპოქის ფილოსოფოსებს და ფსიქოლოგებს.

არავინ არ დაობდა იმაზე, რომ ადამიანს შეუძლია აირჩიოს თავის გააყეთოს ის, რაც მას უნდა, მაგრამ თვით ნდობა არის მისთვის მასზე დამოკიდებული, შეიძლება თუ არა მას ის ნდობა ჰქონდეს რომელსაც თვითონ მოისურვებს, პიროვნება ნდობაში თავისუფალია თუ ეს ნდობა გარედანაა იძულებით განსაზღვრული. აი, რა იყო და არის სადავო.

საკითხის ასე დაყენება რელიგიის, ოურისპრუდენციის და ეთიკის მოთხოვნებით იყო და არის ნაკარნახევი.

ღმერთის, კანონის და სინდისის წინაშე ადამიანისათვის თავისუფლებისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დაგვეკისრებინა, თუ მისი ნდობა, რომლის მისაღწევად იგი მოქმედებს მისი საკუთარი ნებით ჩნდება და გარედან არ არის განსაზღვრული და შეპირობებული.

ამ საკითხზე იყო და არის სხვადასხვა შეხედულება:

## 1. დეტერმინიზმი

დეტერმინიზმი არის მატერიალისტური მოძღვრება, რომელი მიხედვით ყველა მოვლენა ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარეგანი აუცილებელი მიზეზობრივი კავშირით არის განპირობებული მათი აზრით, გარეგანი მიზეზობრივი კავშირი როგორც ბუნებაში ისე ადამიანთა საზოგადოებაში, ასევე ადამიანის ფსიქიკაში ერთნაირ ძალით მოქმედებს და წარმართავს ყველაფერს. დეტერმინიზმს ბუნებრივი კანონები მექანიკურად გადმოაქვს ადამიანთა საზოგადოებრივ განვითარების კანონზომიერებაში, თვით ცალკე აღებული ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში.

## 2. ინდეტერმინიზმი

ინდეტერმინიზმი არის დეტერმინიზმის საწინააღმდეგო ანტიმეტაფიზიკური მოძღვრება, რომელიც სრულებით უარყოფს აუცილებელ მიზეზობრივ კავშირს, ობიექტური კანონზომიერების არსებობას ბუნებაში და საზოგადოებაში. ინდეტერმინიზმი დეტერმინისტებს ბრალს დაუდებდა ფატალიზმში.

იგი მოვლენებს ბუნებაში თუ საზოგადოებაში, ასევე მართლებასში წარმოგვიდგენს უმჩქვხოდ, თავისუფლად. ინდეტერმინიზმის მიმდევრების მართ, პიროვნების ნდომის (მოქმედების) შეფასება ხდება მხოლოდ ზნეობრივი, იურიდიული და რეალური ნორმების მიხედვით ისე რომ მიჩქვხოზრობასთან არავითარი საერთო არა აქვს. მიჩქვხია, რომ მხოლოდ გარეგანი მიჩქვხოზროვი ზემოქმედებისაგან თავისუფალმა ადამიანმა შეიძლება აგოს პასუხი სისხლის სამართლის წესით კანონის დარღვევისათვის, ამასთან ერთად არ უარყოფს კანონის დამრღვევ პირთა დასჯას, პირიქით დასჯადობა მიჩქვხია აუცილებლობად. სისხლის სამართლის თეორიაში ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების საკითხი შემდეგნაირად წყდება: დეტერმინიზმი არ გულისხმობს სრულ ფატალიზმს - ესე იგი ყველაფრის წინასწარ განსაზღვრულობას და შედეგის გარდაუვალობას ადამიანთა საზოგადოებაში, ადამიანის ცხოვრებაში. მისი შეცდომა იმაშია, რომ მას ბუნების კანონები მექანიკურად გადმოაქვს ადამიანთა საზოგადოებაში.

სისხლის სამართლის თეორია, ეყრდნობა რა ისტორიული მატერიალიზმის დებულებებს, თვლის, რომ საზოგადოების განვითარება არის ისტორიული პროცესი, რომელიც ემორჩილება ობიექტურ კანონებს.

საზოგადოება თავის წინაშე სვამს მხოლოდ ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც მას შეუძლია; რაკი ადამიანი, როგორც ცალკე აღებული ინდივიდი, საზოგადოების წევრია, მისი ნაწილია, - ემორჩილება ცხოვრების, ე. ი. ყოფიერების მოთხოვნილებებს და, ამდენად, ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში მისი ნებისყოფა თავისუფალია, შეუძლია აირჩიოს და გააკეთოს ის, რაც უნდა.

აღზრდისა და გარემოს ზემოქმედების გზით ადამიანს უმუშავდება უნარი აკეთოს არა მარტო ის, რაც მას უნდა, არამედ ისიც, რასაც მისგან მოითხოვს ყოფიერება, რაც საჭიროა და სასარგებლოა საზოგადოებისათვის და ეთიკურად თუ იურიდიულად სავალდებულოა. ეს თვისება, უნარი არის ნებისყოფა, რომელიც ადამიანის მოთხოვნილებებზეც ავრცელებს თავის ზემოქმედებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ახერხებს ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაგან თავის შეკავებას, როცა იგი საზოგადოებისათვის საზიანოა და მიუღებელია.

ამგვარად, იურიდიული და მორალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების არსებობას შეუძლია დაეყრდნოს. მხოლოდ ნებისყოფა ათავისუფლებს ადამიანს თავისი მოთხოვნილებების

ტყვეობიდან და საშუალებას აძლევს ყური დაუგდოს და მისდინოს იმ მოთხოვნებს, რომელთაც მას, როგორც ადამიანს, ცხოვრება უყვრება. ინდივიდი მხოლოდ იმდენადაა ადამიანი, რამდენადაც იგი მხედველობაში იღებს და აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს, იცავს და პრაქტიკულად ახორციელებს იურიდიულ და ზნეობრივ ნორმებს. ამრიგად, ნებისყოფის აქტში პიროვნების ადამიანური ბუნება იშლება და ნების განცდამი ერთსა და იმავე დროს თავისუფლებაც განიცდება და აუცილებლობაც.

ადამიანის შეგნება და ნებისყოფა მთლიანობაშია ერთმანეთთან. ადამიანი შეგნების და ნებისყოფის წყალობით აქტიურად მოქმედებს და მისი პიროვნების ნებისყოფის თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ამრიგად, როცა ადამიანს უჩნდება ნდომა, სურვილი დაკმაყოფილოს მოთხოვნილება — მან ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოებრივი აზრის და კანონის მოთხოვნას. თავი უნდა შეიკავოს კანონით აკრძალული მოქმედების ჩადენისაგან და თავისი მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილოს მხოლოდ ისეთი მოქმედების ჩადენით, რაც კანონით და ზნეობრივად ნებადართულია. ამაში კი გამაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უნარს, თვისებას, რომელსაც ვეძახით ნებისყოფას, რომელიც ორი ან მეტი შესაძლებლობიდან არჩევს და ღებულობს უფრო უმტკივნეულოს, კანონის და ზნეობის თვალსაზრისით მისაღებ გადაწყვეტილებას.

ამრიგად, ადამიანს შეგნება, ცოდნა და ნებისყოფა უქმნის თავისუფლებას ნდომის დაკმაყოფილების არჩევანში. მას შეუძლია აირჩიოს კარგი, საზოგადოებისათვის მისაღები გადაწყვეტილება, მაგრამ მას ისიც შეუძლია, რომ აირჩიოს საზოგადოებრივი ზნეობის და კანონის საწინააღმდეგო მოქმედება თავისი ნდომის დასაკმაყოფილებლად. ასეთ შემთხვევაში მისი მოქმედება კანონის დარღვევა იქნება და მან პასუხი უნდა აგოს კანონისა და საზოგადოების წინაშე, რადგანაც მის თავისუფალ ნებას შეეძლო კანონით ნებადართული გზა აერჩია. ამდენად, ბრალი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი, ძალაში რჩება.

56. პასუხისმგებლობა თანმდევი შედეგით  
კვალიფიცირებული განზრახვი დანაშაულისათვის.

(სსკ-ის მე-11 მუხლი)

სსსკ-ის  
მე-11 მუხლი

სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება ისეთი სახის დანაშაულის შემადგენლობები, რომელიც ხასიათდება დამნაშავის სხვადასხვა ფსიქიკური დამოკიდებულებით ერთის მხრივ ძირითად მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, მეორეს მხრივ კი ამ ქმედებით რეალურად გამოწვეულ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან. ეს ის შემთხვევაა, როცა დანაშაული გართულებული სუბიექტური შემადგენლობისაა, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, დანაშაულის შემადგენლობაში მოცემულია როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებლობითი ბრალი. კერძოდ, სუბიექტის მოქმედება ძირითადი დანაშაულის მიმართ განზრახვია, მაგრამ ამ მოქმედების თანმდევი შედეგი უფრო მძიმეა, რომლის მიმართ მისი ბრალი გაუფრთხილებლობითია. თანმდევი უფრო მძიმე შედეგი დანაშაულის შემადგენლობაში შეტანილია, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და ასეთ შემადგენლობას მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულს ანუ დელიქტს უწოდებთ.

დანაშაულის ერთ შემადგენლობაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ერთად ხშირად გვხვდება ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 119-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენების, რომელმაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. სსკ-ის 187-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ან კიდევ სსკ-ის 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ პუნქტი, რომლის მიხედვით სქესობრივი კავშირის ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა და სხვ.

პასუხისმგებლობა თანმდევი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახვი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია სსკ-ის მე-11 მუხლით. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „თუ სისხლის

სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას ამ თანმდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავენი განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლად მოიქცა განაზრციულა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ითვლება.

მძიმე თანმდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახვი დანაშაული რთული შემადგენლობისაა და გულისხმობს დანაშაულის ძირითად შემადგენლობას და დამატებით მძიმე შედეგს, რა დროსაც აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ძირითად დანაშაულსა და თანმდევ მძიმე შედეგს შორის.

მძიმე თანმდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს გაუფრთხილებლობითი ბრალითაც. მაგალითად სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოწვეულია და ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იმავე მუხლის მეორე ნაწილით კი იგივე ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, როგორც ძირითადი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ისე მისი თანმდევი მძიმე შედეგი გაუფრთხილებლობითი ბრალითაა ჩადენილი.

სსკ-ის მე-11 მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ სასჯელის გადიდება თანმდევი მძიმე შედეგის გამო შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავეს შედეგის მიმართ აქვს გაუფრთხილებლობა მაინც. თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმებით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ ევალუბოდა გაეთვალისწინებინა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, მაშინ საერთოდ სსკ-ის მე-11 მუხლის გამოყენების საკითხი მოხსნილია, რადგანაც შედეგის მიმართ პირის გაუფრთხილებლობაც არ არის სახეზე. სსკ-ის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გვხვდება მხოლოდ მატერიალური ანუ შედეგიანი დანაშაულის დროს, სადაც შედეგი დანაშაულის ობიექტური მხარის დამოუკიდებელი ნიშანია, ხოლო

ფორმალური ანუ შედეგგარეშე დანაშაულის დროს იგი გამო-  
რიცხულია, რადგანაც შედეგი ქმედებასთანაა შერწყმული.



ქართული მეცნიერებათა აკადემია

**§7. დანაშაულის კატეგორიები (სსკ-ის მე-12 მუხლი)**

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის კატეგორიებად დაყოფას საფუძვლად უდებდა მატერიალურ ნიშანს - საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა კი უარყო რა საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, დანაშაულის კატეგორიებად დაყოფას საფუძვლად დაუდო ფორმალური ნიშანი - კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მისი ნაწილით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა და ამის მიხედვით ჩვენი სისხლის სამართალი იცნობს დანაშაულის სამ კატეგორიას:

1) ნაკლებად მძიმეს; 2) მძიმეს და 3) განსაკუთრებით მძიმეს.

სსკ-ის მე-12 მუხლი დანაშაულის თითოეულ კატეგორიას განსაზღვრავს შემდეგნაირად: ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის ვადა არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

განსაკუთრებით მძიმედ ითვლება მხოლოდ განზრახი დანაშაული, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, თუნდაც იგი ითვალისწინებდეს ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას არ იძლევა და განიხილება როგორც მძიმე დანაშაული.

დანაშაულის კატეგორიებად დაყოფის იურიდიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

1. ჩადენილი დანაშაულის კატეგორიების მიხედვით ხდება

2. კ. კვიციანი

სასჯელის აღსრულების რეჟიმის განსაზღვრა. „პატიმრობის პირობებზე“ საქართველოს კანონით დანაშაულის სიმძიმის და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით დაწესებულია სასჯელის მოხდის შემდეგი რეჟიმები: საერთო რეჟიმი, მკაცრი რეჟიმი და საპრობილემო.

აღნიშნული კანონის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა სასამართლოს განაჩენით დაენიშნება იმ პირს, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის, მსჯავრდებულია გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, აგრეთვე მსჯავრდებულ ქალებს - ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას.

ამავე კანონის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნება იმას, ვინც პირველადაა მსჯავრდებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის რეციდივის ან საშიში რეციდივის დროს თუ მსჯავრდებული წინათ იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით და მას ნასამართლობა მოხდილი ან გაქარწყლებული არა აქვს. ამავე კანონის 75-ე მუხლის თანახმად, საპრობილემო სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაეკისრება პირს, რომელიც მსჯავრდებულია უვადო თავისუფლების აღკვეთით, განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებისას, თუ სასამართლოს განაჩენით დანიშნული აქვს სასჯელის ვადის ნაწილის მოხდა საპრობილემო მოთავსებით; მსჯავრდებულს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით აღმოყვანილია სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებიდან რეჟიმის მოხდისაგან არაერთგზის თავის არიდებისათვის.

2. სსკ-ის 71-ე მუხლის შესაბამისად, პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, თუ გავიდა ექვსი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან, მაშინ როდესაც მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ათი წელია დადგენილი, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი ოცდახუთი წელი. (იხ. სსკ-ის 71-ე მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები).

3. სსკ-ის 72-ე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე

განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მას ფაქტობრივად მოხდელი აქვს: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლები ორი მესამედი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული არანაკლებ სამი მეოთხედი (იხ. სსკ-ის 72-ე მუხლის „ა“, „ბ“ „გ“ და „დ“ პუნქტები).

4. სსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტების თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში: 1) ექვსი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს; 2) ათი წელი მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს; 3) თხუთმეტი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს. როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, კანონმდებლის მიერ დანაშაულის დაყოფას კატეგორიებად ის მნიშვნელობა აქვს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს შედარებით მსუბუქ პირობებში უხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის რეალიზაცია, მაშინ როდესაც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები შესაბამისად მკაცრ რეაქციას განიცდიან სასჯელის ზომის, სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების, ხანდაზმულობის ვადების და ქმედების რეციდივად ცნობის საკითხების გადაწყვეტის დროს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულის კატეგორიებად დაყოფა არის იურიდიული ტექნიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც კანონმდებელი მიზნად ისახავს უზრუნველყოს უფრო დიფერენციალური მიდგომა დანაშაულის ჩამდენ პირებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს.



**§1. დანაშაულის შიდადგენლობის ცნება**

როგორც ზემოთ ვთქვით, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. ადამიანის ქმედება დანაშაულად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ქმედება შეიცავს კანონით დადგენილ ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის მუხლებით.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი იძლევა დანაშაულის საერთო (ზოგად) განსაზღვრას. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი ადენს: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ესაა დანაშაულის განსაზღვრა საერთო დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. ამ განსაზღვრის შესაბამისად, უკლებლივ ყველა დანაშაულს პირველ რიგში უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები: 1. ქმედების შემადგენლობა, 2. მართლწინააღმდეგობა და 3. ბრალი. სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით ზუსტდება დანაშაულის ცნება შემდეგნაირად: დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს კანონით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობისაა და არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდის მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დანაშაულის საერთო (ზოგადი) დამახასიათებელი ნიშნების საკანონმდებლო განსაზღვრის შესაბამისად, სსკ-ის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებულია დანაშაულის კონკრეტული სახეები, რომელთაც საერთო (ზოგად) დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად გააჩნიათ თავისი კონკრეტული დამახასიათებელი ნიშნები, რითაც კანონმდებელი ერთმანეთისაგან განასხვავებს დანაშაულის სახეებს.

ამრიგად, სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ყველა დანაშაული შეიცავს როგორც საერთო (ზოგად), ისე კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშნებს. დანაშაულის საერთო (ზოგადი) დამახასიათებელი ნიშნები დადგენილია სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი

ნაწილით, ხოლო კონკრეტული დამახასიათებელი ნიშნები კი აღწერილია კერძო ნაწილის მუხლების დისპოზიციებში. კანონმდებელს, რა თქმა უნდა, შეეძლო სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლების დისპოზიციებში შრიტტითითოეული კონკრეტული დანაშაულის დამახასიათებელ ტიპური ნიშნებთან ერთად სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით დადგენილი ყველა დანაშაულისათვის სავალდებულო ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, მაგრამ ეს გამოიწვევდა კოდექსის გადატვირთვას ზედმეტი განმეორებებით, რის გამოც კანონმდებელმა ცალკეული დანაშაულის დამახასიათებელი კონკრეტული, ტიპური ნიშნები მოგვცა კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციებში, ხოლო ყველა დანაშაულისათვის საერთო (ზოგადი) და სავალდებულო ნიშნები გაითვალისწინა ზოგადი ნაწილის მუხლებში, რაც სავსებით ლოგიურია და გამართლებული.

სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის საერთო შემადგენლობის ცნების არსებობა დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობების თეორიული განზოგადების შედეგს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული დანაშაულის დამახასიათებელი ტიპური ნიშნების განზოგადების გზით ხდება ყველა დანაშაულისათვის საერთო არსებითი დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში, რომლის საფუძველია ის, რომ როგორც ყველაფერში, სისხლის სამართალშიც საერთო (ზოგადი) არსებობს ცალკეულში, კონკრეტულში, ხოლო ცალკეული, კონკრეტული შედის და არსებობს საერთოში (ზოგადში).

ამრიგად, დანაშაულის საერთო შემადგენლობა განყენებული, აბსტრაქტული მსჯელობაა დანაშაულის შესახებ. ამ მოსაზრების შესაბამისად ზოგიერთი საბჭოთა იურისტი (პროფ. ა.ნ. ტრაინინი, ნ.დ. დურმანოვი) უარყოფდა დანაშაულის საერთო შემადგენლობის მნიშვნელობას და თვლიდა, რომ არსებობს დანაშაულის მხოლოდ კონკრეტული შემადგენლობა, მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია არ იზიარებდა ამ მოსაზრებას და მიაჩნდა, რომ საერთო (ზოგადი) შემადგენლობა წარმოადგენს თავისებურ იურიდიულ ბაზას კონკრეტულ შემთხვევაში პირის ქმედებაში დანაშაულის არსებობის თუ არარსებობის დადგენისა და დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის, რომ დანაშაულის საერთო შემადგენლობის მნიშვნელობის უარყოფა გამოიწვევდა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მოწყვეტას სისხლის

სამართლის კერძო ნაწილის ამოცანებისაგან<sup>24</sup>.

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედების საერთო და კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობას სისხლის სამართალში უწოდებენ დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის საფუძვლიანობის გარეგნულ საშუალებაა. დანაშაულის შემადგენლობა და დანაშაული იგიური ცნებები არ არის, რაზედაც ამ თავის მომდევნო პარაგრაფში გვექნება საუბარი.

დანაშაულის შემადგენლობაში ტრადიციულად იგულისხმება ქმედების საერთო და კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა, რომლითაც კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ფასდება და კვალიფიცირდება როგორც დანაშაული.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებია: დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე, დანაშაულის სუბიექტი და სუბიექტური მხარე.

დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული დანაშაული, ე.ი. ის სამართლებრივი სკეტე, რომელსაც ფიზიკური, ქონებრივი ან სხვა სახის ზიანი ადგება ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხე ემუქრება ადამიანის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. დანაშაულის ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება, საკუთრება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, წესრიგი და უშიშროება და სხვ.

დანაშაულის ობიექტური მხარე არის დანაშაულის სუბიექტის გადაწყვეტილების გარეგანი გამოვლინება მოქმედებაში, რომელმაც გამოიწვია ზიანი და ის გარეგანი პირობები, რომლებშიც განხორციელდა დანაშაულებრივი ხელყოფა. დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიეკუთვნება მოქმედება ან უმოქმედობა, დანაშაულებრივი შედეგი და მიზნობრივი კავშირი ქმედებას და შედეგს შორის, ასევე დანაშაულის ჩადენის საშუალებები, დრო, ადგილი, ხერხი და ვითარება.

დანაშაულის სუბიექტია ფიზიკური პირი – ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება და პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით. იგი უნდა იყოს შერაცხადი და კანონით დადგენილ 14 წელს მიღწეული პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე არის პირის ფსიქიკური

<sup>24</sup> Курс советского уголовного права, Часть общая, том второй, преступления, стр. 93-95

დამოკიდებულება, განწყობა მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგთან. მისი ელემენტებია განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომელიც დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნის და სურვილის მიხედვით. თუ პირის მიერ ქმედება ჩადენილია განზრახვის ან გაუფრთხილებლობის გარეშე ასეთი ქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება, თუნდაც სახეზე იყოს მნიშვნელოვანი ზიანი. სუბიექტური მხარის ნიშნებია აგრეთვე დანაშაულის მოტივი და მიზანი.

დანაშაულის შემადგენლობის ჩამოთვლილი ნიშნები ერთდროულად უნდა იყოს პირის ქმედებაში. თუ ერთ-ერთი ნიშანთაგანი არ არსებობს, არც დანაშაული არსებობს და უნდა შეწყდეს წარმოებით.

დანაშაულის შემადგენლობის აღნიშნულ ნიშნებს ჩვენ უფრო ღრმად ქვემოთ განვიხილავთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე ტრადიციულად ხმარებული ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობის“ გამოყენების მართებულობის შესახებ იურისტთა შორის თავიდან არსებობდა დავა და გარკვეული ნაწილი მისი სისხლის სამართალში დამკვიდრების წინააღმდეგი იყო იმ მოსაზრების გამო, რომ თვით ტერმინს „დანაშაულის შემადგენლობას“ არა აქვს თავისი სახელწოდების შესაბამისი მინაარსობრივი დატვირთვა, რადგანაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს წარმოგვიდგენს დანაშაულის სტრუქტურულ ელემენტებად, ორგანულ ნაწილებად და არა დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნებად. ეს მაშინ, როდესაც რაიმე ელემენტის ან ნაწილის ცნებასა და საგნის ან მოვლენის ნიშნებს შორის არსებითი ხასიათის სხვაობაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მარი აქვს გამოთქმული პროფესორ ალ. კვაშილაავას. მისი აზრით, დანაშაულის ელემენტები არ შეიძლება იყვნენ დანაშაულის სუბიექტი, ობიექტი, სუბიექტური და ობიექტური მხარეები, რასაც ასაბუთებს შემდეგნაირად: დანაშაულის სუბიექტია ცოცხალი ადამიანი და ამიტომ ის არასოდეს შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენელი ნაწილი. დანაშაულის ობიექტია ის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც ზიანს აყენებს ან სპობს დანაშაულის სუბიექტის მოქმედება ან ქმედების განვითარების შედეგი. თუ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი დანაშაულის ერთ შემადგენლობაში არიან, მაშინ გამოდის, რომ დანაშაულის ერთი ნაწილი ზიანს აყენებს მეორეს ან სპობს მას.

გარდა ამისა, თუ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი ერთ შემადგენლობაშია, მაშინ დანაშაულის ჩადენის ადგილი თვით დანაშაულში ყოფილა, რაც აბსურდია, რადგანაც დანაშაულის ჩადენის ადგილია ყველგან, სადაც ადამიანი იმყოფება. ასევე აღნიშნავს, რომ დანაშაულის ობიექტურ მხარეში იგულისხმება ქმედება, რაც დანაშაულს წარმოადგენს და აგრეთვე მასთან ერთად მისი ჩადენის ადგილი, დრო, პირობები და ვითარება. გამოდის, რომ დანაშაულის ობიექტური მხარე უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს გაცილებით მეტ მოვლენას, ვიდრე თვით დანაშაული. თუ ეს ასეა, მაშინ ის დანაშაულში ვერ ჩაეტყვა, მით უმეტეს, დანაშაულის შემადგენლობაში მის გარდა კიდევ სამი ელემენტი უნდა იყოს. მისივე შეხედულებით დანაშაულის სუბიექტური მხარე დამნაშავის განწყობაა მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადმი. ეს ის მოვლენაა, რომელიც ადამიანის გონებიდან არ გამოდის, ესე იგი დანაშაულის სუბიექტური მხარე და თვით დანაშაული არსებობენ სხვადასხვა სფეროში, ამიტომ ისინი არ შეიძლება იყვნენ დანაშაულის შემადგენლობის ნაწილები. პროფ. ალ. კვაშილავა საბოლოოდ აკეთებს დასკვნას, რომ, ტრადიციული გაგებით, დანაშაული და მისი შემადგენლობა არსებითად ერთი და იგივეა, ამიტომ ერთ-ერთი მათგანი ზედმეტია ან დანაშაულის შემადგენლობის ცნება სხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული.<sup>25</sup>

იგივე ავტორი ჯერ კიდევ 1992 წელს მოითხოვდა, რომ ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა“, როგორც აბსტრაქტული და არარსებული, კანონმდებლობიდან ამოღებულიყო და შეცვლილიყო ტერმინით „დანაშაული“ და ლაპარაკი ყოფილიყო დანაშაულზე, რომელიც ფაქტობრივად არსებობს, და არა იმ არარსებულ „შემადგენლობაზე“, რომელიც სიცარიელის ტოლფასი მნიშვნელობითაა გამოყენებული. ამასთან ერთად იგი წერდა: „ცხადია და ნათელია, რომ დანაშაულს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მისი ობიექტი, სუბიექტი და სუბიექტური მხარე“. ხოლო ობიექტური მხარის საკითხი მას ცოტა განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი და თვლის, რომ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, რასაც დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიაკუთვნებენ, თავისთავად დანაშაულია და, მაშასადამე, მასზე მსჯელობა არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.<sup>26</sup>

<sup>25</sup> ალ. კვაშილავა, დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები, თბილისი 1997 წ. გვ. 64-65.

<sup>26</sup> ალ. კვაშილავა, დანაშაული და მისი შემადგენლობა, 1992 წ. სამართალი №12 გვ. 22-23.

პროფესორი გ. ნაჭყებია ეხება რა პროფესორ ალ. კვაშილავას აღნიშნულ მოსაზრებას, მიაჩნია, რომ დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაში „დანაშაულის ობიექტის“ და „დანაშაულის სუბიექტის“ სოციოლოგიური ცნებების შეტანა დაუძველურებელია. რადგანაც ამ ლოგიკით დანაშაულის შემადგენლობაც სოციოლოგიურ კატეგორიად იქცევა, მაშინ როდესაც დანაშაულის შემადგენლობა კანონშემოქმედების პროდუქტია, რომელიც დანაშაულის ჩადენის პრაქტიკის პროცესს ასახავს. აქედან გამომდინარე დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთობლიობა და შესაბამისად დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურიდან დანაშაულის ობიექტის და სუბიექტის განდევნა აუცილებელია, მაგრამ უნდა დასაბუთდეს ის დებულებაც, რომ დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება განახორციელოს არა „დანაშაულის სუბიექტმა“ არამედ „სისხლის სამართლის სუბიექტმა“.<sup>27</sup>

ამრიგად, უნდა მივიჩნიოთ, რომ დანაშაულის სუბიექტი, დანაშაულის ობიექტი, დანაშაულის სუბიექტური მხარე და დანაშაულის ობიექტური მხარე დანაშაულის სტრუქტურის ელემენტებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის დამახასიათებელი ნიშნებია, რომლის საშუალებით ერთმანეთისაგან ვასხვავებთ დანაშაულთა სახეებს და ვმიჯნავთ დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ ქმედებებს, რათა შეცდომა არ დავუშვათ ქმედების კვალიფიკაციაში.

## §2. დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნებათა შორის სხვაობა და მსგავსება

ისმება საესებით ლოგიკური კითხვა – დანაშაული და დანაშაულის შემადგენლობა იგიური ცნებებია თუ განსხვავებული.

საბჭოურ სისხლის სამართალს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ და საკმაო საფუძვლად მიაჩნდა დანაშაულის შემადგენლობა და თუ პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავდა დანაშაულის შემადგენლობის საერთო ნიშნებთან ერთად სისხლის სამართლის კანონში აღწერილ კონკრეტულ ნიშნებს, მაშინ ასეთი

<sup>27</sup> გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწ. I. 2000წ. გვ. 35-44.

ქმედება ითვლებოდა დანაშაულად. ამ გაგებით დანაშაული და დანაშაულის შემადგენლობა იგიურ ცნებებს წარმოადგენენ. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი დღესაც თვლის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ქმედება. რომელიც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს. აღნიშნული მდგომარეობა იმის შედეგია, რომ დანაშაულის საერთო დამახასიათებელი ნიშნები (ქმედების შემადგენლობა, მართლწინა-აღმდეგობა და ბრალი) პირდაპირ გადააქვთ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებად, მაშინ როდესაც არც ერთი ეს ნიშანი დამოუკიდებლად არ გამოდგება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად.

საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაული თავისი მიზეზით და შედეგით მატერიალურია, ფაქტობრივად ცხოვრებისეული მოვლენაა, რომელიც აღიქმება, როგორც ჩვენი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებული რეალობა თავისი უარყოფითი შედეგით, რომელიც შეფასებას ექვემდებარება, ხოლო დანაშაულის შემადგენლობა ზოგადი, არამატერიალური და აბსტრაქტული ცნებაა, რომელიც „დანაშაულის ჩადენის პრაქტიკას ასახავს, ისე როგორც დანაშაული პრაქტიკულად ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს. ამიტომ, რომ დანაშაულის შემადგენლობა ფაქტის მსჯელობაა“.<sup>28</sup>

ქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან თავისთავად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია დანაშაული, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რადგანაც ჯერ კიდევ ნორმატიული შეფასების გზით გასარკვევია ეს ქმედება ხომ არ შეიცავს მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 28-ე -38-ე მუხლებით. გარდა ამისა, სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სსკ-ის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობისაა.

ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობა სისხლისსამართლებრივი

<sup>28</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, 1969. წ. გვ. 100.

პასუხისმგებლობის საფუძვლად არ გამოდგება, იგი სისხლის-სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის გარკვევის საშუალება და მის შესახებ მსჯელობაა. დანაშაულის შემადგენლობა არის ქმედების იურიდიული აბსტრაქცია, შეფასებითი კატეგორია. იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შინაარსს ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლის მიერ ეს ქმედება აღიარებულია სისხლის სამართლის ნორმაში დანაშაულად.

დანაშაულის შემადგენლობის ცნება სისხლის სამართლის თეორიაში შემოტანილია დანაშაულის დეტალურად შესწავლის მიზნით და მისი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ მის საფუძველზე შეიძლება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესის სწორად წარმართვა. ამ პროცესში დანაშაულის შემადგენლობა გამოდის სისხლისსამართლებრივ მოდელად, თუ შეიძლება ითქვას ეტალონად, რომელთანაც ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების შედარებით სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირებისა და სასამართლოს მიერ ხდება იმ კანონის შერჩევა, რომელიც ყველაზე სრულად და ზუსტად ასახავს განსახილველი ქმედების შინაარსსა და თვისებას, გარდა ამისა დანაშაულის შემადგენლობის პრიმიტივი გატარებით ხორციელდება სხვადასხვა სახის დანაშაულთა ერთმანეთისაგან განსხვავება, დანაშაულებრივი ქმედების არადანაშაულებრივი ქმედებისაგან გამოიჯვანა. ამ გაგებით დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი ინსტრუმენტი სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს ხელში, რომლის სწორად და კვალიფიციურად გამოყენება საშუალებას გვაძლევს მინიმალურად ნაკლები შეცდომების დაშვების გზით სწორად წარვმართოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესი.<sup>29</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მასში ცვლილებების შეტანის შემდეგ დღევანდელი რედაქციით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ხოლო აღძრულის შეწყვეტის საფუძვლად, ნაცვლად "დანაშაულის შემადგენლობისა", ხმარობს წინადადებას "სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობას" (იხ. სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტი), ხოლო გამამართლებელი განაჩენის საფუძვლად "დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის" ნაცვლად - "სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩაუდენლობას" (იხ. სსკ-ის

<sup>29</sup> Уголовное право, общая часть, г.Москва, 1998 г. издательская группа инфра. М-Норма стр. 113-116

504-ე მუხლის შესაბამე ნაწილის "ა" პუნქტი). სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება კი ჩამოყალიბებულია სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში და ფაქტობრივად წარმოადგენს დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობას.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა და თეორია ადრე ტრადიციულად დამკვიდრებულ ტერმინს „დანაშაულის შემადგენლობას“ არ მიიჩნევენ მისი სახელწოდების შესაბამისი შინაარსის ზუსტად გამომხატველ ცნებად.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი იზიარებს რა იმ მზრს, რომ არ არსებობს აბსტრაქტული, ზოგადი დანაშაული, არამედ იგი ყოველთვის კონკრეტულია, კონკრეტული ნიშნებით ხასიათდება და კონკრეტული სუბიექტის მიერ კონკრეტული სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენებაა, დღემდე არ უარყოფს დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის რეალურად არსებობას და ამ გაგებით ხმარობს ტერმინს „დანაშაულის შემადგენლობას“ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილში, 34-ე მუხლის შესაბამე ნაწილში, 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილში. ამავე გაგებით იხმარება ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა“ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის – სახელმძღვანელოებში.

სისხლის სამართალში ტრადიციული ტერმინის „დანაშაულის შემადგენლობის“ ხმარების მართებულობის შესახებ დავის არსებობაზე ხელი არ უნდა შეუშალოს სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლების იურიდიული ანალიზის და ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირების პროცესის სწორად წარმართვის საქმეს, ვინაიდან დავას არ იწვევს, რომ უსუბიექტო და უობიექტო დანაშაული არ არსებობს, ისე როგორც არ არსებობს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება სუბიექტური და ობიექტური წანამძღვრების გარეშე.

ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობა უნდა გავიგოთ როგორც კანონით დადგენილ ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც ქმედებას ახასიათებს როგორც დანაშაულს. რაც შეეხება კონკრეტულად დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს, გაგებული უნდა იქნეს როგორც ქმედების შემადგენლობის დამახასიათებელი ნიშნები და არა მისი – ფიზიკური შემადგენელი ნაწილი ან ელემენტი. ასეთი გაგებით სისხლის სამართალში ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა“ შეიძლება დარჩეს ხმარებაში მის ირგვლივ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, როგორც პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლიანობის და ქმედების სწორი იურიდიული ანალიზის საშუალება.

### §3. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი და ფაკულტატური ნიშნები



დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. აუცილებელი ნიშნები და 2. ფაკულტატური (დამატებითი) ნიშნები.

აუცილებელი ნიშნები უკლებლივ ყველა დანაშაულის შემადგენლობას უნდა ახასიათებდეს. მათ გარეშე შეუძლებელია არსებობდეს საერთოდ რაიმე დანაშაულის შემადგენლობა. ასეთი ნიშნებია: ობიექტი, ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), ინდივიდუალური ბრალი, სუბიექტის შერაცხადობა და მისი კანონით დადგენილი ასაკი. ერთი ნიშნის არარსებობაც კი გამორიცხავს დანაშაულის შემადგენლობის არსებობას.

ფაკულტატური ეწოდება ისეთ ნიშანს, რომელსაც კანონმდებელი მიაკუთვნებს ცალკე აღებული ერთი რომელიმე დანაშაულის შემადგენლობას და, მაშასადამე, არ არის აუცილებელი სხვა დანარჩენი დანაშაულის შემადგენლობისათვის.

ფაკულტატური ნიშანი გამონაკლისი სახით ზოგიერთი დანაშაულისათვის აუცილებელ ნიშნებთან ერთად სავალდებულო ნიშანიცაა.

დანაშაულის შემადგენლობის ფაკულტატური ნიშნებია: დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, საშუალება, ვითარება, მოტივი, მიზანი და სხვა, რომელთაც დანაშაულის ობიექტური მხარის შესწავლის დროს შევსებთ.

### §4. დანაშაულის შემადგენლობის სახეები

დანაშაულის შემადგენლობა ქმედების შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ სახედ: 1. ძირითადი ანუ მარტივი, 2. კვალიფიციური და 3. პრივილეგიური.

1. დანაშაულის ისეთ შემადგენლობას, რომელსაც არ ახლავს დამამძიმებელი გარემოებანი, ეწოდება ძირითადი ანუ მარტივი შემადგენლობა. მაგალითად სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ამკარა დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი

ძალადობის გამოყენების გარეშე, არის მარტივი შემადგენლობის და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე. ასევე მარტივი შემადგენლობისაა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა.

2. დანაშაულის ისეთ შემადგენლობას, რომელსაც ახლავს დამამძიმებელი ან განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებანი, ეწოდება დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა. მაგალითად: სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» პუნქტით გათვალისწინებული ძარცვა, ჩადენილი ძალადობით, რომელიც სამიში არ არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, არის კვალიფიციური შემადგენლობის და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები ითვალისწინებს ძარცვას, რომელიც განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებშია ჩადენილი.

3. დანაშაულის პრივილეგიური შემადგენლობა გულისხმობს ქმედების შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობას. ასეთ შემადგენლობაში აღწერილია ის ნიშნები, რომელიც ამსუბუქებს დანაშაულს და შესაბამისად ასეთი ქმედება შედარებით მსუბუქად ისჯება. მაგალითად, სსკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა უეცარი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქმედებით, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით - არის პრივილეგიური შემადგენლობის, და ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე, მაშინ როდესაც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ით, ითვალისწინებს სასჯელის ზომას თავისუფლების აღკვეთის სახით შვიდი წლიდან თხუთმეტ წლამდე.

- დანაშაულის შემადგენლობის ასეთ კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების სწორი კვალიფიკაციისა და დანაშაულის წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლისათვის.



ტერმინი «კვალიფიკაცია» ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს მოვლენის შეფასებას, დახასიათებას. სისხლის სამართლის კვალიფიკაციის ცნებაში იგულისხმება პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის დადგენის პროცესი.

სისხლის სამართლის თეორიაში კვალიფიკაცია ორი გაგებით იხმარება: 1) როგორც ლოგიკური პროცესი ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ნიშნების იგივეობის დადგენისა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან, რომელიც ამ ნიშნების ურთიერთშედარების გზით ხდება; 2) როგორც ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. ამრიგად, დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესი ორმაგი ბუნებისაა, მაგრამ მათ შორის წინააღმდეგობა არ არის, რადგანაც ქმედების შეფასების გარეშე დანაშაულის კვალიფიკაცია შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის კვალიფიკაცია არის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილში ჩამოყალიბებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა და კონკრეტული პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ნიშნების ზუსტი შესატყვისობის (იგივეობის) დადგენა და იურიდიული დამაგრება.

უნდა გვახსოვდეს, რომ დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება, მაგალითად, თუ პირი დაეუფლა სხვის ნივთს და ეს მოხდა ფარულად, თუ იგი მოქმედებდა განზრახ ესე იგი სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით, შესრულებული ჰქონდა 14 წელი და იყო შერაცხადი, მაშინ ამ პირის მიერ ჩადენილი ქმედების ნიშნები ემთხვევა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილში მოცემულ ქმედების შემადგენლობის ნიშნებს და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი.

ქმედების კვალიფიკაციისას შედეგების იურიდიულ დამაგრებაში იგულისხმება მისი დაფიქსირება სისხლის სამართლის წარმოების საპროცესო დოკუმენტებში. მაგალითად, პირისათვის ბრალდების წყაენების დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს სსკ-ის ის მუხლი,

რომლის ჩადენაშიც ედება მას ბრალი, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს უნდა იყოს მითითებული სსკ-ის იმ მუხლზე ან მუხლის ნაწილზე, რომლითაც გათვალისწინებული დანაშაულისათვის დაედო განსასჯელის საბრძოლოდ მსჯავრი და სხვ.

ქმედების კვალიფიკაციისას საჭიროა დაცული იქნეს რამდენიმე პირობა:

აუცილებელია პირველ რიგში განისაზღვროს ხელყოფის გვარობითი ობიექტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს - სსკ-ის კერძო ნაწილის რომელ თავში ვეძებოთ ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ფაქტობრივად ჩადენილ ქმედებას. ამის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ დანაშაულის უშუალო ობიექტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიყენოთ სსკ-ის ის მუხლი (მისი ნაწილი, პუნქტი), რომელიც ერთგვაროვან დანაშაულთა შორის უშუალოდ ითვალისწინებს ფაქტობრივად ჩადენილ ქმედებას.

აუცილებელია დადგინდეს, რომ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ნიშნები ზუსტად და არა მიახლოებით შეესატყვისება იმ ნიშნებს, რომელიც აღწერილია სსკ-ის კერძო ნაწილის გამოსაყენებელი მუხლის დისპოზიციაში და ასევე სახეზე არის თუ არა დანაშაულის შემადგენლობის ოთხივე ნიშანი: სუბიექტი, ობიექტი, სუბიექტური და ობიექტური მხარე. ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგანაც დანაშაული უსუბიექტოდ და უობიექტოდ არ არსებობს. იგი არ არსებობს ასევე სუბიექტური მხარის, ესე იგი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის გარეშე, გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ დანაშაულის შემადგენლობის არსებობა ჯერ კიდევ არ არის დანაშაული, თუ არსებობს კანონით დადგენილი გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ქმედების მართლწინააღმდეგობასა და ბრალეულობას (სსკ-ის 28-32-ე და 33-38-ე მუხლები) ან კიდევ დანაშაულად ვერ დაგვაკალიფიცირებთ ისეთ ქმედებას, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობისაა და არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გაზდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემას (სსკ-ის მე-7 მუხლის II ნაწილი).

ქმედების კვალიფიკაციის დროს აუცილებელია სამართლის ნორმის კონკურენციის საკითხის შეუცდომლად გადაწყვეტა. ეს ის

შემთხვევა, როცა დასაკვალიფიცირებელი ქმედება ექცევა ზოგადი და სპეციალური ნორმის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ სპეციალური ნორმა და ქმედება უნდა შევაფასოთ და დავაკვალიფიციროთ სპეციალური ნორმის მიხედვით.

ქმედების კვალიფიკაციის დროს, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გასარკვევია დანაშაული დამთავრებულია თუ ადგილი ჰქონდა მის მომზადებას თუ მცდელობას, დანაშაული ჩადენილია ერთპიროვნულად თუ თანამონაწილეობით. ამის გარკვევას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თუ დანაშაული დამთავრებულია, იგი დაკვალიფიცირდება პირდაპირ სსკ-ის იმ მუხლით, რომელშიც იგი გათვალისწინებულია, მაშინ როდესაც დანაშაულის მომზადების შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლთან ერთად სსკ-ის ზოგადი ნაწილის მე-18 მუხლზე მითითებით, ხოლო მცდელობის შემთხვევაში - მე-19 მუხლზე მითითებით. როცა დანაშაული ჩადენილია თანამონაწილეობით, დანაშაული კვალიფიცირდება სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლთან ერთად სსკ-ის ზოგადი ნაწილის 24-ე მუხლის შესაბამის ნაწილზე მითითებით. დამთავრებული დანაშაულის, მისი მომზადების და მცდელობის, ასევე თანამონაწილეობის დროს ქმედების კვალიფიკაციის საკითხებს უფრო დეტალურად და გასაგებად შევეხებით, როცა შევუდგებით დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულისა და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის შესწავლას (სსკ-ის X და XI თავი).

დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია არის დანაშაულის ჩამდენი პირის უფლებების დაცვის გარანტია. იგი უზრუნველყოფს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ყველა სასამართლოს მიერ კანონიერების ერთიანად განხორციელებას, ამასთან ერთად დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია არის აუცილებელი პირობა სახელმწიფოში დასჯითი პოლიტიკის სწორად განხორციელებისა და მართლმსაჯულების ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

„დანაშაულის კვალიფიკაცია“ ტრადიციული გამოთქმაა სისხლის სამართალში, მაგრამ როგორც პროფესორი გ. ნაჭყებია აღნიშნავს, იგი არ არის მეცნიერული ცნება, რასაც უნდა დავეთანხმოთ, იმიტომ რომ ფაქტობრივად ხდება ქმედების კვალიფიკაცია, ესე იგი იმის დადგენა, ჩადენილი ქმედება შეიცავს თუ არა სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილით დადგენილ სავალდებულო ნიშნებს. თუ ქმედება დანაშაულია, მაშინ ის არც საჭიროებს

მსჯელობას და დანაშაულის შემადგენლობის ზოგადი და კონკრეტული ნიშნების ძიებას მასში.

აღნიშნულის გამო უფრო სწორი იქნება თუ "დანაშაულის კვალიფიკაციის" ნაცვლად ვინმართ გამოთქმას "ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას".<sup>30</sup>

მოცვლევის და გამოძიების პროცესში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას წინასწარი ხასიათი აქვს, ქმედებას საბოლოოდ დანაშაულად აკვალიფიცირებს მხოლოდ სასამართლო, მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ განსაზღვრულ ქმედებას დანაშაულად აკვალიფიცირებს, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებელი, როცა იგი ქმნის სსე-ის კერძო ნაწილის მუხლის კონკრეტულ შემადგენლობას.

---

<sup>30</sup> გ. ნაცყეზია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი პირველი ნაწილი, 2000 წელი, გვ. 35-44



**დანაშაულის ობიექტი**

**§1. დანაშაულის ობიექტის ცნება და მნიშვნელობა**

ტერმინი „ობიექტი“ ლათინური სიტყვა ობიექტუმისაგან წარმოსდგება და პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს საგანს. ფილოსოფიაში ობიექტის ცნებაში იგულისხმება ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული მატერიალური სინამდვილე, მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც არის მიმართული ვისიმე მოქმედება ან ყურადღება.

სისხლისსამართლებრივი გაგებით ობიექტის ქვეშ იგულისხმება კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც ფიზიკურ, ქონებრივ ან სხვა სახის ზიანს აყენებს ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის ადამიანის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

საზოგადოებრივ ურთიერთობაში იგულისხმება სისხლის სამართლის კანონით დაცული ინდივიდუალური და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის შედეგად ადგება ზიანი ან ექმნება ზიანის მიყენების საფრთხე.

საერთოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობა მოიცავს ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო, საოჯახო, საწარმოო და სხვ. საზოგადოებრივი ურთიერთობა ადამიანთა ერთად ცხოვრების და შეთანხმებული მოქმედების აუცილებელი პირობაა და ამიტომ დაცულია სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის – სამოქალაქო, შრომითი, ადმინისტრაციული და სხვა სამართლის ნორმებით, მათგან განსხვავებით სისხლის სამართალი იცავს ამ ურთიერთობების მხოლოდ ნაწილს, კერძოდ დანაშაულის თავიდან აცილების გამო აღმოცენებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთაც ზიანს აყენებს ან ზიანის მიყენებით ემუქრება დანაშაული.

დანაშაულის თავიდან აცილების გამო აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობა შედგება კონკრეტული ადამიანების ურთიერთობებისაგან, რომელთაგან ერთნი დანაშაულის ობიექტნი არიან, მეორენი კი – დანაშაულის სუბიექტნი. დანაშაულის ობიექტნი არიან ადამიანები, რომელთა წინააღმდეგ არის

მიმართული დანაშაულებრივი ქმედება და ამ ქმედებით განიკადრებინა ზიანს ან ასეთის მიყენების რეალური საფრთხე ემუქრებათ, ხოლო დანაშაულის სუბიექტად ამ ურთიერთობაში გამოდიან ცალკეული პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც დანაშაულის კონკრეტულ უპირისპირდებიან და აყენებენ მას ზიანს. მათი (და პირის ქმედება) ხდება ხელყოფის ობიექტის გამო, რომელსაც სისხლის სამართლის კანონი იცავს.

საერთოდ, სისხლის სამართლის პოზიციებიდან დანაშაულის ობიექტებს მიეკუთვნებიან: ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უფლებები და თავისუფლებები, პატივი და ღირსება, საკუთრება, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, სახელმწიფო, სასამართლო ხელისუფლება, გარემო და ბუნებრივი რესურსები სამხედრო სამსახური, კაცობრიობის მშვიდობა და უშიშროება.

ამრიგად, დანაშაულის ობიექტის უკან ყოველთვის დგანან ადამიანები და ამ გაგებით ვამბობთ, რომ დანაშაულის ობიექტი არის საზოგადოებრივი ურთიერთობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო ზუსტი ვიქნებით თუ ვიტყვი, რომ დანაშაულის ობიექტი არის საზოგადოებრივი ურთიერთობის არა ყველა მონაწილე, არამედ ის, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული დანაშაულის სუბიექტის აქტიური მოქმედება და ვისაც ზიანს აყენებენ.<sup>31</sup>

დანაშაულის ობიექტი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მატერიალური სიკეთე (ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება და სხვა), სხვა შემთხვევაში არამატერიალური ფასეულობანი (ადამიანის პატივი და ღირსება, ინტელექტუალური საკუთრება და სხვა). უობიექტო დანაშაული არ არსებობს, ისე, როგორც არ არსებობს დანაშაული სუბიექტის გარეშე.

დანაშაულის ობიექტი არის დანაშაულის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ქმედება, რომელიც ზიანს არ აყენებს ან ასეთის მიყენების რეალურ საფრთხეს არ უქმნის კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს – არ არის დანაშაული, ეს კი გამორიცხავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

<sup>31</sup> Уголовное право, Общая часть, Москва, 1998 г., с. 125-133.



სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ დანაშაულის ობიექტის სამ სახეს: საერთო ობიექტს, გვარობით ობიექტს და უშუალო ობიექტს.

**1. დანაშაულის საერთო ობიექტი**

დანაშაულის საერთო ობიექტი არის სისხლის სამართლის კანონით დაცული ყოველგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც ზიანს აყენებს ან ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის დანაშაულებრივი ქმედება. საერთო ობიექტი გვიჩვენებს ქმედების საერთო თვისებებს და საშიშროების ხარისხს. მას დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული ყველა დანაშაული ხელყოფს რა ამა თუ იმ კონკრეტულ სიკეთეს ან ინტერესს, საბოლოო ჯამში პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელყოფს მთლიანად სისხლის სამართლის კანონით დაცულ საერთო საზოგადოებრივ ურთიერთობას. მაგალითად, მკვლელობის ობიექტია კონკრეტული ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ მკვლელობის შედეგად ზიანი ადგება როგორც კონკრეტულ პირს, ისე მთლიანად საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც დაინტერესებულია ცალკეულ ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ღირსების დაცვით. ამიტომ, როცა ვამბობთ, რომ დანაშაულის ობიექტი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, სისხლის სამართლის კანონს მხედველობაში აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვა არა მისი განყენებული გაგებით, არამედ აგრეთვე ცალკეული რეალური ადამიანები, რომელთა მოქმედებისაგან იქმნება ეს ურთიერთობა. საზოგადოებას არ შეუძლია იზრუნოს მხოლოდ საერთო ინტერესებზე და დაივიწყოს მის წევრთა პირადი ინტერესები.

**1. დანაშაულის გვარობითი ობიექტი**

დანაშაულის გვარობითი ობიექტის ცნებაში იგულისხმება არა მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც

უკლებლივ ყველა დანაშაულისათვის საერთოა, არამედ ცალკე  
აღებული ერთგვაროვანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჯგუფი  
რომელსაც ზიანს აყენებს ან ზიანის მიყენებით ემუქრება  
დანაშაულებრივი ქმედება. ამ შემთხვევაში ურთიერთობათა  
საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჯგუფს უპირისპირდება [დს] ზიანს  
აყენებს განსაზღვრული ერთგვაროვან დანაშაულთა ჯგუფი  
მაგალითად ავიღოთ სსკ-ის მეშვიდე კარი, რომელშიც  
გათვალისწინებულია ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ  
დანაშაულთა ჯგუფები 6 თავად, კერძოდ, დანაშაული სიცოცხლის  
წინააღმდეგ (თავი XIX), დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ  
(თავი XX), ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის  
საფრთხის შექმნელი დანაშაულებანი (თავი XXI), დანაშაული  
სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (თავი  
XXII), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების  
წინააღმდეგ (თავი XXIII) და დანაშაული ოჯახისა და  
არასრულწლოვნის წინააღმდეგ (თავი XXIV). ყველა ამ კარში  
გათვალისწინებული ერთგვაროვან დანაშაულთა გვარობითი  
ობიექტია ადამიანის პიროვნება, გვარობითი ობიექტი აერთიანებს  
ორ ან რამდენიმე ობიექტს და მართლსაწინააღმდეგოდ  
მოქმედებისაგან ზიანდება ან ზიანის მიყენების საფრთხე ემუქრება  
მას უშუალო ობიექტთან ერთად.

ამრიგად, დანაშაულის გვარობითი ობიექტია სისხლის  
სამართლის კანონით დაცული ის ერთგვაროვანი, მონათესავე  
საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც ზიანს აყენებს ან  
ზიანის მიყენებით ემუქრება დანაშაულებრივი ქმედება.

დანაშაულის გვარობით ობიექტს დიდი მნიშვნელობა აქვს  
სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა-  
ტიზაციისათვის, სადაც შესაბამის კარებში და თავებში  
გაერთიანებულია ერთგვაროვანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა  
ჯგუფებზე ხელმყოფი მონათესავე დანაშაულებანი. ჩვენი მოქმედი  
სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა აგებულია  
გვარობითი ობიექტის მიხედვით.

სისხლის სამართლის კოდექსის სისტემატიზაციის საფუძვლად  
არ გამოდგება ისეთი ნიშანი, რომელიც არ გამოხატავს საგანს,  
მოვლენის არსს და მის საპეციფიკურ თვისებებს. ამიტომ  
დანაშაულთა განლაგება კერძო ნაწილში არ შეიძლება წარმოებულ  
იქნეს დანაშაულის სუბიექტური მხარის, ანდა დანაშაულის

სუბიექტის ან სასჯელის ზომის მიხედვით. ეს გამოიწვევდა ერთ  
ჯგუფში ისეთ დანაშაულთა გაერთიანებას, რომლებიც  
ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი ხასიათით და სიმძიმის  
ხარისხით. დანაშაულის სოციალური არსი, უპირველეს ყოვლისა,  
კანონით დაცული ობიექტის ხელყოფაში გამოიხატება. სწორედ  
ამ ნიშნით ერთიანდებიან ან განსხვავდებიან დანაშაულებები  
ერთმანეთისგან.<sup>32</sup>

### 1. დანაშაულის უშუალო ობიექტი

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის თავებში  
გვარობით ობიექტის ნიშნით გაერთიანებულ ცალკეულ დანაშაულებს  
თავისი უშუალო ობიექტებიც გააჩნიათ, რომლის დადგენას ყოველი  
კონკრეტული დანაშაულის სწორი იურიდიული კვალიფიკაციისათვის  
უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

დანაშაულის უშუალო ობიექტი ეწოდება კანონით დაცულ  
კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელსაც უშუალოდ  
ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,  
უშუალო ობიექტია ის მატერიალური სიკეთე ან სხვა  
არამატერიალური ღირებულება, რომელიც ისპობა ან ზიანდება  
დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ან ემუქრებათ ასეთი ზიანის  
მოყენება.

დანაშაულის უშუალო ობიექტის ნათლად წარმოდგენისათვის  
კვლავ ავიღოთ სსკ-ის მეშვიდე კარი, რომელშიც შედის ზემოთ  
ჩამოთვლილი ექვსი თავი მათში გაერთიანებულ დანაშაულთა  
ჯგუფებით.

ამ თავებში გათვალისწინებული ყველა დანაშაულის გვარობითი  
ობიექტია ადამიანი, მაგრამ უშუალო ობიექტი კი სხვადასხვაა,  
კერძოდ: სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უშუალო  
ობიექტია სხვისი სიცოცხლე, ჯანმრთელობის წინააღმდეგ  
მიმართული დანაშაულის უშუალო ობიექტია სხვა ადამიანის  
ჯანმრთელობა, სქესობრივი თავისუფლებებისა და ხელშეუხებლობის  
წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უშუალო ობიექტია სხვისი  
სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა, ადამიანის

<sup>32</sup> თ. წერეთელი, გ. ტყემულიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, 1969 წ. გვ. 149-153

უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უშუალო ობიექტია მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უშუალო ობიექტია არასრულწლოვანი და ოჯახი.

ამრიგად, უშუალო ობიექტის საშუალებით ვადგენთ ერთგვაროვანი დანაშაულის თუ რომელი სახეა ჩადენილი: მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე თუ მსუბუქი დაზიანება, ცემა, წამება, გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება თუ გარყვნილი მოქმედება, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის თავებში ცალ-ცალკე დანაშაულის შემადგენლობად არიან გათვალისწინებული.

ხელყოფის უშუალო ობიექტის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედების სწორად დაკვალიფიციკრებისათვის. დანაშაულის უშუალო ობიექტი ხშირად პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, მაგრამ თუ არ არის მითითებული, მაშინ იგი უნდა განისაზღვროს კანონის ახსნა-განმარტების ხერხის გამოყენებით, რომლის დროსაც უნდა გათვალისწინებულ იქნეს ზოგადი ნორმის შინაარსი, მისი ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის ერთგვაროვან დანაშაულთა ჯგუფში და ასე შემდეგ.

ზოგჯერ დანაშაული ერთდროულად ხელყოფს არა ერთს, არამედ ორ სხვადასხვაგვარ ობიექტს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორობიექტოვან დანაშაულთან. ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება ყაჩაღობა, ცრუ დასმენა და სხვ. ყაჩაღობის დროს დანაშავე ხელყოფს როგორც საკუთრებას, აგრეთვე პიროვნებას. ცრუ დასმენის დროს კი სასამართლო ხელისუფლების სწორ მუშაობას და მასთან ერთად პიროვნების ინტერესებს. იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულს ორი უშუალო ობიექტი აქვს, ერთ მთავარს ენიჭება წამყვანი მნიშვნელობა და მთავარი უშუალო ობიექტის მიხედვით ხდება დანაშაულის კვალიფიკაცია, ხოლო მეორე უშუალო ობიექტის მნიშვნელობა ისაა, რომ გაითვალისწინება სასჯელის დანიშვნის დროს. გარდა ამისა, მთავარი ობიექტის მიხედვით ხდება დანაშაულის შეტანა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის თავში. სწორედ აღნიშნულის გამო არის ყაჩაღობა შეტანილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის თავში, ხოლო



### §3. დანაშაულის საგანი

დანაშაულის უშუალო ობიექტისაგან უნდა განვასხვაოთ დანაშაულის საგანი, რომლებიც ხან ემთხვევიან ერთმანეთს ხან არა.

დანაშაულის საგანი არის გარესამყაროს ის მატერიალური ნივთი, რომელზედაც მიმართულია დანაშაულებრივი ხელყოფა, უფრო კონკრეტულად, რაზეც უშუალოდ ზემოქმედებს დანაშაულებრივმა მოქმედებამ, სხულის განზრახ მძიმე დაზიანების დროს დანაშაულის უშუალო ობიექტი იქნება ადამიანის ჯანმრთელობა, მაგრამ საგანი იქნება ის ორგანო, რომელიც დაკარგა ადამიანმა მიყენებული დაზიანების შემდეგ (მაგალითად, მხედველობის, სმენის ან სხულის რომელიმე სხვა ორგანო).

სხვისი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დროს დანაშაულის უშუალო ობიექტია სხვისი საკუთრება, მაგრამ დანაშაულის საგანი იქნება მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დაუფლებული და მისაკუთრებული კონკრეტული ნივთი ან ფასეულობა (მაგალითად ფული, ტანსაცმელი, ოქროს ნაკეთობა, შინაური ფრინველი ან ცხოველი, ავტომანქანა, ქონების მისაღები დოკუმენტები, აქცია, შემნახველი სალაროს წიგნაკი წარმომადგენლობაზე და სხვა).

ამრიგად, დანაშაულის საგანი არის დანაშაულის უშუალო ობიექტის დაკონკრეტება. დანაშაულის უშუალო ობიექტისაგან განსხვავებით დანაშაულის საგანი არ არის ყველა დანაშაულის აუცილებელი ნიშანი, მაგალითად, ფორმალურ დანაშაულებს არ ახასიათებს დანაშაულის საგანი, მთელ რიგ სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის არ არის აუცილებელი დანაშაულის საგნის სახეზე არსებობა.

დანაშაულის ჩადენის შედეგად მატერიალური ზიანი ადგება უშუალო ობიექტს, ხოლო დანაშაულის საგანი კი ზოგჯერ შეიძლება ფიზიკურად უვნებელი დარჩეს. მაგალითად, სხვისი ქონების

<sup>33</sup> ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, 1996 წ. გვ. 84-85.

ქურდობისას მესაკუთრე განიცდის ქონებრივ ზიანს, მაგრამ მოპარული ნივთი გადადის დაზარალებულის მფლობელობიდან დამნაშავეს მფლობელობაში, ისე რომ შეიძლება დანაშაულის საგანს ფიზიკურად ზიანი არ მიადგეს.

ზოგჯერ დანაშაულის საგნის დადგენა აუცილებელია დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის. მაგალითად, იმის დასადგენად სხვისი საკუთრების გატაცებასთან გვაქვს საქმე, თუ წიაღით უკანონო სარგებლობასთან, აუცილებელია დანაშაულის საგნის დადგენა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, როგორც წესი, სხვისი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ისეთი ქონება ან ნივთი, რომელშიც ადამიანის შრომაა განივთებული. აღნიშნულის გამო წიაღისეულით უკანონო სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, ქმნის არა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ რომელიმე დანაშაულის შემადგენლობას, არამედ დანაშაულის იმ შემადგენლობას, რომელიც გათვალისწინებულია ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, კერძოდ სსკ-ის 299-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას (წიაღით უკანონო სარგებლობა).

დანაშაულის საგანი არ უნდა გავიგვივით დანაშაულის ჩადენის იარაღთან ან საშუალებასთან. დანაშაულის საგანი არის ის, რაზეც უშუალოდ ზემოქმედებს დამნაშავე, ხოლო დანაშაულის იარაღი ან საშუალება კი დამნაშავეს მიერ გამოიყენება დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად ან დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად. მაგალითად, დანა, რომლითაც ადამიანს მიაყენეს ჯანმრთელობის მძიმე კატეგორიის დაზიანება, არის დანაშაულის იარაღი, ხოლო ადამიანის ორგანიზმი არის დანაშაულის საგანი ან კიდევ სხვისი ქონების გატაცებისას ფული დანაშაულის საგანია, ხოლო ქრთამის მიცემისას კი დანაშაულის ჩადენის საშუალებაა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის იარაღი ყოველთვის კონფისკაციას ექვემდებარება.

#### §4. დანაშაულის საგანი და დაზარალებული



დანაშაულის საგანი და დაზარალებული განსხვავებული ცნებებია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად დაზარალებული არის ფიზიკური პირი – ადამიანი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხადი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიაღვა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი, ან რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა ქმედების ჩადენის შედეგად ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა. დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს. დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შედეგად დაზარალებულად მიიჩნევა აგრეთვე ფიზიკური პირი – ადამიანი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი. დაზარალებული საჯარო ან კერძო საჯარო ბრალდების საქმის გამო არის სუბსიდიური (დამხმარე) ბრალმდებელი, ხოლო კერძო ბრალდების საქმეზე – კერძო ბრალმდებელი.

ამრიგად, დაზარალებული პირი არის საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რადგანაც დანაშაულის ან შეურაცხადი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განცდილი აქვს ზიანი, ხოლო დანაშაულის საგანი დანაშაულის ობიექტისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობას. დანაშაულის საგანი წარმოადგენს მატერიალურ ნივთს, რომელზედაც უშუალოდ მოქმედებს დანაშავე ან შეურაცხადი პირი, რომლის შედეგების მიხედვით ზიანს განიცდის დაზარალებული ფიზიკურად, ქონებრივად ან მორალურად.

პროფესორ გ. ნაჭყეტიას აზრით, „დანაშაულის ობიექტის“ ტრადიციული ცნება სისხლის სამართლის ცნება არ არის. იგი დანაშაულის სოციოლოგიური გაგების შედეგია, რომელიც გულისხმობს, რომ რაკი დანაშაული ჩადენილია, მამასადამე, არსებობს როგორც მისი ობიექტი, ისე სუბიექტი. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალი დანაშაულის სოციალურ გაგებას მოწყვეტილი არ არის, მაგრამ ამ გაგებას იგი საკუთარ შინაარსად ვერ მიიღებს, მისთვის ამოსავალია კანონმდებლობის საქმიანობის საზრისი, რომლის თვალსაზრისით „დანაშაულის ობიექტის“ ტრადიციული ცნება უსაზრისოა, რადგანაც კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონს იმიტომ ქმნის, რომ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაიცვას განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა,

რომელიც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია. მაშასადამე, კანონმდებლის საქმიანობის საზრისს „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნება გამოხატავს და ამიტომ იგი სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებაა, რის გამოც ტრადიციულად „დანაშაულის ობიექტის“ ცნება უნდა განიღვენოს სისხლის სამართლის დანაშაულს უნდა დამკვიდრდეს „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნება, რადგანაც დანაშაული ხელყოფს სისხლისსამართლებრივ ობიექტს, რომელიც უსწრებს დანაშაულის ჩადენას.<sup>34</sup>

პროფესორ გ. ნაჭყეზიას მოსაზრებას უნდა დავეთანხმოთ, რადგანაც სისხლის სამართლის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის აცილება და მართლწესრიგის დაცვა (სსკ-ის 1 მუხლის შესაბამე მაწილი). ამ ამოცანის შესრულების შინაარსს უფრო სრულად შეესაბამება „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნება, რომელიც აქამდეც გამოიყენებოდა „დანაშაულის ობიექტის“ ცნების პარალელურად.

<sup>34</sup> გ. ნაჭყეზია, დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწ. 1 2000 წელი ქ. თბილისი გვ. 109-125.



**დანაშაულის ობიექტური მხარე**

**§1. დანაშაულის ობიექტური მხარის ცნება, მნიშვნელობა და დამახასიათებელი ნიშნები**

ადამიანი წარმოადგენს რა ბუნების ნაწილს, ყოველდღიური ცხოვრებით დაკავშირებული გარე სამყაროსთან და თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით ზემოქმედებას ახდენს მასზე, რომელიც შეიძლება სასარგებლო ან ზიანის მომტანი იყოს. დანაშაულებრივი ქმედება ჩვეულებრივი ქმედებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ყოველთვის მართლსაწინააღმდეგო და ზიანის მომტანია საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის.

ადამიანის მოქმედება შედგება ფსიქიკური და ფიზიკური აქტივობისაგან. ფსიქიკური აქტივობა დაკავშირებულია ადამიანის ტვინის ფუნქციასთან, ასახავს მასში მიმდინარე ინტელექტუალურ და ნებელობით პროცესებს და მიეკუთვნება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ხოლო ფიზიკური აქტივობა გულისხმობს ადამიანის სხეულის მოძრაობას, ან მისგან თავის შეკავებას, რომელსაც ცვლილებები შეაქვს გარესამყაროში და მიეკუთვნება დანაშაულის ობიექტურ მხარეს.

ამრიგად, დანაშაულის ობიექტური მხარე არის დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკური აქტივობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გარეგანი გამოვლინება ფიზიკურ მოქმედებაში, რომელიც ობიექტურად ხელყოფს ან ხელყოფით ემუქრება კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. იგი გვიჩვენებს დანაშაულის სუბიექტის ქცევას, რომელიც მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად და მოიცავს თვით შედეგს.

ცალკეული დანაშაულის ობიექტურ მხარეს შეისწავლის სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ხოლო ყველა დანაშაულისათვის დამახასიათებელ საერთო ობიექტურ ნიშნებს კი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.

დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებია: ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულებრივი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგს შორის, დანაშაულის

ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება და ვითარება. დანაშაულის ობიექტური მხარის ზემოთ დასახელებული ნიშნების ერთობლივად არსებობა აუცილებელი არაა ყველა დანაშაულის შემადგენლობისათვის. ყველა დანაშაულისათვის აუცილებელი ნიშანია ქმედება, დანარჩენი ნიშნები - ფაკულტატურია.

## §2. დანაშაულებრივი ქმედება და მისი სახეები

დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია ადამიანის ქცევის გარეგანი აქტი, ესე იგი ქმედება, რომლის საშუალებით ხორციელდება დანაშაული. ამიტომ ქმედება დანაშაულის აუცილებელი ნიშანია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია საერთოდ დანაშაულის არსებობა.

ტერმინი „ქმედება“ სისხლისსამართლებრივი ცნებაა და გულისხმობს ადამიანის ყოველგვარ შეგნებულ, მიზანდასახულ ქცევას, რომელიც ხორციელდება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ისინი წარმოადგენენ გარე სამყაროზე ზემოქმედების ხერხებს და არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ორივე მოითხოვს ნებელობითი ენერჯის დაძაბვას. ამიტომ უმოქმედობა, როცა კანონი მოითხოვს ქმედებას, სხვა არაფერია, თუ არა მოქმედება, რომელიც იწვევს დანაშაულებრივ შედეგს.

განსხვავება დანაშაულებრივ მოქმედებასა და უმოქმედობას შორის, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, მდგომარეობს იმაში, რომ პირველი მოითხოვს აქტიურ მოქმედებას, სხეულის შეგნებულ, მიზანდასახულ მოძრაობას, მაშინ როდესაც უმოქმედობის დროს აქტიურად მოქმედებს მხოლოდ ადამიანის ფსიქიკა, აზროვნება, ხოლო სხეულის მოძრაობა გამორიცხულია.

ამრიგად, დანაშაულად ითვლება მხოლოდ ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული კონკრეტული მოქმედება, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული და ზიანს აყენებს ან ასეთის მიყენების საფრთხეს უქმნის პიროვნებას, საზოგადოებას ან სახელმწიფოს უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. ქმედების დანაშაულის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად აღიარებიდან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება არა შიშველი აზრი, შეხედულება ან ადამიანის უარყოფითი მიდრეკილებები, არამედ მხოლოდ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც რეალურად ზიანს აყენებს ან ასეთის მიყენების

საფრთხეს უქმნის ადამიანთა ურთიერთობის რომელიმე სფეროში კანონით დაცულ ობიექტს, ე.ი. სამართლებრივ სიკეთეს.

დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე აქტით, მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის მისტოლექტიდან ერთხელ გასროლით ერთაქტიანი მოქმედებაა, მაგრამ ზოგიერთი სხვა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისათვის შეიძლება საჭირო იყოს რამდენიმე აქტის შესრულება, მაგალითად, სსკ-ის 324-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - ტექნოლოგიური ტერორიზმის განხორციელებისათვის საჭიროა რამდენიმე მოქმედების შესრულება, კერძოდ, მირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების ხელში ჩაგდება, ზოლო შემდეგ მისი გამოყენება.

ამრიგად, ქმედების ქვეშ იგულისხმება დამნაშავის ინტერესის განხორციელება, როგორც კონკრეტული ერთპიროვნული აქტით ისე სხვადასხვა ქმედებების კომპლექსით, მაგრამ მათთვის საერთოა ის, რომ ყველა ქმედებას საფუძვლად უდევს სხეულის მოძრაობა ან მისგან განზრახ თავის შეკავება.

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს პირი ხშირ შემთხვევაში იყენებს სხვადასხვა ხელსაწყოს, იარაღს, სატრანსპორტო საშუალებას, ცხოველს, ბუნების ძალებს, შეურაცხად ან კიდევ კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულ პირებს და სხვ.

ამრიგად, დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს: ა) ადამიანის სხეულის მოძრაობათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად; ბ) ამ მოძრაობის დროს გამოყენებულ ხელსაწყოებს, მექანიზმებს, საშუალებებს და იარაღებს; გ) ბუნებრივი კანონზომიერებებს და ძალებს (წყალდიდობა, ხანძარი და სხვა); რომელთა გამოყენებით შეიძლება დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა; დ) დანაშაულის ჩადენის დროს სხვა ადამიანის მოქმედების გამოყენებას, ესე იგი "შუალობით ამსრულებლობას", რომლის დროსაც ადგილი აქვს ზიანის მიყენებას. ასეთი ქმედობის დროს მასუხსიმგებლობა მავნე შედეგისათვის დაეკისრება იმ პირს, რომელმაც თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად გამოიყენა მცირეწლოვანი ან შეურაცხადი პირი ან კიდევ შეცდომაში შეიყვანა სხვა პირი და ჩაადენინა მოქმედება, რომელსაც მოჰყვა დანაშაულებრივი შედეგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმოქმედობა არის დანაშაულებრივი

ქმედების პასიური ფორმა და გვაქვს მაშინ, როდესაც პირი შეგნებულად და მიზანდასახულად თავს იკავებს ყოველგვარი მოქმედების შესრულებისაგან, მაშინ როდესაც ასეთ სიტუაციაში იგი ვალდებულია იმოქმედოს, რათა ზიანი არ მიადგინოს კანონი და ცულ სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად, პირმა დანაშაულებრივ იცის, რომ მჭობლის მიერ მზადდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული; მაგრამ ამის შესახებ არ ატყობინებს სამართალდამცვე ორგანოებს, რათა არ გაიფუჭოს ურთიერთობა დამნაშავესთან და მისი ოჯახის წევრებთან, რითაც იგი ხელს უშლის სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ნორმალურ მუშაობას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. ამიტომ დანაშაულის ჩადენა როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით, მიეკუთვნება ნებელობითი ქცევის აქტს და მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა.

უმოქმედობა დანაშაულს იმ შემთხვევაში წარმოადგენს, როცა ადამიანს ჰქონდა ვალდებულება შექმნილ სიტუაციაში ემოქმედა და შეეძლო კიდევაც ემოქმედა და ამით შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობა. თუ საიდან უნდა გამომდინარეობდეს მოქმედების ვალდებულება ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ და არ გავიმეორებთ. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოვალეობის შესრულების ვალდებულება წარმოიშობა უფრო ადრე, ვიდრე რეალური საფრთხე რომლის აცილებას კანონი მოითხოვს პირისაგან.

ქმედების, როგორც დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნის შესწავლისას საკმაოდ შევეხეთ რეფრექტორულ და ინსტიტუტურ მოძრაობათა, აგრეთვე ბუნების დაუძლეველი ძალის ან მეორე ადამიანის მხრივ ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს, რის გამოც მათ აქ არ შევეხებით.

### §3. დანაშაულის შედეგის ცნება

დანაშაულებრივი შედეგი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ის მავნე, უარყოფითი ცვლილება გარესსამყაროში, რომელიც დამნაშავის მოქმედებით ან უმოქმედობით ადგება სამართლებრივ სიკეთეს. მოქმედება გარკვეული პროცესია, რომლის შინაარსი მდგომარეობს ობიექტზე ზემოქმედებაში, ხოლო ამ ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფით ცვლილება საზოგადოებრივ ურთიერთობაში არის შედეგი ანუ როგორც მას იურისპუდენციაში

უწოდებენ, დანაშაულებრივი რეზულტატი. მოკლედ, მოქმედება არის შედეგის მიხედვით.

დანაშაულებრივი შედეგი ანუ რეზულტატი არის ზიანი რომელიც ადგება კანონით დაცულ ობიექტს. დანაშაულებრივი შედეგი ზიანის მიხედვით შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური.

მატერიალურ შედეგს უმეტეს შემთხვევაში მიეკუთვნება ქონებრივი ზარალი და ფიზიკური ზიანი.

ქონებრივი ზარალი, რომელიც დანაშაულის შედეგად ადგება მოქალაქეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს განისაზღვრება რაოდენობრივად ფულადი ერთეულებით - ლარებსა და თეთრებში.

ფიზიკური ზიანი, რომელიც დანაშაულის შედეგად ადგება მოქალაქის პიროვნებას, კერძოდ, მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, არსებითად განსხვავდება ქონებრივი ზარალისაგან იმით, რომ მისი რაოდენობრივად განსაზღვრა შეუძლებელია. მაგალითად, ბიოლოგიურ სიკვდილს არა აქვს ხარისხი. მართალია, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ემორჩილება შეფასებას, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივ, არამედ მხოლოდ მედიცინის თვალსაზრისით. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების სახეებს: მძიმეს, ნაკლებად მძიმეს და მსუბუქს, რომლებიც კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებითაა გათვალისწინებული და სასჯელის სხვადასხვა ზომებს ითვალისწინებს.

არამატერიალურ შედეგებს მიეკუთვნება მორალური, ფსიქიკური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა სახის არამატერიალური ზიანი, რომელიც დანაშაულის შედეგად ადგება საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეებს. მორალური ზიანი ადგება მოქალაქეს, როცა მას შეურაცხყოფა მიაყენეს ან ცილი დასწამეს და ამით შელახეს მისი პატივი და ღირსება.

მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს ზიანი ადგება მაგალითად მაშინ, როდესაც მოსყიდვით, მოტყუებით, მუქარით, ძალადობით ან სხვა გზით შეილახება მოქალაქის არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემბისციტში მონაწილეობის ან სხვა პოლიტიკური და შრომითი უფლებები. მოქალაქის შრომის უფლებას ზიანი ადგება მაგალითად მაშინ, როდესაც უკანონოდ ათავისუფლებენ სამსახურიდან.

მორალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ზიანის ხარისხის

შეფასება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში იურისტთა შორის დავა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა არსებობდეს უშედეგო დანაშაული.

იურისტთა ნაწილი გამოთქვამს აზრს, რომ ყოველი დანაშაულის შემადგენლობისათვის შედეგის არსებობა არ არის აუცილებელი და საკმარისია სახეზე იყოს მხოლოდ კანონის დისპოზიციაში აღწერილი ქმედება ან უმოქმედობა, რომ დანაშაული ჩაითვალოს დამთავრებულად. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მათ მოაქვთ ცრუ დასმენა, ალიმენტის გადაუხდელობა და სხვა მსგავსი შემთხვევები, სადაც მაინც შეიძლება არც კი დადგეს. კერძოდ, ცრუ დასმენამ შეიძლება ზიანი არ მიაყენოს არც დასმენილს და არც სასამართლო ხელისუფლების ინტერესებს, არც იმ ბავშვის ინტერესები დაზიანდეს, რომლის სარჩოდ ალიმენტი არ იქნება გადახდილი.

ამ შეხედულებების გზიარება არ შეიძლება, რადგანაც მისი მომხრეები ცალმხრივად უდგებიან საკითხის გადაწყვეტას. პროფესორი ა. ნ. ტრაინინი სწორად აღნიშნავდა, რომ ყოველი დანაშაული ხელყოფს ობიექტს, რომ უობიექტო დანაშაული საერთოდ არ არსებობს და ამდენად არ არსებობს უშედეგო დანაშაულიც.

პროფ. ა. ტრაინინს მიაჩნია, რომ შეხედულებანი შედეგგარეშე დანაშაულის არსებობის შესახებ გამოწვეულია თვით შედეგის ცნებაზე მცდარი წარმოდგენით, რადგანაც მათ შედეგი ესმით, როგორც მხოლოდ მატერიალური ზიანის მიყენება, რაც შედარებით ადვილი შესამჩნევი და აღსაქმელია, ხოლო მხედველობიდან უშვებენ იმ ფაქტს, რომ ფსიქიკური, პოლიტიკური და მორალური ზიანიც შედეგია, თუმცა ნაკლებად თვალში საცემი და ძნელად შესამჩნევი, ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება თითქოს კანონი არ ითვალისწინებდეს შედეგს, როგორც დანაშაულის აუცილებელ ელემენტს.<sup>35</sup>

პროფესორი თ. წერეთელი ამ დავის წარმოშობის მიზეზებს ხედავს იმაში, რომ სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შედეგის ცნებას ორი მნიშვნელობით ხმარობს: ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით შედეგი ყოველი დანაშაულის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით შედეგი დამახასიათებელია მხოლოდ მატერიალური დანაშაულისათვის. შედეგი ფართო მნიშვნელობით არსებობს იმისაგან დამოუკიდებლად

<sup>35</sup>А. Трайнин, Общее учение о составе преступления, Москва 1958 г. ст. 138-144

არის თუ არა იგი ვათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში. შედეგის ფართო მნიშვნელობით გაგების დროს სასამართლოს არ მოეთხოვება შედეგის დადგენა და დანაშაული დამთავრებულად ითვლება თუ დანაშაულის დისპოზიციაში აღწერილი ნიშნები განხორციელებულია. მაგალითად, თუ პირმა სასამართლო ცრუ ჩვენება მისცა, ამით უკვე დამტკიცებულია შედეგის არსებობაც ვინაიდან სახეზეა კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ზიანის მიყენება და საჭიროებას არ წარმოადგენს სხვა დამამტკიცებელი საბუთების ძებნა.

ვიწრო მნიშვნელობით შედეგი არის უარყოფითი ცვლილება გარესამყაროში, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია აღნიშნული, როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი, მაგალითად, მკვლელობის აუცილებელი ნიშანია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის დაზიანების დროს კი სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე, ან მსუბუქი დაზიანება და ასე შემდეგ.

როდესაც დანაშაულის შედეგი შეტანილია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის დისპოზიციაში, როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, დანაშაული დამთავრებულად ითვლება ამ შედეგის დადგომის შემთხვევაში. თუ ეს შედეგი არ განხორციელდა, საქმე გვექნება იმავე დანაშაულის მომზადებასთან ან მცდელობასთან.

#### **§4. დანაშაულებრივი შედეგი და მისი სახეები** **(ფორმალური და მატერიალური დანაშაული)**

ყველა მართლსაწინააღმდეგო ქმედება შედეგის მიხედვით პირობით იყოფა ორ ჯგუფად: ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დანაშაულად და მატერიალურ ანუ შედეგიან დანაშაულად. ამ დაყოფას საფუძვლად უდევს ის, რომ ერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთი მუხლის კონსტრუქციის აგებისას კანონმდებელი შემოიფარგლება მხოლოდ ამ სახის დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნების აღწერით და არ უკავშირებს მას შედეგს, ხოლო სხვა შემთხვევაში კანონმდებელი მუხლის დისპოზიციაში აღწერს დანაშაულებრივი ქმედების დამახასიათებელ ნიშნებს და მათ უკავშირებს განსაზღვრული შედეგის დადგომას. დანაშაულის ამგვარ დაყოფას მნიშვნელობა აქვს

დანაშაულის დამთავრებულად ცნობის საკითხის დასადგენად და შესაბამისად მისი სწორი კვალიფიკაციისათვის. განვიხილოთ ცალ-ცალკე:

1. დანაშაულის ისეთ შემადგენლობებს, რომელთა მხარედ კანონი თვლის ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) ჩადენის ფაქტს, მიუხედავად შემდგომი შედეგისა, სისხლის სამართალში უწოდებენ ფორმალური დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო თვით დანაშაულს - ფორმალურ დანაშაულს.

ფორმალური დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

უმოქმედობით ჩადენილი ფორმალურ დანაშაულს მიეკუთვნება, მაგალითად სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (მუხლი 176-ე), დანაშაულის შეუტყობინებლობა სათანადო ორგანოებისათვის, იმ პირის მიერ რომელმაც იცის რომ მზადდება ან ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (მუხლი 376-ე) და სხვ.

მოქმედებით ჩადენილ ფორმალურ დანაშაულს მიეკუთვნება მაგალითად ცრუ დასმენა (მუხლი 373-ე), ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემა ან არასწორი თარგმნა (მუხლი 370-ე).

კანონმდებელი ფორმალური ანუ შედეგგარეშე დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენლობის ფორმულირების დროს ხელმძღვანელობს დასაცავი სამართლებრივი სიკეთის განსაკუთრებული მნიშვნელობით და არ ელოდება რა შედეგის დადგომას, წინასწარ დასჯადად აცხადებს ამ მაგნე შედეგის განსახორციელებლად მიმართულ მოქმედებას, თუნდაც ეს მოქმედება ზიანის რეალური მიყენების უმნიშვნელო ალბათობას შეიცავდეს. ამ პრინციპითაა აგებული სსკ-ის 317-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაყენ ან სახელმწიფოს ხელისუფლების დამხობისაყენ; სსკ-ის 405-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მოწოდების აგრესიული ომის გაჩაღებისაყენ და სხვ.

ფორმალური ანუ შედეგგარეშე დანაშაული დამთავრებულად ითვლება თვით კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის მომენტიდან მატერიალური ზიანის გარეშე. სასამართლოს არ ევალება რეალური შედეგის ან საფრთხის არსებობის დამტკიცება.

ამრიგად, ფორმალური დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია მხოლოდ კანონით აკრძალული მოქმედების

ან უმოქმედობის ჩადენა, ხოლო დანაშაულებრივი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა და შედეგს შორის აზგვარი დანაშაულის აუცილებელი ნიშანი არაა, მაგრამ ფორმალური დანაშაულის ჩადენის შედეგად თუ დადგა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, იგი მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის და ზომის განსაზღვრის დროს. ფორმალური დანაშაულის დროს დანაშაულის მცდელობა გამორიცხულია.

2. დანაშაულის შემადგენლობას, რომლისთვისაც კანონი ითხოვს მოქმედების ან უმოქმედობის განსაზღვრულ დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელ დადგომას - ეწოდება მატერიალური დანაშაულის შემადგენლობა, ხოლო შესაბამისი სახის დანაშაულს, მატერიალური დანაშაული. მაგალითად, მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება: მკვლელობა, სხვისი ნივთის ქურდობა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება და სხვ. მკვლელობა დამთავრებულად რომ ჩაითვალოს სახეზე უნდა იყოს სხვისი სიცოცხლის მოსპობა, ქურდობა რომ დამთავრებულად ჩაითვალოს აუცილებელია დამნაშავე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დაუუფლოს სხვის ნივთს მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება დამთავრებულ დანაშაულად რომ ჩაითვალოს აუცილებელია ნივთს მიადგეს რეალური ზიანი ან განადგურდეს იგი.

მატერიალური ანუ შედეგიანი დანაშაულისათვის ყოველთვის აუცილებელი და სავალდებულო ნიშანია მიზეზობრივი კავშირის არსებობა დამნაშავეს ქმედებასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის.<sup>38</sup>

ამრიგად, ფორმალურ და მატერიალურ დანაშაულთა შორის განსხვავებაა, რომ პირველ შემთხვევაში თვით ფაქტი დანაშაულებრივი ქმედებისა თავის თავში შეიცავს დამთავრებული დანაშაულის ცნებას, იმის მიუხედავად მას მოჰყვა თუ არა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის სავალდებულოა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. თუ დამნაშავეს ქმედება მიმართული იყო რომელიმე სახის დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს შედეგი არ დამდგარა, მაშინ საქმე გვექნება არა დამთავრებულ დანაშაულთან, არამედ ამ მატერიალური დანაშაულის ჩადენის მცდელობასთან. მაგალითად, დამნაშავემ განზრახს მკვლელობის მიზნით ტყვია ესროლა თავის მტერს, მაგრამ

<sup>38</sup> Курс Советского уголовного права. Т. 2 - Преступление. Издательство „Наука“ Москва 1970 г. стр. 144-154.

ააცდინა, ამ შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდება არა როგორც დამთავრებული მკვლელობა, არამედ როგორც მკვლელობის მცდელობა, რადგანაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ე.ი. შედეგი რასაც მკვლელობა როგორც მატერიალური დანაშაული მნიშვნელოვნად, სასჯე არ არის.

გარდა ამისა, ფორმალურ და მატერიალურ დანაშაულთა შორის ის განსხვავებაა, რომ პირველის ობიექტური მხარისათვის აუცილებელი ნიშანია მხოლოდ მოქმედება ან უმოქმედობა, მაშინ როდესაც მატერიალური დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია როგორც მოქმედება, ისე შედეგი და მიზნობრივი კავშირის არსებობა დანაშაულის ქმედებასა და დამდგარ მანვე შედეგს შორის.

#### §5. მიზნობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და მისი მნიშვნელობა (სსპ-ის მე-8 მუხლი)

მიზნობრივი კავშირის არსებობის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის აუცილებელია მატერიალური (შედეგიანი) დანაშაულის დროს. მიზნობრივი კავშირი ფილოსოფიური ცნებაა და გულისხმობს, რომ სამყაროში ყველა საგანი და მოვლენა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია, რომლის უნივერსალური საფუძველია მიზნობრიობა.

სისხლის სამართალი მიზნობრივი კავშირის სპეციალურ ცნებას კი არ ქმნის, არამედ იყენებს ამ ცნებას იმ სახით, როგორც იგი დადგენილია ფილოსოფიაში, იმ განსხვავებით, რომ გარესამყაროში მოვლენათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობისაგან გამოყოფს ნაწილს, რომელიც მას აინტერესებს, კერძოდ მიზნობრივ კავშირს ადამიანის მოქმედებასა და ამ მოქმედებით გამოწვეულ მანვე შედეგს შორის.

ყოველი მატერიალური დანაშაულის ობიექტური მხარისათვის აუცილებელია ქმედებასა და შედეგს შორის მიზნობრივი კავშირის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მოქმედება უნდა იყოს მიზნით მართლსაწინააღმდეგო შედეგისა. მიზნით არის მოვლენა, რომელიც უშუალოდ წარმოშობს მეორე მოვლენას — შედეგს, რომელიც არის პირველის კანონზომიერი განვითარების ნაყოფი. მიზნით დროში ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს.

მიზნის და შედეგის ურთიერთობაზე გავლენას ახდენენ

გარემომცველი მოვლენები, რომელთა ერთობლიობას პირობები ეწოდება. პირობების მიხედვით ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მიზეზით და პირიქით ერთი და იმავე მიზეზმა შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა შედეგი. სისხლის სამართალში არჩევენ ადამიანთა მოქმედებით გამოწვეულ შედეგის წარმომშობ აუცილებელ და შემთხვევით მიზეზებს და შესაბამისად აუცილებელ და შემთხვევით შედეგებს.

აუცილებელი მიზეზი იწვევს შესაბამის შედეგს. აუცილებელი შედეგი არის ამა თუ იმ მოვლენის კანონზომიერი განვითარების გამოვლინება. აუცილებელი მიზეზი და მისი შედეგი შინაგან კავშირში არიან ერთმანეთთან და გარკვეულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამ სახის მოქმედებას მოჰყვება ესა და ეს შედეგი.

შემთხვევითი შედეგი კანონზომიერად არ გამომდინარეობს ამა თუ იმ მოვლენის ძირითადი მიზეზის განვითარებიდან, თუმცა ერთგვარად განაპირობებს მას. შემთხვევითი შედეგი დგება მაშინ, როდესაც მოვლენათა კანონზომიერ განვითარებაში ჩაერთვება შემთხვევითი მიზეზი, რომელიც დაწყებული მოვლენის განვითარებას სხვა მიმართულებით წარმართავს და მოსალოდნელი კანონზომიერი შედეგის ნაცვლად შეიძლება დადგეს სხვა, მოცემული ვითარებისათვის მოულოდნელი შედეგი.

პროფესორ ბ. ფურცელაძეს სიტყვით რომ ვთქვათ: „იმისათვის რომ ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) მიჩნეულ იქნეს რომელიმე დანაშაულებრივი შედეგის მიზეზად, იგი უნდა იყოს ამ შედეგის მთავარი და ამავე დროს უშუალო მიზეზი. მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე მაშინ შეიძლება მსჯელობა თუ დამდგარი მავნე შედეგი, აუცილებლად და არა შემთხვევით, გამოწვეულია გარკვეული ქმედებით“.<sup>37</sup>

სისხლის სამართალში გაბატონებული თვალსაზრისით მიზეზი არის ერთობლიობა ყველა აუცილებელი პირობისა, რომლის გარეშე განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ ადგილას შედეგი არ განხორციელდებოდა. ამრიგად, ადამიანის მოქმედება არასოდეს არ შეიძლება იყოს ერთადერთი მიზეზი შედეგისა, რადგანაც, მიზეზი გულისხმობს აუცილებელ პირობათა ერთობლიობას. აქედან გამომდინარე სისხლის სამართალს მიაჩნია, რომ მავნე შედეგის

<sup>37</sup> ბ. ფურცელაძე, სამართალი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 1971 წ. გვ. 100.

წარმოშობისათვის საკმარისია ადამიანის მოქმედება სხვა პირობებთან ზემოქმედებაში ერთ-ერთი აუცილებელი მიზეზთაგანი იყოს. ადამიანის მოქმედებასა და მანვე შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისათვის საკმარისია ადამიანის მოქმედება ჩართული იყოს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, როგორც დამდგარი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა — მიზეზი. ეს შეხედულება სისხლის სამართალში ცნობილია მიზეზობრივი კავშირის „აუცილებელ პირობათა“ თეორიის სახელწოდებით.

იმ საკითხის პრაქტიკულად გადასაწყვეტად, იყო თუ არა ადამიანის ქმედება დამდგარი შედეგის აუცილებელი მიზეზი, მიმართავენ აზრობრივი გამორიცხვის მეთოდს, კერძოდ, წარმოდგენაში უნდა დავუშვათ, რომ ადამიანის ქმედებას ადგილი არ ჰქონია, თუ ამის შედეგად აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც განხორციელდებოდა იმ დროს და იმ სახით, როგორც სინამდვილეში მოხდა, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ადამიანის ქმედება არ ყოფილა მანვე შედეგის აუცილებელი მიზეზი და მამასადამე, მიზეზობრივი კავშირი ადამიანის ქმედებასა და დამდგარ მანვე შედეგს შორის არ არსებობს და პირიქით, თუ აღმოჩნდა, რომ ადამიანის მოქმედების გარეშე მანვე შედეგი სრულებით არ დადგებოდა ან დადგებოდა სულ სხვა დროს და სხვა სახით, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ადამიანის მოქმედება ამ შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი მიზეზი იყო.

იმ შემთხვევაში, როცა ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით აზრობრივი მეთოდის გამოყენების გზით მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის ძნელდება და საჭიროა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება, სასამართლომ უნდა დანიშნოს შესაბამისი სახის ტექნიკური ექსპერტიზა მისთვის საინტერესო საკითხებზე კვალიფიციური დასკვნის მისაღებად.

მიზეზობრივი კავშირის „აუცილებელ პირობათა“ თეორიას, რომელსაც იზიარებს მრავალი მეცნიერ იურისტი, ჰყავს მოწინააღმდეგენიც, რომლებიც მიუთითებენ, რომ ამ თეორიის შესაბამისად საკითხის გადაწყვეტამ შეიძლება გაართულოს მიზეზობრივი კავშირის დადგენა, როცა მიზეზობრიობის ჯაჭვში ჩართულია დაზარალებულის, მესამე პირთა ან ბუნების ძალთა მოქმედება. მათი აზრით, მაგალითად, თუ „ა“-მ „ბ“-ს ფეხის არეში მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება მისი ხანმოკლე მოშლით და ეს უკანასკნელი მოკვდა ჭრილობის შემხვევი ექიმის დაუდევრობით გამოწვეული სისხლის მოწამელისაგან, „ა“, ამ თეორიის

თანახმად, პასუხისგებაში უნდა მიეცეს დამთავრებული მკვლევარობისათვის, რადგანაც მას რომ არ დაეჭრა დამზარალბული, იგი საავადმყოფოში არ მოხვდებოდა, ჭრილობა - შესასვევი არ ექნებოდა და არც მოკვდებოდა სისხლის მოწამვლისგან. ეს უნდა მოსაზრება არ გამომდინარეობს მიზეზობრივი კავშირის აუცილებელი პირობათა თეორიის დედააზრიდან, რადგანაც „ბ“-ს სიკვდილის უშუალო და აუცილებელი მიზეზი არ არის „ა“-ს მოქმედება, არამედ იგი სულ სხვა შედეგია, იმასთან შედარებით რასაც „ა“ ითვალისწინებდა და სურდა.

აქ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რომ განზრახვი ბრალისათვის აუცილებელია დამნაშავე ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარების მხოლოდ ძირითად რგოლებს და არა მის ყველა დეტალს. ზემოთ მოტანილ მაგალითში „ა“ არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებია ექიმის დაუდევრობა და მისი შედეგი - ამიტომ იგი პასუხს აგებს მხოლოდ დამზარალბულის ჯანმრთელობისათვის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენებისათვის, ხოლო ექიმი კი სამსახურებრივი გულგრილობისათვის, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

„აუცილებელ პირობათა“ თეორიის მოწინააღმდეგეებს აგრეთვე მიაჩნიათ რომ ამ თეორიის მიხედვით მიზეზობრივი კავშირის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს იმ შემთხვევაშიც, როცა მიზეზობრიობის ჯაჭვში ჩართულია ბუნების ძალთა მოქმედება. მათ მოჰყავთ მაგალითი, როცა მამინაცვალი გერს ჭექა-ქუხილის დროს ტყეში აგზავნის შემის მოსატანად იმ განზრახვით, რომ გერს მეზი დაეცემა და მოკვდება, რაც მოვლენათა უჩვეულო განვითარების გამო შემთხვევით ასეც მოხდება. მათი აზრით „აუცილებელ პირობათა“ თეორიის მიხედვით მამინაცვალმა პასუხი უნდა აგოს განზრახ მკვლევარობისათვის, რადგანაც გერი არ დაილუპებოდა, რომ იგი მამინაცვალს ტყეში არ გაეგზავნა. აქ განზრახვაც არის და შედეგიც. ამავე დროს არის მიზეზობრივი კავშირიც მოქმედებასა და შედეგს შორის, მაგრამ მამინაცვლის როლი გერის სიკვდილის განხორციელებაში იმდენად მცირეა, რომ რეალურა შესაძლებლობა შედეგის ამ გზით განხორციელებისათვის არ შეუქმნია. ფაქტიურად მას არავითარი ზემოქმედების მოხდენა ბუნების ძალებზე არ შეეძლო და მხოლოდ ოცნებობდა. ამრიგად, ქმედება, რომელმაც უმნიშვნელო როლი შეასრულა შედეგის განხორციელებაში, და ისიც მოვლენათა

არაჩვეულებრივი დამთხვევის წყალობით აღმოჩნდა ჩანაწერი მიზნობრივი კავშირის განვითარების ჯაჭვში - განზრახ მკვლევარობად არ უნდა ჩაითვალოს.

გარდა ამისა საყოველთაოდ ცნობილია, რომ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მიზნობრივი კავშირის არსებობით არ წყდება. პროფესორ თ. წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზნობრივი კავშირი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველია, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია კიდევ, როგორც წესი, მისი სუბიექტური საფუძველი, ესე იგი ბრალი. აღნიშნულის გამო არსებული შეხედულებებიდან ერთ-ერთი შედარებით სრულყოფილი და მისაღები შეხედულებაა „აუცილებელ პირობათა“ თეორია, რომელიც დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური საფუძველების სწორედ შეფასების გზით უზრუნველყოფს ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის დადგენას და დანაშაულის დაკვალიფიცირებას. 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში არაფერი იყო ნათქვამი მიზნობრივი კავშირის შესახებ. ახალი, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი იზიარებს რა ზემოთ განხილულ „აუცილებელ პირობათა“ თეორიის ზოგად დებულებებს, სიახლე შეაქვს მიზნობრივი კავშირის ცნების გაგებაში და იძლევა მასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო განსაზღვრას. სსკ-ის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზნობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „მიზნობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“.

ამით ახალი კოდექსი ხაზს უსვამს ყველა მატერიალური ანუ შედეგიანი დანაშაულის დროს ქმედებას, მართლსაწინააღმდეგო შედეგსა და საფრთხეს შორის მიზნობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობას და მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავისი

მნიშვნელობით გათანაბრებულია მართლსაწინააღმდეგო საფრთხესთან. კონკრეტული საფრთხის მართლსაწინააღმდეგო შედეგთან გაიგივების პრინციპზეა აგებული სსკ-ის 241-ე მუხლის პირველი ნაწილი, 242-ე მუხლის, 245-ე მუხლის პირველი ნაწილი და სხვ. მაგალითად, სსკ-ის 241-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ატომური ენერგეტიკის ობიექტებზე უსაფრთხოების წესების დარღვევას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, გარემოს რადიაქტიული დაბინძურება ან სხვა მძიმე შედეგი, ხოლო ამავე მუხლის პირველი ნაწილით ასევე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება „ატომური ენერგეტიკის ობიექტის განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლოატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან გარემოს რადიაქტიული დაბინძურება. ამ საკითხის გარკვევას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თუ მატერიალური დანაშაულის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დამდგარა, მაშინ საქმე გვექნება არა დამთავრებულ დანაშაულთან, არამედ დანაშაულის მცდელობასთან, რასაც მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სწორად დაკვალიფიცირებისთვის.

ანსხევაებენ მიზნობრიობის შემდეგ სახეებს: 1) ალტერნატიული ანუ ორმაგი მიზნობრიობა; 2) კუმულაციური მიზნობრიობა და 3) ჰიპოთეტური მიზნობრიობა.

1. ალტერნატიული ანუ ორმაგი მიზნობრიობა სახეზე გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა შედეგი გამოწვეულია ორი ან მეტი პირობით, მაშინ როდესაც ამ პირობათაგან ერთი სავსებით საკმარისი იყო შედეგის დადგომისათვის. მაგალითად, თ-მ და ბ-მ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ისე რომ არ იცოდნენ ერთმანეთის განზრახვის შესახებ, გადაწყვიტეს „დ“-ს მოწამვლა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სასმელში ჩაუყარეს საწამლავის სასიკვდილო დოზა, რომლის მიღების შედეგად „დ“ გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში ორივეს ჩადენილი აქვს დამთავრებული დანაშაული, რადგანაც მათ მიერ შესრულებული მოქმედება ცალ-ცალკე აღებული სავსებით საკმარის პირობას წარმოადგენდა „დ“ სიკვდილის დადგომისათვის და მათი დანაშაული დაკვალიფიცირდება როგორც განზრახი მკვლელობა.

2. კუმულაციური მიზნობრიობა გვაქვს მაშინ, როდესაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ორმა ან მეტმა

ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა ქმედებათა ჯამმა, მაგრამ თითოეული დამოუკიდებლად მოქმედი პირის წარმოდგენით მის მიერ შესრულებული მოქმედება სავსებით საკმარისი იყო სასურველი შედეგის დასადგომად. ამასთან მათ არ იცოდნენ ერთმანეთის მოქმედებისა და განზრახვის შესახებ, მაგალითად, თ-მ და ბ-ს საწამლავე ჩაუყარეს დ-ს რომელიც გარდაიცვალა. დ-ს გარდაცვალება გამოიწვია თ-ს და ბ-ს მიერ ცალ-ცალკე სასამართლოში ჩაყრილი საწამლავის ჯამმა, თითოეულის მიერ ჩაყრილი საწამლავის რაოდენობა კი საკმარისი არ იყო შედეგის დასადგომად. ასეთ შემთხვევაში თითოეულ მათგანმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის, ვინაიდან მართალია მიზეზობრივი კავშირი არსებობს, მაგრამ შედეგი მხოლოდ ერთობლივი მოქმედების შედეგად დადგა ერთიანი განზრახვის გარეშე და ამდენად პირს არ შეიძლება ბრალად შევრაცხოთ იმ შედეგის დადგომა, რომლის დამოუკიდებელი ავტორი არ ყოფილა.

3. ჰიპოთეტური მიზეზობრიობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ქმედებამ დააჩქარა შედეგი, რომელიც ამ ქმედების გარეშე მოკლე დროში მაინც დადგებოდა. მაგალითად, თ-მ მოწამლა ლ, რასაც მოჰყვა მისი სიკვდილი. იგი მცირე დროში მაინც მოკვდებოდა. მიუხედავად ამისა თ. აგებს პასუხს დამთავრებული მკვლელობისათვის, ვინაიდან მან ლ-ს ბუნებრივი სიკვდილი მაინც დააჩქარა მცირე დროით.

### **§6. მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დროს (სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი)**

ის, რაც ზემოთ ვთქვით მიზეზობრივი კავშირის შესახებ, ეხებოდა ადამიანის აქტიური მოქმედებით ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მის გამომწვევე მიზეზებს. საკითხი იმის შესახებ მიზეზობრივი კავშირის არსებობა აუცილებელია თუ არა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დროს მეცნიერ იურისტთა შორის დავის საგანია. მაგალითად, ცნობილი იურისტის, პროფესორ მ. დ. შარგოროდსკის აზრით, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დროს მიზეზობრივი კავშირი სრულებით არ არსებობს და საკითხი

<sup>28</sup> ნასარგებლებია დოქტორ მ. ტურავას ნაშრომით „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“, გვერდი 40-41.

მასუნივებლობის შესახებ უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, მოუძღვის თუ არა ბრალი პირს ჩადენილ დანაშაულში. ამავე აზრზე დგანან მეცნიერ იურისტები ანტიმანოვი და ფლეიშიცი.

პროფ. შარგოროდსკი და მისი მიმდევრები თავის შეხედულებას ასაბუთებენ ფილოსოფიაში მიღებული დოგმატური გამოთქმით "არაფრისაგან არაფერი წარმოიშობა". უმოქმედობას ისინი თვლიან სრულ უმოძრაობად, 0-ის მდგომარეობად. ეს ერთი შეხედვით სწორია, მაგრამ ცალკე აღებულ პირობებში უმოქმედობამ შეიძლება გამოიწვიოს მანე შედეგი და მასასადამე, უმოქმედობა არ არის 0-ის მდგომარეობა.

პროფ. შარგოროდსკის მოსაზრებას არ იზიარებს პროფესორი თ. ვ. წერეთელი, რომალმაც თავის შრომაში „მიზნობრივი კავშირი სისხლის სამართალში“ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ამა თუ იმ პირს თანამდებობრივი, საზოგადოებრივი ან პროფესიული მდგომარეობის გამო აკისრია რა გარკვეული სპეციალური მოვალეობები — ეს მოვალეობები აქცევენ მათ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედების სუბიექტად და ამდენად მათი უმოქმედობა მიზნობრივ კავშირში ებმება დამდგარ მანე შედეგთან. მაგალითად, მორიგე ექიმი ვალდებულია მძიმე ავადმყოფს აღმოუჩინოს სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია აღკვეთოს დაწყებული დანაშაულის შემთხვევა და ასე შემდეგ, მაგრამ თუ ამ პირების სრული უმოქმედობით დადგა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მათ პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მთელი რიგი მუხლები პირდაპირ ითვალისწინებენ ეგრეთ წოდებულ "წმინდა უმოქმედობით" გამოწვეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და დასჯადობას, მაგალითად, განსაცდელში მიტოვება (128-მუხლი), დაუხმარებლობა (129-ე მუხლი), განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების შეუტყობინებლობა (376-ე მუხლი) და სხვ.

სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები კანონმდებლის მიერ კონსტრუირებულია აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებისათვის, მაგრამ ცნობილია, რომ უმოქმედობითაც შეიძლება ჩადენილი იქნეს განზრახი დანაშაული. მაგალითად, თუ დედა არ აწოვებს თავის შვილს ძუძუს იმ მიზნით, რომ ის მოკვდეს, ცხადია, რომ დედის უმოქმედობა ჩაითვლება ჩვილის სიკვდილის

მიზეზად, რადგანაც ასეთი უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი ტოლფასია აქტიური მოქმედებისა, როგორცაა ამბავი მიზნით ბავშვის მოწამვლისა, დახრჩობისა და სხვ. ამიტომ ასეთი „შერეული უმოქმედობის“ შემთხვევების მოსაწესრიგებლად კანონმდებლის მიერ შექმნილია სსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამე ნაწილი, რომელიც ამბობს: „უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ან კოდექსის მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების, ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული“. ამრიგად, „შერეული უმოქმედობით“ ჩადენილი ქმედებებიც სსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამე ნაწილით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის კერძო ნაწილის იმ მუხლებით, რომლებიც კონსტრუირებულია აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულთა შემადგენლობისათვის, მაგალითად, დედის მიერ ჩვილი ბავშვისათვის ძუძუს მიუცემლობა მისი სიკვდილის მიზნით უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 109-ე მუხლის „დ“ პუნქტით.

უმოქმედობა მხოლოდ მაშინ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან ან კონკრეტული საფრთხის შექმნასთან, როცა სახეზე სამი პირობა:

1. როცა პირს ჰქონდა მოქმედების სპეციალური მოვალეობა, ვერეთ წოდებული სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია; ასეთი მოვალეობები გამომდინარეობენ კანონიდან ან კანონქვემდებარე აქტიდან, ანლო ნათესაური ურთიერთობიდან, პროფესიული ან სამსახურეობრივი მოვალეობებიდან ან ხელშეკრულებიდან.

2. როცა პირს ჰქონდა მოქმედების შესაძლებლობა;

3. როცა სავალდებულო და ამასთან შესაძლებელი მოქმედებით შედეგი რეალობასთან მდგომი ალბათობის მაღალი ხარისხით თავიდან იქნებოდა აცილებული.

ამრიგად, მატერიალური ანუ შედეგიანი დანაშაულის დროს მიზეზობრივი კავშირის არარსებობა დანაშაულის სუბიექტის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის სრულებით გამორიცხავს ქმედებაში ბრალის არსებობას, ბრალი კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის საფუძველია, ურომლისოდაც პირის პასუხისმგებაში მიცემა არ შეიძლება.

ამასთან ერთად, მიზნობრივი კავშირის არსებობა პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს ან კონკრეტულ საფრთხეს შორის ყოველთვის არ გულისხმობს ბრალის არსებობას. ეს ის შემთხვევაა, როცა პირის მოქმედება არის შედეგის ერთ-ერთი პირობა, მაგრამ ეს ვერცხვენილი თვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგენილებლობას და არც შეეძლო გათვალისწინებინა იგი.

**§7. დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება და ვითარება, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის ფაქტობრივი ნიშნები და მათი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა**

როგორც ამ თავის შესავალში ითქვა, დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის გარეშე წარმოუდგენელია დანაშაულის არსებობა, ხოლო დანარჩენი ნიშნები, როგორცაა დანაშაულებრივი შედეგი, მიზნობრივი კავშირი, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, საშუალება, ხერხი და ვითარება – ისინი კანონმდებელს აუცილებელ ნიშნად შეაქვს მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობისათვის და მხოლოდ მაშინ წარმოადგენს აუცილებელ ნიშანს. როდესაც დასახელებული ნიშნები მიჩნეულია დანაშაულის სუბიექტური მხარის აუცილებელ ნიშნებად, მათი დადგენა შეუძლებელია დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის, ხოლო როცა არ ითვლებიან დანაშაულის აუცილებელ ნიშნებად მათ დადგენას მნიშვნელობა აქვს ჩადენილი დანაშაულის სრული სურათის აღსადგენად და მართლსაწინააღმდეგო შედეგის ხარისხის დასადგენად.

დანაშაულის ჩადენის ადგილის დადგენა ნიშნავს იმ ტერიტორიის განსაზღვრას, სადაც მოხდა დანაშაულებრივი შემთხვევა. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლის თანახმად თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება უკანონოა და დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია საქართველოს კონტინენტურ შელფზე, სახელმწიფო ნაკრძალში ან პარკში, ან აკრძალულ ადგილას ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს შეადგენს დანაშაულის ჩადენის ადგილის დადგენა. თუ ეს მოქმედება სსკ-ის მე-300 მუხლში

აღნიშნულ ადგილებს გარეთ იყო ჩადენილი, დანაშაულის შემადგენლობაც არ გვექნება.

დანაშაულის ჩადენის დროის დადგენა ნიშნავს მონაკვეთის დადგენას, როცა დანაშაული იქნა დადგენა აუცილებელია სსკ-ის 301-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დროს, რომელიც ითვალისწინებს ნადირობას აკრძალულ დროს და საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროის დადგენა ასევე აუცილებელია სსკ-ის 359-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის, რომელიც ითვალისწინებს ომიანობის დროს შრომითი მობილენაცისათვის ან სხვა ბეგარის შესრულებისათვის ანდა გადასახადის გადახდისათვის თავის არიდებას, რადგანაც იგივე ქმედება, მშვიდობიანობის დროს არ გვაძლევს ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

დანაშაულის ჩადენის ხერხი არის ფორმა, რაშიც გამოიხატა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ესე იგი ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც სუბიექტმა განახორციელა დანაშაული. მაგალითად, ქურდობისას ხერხი იქნა სხვისი ქონების ფარულად გატაცება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, გაძარცვისას – სხვისი ნივთის იმავე მიზნით აშკარა გატაცება, ზოლო ყაჩაღობისას – თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ხერხი იქნება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წყიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. დანაშაულის ჩადენის ხერხი დამახასიათებელია განზრახვი დანაშაულისათვის. დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის დროს სუბიექტს შედეგზე წარმოდგენა არა აქვს, ხოლო თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის დროს პირს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა არ სურს. ამრიგად გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს დანაშაულის ხერხზე ლაპარაკი უაზრობაა.

საერთოდ დანაშაულის ჩადენის ყველაზე გავრცელებული ხერხებია მოტყუება და ძალადობა (ფიზიკური ან ფსიქიკური).

დანაშაულის ჩადენის საშუალება არის ის იარაღი ან საშუალება, რომლითაც დანაშაულის სუბიექტმა ჩაიდინა დანაშაული.

(ცეცხლსასროლი იარაღი, ცივი იარაღი, ქიმიური ნივთიერება და სხვა). დანაშაულის ჩადენის საშუალება აუცილებელი ნიშანია ისეთი დანაშაულებრივი შემადგენლობისათვის, რომელსაც ზთვალისწინებთ სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილი (ნადირობა აკრძალული იარაღით ან საშუალებით), სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილი (თევზის ან წყლის ცოცხალი ორგანიზმების უკანონო მოპოვება ელექტროდენით, ასაფეთქებელი ან მომწამვლელი ნივთიერებით ან თევზის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით).

დანაშაულის ჩადენის ვითარება ნიშნავს იმ ობიექტურ გარემო პირობებს, რომელშიც მოხდა დანაშაული და რომელთა დადგენის აუცილებლობაც სსკ-ის ზოგიერთი მუხლითაა დადგენილი. ვითარება გულისხმობს ფიზიკურ გარემოს, რომელშიც განხორციელდა დანაშაული, მაგალითად თვითმკვლელობამდე მიყვანის ან მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის დროს ვითარება ნიშნავს დამნაშავესა და მისი მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულების დადგენას.



დანაშაულის სუბიექტი

ქართული

§1. დანაშაულის სუბიექტის ცნება და დამახასიათებელი ნიშნები

ტერმინი "სუბიექტი" ლათინური სიტყვა სუბიექტუმ-ისაგან წარმოსდგება და ნიშნავს ადამიანს, რომელიც ფილოსოფიაში გაგებულია როგორც მატერიალური სამყაროს შემქმენებელი და გარდამქმნელი.

სისხლის სამართალში სუბიექტის ცნებაში იგულისხმება ფიზიკური პირი — ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რითაც ზიანი მიაყენა სამართლებრივ სიყუთეს ან ზიანის მიყენების საფრთხე შეუქმნა მას და შესწევს უნარი, კანონის შესაბამისად პასუხი აგოს ამ ქმედებისთვის სისხლის სამართლის წესით.

დანაშაულის სუბიექტი არ შეიძლება იყვნენ ცხოველები, ფრინველები ან ბუნების სხვა მოვლენები, თუნდაც მათი ზემოქმედებით იყოს დამდგარი ფიზიკური, ქონებრივი ან სხვა სახის მანე შედეგი. ისინი შეიძლება განხილულ იქნან დანაშაულის ჩადენის საშუალებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის — ადამიანის მიერ იქნებიან გამოყენებული დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.

საქართველოს სისხლის სამართალი არ ცნობს იურიდიული პირის (საწარმო, ორგანიზაცია და სხვა) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ასეთი პასუხისმგებლობა ეკისრება არა საწარმოს, არამედ კონკრეტულად იმ თანამდებობის პირს, რომელსაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. მაგალითად, წარმოებაში უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევისათვის, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისათვის ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დაზიანების მიყენება ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება არა საწარმოს, როგორც იურიდიულ პირს, არამედ კონკრეტულად იმ თანამდებობის პირს, რომლის გაუფრთხილებლობითმა ბრალმა გამოიწვია ეს მართლსაწინააღმდეგო

შედეგი. აღნიშნული კი განპირობებულია იმით, რომ ჩვენი სისხლის სამართალი მტკიცედ დგას პირის ინდივიდუალური ბრალის მიხედვით პასუხისმგებლობის პრინციპზე.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დიდ ხანია დადებითადაა გადაწყვეტილი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში, ხოლო ევროპულ ქვეყნებში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დეტალურად მოწესრიგებულია მხოლოდ საფრანგეთის 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო ზოგიერთი სხვა სახელმწიფოები აპირებენ ასეთი პასუხისმგებლობის შემოღებას. ამის მიზეზია ის, რომ ხშირად იურიდიული პირის საქმიანობა დიდ ზარალს იწვევს და მრავალჯერ აღებატება ფიზიკური პირის - ადამიანის მოქმედებით გამოწვეულ ზარალს. ცნობილია, რომ იურიდიული პირის საქმიანობით აურაცხელ ზარალს განიცდის ეკოლოგიური გარემო, ეკონომიკური წესრიგი, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საქართველოს სისხლის სამართალში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების საკითხი მსჯელობის საგანი გახდა 1994 წლის მაისში ქ. თბილისში საქართველოში სამართლის რეფორმასთან დაკავშირებით ჩატარებულ საერთაშორისო კოფერენციაზე, სადაც ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა გ. ტყეშელიაძემ გამოხატა რა დადებითი დამოკიდებულება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების საკითხისადმი, აღნიშნა, რომ მისი შემოღების მიზანშეწონილობა გულდასმით შესწავლას მოითხოვს და თუ დადებითად გადაწყდება, მაშინ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ცალკე უნდა გამოიყოს თავი, სადაც გათვალისწინებული იქნება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობები და წესი.<sup>39</sup>

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოეთის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს არა ყველა ფიზიკური პირი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც შერაცხადია. ამრიგად,

<sup>39</sup> გ. ტყეშელიაძე, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პრობლემები. კრებული სამართლის რეფორმა საქართველოში, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1994 წ. გვ. 403-404.

შერაცხადობა დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი სავალდებულო დამახასიათებელი ნიშანია.

შერაცხადობა ეწოდება ადამიანის უნარს, გაითვალისწინოს თავისი მოქმედების ფაქტობრივი მხარე, შეიტყუოს მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას.

ადამიანის ქცევას განსაზღვრავს ცნობიერება (შეგნება) და ნება. ნორმალური ცნობიერების (შეგნების) და ნების მქონე ადამიანს შეუძლია უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას და გარკვეული მიმართულებით წარმართოს იგი, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ფსიქიკის მქონე ადამიანს აქვს უნარი ჩაახშოს ცალკეული მამოძრავებელი იმპულსები, რომლის განხორციელების შედეგად დგება უარყოფითი, მართლსაწინააღმდეგო შედეგები, მეორე მხრივ გააქტიუროს სხვა დადებითი იმპულსები და აქციოს ისინი ნებელობით მოქმედებად, რომელიც დადებით საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგს იძლევა.

ჩვენი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი უშვებს პრეზუმციას, რომ ასეთი უნარი ფიზიკურ პირს გამომუშავებული აქვს 14 წლის ასაკიდან.

შერაცხადობა ბრალისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი წინა პირობაა. მხოლოდ შერაცხად პირს შეუძლია გაითვალისწინოს თავისი მოქმედების შედეგი და მამასადამე, შეუძლია განზრახ ან გაუფრთხილებლობით იმოქმედოს.

შერაცხადობის საწინააღმდეგო შინაარსის ცნებაა შეურაცხაობა, რომელიც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თავის თავში შეიცავს ორ მომენტს: შეურაცხაობას ფსიქიკური დაავადების გამო (სსკ-ის 34-ე მუხლი) და შეურაცხაობას ასაკის გამო (სსკ-ის 33-ე მუხლი). გარდა ამისა, ძველი კოდექსისაგან განსხვავებით ახალი კოდექსი ითვალისწინებს შეზღუდულ შერაცხადობას (სსკ-ის 35-ე მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მთელი რიგი მუხლები ითვალისწინებენ ისეთ დანაშაულებს, რომელთა სუბიექტი გარდა საერთო სუბიექტისათვის დამახასიათებელი სავალდებულო ნიშნებისა, აღჭურვილი უნდა იყვნენ განსაკუთრებული თვისებებით, რომელთა გარეშე შეუძლებელია მოცემული დანაშაულის ჩადენა. ასეთ სუბიექტებს სპეციალურ სუბიექტებს უწოდებენ.

პროფესორი გ. ნაჭყებიას აზრით „დანაშაულის ობიექტის“ და „დანაშაულის სუბიექტის“ ტრადიციულად გაგებული ცნებები იურიდიულ ცნებას არ წარმოადგენენ, რადგანაც ისინი იურიდიულ წესმწარმოებლების წესისთვის უცხოა, რის გამოც თვლის, რომ სოციოლოგიური ცნებები უნდა შეიცვალოს „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ და „სისხლის სამართლის სუბიექტის“ იურიდიული ცნებებით, რომლებიც კანონმდებლის საქმიანობის საზრისს გამოხატავენ“.<sup>40</sup>

## §2. შეურაცხაობა ასაკის გამო (სსკ-ის 33-ე მუხლი)

ასაკი არის ცხოვრების კოორდინატი და გვიჩვენებს ნაცხოვრები წლების რაოდენობას. ასხვაგვებენ ასაკის შემდეგ კრიტერიუმებს: ქრონოლოგიურს (საპასპორტოს), ბიოლოგიურს (ფუნქციონალურს) და ფსიქოლოგიურს. ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა პასუხისმგებლობის ასაკის დადგენისათვის ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიური კრიტერიუმით, ესე იგი იმის დადგენით, თუ რომელი ასაკიდან შეუძლია პირს შეიგნოს სამართლის ნორმების მოთხოვნათა მნიშვნელობა და საკუთარი მოქმედება წარმართოს ამ ნორმების შესაბამისად.

საქართველოს ამჟამად მოქმედი 1999 წლის 22 ივლისს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთიანი მინიმალური ასაკი – 14 წელი. მაგრამ კანონმდებელმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არასრულწლოვნის მიერ ბოროტის და კეთილის, კანონით მისაღები და კანონით აკრძალული ქმედების გარჩევის უნარის ჩამოყალიბება მერყეობს და იგი დამოკიდებულია არა მარტო წელთა რაოდენობაზე, არამედ ოჯახურ აღზრდასა და გარემო პირობებზე, სადაც ხდება არასრულწლოვნის ხასიათის და პირადი თვისებების ჩამოყალიბება – ამიტომ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები გაითვალისწინა სსკ-ის მე-80-მე-100 მუხლებში, რომელიც უშვებს, რომ არასრულწლოვანს, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასჯელის ნაცვლად

<sup>40</sup> გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ქ. თბილისი, 2000 წ. ნაწილი პირველი გვ. 193.

მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღმზრდელ პირთი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებანი.

საქართველის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი არ არის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ასაკი. ამიტომ მიჩნევა, რომლებმაც დანაშაული ჩადინეს ხანდაზმულობაში, განისილესიან დანაშაულის სუბიექტებად, მაგრამ მათ მიმართ სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სასჯელთა ცალკეული სახეების გამოყენების ჩარჩოებს, ასე, მაგალითად, მამაკაცებს და ქალებს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თუ შეუსრულდათ 60 წელი, არ შეიძლება შეეფარდოთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, ასევე საპენსიო ასაკს მიღწეულ მამაკაცებს და ქალებს არ შეიძლება სასჯელის სახედ განესაზღვროთ თავისუფლების შეზღუდვა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (სსკ-ის 44-ე, 47-ე და 51-ე მუხლები).

ბიოლოგიური მიზნის გამო შერაცხადობის უნარი შეიძლება არ ჰქონდეს ზოგიერთ 14 წლის ასაკს მიღწეულ პირსაც. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს შერაცხადობის უნარის არმქონე პირთან, ესე იგი ფსიქიკურად ავადმყოფ პირთან, რომელიც ითვლება შეურაცხად პირად.

### §3. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო (მუხლი 34-ე)

როგორც ზემოთ ვთქვით, შერაცხადობა და შეურაცხაობა სხვადასხვა შინაარსის მატარებელი ცნებებია.

შეურაცხაობის ცნება და მისი ნიშნები განსაზღვრულია სსკ-ის 34-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც ადგენს: „ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქოლოგიური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი გაცნობიერება, მაგრამ არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად“.

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ პირი შეიძლება შეურაცხადად იქნეს ცნობილი, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი ორი პირობა ანუ კრიტერიუმი: 1. სამედიცინო (ბიოლოგიური) და 2. იურიდიული (ფსიქოლოგიური).

სამედიცინო ანუ ბიოლოგიური კრიტერიუმში სსკ-ის 34-ე მუხლის პირველ ნაწილში გამოხატულია სიტყვებით: „ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო, მთელი კრიტერიული ანუ ფსიქოლოგიური კრიტერიუმში კი გამოხატულია სიტყვებით: „არ შეეძლო გაცნობიერებინა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი გაცნობიერება, მაგრამ არ ქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად“.

სამედიცინო კრიტერიუმში გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ სახელდობრ, რომელი დაავადება უკარგავს პირს უნარს, გაცნობიეროს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა და უხელმძღვანელოს მას. სსკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ ასახელებს ასეთ ფსიქიკურ დაავადებებს. ესენია: 1. ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა; 2. ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა; 3. ჭკუასუსტობა და 4. სხვა ფსიქიკური დაავადება.

ქრონიკულ ფსიქიკურ დაავადებად ითვლება განუკურნებადი ან ძნელად განკურნებადი დაავადება, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს და პროგრესირების ტენდენციას ამჟღავნებს. ასეთს განეკუთვნებიან: შიზოფრენია, მანიაკური დეპრესიული ფსიქოზი, პარანოია, პროგრესული დამბლა, მოხუცებულობის პროგრესირებადი ჭკუასუსტობა და სხვა სახის ფსიქოზები.

ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა ისეთი სულიერი დაავადებაა, რომელიც ხანმოკლე პერიოდში მიმდინარეობს და ავადმყოფის გამოჯანმრთელებით მთავრდება. ამ სახის დაავადებას მიეკუთვნება: მწვავე რეაქციული ფსიქოზი, სიმპტომატური მდგომარეობები (პათოლოგიური აფექტი), ალკოჰოლური ფსიქოზები (თეთრი ციებ-ცხელება, მწვავე ალკოჰოლური ჰალუცინაციები, ალკოჰოლური მელანქოლია), პათოლოგიური სიმთვრალე და გონების დაბნეულობის სხვადასხვა ფორმა.

ჭკუასუსტობა ანუ ოლიგოფრენია არის ადამიანის გონებრივი უნარის თანდაყოლილი მნიშვნელოვანი დაქვეითება, რომელიც მუდმივ ხასიათს ატარებს. იგი ზრუნების უნარის დეფექტია. ჭკუასუსტობის ფორმებია: იდიოტია, იმბელიცობა და დებილობა. იდიოტია ფსიქიკური ჩამორჩენილობის ყველაზე ღრმა ფორმაა და მთლიანად გამორიცხავს შერაცხადობას, იმბელიცობა ფსიქიკური

ჩამორჩენილობის საშუალო ფორმაა, ხოლო დებილობა ფსიქიკური ჩამორჩენილობის მსუბუქი ფორმაა.

სხვა ფსიქიკური დაავადებას, რომელსაც სსკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი ასახელებს, მიეკუთვნება ფსიქოპათია და ფსიქოსტენიის მძიმე ფორმები, ინფექციით გამოწვეული მსხვილ პალუცინაციური ბოდვითი მდგომარეობა, მთვარეულობა და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამედიცინო კრიტერიუმი ვერ კიდევ არ იძლევა პირის შეურაცხადად ცნობის საფუძველს. აუცილებელია სამედიცინო კრიტერიუმთან ერთდროულად იურიდიული (ფსიქოლოგიური) კრიტერიუმების არსებობა, რომლებიც გვიჩვენებენ პირის ფსიქიკის ავადმყოფური მდგომარეობით არის თუ არა გამოწვეული მის მიერ საკუთარი მოქმედების შეფასებისა და ამ მოქმედების მართლზომიერად წარმართვის უნარის დაკარგვა.

შეურაცხადობის იურიდიული ანუ ფსიქოლოგიური კრიტერიუმი თავის მხრივ ხასიათდება ორი ნიშნით:

ა) ინტელექტუალური უნარით, რომელიც ნიშნავს ფსიქიკური დაავადების გამო პირის უუნარობას გააცნობიეროს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა (ავადმყოფი კლავს ჩვილ ბავშვს და ჰგონია რომ მან სიცოცხლე მოუსპო საქართველოს მომავალ დამპყრობელს და ამაწიოკებელს).

ბ) ნებელობითი უნარით, რომელიც ნიშნავს იმ შემთხვევას, როცა ფსიქიკურად დაავადებულ პირს შეუძლია თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაცნობიერება, მაგრამ არა აქვს უნარი თავი შეიკავოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაგან და იმოქმედოს სხვანაირად. ასეთი ფსიქიკური ანომალიის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კლუბტომანია, რომელიც არის ფსიქიკური დაავადება, რომლის დროსაც პირს აქვს დაუძლეველი სწრაფვა და მიდრეკილება ქურდობისაკენ, ასევე პირომანია, როდესაც პირს აქვს დაუძლეველი მიდრეკილება და მისწრაფება ცეცხლის წაკიდებისკენ. ორივე შემთხვევაში ამ პირებმა იციან, რომ ჩადიან დანაშაულს, მაგრამ ამ მოქმედებათა შესრულებისაგან ნებისყოფის უკმარისობის გამო არ შეუძლიათ თავი შეიკავონ.

პირის შეურაცხადად ცნობისათვის აუცილებელი არ არის საბუნებისობის ორივე ფუნქციის - ინტელექტუალურის და ნებელობითის მოშლა, არამედ საკმარისია ერთ-ერთი სფერო იყოს დაზიანებული. ამხვე მიუთითებს სსკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვებში „არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი მოქმედების მართლ

წინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი გაცნობიერება, მაგრამ არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად".

ამრიგად, პირის შეურაცხადად ცნობისათვის აუცილებელია დადგენილ იქნეს სამედიცინო კრიტერიუმის ნიშანთაგან ერთ-ერთი მაინც და იურიდიული კრიტერიუმის ორივე ნიშანი (ინტელექტუალური და ნებულობითი) ან ერთ-ერთი მათგანი მაინც.

პირი შეურაცხადად ვერ იქნება მიჩნეული მარტოოდენ იმის გამო, რომ იგი წინათ სხვა დანაშაულის ჩადენის დროს ცნობილი იყო შეურაცხადად. შერაცხადობის საკითხს ყველა შემთხვევაში წყვეტს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და მას შეუძლია შეურაცხადის მიმართ გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. (იხ. კარი მეექვსე, თავი მეთვრამეტე, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება).

სსკ-ის 34-ე მუხლის მეხამე ნაწილის შესაბამისად, არ დაისჯება ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება შერაცხადმა ჩაიდინა, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე დაავადდა ფსიქიკურად, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია პირს დაუნიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ კი შეუფარდოს სასჯელი. შეურაცხადი პირისათვის სასჯელის დანიშვნა უაზრობაა, რადგანაც იგი ვერ მოახდენს მასზე აღმზრდელობით ზემოქმედებას, რაც სასჯელის ერთ-ერთი მიზანთაგანია.

საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებამდე ევროპის რიგ ფეოდალურ სახელმწიფოებში შეურაცხადი პირები საზოგადოებრივად სამიში ქმედებისათვის ისჯებოდნენ ისე როგორც შერაცხადი პირები, ესე იგი სისხლისსამართლებრივი წესით, მაგრამ ცნობილმა ფრანგმა ფსიქიატრმა პინელმა თავის შრომებში დაამტკიცა, რომ შეურაცხადი ფსიქიკურად ავადმყოფია და ის არ უნდა დაესაჯოს, არამედ ადამიანობა მოითხოვს ვუმჯურნალოთ მას. ფსიქიატრი პინელის ეს ჰუმანური და პროგრესიული იდეა გაზიარებულ იქნა და მე-18 საუკუნის დასაწყისიდან შეურაცხადი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება შეიცვალა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით.

#### §4. შეზღუდული შერაცხადობა (სსკ-ის 35-ე მუხლი)



ცნობილია, რომ შერაცხადობასა და შეზღუდულ შერაცხადობას შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი. პირმა შეიძლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინოს ნორმალური და პათოლოგიური (ავადმყოფური გადახრა ნორმისაგან) მდგომარეობის შუალედურ მიჯნაზე, რომელსაც უწოდებენ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობას, ასეთი მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს სსკ-ის 34-ე მუხლის პირველ ნაწილში დასახელებულმა ფსიქიკური დაავადებების ნარჩენმა მოვლენებმა, რომელთა მიმდინარეობა არ გამოირიცხავს შერაცხადობის უნარს, მაგრამ ერთგვარად ზღუდავს საკუთარი მოქმედების გაცნობიერების და მისადმი ხელმძღვანელობის სრულ უნარს. კონკრეტულად ასეთი ფსიქიკური მოშლილობა შეიძლება გამოწვეული იყოს შინოფრენიული დეფექტებით, ალკოჰოლიზმით, ფსიქოპათიით, თავის ქალას ტრავმის ნარჩენი მოვლენებით, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებით, დებილობით მსუბუქ ფორმებში, ნარკომანიით და სხვ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობდა შეზღუდული შერაცხადობის ცნებას.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლი ითვალისწინებს შეზღუდულ შერაცხადობას და არეგულირებს ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. ამასთან ერთად ამ მუხლში მოცემულია შეზღუდული შერაცხადობის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრა, რომლის მიხედვით იგი არის პირის ისეთი მდგომარეობა, როცა მას ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტიური ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა უხელმძღვანელოს მას.

სსკ-ის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირის შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს და იგი შეიძლება გახდეს სამედიცინო ხასიათის

იძულებითი ღონისძიებების დანიშნვის საფუძველი (იხ. სსკ-ის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ამავე მუხლის მე-3 ნაწილი არეგულირებს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს და «სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდულ შერაცხადობის მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო სასიათის იძულებითი ღონისძიება».

### §5. დანაშაულის სპეციალური სუბიექტი

როგორც ზემოთ ვთქვით, დანაშაულის სუბიექტს უნდა ახასიათებდეს ორი ძირითად ნიშანი: კანონით დადგენილი ასაკი და შერაცხადობა. ეს ის ძირითადი ნიშნებია, რომლებიც საერთო და დამახასიათებელია უკლებლივ ყველა დანაშაულის სუბიექტისათვის, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა მოითხოვს, რომ მისი ჩამდენი, გარდა საერთო სავალდებულო ნიშნისა, აღჭურვილი იყოს დამატებით სხვა ნიშან-თვისებებითაც, რომელთა გარეშე შეუძლებელია ამ სახის დანაშაულის ჩადენა. ასეთი განსაკუთრებული ნიშნის მქონე პირს სისხლის სამართალში უწოდებენ დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს, მაგალთად, სსკ-ის 39-ე თავი ითვალისწინებს სამოხელეო დანაშაულის სახეებს, როგორცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხლი 333), ქრთამის აღება (მუხლი 338-ე), სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე) და სხვ. აღნიშნული დანაშაულებები შეიძლება ჩადენილ იქნეს სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი ადამიანების მიერ, ესე იგი მისი ჩამდენი პირი აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე – გარკვეული თანამდებობის პირი. თუ პირს არ გააჩნია სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი ეს დამატებითი თვისება, ის არ არის მოხელე და მას როგორც ამსრულებელს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებებისათვის.

სსკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებას, რომლის შინაარსი ასეთია

„სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის სამედიცინო დახმარების გაუწევლობა“. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მედიცინის მუშაი, რომელიც სამედიცინო განათლებით, ტექნიკითა და მედიკამენტებითაა

ასევე, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 382-403-ე მუხლებით შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ სპეციალური სუბიექტის მიერ, კერძოდ იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტი, რომელიც სამხედრო შერებშეა გაწვეული.

უნდა გვახსოვდეს, რომ სპეციალური ნიშნის არსებობა აუცილებელია მხოლოდ დანაშაულის ამსრულებლობისას, ხოლო თანამონაწილეებად შეიძლება იყვნენ სხვა პირებიც ესე იგი არასპეციალური სუბიექტებიც.

დანაშაულის იურიდიული ანალიზის დროს დანაშაულის სპეციალური სუბიექტის ნიშნების არსებობა ხშირად აფუძნებს დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას. მაგალითად, სსკ-ის 178-182-ე მუხლებში პირდაპირ გათვალისწინებულია სპეციალური რეციდივი, რომელიც წარმოადგენს ამ სახის დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ან განსაკუთრებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას. აღნიშნული მუხლები ითვალისწინებენ ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობის, გამოძალვის ჩადენას იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი ასეთივე დანაშაულისათვის და სასჯელის ზომაც შესაბამისად მკაცრია.

## §6. პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის

სასამართლო სტატისტიკის მონაცემები ადასტურებენ, რომ დანაშაულთა ნახევარზე მეტი ჩადენილია სიმთვრალეში, რომელთა შორის უფრო გავრცელებულია ალკოჰოლური სიმთვრალე, მაგრამ ხშირია დანაშაულის, კერძოდ, ადამიანის პიროვნების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთა ჩადენა, ნარკოტიკული და ტოქსიკური სიმთვრალის დროსაც.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი პირდაპირ აცხადებდა, რომ „პირი, რომელმაც სიმთვრალეში ჩაიდინა



დანაშაული არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან". ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი საჭიროდ არ მიიჩნევს ასეთ ხაზგასმას და თვლის, რომ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული, თუ იგი პათოლოგიურ ჩასწივს არ ატარებს, არ გამორიცხავს შერაცხადობას და ისჯება ჩვეულებრივი წესით. ამრიგად, უნდა განვასხვაოთ ჩვეულებრივი ე.ი. ფიზიოლოგიური სიმთვრალე და პათოლოგიური სიმთვრალე.

ფიზიოლოგიურ სიმთვრალეს იწვევს ჩვეულებრივი ალკოჰოლური სასმელები, როგორცაა: ღვინის, არყის, კონიაკის, ლიქიორის და სხვათა ზომიანე მეტი დოზით მიღება. კანონმდებელი იურიდიული მნიშვნელობით ფიზიოლოგიურ სიმთვრალეს უთანაბრებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღებით გამოწვეულ გამაბრუებელ მდგომარეობას და ორივე შემთხვევაში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას დასჯადად მიიჩნევს, რადგანაც მათ არ შეუძლიათ ადამიანის ფსიქიკის იმ ზომამდე შეცვლა, რომ სრული შეურაცხადობა გამოიწვიონ. სისხლის სამართლის თეორიის და პრაქტიკის მიხედვით ფიზიოლოგიური სიმთვრალის დროს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ პირმა ალკოჰოლური სასმელის ზედმეტი დოზის მიღების გამო თვითონ მიიყვანა საკუთარი თავი ამ მდგომარეობამდე.

ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური სიმთვრალე არსებითად განსხვავდება პათოლოგიური სიმთვრალისაგან. პათოლოგიური სიმთვრალე შეიძლება გამოიწვიოს ალკოჰოლის სულ მცირე დოზის მიღებამ და იგი გამოიხატება ფსიქიკური მდგომარეობის ხანმოკლე მოშლაში, რომელიც საშუალებას უსპობს პირს ანგარიში მისცეს თავის მოქმედებას და შეგნებულად უხელმძღვანელოს მას. პათოლოგიურ სიმთვრალეში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა უთანაბრდება პირის შეურაცხადობას და გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტისით დადგენილი უნდა იყოს, რომ დანაშაული ჩადენილია არა ფიზიოლოგიური სიმთვრალის პირობებში, არამედ პათოლოგიური სიმთვრალის მდგომარეობაში.

პათოლოგიური სიმთვრალის დროს პასუხისმგებლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ პრინციპით: *actio libera in causa*. ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის მომენტის გადატანა ხდება ქმედების ჩადენის მომენტიდან, როცა პირი შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფება,

ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ბილების მომენტზე. თუ პირმა განზრახ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში და სურდა ან უნებურად პათოლოგიური სიმთვრალის მდგომარეობაში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას ან შეეძლო გაეთვალისწინებინა ქმედების გაეთვალისწინებინა ასეთი ქმედების ჩადენის შესაძლებლობა ქმედების შედეგისათვის პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

**§7. დამნაშავის პიროვნების ცნება და მნიშვნელობა. მისი დანაშაულის სუბიექტისაგან განსხვავება**


სისხლის სამართალში დამნაშავის პიროვნების ცნებაში იგულისხმება დანაშაულის ჩამდენი პირის პირადული, ინდივიდუალური თვისებები, მისწრაფებები და მიდრეკილებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მის მიმართ სისხლის სამართლის ნორმების გამოყენებასთან და ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის.

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მეხამე ნაწილის შესაბამისად სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ამისათვის კი აუცილებელია დადგინდეს დამნაშავის ვინაობა, ასაკი, სქესი, დანაშაულის ჩადენის მოტივი. და მიზანი, ნასამართლობა, დანაშაული პირველად აქვს ჩადენილი თუ არაერთგზის, ხომ არა აქვს ადგილი მის მხრივ დანაშაულის რეციდივს ან განსაკუთრებით საშიშ რეციდივს, როგორია მისი წარსული და საერთო მორალური სახე, აქვს თუ არა მისწრაფება მოინანიოს დანაშაული, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს და სხვ.

სსკ-ის 112-ე მუხლი მოითხოვს სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცდეს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებენ მის პიროვნებას. ამავე საპროცესო კოდექსის 641-ე მუხლი მოითხოვს არასრულწლოვნის დანაშაულის წინასწარ გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს დადგინდეს არასრულწლოვნის დაბადების რიცხვი, თვე და წელი, მისი ცხოვრების და აღზრდის პირობები ოჯახსა და სკოლაში, ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონე, მისი ხასიათის თავისებურებანი, მოთხოვნილებები და ინტერესები.

როგორც ვხედავთ, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში

ნიცემის საკითხის გადასაწყვეტად და მისი ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს პიროვნების სრულყოფილად შესწავლას.



დანაშაულის სუბიექტის და დამნაშავეს პიროვნების ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ დანაშაულის სუბიექტია დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი - ადამიანი, რომელიც მიღწეულია კანონით დადგენილ ასაკს და შერაცხადია და ზიანს აყენებს ან ასეთის მიყენების საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, ხოლო დამნაშავეს პიროვნების ცნება მოიცავს და წარმოგვიდგენს კონკრეტულ დამნაშავე პირის პირადულ თვისებებს და მიდრეკილებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის ნორმის სწორად გამოყენებისათვის და მასადაამე ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის.



დანაშაულის სუბიექტური მხარე

§1. დანაშაულის სუბიექტური მხარის წინააღმდეგობა

სუბიექტური მხარე დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია. იგი გვიჩვენებს პირის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს.

დანაშაულის სუბიექტური მხარე არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება, განწყობა მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგთან.

დანაშაულს, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, ახასიათებს ობიექტური და სუბიექტური ნიშნები. ამ ნიშნებს შორის საერთოა ის, რომ ისინი სხვადასხვა კუთხით იძლევიან დანაშაულის მთლიან დახასიათებას.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ასახავს ქმედების სუბიექტის ფსიქიკის სფეროში მიმდინარე ინტელექტუალურ და ნებელობით პროცესებს. ხოლო დანაშაულის ობიექტური მხარე კი გვიჩვენებს ქმედების გარეგან ნიშნებს, ესე იგი იმას, თუ რაში გამოიხატა გარეგნულად დანაშაული, რა ზიანი მიადგა დანაშაულის ობიექტს და იმ გარეგან პირობებს, რომელშიც განხორციელდა დანაშაულებრივი ხელყოფა, დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური ნიშნები ერთმანეთისაგან განუყოფელია და მათი ცალ-ცალკე შესწავლა მხოლოდ თეორიული ანალიზის დროსაა შესაძლებელი.

დანაშაულის სუბიექტურ მხარეში იგულისხმება ქმედების მოტივაცია და მიზანდასახულობა, რომლებიც გამომდინარეობენ ცხოვრებისეული მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან. დანაშაული აზროვნების პროცესით იწყება, რა დროსაც ხდება მოთხოვნილებებისა და ინტერესების გაცნობიერება და მთავრდება მათი დაკმაყოფილების თუ უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება გულისხმობს მოქმედების (მოძრაობის) დაწყებას ან მისგან თავის შეკავებას, რომელშიც გამოვლინდება შედეგი.

ქმედების სუბიექტური ელემენტების დადგენა, ე.ი. იმის დადგენა თუ რა ინტერესები ამოძრავებდა პირს, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით მოქმედებდა იგი, თუ საერთოდ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარეშე დადგა მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

- ამის დაზუსტება არის დამამთავრებელი მომენტი იმის გასარკვევად, პირის ქმედებაში არის თუ არა დანაშაულის შემადგენლობა.

ამრიგად, ქმედების სუბიექტური მხარის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის განმსაზღვრელს, რომლის მიხედვით ხდება დანაშაულებრივი და არადანაშაულებრივი ქმედებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და შესაბამისად დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია.

ძველი კოდექსისაგან განსხვავებით ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულის სუბიექტური მხარის ელემენტებია: განზრახვა, გაუფრთხილებლობა, დანაშაულის მოტივი და მასთან დაკავშირებული ემოციები, დანაშაულის მიზანი და შეცდომა. ამრიგად, ახალი კოდექსით ბრალი არ არის ქმედების სუბიექტური მხარის ელემენტი და ამიტომ ისწავლება დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში, როგორც ამ სისტემის ერთ-ერთი ელემენტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი.

ძველი კოდექსის მიხედვით განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოდგენილი იყო ბრალის ფორმებად, ბრალი კი განსაზღვრული იყო როგორც დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკური დამოყიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და ამ ქმედების შედეგისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით და ბრალი მიჩნეული იყო დანაშაულის სუბიექტური მხარის მთავარ ელემენტად, რაც არ იყო სწორი. პროფესორ გ. ნაჭყეიას სიტყვებით რომ ვთქვათ „თუ ბრალი დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტსაც წარმოადგენს, მაშინ დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნება ერთიდაიგივეა, ეს კი არსებითად შეუძლებელია, რადგანაც ორი იდენტური ცნება თეორიულად უმართა და პრაქტიკულად უსარგებლო. კერძოდ, თუ ბრალი დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ნიშანია, მაშინ გამოდის, რომ ბრალის დადგენა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ხდება, ბუნებრივად ისმება კითხვა: მაშინ რას აკეთებს სასამართლო? ცნობილია ისიც, რომ ეჭვიმტანილი, ბრალდებული და განსასჯელი, თავიანთი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, არაბრალეული პირებია. ამიტომ წინასწარი გამოძიების სამტკიცებელ საგანში ბრალის შეტანა უხეშად არღვევს ეჭვიმტანილის, ბრალდებულის და განსასჯელის პროცესუალურ უფლებებს.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით განზრახვა და

გაუფრთხილებლობა ბრალის გამოვლენის ფორმებია და არა ბრალის სახეები. ბრალის გამოვლენის ფორმები ბრალს არ წარმოადგენს, რადგანაც ფორმა არაა შინაარსი, ამრიგად ბრალი მისი გამოვლენის ფორმაზე არ შეიძლება დავიყვანოთ. განსაკუთრებით და გაუფრთხილებლობა არის ფსიქიკური და არა შეფასებითი კატეგორია. ბრალი კი არის შეფასებითი კატეგორია. ბრალის გამოვლენის ფორმიდან ბრალზე კატეგორიული დასკვნის გამოტანა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა, რომელიც სუბიექტის ქცევას მსჯელობის გზით არკვევს არის თუ არა ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა”.<sup>41</sup>

პირის ფსიქიკური დამოკიდებულება, განწყობა მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი ორ ეტაპად განიხილება: 1) ქმედების შემადგენლობის დადგენის ეტაპად, რომელიც ხდება წინასწარი გამოძიების დროს და 2) ბრალის ეტაპად, რომელიც ხდება სასამართლოში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინასწარ გამოძიებაში ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნის და სურვილის მიხედვით, რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომელიც ასევე განზრახვის კომპონენტია, დგინდება ბრალის ეტაპზე სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების გათვალისწინებით, ე.ი. იმის გათვალისწინებით, პირს მოცემულ სიტუაციაში შეეძლო თუ არა სხვაგვარად მოქცეულიყო და აუცდინა საფრთხე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის მიხედვით წინასწარი გამოძიების დროს ბრალდების წაყენების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდებისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, ამრიგად წინასწარი გამოძიების დროს პირისათვის ბრალის წარდგენა მხოლოდ ვარაუდია, რომ მოსამართლე გაიზიარებს გამოძიების შეხედულებას და სამართლებრივად გაკიცხავს ბრალდებულს, მაგრამ ზოგჯერ ხდება პირიქით და სასამართლოს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი ან მტკიცებათა უკმარისობის გამო საქმეს აბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის.

<sup>41</sup> გ. ნაჭყვია. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, ქ. თბილისი, 2001 წ. გვ. 3-4; 269

ბრალის ეტაპზე სასამართლოს მიერ ხდება პირის ინდივიდუალური ბრალის დადგენა, ესე იგი იმის დადგენა, ჩადენილი აქვს თუ არა მას კანონით აკრძალული ქმედება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი სასჯელი.

ბრალის ეტაპზე განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენენ მხოლოდ ინდივიდუალური გაყიცივის კრიტერიუმებს, რაც იმაც ნიშნავს, რომ განზრახ ჩადენილი ქმედება უფრო მკაცრად აკიცხება, ვიდრე გაუფრთხილებლობით ჩადენილი და მამასადამე, განსაზღვრავს ბრალის ხარისხს. (ბრალის შესახებ იხილეთ თავი მეოთხე §1 პუნქტი 3).

## §2. განზრახვი დანაშაული

(სსპ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი)

სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

ახალი კოდექსის მიხედვით არც განზრახვა და არც გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენენ ბრალის ფორმებს, არამედ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია.

განზრახვა სამკომპონენტია, რომელიც ზოგადად შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოიხატოს: ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, სურვილი იმისა, რასაც ვაკეთებ და მართლწინააღმდეგობის შეგნება.

ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, ნიშნავს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ელემენტების ცოდნას, ხოლო სურვილი იმისა, რასაც ვაკეთებ, ნიშნავს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების სურვილს, ე.ი. მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილს.

მართლწინააღმდეგობის შეგნება ნიშნავს იმას, რომ პირს შეგნებული აქვს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება წინააღმდეგობაშია სისხლის სამართლის ნორმებთან ერთად კულტურისა და ზნეობის ნორმებისადმი, ანუ ცივილიზებულ სახელმწიფოში გაბატონებულ სამართლებრივი შეხედულებისადმი.

ამ სამი კომპონენტიდან პირველი ორი დგინდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე, რადგანაც ცოდნა და სურვილი ფაქტობრივი გარემოებებისადმი აქვს არა მართო დამნაშავეს, არამედ იმასაც, ვინც მოქმედებს მართლზომიერად. მაგალითად აუცილებელი

მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირი განზრახვას მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედ თავდამსხმელს, რადგანაც ამ სიტუაციაში მას არ შეუძლია სხვაგვარად დაიცვას თავისი სიცოცხლე სიყვითელად.

განზრახვის შესამე კომპონენტი (მართლსაწინააღმდეგობის შეგნება) დგინდება არა წინასწარი გამოძიების დროს, არამედ ბრალის ეტაპზე, ე.ი. საქმის სასამართლოს მიერ არსებითად განხილვის ეტაპზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განზრახვა არის დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და სურვილი. ცოდნა არის განზრახვის გონებრივი (ინტელექტუალური) ხოლო სურვილი კი ნებულობითი (ვოლუნტატიური) ელემენტი.

განზრახვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი წმინდა ფსიქიკური კატეგორიაა, რომელიც შინაარსობრივად შეფასებისაგან თავისუფალია, რითაც განსხვავდება ბრალისაგან, რომელიც წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას, რასაც სასამართლო აკეთებს საქმის არსებითად განხილვის მონაცემების საფუძველზე.

განზრახვი ქმედებისათვის პირი რომ დაისაჯოს, აუცილებელია, რომ ამ პირს განზრახვა ჰქონდეს ქმედების ჩადენის დროს. არ არის საკმარისი ისეთი განზრახვა, რომელიც წინ უსწრებს ქმედების ჩადენას, ან რომელიც პირს ქმედების ჩადენის შემდეგ გაუჩნდა. პირველის მაგალითი: პირმა გადაწყვიტა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლას მეზობელი, მაგრამ მას გაუარა შურისძიების გრძობამ და ამის შემდეგ პისტოლეტის წმენდის დროს, მისდამი დაუდევარი მოპყრობით, შემთხვევით გაუვარდა ტყვია და შემოაკვდა ეს მეზობელი. ასეთ შემთხვევაში პირი დაისჯება არა განზრახვი მკვლელობისათვის, არამედ მხოლოდ სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის, რადგანაც ქმედების ჩადენის დროს მას ამ პირის მკვლელობის განზრახვა უკვე აღარ ჰქონდა. მეორე მაგალითი: ა-მ ავტოავარიის შედეგად გაუფრთხილებლობით მოკლა ბ. როცა ჩამოვიდა მანქანიდან, მან იცნო თავისი მსხვერპლი და შედეგით კმაყოფილი დარჩა, რადგანაც მოკლული შორეული ნათესავი აღმოჩნდა, რომლისგანაც შემცვიდრობას მიიღებდა და ისედაც აპირებდა მის მოკვლას. ამ შემთხვევაში ეს პირი არ შეიძლება დაისაჯოს განზრახვი მკვლელობისათვის, რადგანაც ქმედების ჩადენის დროს მას ბ-ს სიკვდილის განზრახვა არ ჰქონდა.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ელემენტების ცოდნა

უკავშირდება დანაშაულის ობიექტს. განზრახ ჩადენილ დანაშაულში აუცილებელი არაა პირს წარმოდგენილი ჰქონდეს დანაშაულის ობიექტი ინდივიდუალისიერებულად, არამედ საკმარისია წარმოდგენილი ჰქონდეს გვარობითი კუთვნილობით მანქანა მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევა. ა-მ ტერორისტული აქტის ჩასადენად ბომბი დადო საზოგადოების თავშეყრის ადგილას და მიიმალა. აფეთქების შედეგად მოკვდა ორი პირი, რომელთაც იგი ინდივიდუალურად არ იცნობდა, მაგრამ რაკი მას ზოგადად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა სურდა ან შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას - სახეზე გვაქვს განზრახვი დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 323-ე მუხლით (ტერორისტული აქტი).

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ცოდნა მოიცავს აგრეთვე მიზნობრივი კავშირის განვითარების ცოდნას, მაგრამ არა მის ცალკეულ დეტალებში, არამედ ზოგადად. ამიტომ შეცდომა მიზნობრივი კავშირის განვითარებაში არ გამორიცხავს განზრახვის არსებობას, თუ მიზნობრივი კავშირის განვითარებაში მხოლოდ უმნიშვნელო გადახრასთან გვაქვს საქმე.

**1. პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული (სსკ-ის მე-9 მუხლი, II ნაწილი)**

სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ანდა ითვისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

მაგალითად, ა-მ ეჭვიანობის ნიადაგზე პისტოლეტიდან რამდენჯერმე გასროლით მოკლა მოქალაქე ბ. ა-ს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისწინებდა ბ-ს სკვდილის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი. ამ შემთხვევაში ა. მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.

სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ განზრახვად მიიჩნევს იმ შემთხვევასაც, როცა პირს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ

სურს ასეთი შედეგი, მაგრამ იმასაც ითვალისწინებს, რომ ასეთი შედეგის განხორციელება გარდაუვალია. მაგალითად, ა. სადაზღვევო კომპანიისაგან დაზღვევის თანხის მიღების მიზნით ააფეთქებს თავის მალაზიას, რომლის მეორე სართულზე ცხოვრობს ლოგინი. რომელიც მისი ახლობელია. ა-ს არ სურს ლ-ს სიკვდილი, მაგრამ დარწმუნებულია მისი სიკვდილის გარდაუვალობაში. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ა-ს არ სურდა ლ-ს სიკვდილი, იგი მაინც მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ვინაიდან შეგნებული ჰქონდა ასეთი შედეგის გარდაუვალობა და ეთანხმებოდა ასეთი გარდაუვალი შედეგის დადგომას.

პირდაპირი განზრახვა სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს პირი მოქმედებს გამიზნულად, რა დროსაც განსაკუთრებით ინტენსიურია ნებულობითი მომენტი, მაგალითად, ა. პისტოლეტიდან ესვრის ბ-ს მისი მოკვლის ურყევი სურვილით. მიუხედავად იმისა იგი შედეგის დადგომას გარდაუვალად თუ შესაძლებლად მიიჩნევს, საქმე გვაქვს პირველი ხარისხის განზრახვასთან.

მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა გვაქვს მაშინ, როდესაც პირს გამიზნულად არ სურს, მაგრამ გარდაუვალად მიიჩნევს მისი მოქმედების მავნე შედეგის დადგომას. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს ეს ქმედება სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებად მიაჩნია. ასეთ შემთხვევაში პირის ქმედება ხასიათდება გონებრივი ელემენტის განსაკუთრებული ინტენსივობით. მაგალითად, ა. ააფეთქებს სახლს, რათა სადაზღვევო კომპანიისაგან მიიღოს სადაზღვეო თანხა. მან იცის, რომ ამ სახლში ცხოვრობს ლოგინად ჩავარდნილი პირველი ჯგუფის ინვალიდი, რომელიც აუცილებლად დაიღუპება, თუმცა მისი სიკვდილი არ სურს. აფეთქების შედეგად ლოგინად ჩავარდნილი იღუპება. ამ შემთხვევაში ა, რომელსაც არ სურდა ავადმყოფის დაღუპვა, მაგრამ დარწმუნებული იყო სასიკვდილო შედეგის გარდაუვალობაში, პასუხს აგებს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის. ამ შემთხვევაში პირდაპირი განზრახვა იქნება მეორე ხარისხის.<sup>42</sup>

<sup>42</sup> შ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2000 წ. გვ. 52-54.

## 2. არაპირდაპირი ანუ ევენტუალური განზრახვა (სსკ-ის მე-9 მუხლი, III ნაწილი)



განზრახვის მეორე სახეა არაპირდაპირი ანუ ევენტუალური განზრახვა, რომელიც ვათვალისწინებულია სსკ-ის მე-9 მუხლის მექანიზმით. იგი პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავდება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ელემენტების ცოდნის და სურვილის დაბალი ხარისხით.

დანაშაული არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების შედეგის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის მაგალითად შეიძლება მოიყვანოს ასეთი ფაქტი: ა - წვავს საკუთარ მალაზიას, რათა მიიღოს საღაზღვეო თანხა. მალაზიის ზედა სართულზე ცხოვრობს ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი ქალი. ა-ს არ სურს მოხუცი ქალის სიკვდილი და ფიქრობს, რომ იგი შეიძლება გადარჩინონ მეზობლებმა ან მეხანძრემ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეგნებულად უშვებს მისი ხანძრისაგან დაღუპვის შესაძლებლობასაც. აქ სახეზე გვაქვს არაპირდაპირი განზრახვა. თუ ქალი დაიღუპა, სახეზე გვექნება დამთავრებული განზრახვი დანაშაული, ხოლო თუ შედეგი არ დადგა და გადარჩა ლოგინად ჩავარდნილი ქალი, გვექნება განზრახ მკვლელობის მცდელობა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, ძველისგან განსხვავებით, დანაშაულის მცდელობა შეიძლება როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაშიც.

პირდაპირ და არაპირდაპირ (ევენტუალური) განზრახვას საერთო აქვთ, რომ ორივე შემთხვევაში დამნაშავე აცნობიერებს და წარმოიდგენს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, განსხვავება მათ შორის არის არა ინტელექტუალურ, არამედ ნებისყოფის სფეროში, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირდაპირი განზრახვის დროს პირს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას, ხოლო არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს თანმდევი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა არ სურს, მაგრამ

შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

პრაქტიკულად წმინდა სახის არაპირდაპირი ანუ ვეენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენა იშვიათად გვხვდება. ხშირ შემთხვევაში დანაშაულის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენა ადგილობრივ პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის კომბინაციაში შემთხვევაში პირდაპირი განზრახვა მიმართულია იმ ძირითადი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ, რომლის დადგომაც პირს სურს და აინტერესებს, ხოლო განზრახვა არაპირდაპირია თანმდევი შედეგის მიმართ, რომლის დადგომაც არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას, თანაც ამ თანმდევი შედეგის დადგომა მისთვის არც მიზანია და არც საშუალება.

სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია განზრახვის სხვა სახეებიც. განასხვავებენ ალტერნატიულ განზრახვას, განსაზღვრულ და განუსაზღვრელ განზრახვას, წინასწარ მოფიქრებულ და უეცრად წარმოშობილ განზრახვას.

1. ალტერნატიული განზრახვის დროს პირს ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთიდან სურს მხოლოდ ერთ-ერთის დაზიანება და ამით კმაყოფილი რჩება. ამ შემთხვევაში პირს მკაფიო წარმოდგენა არა აქვს იმაზე მოსალოდნელი ორი ან მეტი მართლსაწინააღმდეგო შედეგიდან თუ რომელი დადგება. მაგალითად, ა. ტყვიას ისვრის იმ მიზნით, რომ მოკლას ან ა. ან ბ, თუ ტყვია მოხვდა ორივეს და ორივე გარდაიცვალა, გვექნება ერთის მიმართ განზრახ მკვლელობა, მეორეს მიმართ კი - გაუფრთხილებლობითი მკვლელობა, ვინაიდან მას განზრახვა ჰქონდა მოეკლა მხოლოდ ერთი მათგანი.

2. განსაზღვრული განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს კონკრეტული შედეგის მიღწევა, მაგალითად პირი გულმკერდის არეში დანას ურტყამს თავის მტერს, რა დროსაც წარმოიდგენს რომ, ეს ქმედება გამოიწვევს მის სიკვდილს, რაც სურს კიდევაც.

3. განუსაზღვრელი განზრახვის დროს პირის შეგნება მოიცავს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის წარმოდგენას, მაგრამ კონკრეტიზირებული არაა ეს შედეგი, კერძოდ დამნაშავე ვერ ითვალისწინებს და ვერ წარმოიდგენს მისი მოქმედების შედეგის სიმძიმეს. მაგალითად, ჩხუბის დროს დამნაშავე იქნება დანას, მაგრამ ვერ აცნობიერებს, თუ რა სიმძიმის და ხარისხის დაზიანებას მიაყენებს დაზარალებულს: მძიმეს, ნაკლებად მძიმეს თუ მსუბუქს. განუსაზღვრელი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის დაკვალიფიცირება ხდება დამდგარი რეალური შედეგის მიხედვით.

4. განასხვავებენ აგრეთვე წინასწარ მოფიქრებულ და უუცრად წარმოშობილ განზრახვას. წინასწარ მოფიქრებული განზრახვა არის მაშინ, როდესაც პირი გარკვეული დროის განმავლობაში ფიქრობს დანაშაულის განხორციელების შესახებ, წინასწარ ადგენს გეგმას, ემზადება, შოულობს იარაღს. წინასწარი განზრახვით მოქმედებენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თანამონაწილეობის დროს, როცა ინაწილებენ როლებს, განსაზღვრავენ რა სახის დანაშაულებები ჩაიდინონ, რა საშუალებით, როდის, სად და სხვ.

უეცარი განზრახვა გულისხმობს იმას, რომ დამნაშავეს განზრახვა წარმოშობისთანავე მოჰყავს სისრულეში. მაგალითად, შეურაცხყოფილ პირს უეცრად წარმოეშობა შეურაცხყოფელის მოკვლის განზრახვა და გადადის მოქმედებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს განზრახვა წარმოშობილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების (აფექტის) მდგომარეობაში, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 111-ე მუხლით.

განზრახვის ზემოთხსენებული სახეები ყოველთვის როდი გამოირიცხავენ ერთმანეთს. პრაქტიკაში გვხვდება განზრახვის სხვადასხვა სახეების კომბინაცია.

### **§3. გაუფრთხილებლობითი დანაშაული** (სსკ-ის მე-10 მუხლი)

ახალი კოდექსით გაუფრთხილებლობა, ისე როგორც განზრახვა, არ წარმოადგენს ბრალის ფორმას, არამედ იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტია.

გაუფრთხილებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი პირის დამოკიდებულების მეორე ფორმაა. მას გააჩნია თავისი დამახასიათებელი ნიშნები და განზრახვისაგან განსხვავებით დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით. მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა პირს არ სურს და არც მისი დადგომის შესაძლებლობას უშვებს. ამიტომ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის დროს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის მომზადების მცდელობას და თანამონაწილეობას.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გაუფრთხილებლობა ორი სახისაა – თვითიმედოვნება და დაუდევრობა.

## 1. თვითიმედოვნება

სსკ-ის მე-10 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერება უქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

ამრიგად, თვითიმედოვნება, დაუდევრობისაგან განსხვავებით, არის წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერებული დარღვევა. ამა თუ იმ ქმედების აკრძალვა კი მოცემულია არა მარტო მოქმედი სამართლის ნორმებში, არამედ კულტურის ნორმებშიც – მაგალითად კულტურის ნორმით აკრძალულია საცხოვრებელი ბინის ფანჯრიდან ნივთების გადაყრა, ვინაიდან ამან შეიძლება დაზიანოს ქუჩაში გამვლელი ადამიანები.

თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ არის დარწმუნებული და იმედოვნებს, რომ შედეგს აუცილებლად აიცილებს. სწორად ამიტომ ეწოდება თვითიმედოვნებას შეგნებული ანუ გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა.

პირის იმედის საფუძველი შეიძლება იყოს საკუთარ ძალებში და შესაძლებლობებში დარწმუნება, როგორცაა სიმარჯვე, სისწრაფე, ნიჭი, გამოცდილება, მხედველობა და სხვა ფიზიკური და ფსიქიკური თვისებები. მაგალითად, მძღოლი რომელმაც უნდა გადაჭრას რკინიგზის ზაზი, ხედავს მატარებელი უახლოვდება გადასასვლელს, მაგრამ იგი იმედოვნებს, რომ ავარიას აიცილებს, რადგანაც დარწმუნებულია თავის სიმარჯვეში და მანქანის სისწრაფეში, მაგრამ ეს იმედი არ მართლდება, ვერ ასწრებს გადასვლას და ელმავალი ეჯახება მანქანის უკანა ნაწილს და ჰკლავს ძარაზე მჯდომ მოქალაქეს. მძღოლმა პასუხი უნდა აგოს დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მისი თვითიმედოვნების შედეგად განხორციელდა.

მეორე მაგალითი: ინჟინერმა შემოწმების გარეშე პროექტით გათვალისწინებული მასალის ერთი სახე შეცვალა მეორით, მასალის მეორე შეცვლილ სახეს არ აღმოაჩნდა სათანადო სიმყარე და რამდენიმე სართულის ამენების შემდეგ კედელი ჩამოინგრა – აქ ინჟინერი თვითიმედოვნებით მოქმედებდა, ქარაფშუტულად შემოწმების გარეშე იმედოვნებდა, რომ მის მიერ გამოყენებული პროექტით გაუთვალისწინებული მასალა გაუძლებდა ზეწოლას. მან

პასუხი უნდა აგოს თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულისათვის.  
დარწმუნება, ვარაუდი თვითიმედოვნების დროს შეიძლება სხვა  
პირის მოქმედებასაც ემყარებოდეს, მაგალითად, ბავშვი გადარბის  
ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე, უკან მისდევს დედა. ტროლეიბუსის  
მძღოლი ივარაუდებს, რომ დედა დაეწევა ბავშვს და იგი არ  
ჩაუვარდება ტროლეიბუსს, ამ იმედით მძღოლმა თავის მხრივ  
წინასწარ არავითარი ზომები არ მიიღო. დედა ვერ დაეწეა ბავშვს.  
ეს უკანასკნელი ჩაუვარდა ტროლეიბუსს. მძღოლმა პასუხი უნდა  
აგოს დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისათვის.

იმედი შეიძლება ბუნებრივ ძალთა მოქმედებასაც ემყარებოდეს.  
მაგალითად, მეტყვევ ტყიდან გამოსვლის დროს არ ჩააქრობს  
კოცონს, იმ იმედით, რომ საცაა წვიმას დაიწყებს და ცეცხლი  
ჩაქრება. მაგრამ წვიმა არ მოვა და ტყის მასივი ცეცხლისაგან  
განადგურდება.

დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს საშიში შედეგის  
თავიდან აცილების ვარაუდი სურვილთან ერთად ამაში  
დარწმუნებასაც გულისხმობს.

მოკლედ, დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს ნებელობითი  
(სურვილის) მომენტი გამორიცხულია, ხოლო ინტელექტუალური  
მომენტი სახეზეა. პირი უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ  
მართლსაწინააღმდეგო შედეგს თავიდან აიცილებს, მაგრამ უშვებს  
შეცდომას.

თვითიმედოვნებასა და არაპირდაპირ განზრახვას შორის მსგავსება  
იმაში გამოიხატება, რომ ისინი მართლსაწინააღმდეგო შედეგის  
დადგომის შესაძლებლობის ცოდნისა და წარმოდგენის ნაწილში  
ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის განსხვავება არსებობს  
ნებელობით სფეროში ესე იგი სურვილის სფეროში. არაპირდაპირი  
ანუ ევენტუალური განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს  
კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალური  
შესაძლებლობა, არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს  
ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას, ხოლო დანაშაულებრივი  
თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო  
შედეგის დადგომის აბსტრაქტულ შესაძლებლობას, მაგრამ ასეთი  
შედეგის დადგომას აბსოლუტურად გამორიცხავს საკუთარ და გარეშე  
ძალებზე და ფაქტორებზე დაყრდნობით. მაგალითად, ა-მ ცეცხლი  
წაუკიდა სახლს, რათა სადამზღვეო კომპანიისაგან მიიღოს დამზღვევის  
თანხა, მან იცის რომ ამ სახლში იმყოფება ავადმყოფი ქალი. პირს

არ სურს ამ ქალის სიყვდილი, და ფიქრობს, რომ ეს ქალი შეიძლება რალაცნაირად გადარჩეს. მაგრამ დარწმუნებული არაა ამისა და უშვებს მისი სიყვდილის შესაძლებლობას. აქ სახეზე გვაქვს არაპირდაპირი განზრახვა და თუ შედეგი დადგა სხვათა დადგენილი დამთავრებული განზრახვი დანაშაული, ხოლო თუ ქმრის განზრახვა გვექნება განზრახვი დანაშაულის მცდელობა. ამავე მაგალითში, თუ ა. ფიქრობს რომ ასეთი შედეგი არ დადგება, რადგანაც ჰგონია და დარწმუნებულია კიდევაც რომ, ლოგინად ჩავარდნილ ქალს ცეცხლისაგან იხსნის თვითონ, მეხანძრე ან მქსობელი, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა, სახეზე გვექნება თვითიმედოვნება და ა-მ პასუხი უნდა აგოს არა ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულისათვის.

## 2. დაუდევრობა

სს-ის მე-10 მუხლის შესამე ნაწილის შესაბამისად, ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევც.

დაუდევრობა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის ქვესახეა. დაუდევრობა სხვანაირად შეიძლება იწოდოს როგორც გაუცნობიერებელი ანუ შეუგნებელი გაუფრთხილებლობა.

დაუდევრობის დროს პირს გაცნობიერებული არა აქვს რომ სწადის წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას, ამასთან ერთად არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას შეეძლო და ევალებოდა კიდევაც.

თუ დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს პირს არ სურს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს თავისი მოქმედების ან უმოქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, დაუდევრობის დროს პირის წინაშე სრულებით არ წარმოიშობა საკითხი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის შესახებ. ე.ი. იგი პირს სრულებით არა აქვს შედეგზე წარმოდგენა და არა მარტო არ სურს, არამედ აშკარად არასასურველია მისთვის ასეთი შედეგის დადგომა. ამაშია განსხვავება გაუფრთხილებლო-

ბითი დანაშაულის ამ ორ სახეს შორის.

ამრიგად, დანაშაულის დაუდევრობით ჩადენის დროს არ არსებობს პირდაპირი ფსიქიკური კავშირი პირის ქმედებასა და შედეგს შორის, რამაც ერთგვარად განაპირობა ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის შეცვლა ბრალის ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიით, რომლის მიხედვით ბრალი არის მხოლოდ გასაყიცხაობა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის.

პირი რომ მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში დაუდევრობითი დანაშაულისათვის, აუცილებელია მას ჩადენილი ჰქონდეს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, რომელიც იწვევს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომლის გათვალისწინება მას ვეალებოდა და შეეძლო კიდევ.

დაუდევრობის დროს პირი აცნობიერებს მხოლოდ მოქმედებას, იცის რას აკეთებს, მაგრამ ვერ აცნობიერებს თავისი მოქმედების შედეგს. «შედეგის ასეთი გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავს შედეგისადმი ყოველგვარი ფსიქიკური დამოკიდებულების არარსებობას, არამედ წარმოადგენს ფსიქიკური დამოკიდებულების თავისებურ ფორმას. შედეგის გაუთვალისწინებლობა დაუდევრობის დროს მიუთითებს კანონის მოთხოვნათა, საყოფაცხოვრებო წესების, სხვა ადამიანების ინტერესების უგულებელყოფაზე.

დაუდევრობის არსი ისაა, რომ დამნაშავეს რეალური შესაძლებლობა აქვს გაითვალისწინოს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი, მაგრამ არ ძაბავს თავის ფსიქიკურ ძალებს, რათა გაითვალისწინოს და თავიდან აიცილნოს იგი.<sup>43</sup>

წინდაუხედაობა გულისხმობს, რომ პირი თავისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის ან პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იცავს ქცევის იმ წესებს, რომლებიც გამომდინარეობენ დაწერილი ან დაუწერიელი საყოფაცხოვრებო გამოცდილებაში შემუშავებული წესებიდან, რომლებიც პირს ავალებენ დაძაბოს ყურადღება, გამოიჩინოს სიფრთხილე და ამით წინასწარ მიიღოს ზომები მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის ასაცდენად. მაგალითად, წინდაუხედაობაა ფანჯრიდან ქუჩაში ნახმარი ნივთების გადაყრა, საწამლავის შენახვის წესების დარღვევა, ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა ან მისი ხელში ტრიალი სხვა პირთა დასწრებით და სხვ.

<sup>43</sup> ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული. 1996 წ. გვ. 200

რაც უფრო მნიშვნელოვანია ობიექტი, რომელსაც საფრთხეს უქმნის ქმედება, მით უფრო მეტია წინდახედულობის ნორმების შესრულების მოთხოვნების აუცილებლობა, რაც უფრო მაღალია პირის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მდგომარეობის, მით უფრო მეტი წინდახედულობა და მზრუნველობა მთავარია. ამიტომ პირს მოვალეობათა შესრულების უზრუნველსაყოფად, მაგალითად, ექიმს მეტი მოეთხოვება, ვიდრე ექიმის თანამემწეს და ასე შემდეგ. დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია ის, რომ მართალია პირი არ ითვალისწინებს თავისი მოქმედებით საშიშ შედეგს, მაგრამ წინდახედულობის ნორმის თანახმად იგი ვალდებული იყო და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა ეს მაგნე შედეგი. მაგალითად, ამ სამუშაო ოთახში ჩართო ელექტროლუმელი, გამორთვა დაავიწყდა და სამუშაო საათის დამთავრების შემდეგ წავიდა სახლში, ღუმლის გადახურების შედეგად ღამის საათებში გაჩნდა ხანძარი და შენობა ცეცხლისაგან განადგურდა. ამით პირმა ჩაიდინა დაუდევარი ქმედება და სახეზეა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, თუმცა წინდაუხედაობის და უყურადღებობის გამო არ ითვალისწინებდა ხანძრის გაჩენის შესაძლებლობას, არ სურდა ასეთი შედეგი, მაგრამ შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა და მართლსაწინააღმდეგო შედეგიც არ დადგებოდა.

თუ პირი ვალდებული არ იყო მოცემულ სიტუაციაში გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების შედეგი და ნორმალურ ჩვეულებრივ პირობებში არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ასეთი, პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არ შეიძლება მიეცეს შედეგის გაუთვალისწინებლობისათვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევა: გამოცდილი მძღოლი ნორმალური სიჩქარით მართავს ახალ მანქანას, ფეხით მოსიარულის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის გამო იგი იძულებულია დაამუხრუჭოს მანქანა, მაგრამ მუხრუჭმა ქარხნული დეფექტის გამო უმტყუნა და მგზავრმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება. ასეთ შემთხვევაში მძღოლის ქმედებაში არ არის დაუდევრობა და იგი არ შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხგებაში, რადგანაც მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა მანქანის სამუხრუჭე სისტემის ქარხნული დეფექტის ფარული არსებობა.

სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად,



#### §4. დანაშაულის მოტივი და მიზანი

დანაშაულის მოტივი და მიზანი ქმედების სუბიექტური მხარის დამოუკიდებელი ნიშნებია. შერაცხადი პირის ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის დანაშაული, გამომდინარეობს განსაზღვრული მოტივიდან და მიმართულია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. ადამიანის მოქმედებას თან ახლავს ემოციები.

##### 1. დანაშაულის მოტივი და ემოციები

დანაშაულის მოტივი არის ის შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანს ამა თუ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ უბიძგებს. მოტივის საფუძველია მოთხოვნილებები და ინტერესები. დანაშაულის მოტივაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციებს, ე.ი. გრძნობებს, რომელსაც პირი განიცდის. ეს გრძნობები ხშირად წარმოადგენს ძლიერ სტიმულს ამა თუ იმ მოქმედების ჩასადენად. გრძნობები ანუ ემოციები შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, სასიამოვნო ან უსიამოვნო ან კიდევ შურის, შიშის, ზიზღის გამომწვევი და სხვ.

ემოციებმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სულიერი აღელვება (განრისხება, სასოწარკვეთილება, ალტაცება). ემოციები ანუ გრძნობები გამოძახილს ჰპოულობენ ადამიანის ფსიქიკაში და მონაწილეობენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის განზრახვის ან მისგან თავის შეკავების გადაწყვეტილების მიღებაში. ემოციები მხოლოდ ერთგვარ ზემოქმედებას ახდენენ სულიერ განწყობილებაზე, მაგრამ ვერ იწვევენ პირის მიერ თავისი მოქმედებისადმი კონტროლის სერიოზულ დაკარგვას, რის გამოც ფიზიოლოგიური აფექტი არ გამოირიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ ქმნის დანაშაულის პრივილეგირებულ შემადგენლობას (სსკ-ის 111 მუხლი, განზრახ მკვლელობა უცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში).

დანაშაულის მოტივი ყოველთვის ანტისოციალურია, რადგანაც იწვევს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელიც საზოგადოებისათვის საზიანოა. ადამიანის ნებისყოფის გამოვლენის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც წინ უსწრებს

მოტივებს შორის ბრძოლა. ესე იგი ბრძოლა მოვალეობის შევსებასა და სხვა საწინააღმდეგო გრძობებს შორის. განზრახი დანაშაულის დროს ადამიანის მოვალეობის შევსებაზე იმარჯვებს დანაშაულებრივი მოტივი და დგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

დანაშაულის მოტივი არის პირის ქვეანგარძობა (Hintergedanke), რომლითაც ის ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენის დროს. მოტივი აღძრავს სურვილს (ნდომას), დანაშაულის ჩასადენად. უმოტივო განზრახი დანაშაული ფაქტობრივად არ არსებობს.<sup>44</sup>

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს შეიძლება მსჯელობა მოტივზე მხოლოდ თვით მოქმედების მიმართ, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო შედეგი და არა ქმედების შედეგის მიმართ, რადგანაც გაუფრთხილებლობის დროს პირს წარმოდგენილი არა აქვს და არც უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას.


დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს: 1) კაცთმოძულეობა, მაგალითად, დანაშაული კაცობრიობის, მშვიდობის, უშიშროების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ (სსკ-ის 404-ე-413-ე მუხლები); 2) ანგარება ან სხვა ქვეანგარებები (სსკ-ის 109-ე მუხლი, 177-ე-186-ე მუხლები და სხვა); 3) პირადი მოტივები, აქ შედის ეჭვიანობა, შური, კარიერისმი (სსკ-ის 108-ე მუხლი) და სხვა.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში კანონმდებლის მიერ მოტივი შეტანილია როგორც ძირითადი ელემენტი, ზოგში კი როგორც ქმედების დამახასიათებელი გარემოება. პირველის მაგალითია სსკ-ის 341-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო მოხელის მიერ ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანას ოფიციალურ დოკუმენტებში, ანდა ყალბი დოკუმენტის შედგენას ან გაცემას, ჩადენილს ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. ამ მოტივის გარეშე ჩადენილი ქმედება სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას არ იძლევა. მეორის მაგალითია სსკ-ის 109-ე მუხლის „ი“ პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას ანგარებით ან შეკვეთით, თუ მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით არაა ჩადენილი, არ გვექნება სახეზე განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. აქ მოტივი არის დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება.

გამორიცხული არ არის, რომ დანაშაულის მოტივი იყოს პირის

<sup>44</sup> აღ. ვაჩიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე სამჭოთა სისხლის სამართალში - თბილისი, 1957 წელი, გვ. 6-39

მიერ ჩადენილი დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებაც. მაგალითად, მღვღანეების ან შიშის დროს დანაშაულის ჩადენა შეიძლება სასამართლომ მიიღოს სასჯელის ზომის შემამსუბუქებელი გარემოებად.



## 2. დანაშაულის მიზანი

დანაშაულის მიზანი არის ის შედეგი, რომლის მისაღწევად პირი ჩადის ამა თუ იმ კონკრეტულ კანონით აკრძალულ ქმედებას. ზოგჯერ დანაშაულის მოტივი და მიზანი ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ არა.

დანაშაულის მიზანი განზრახ მკვლელობის დროს არის სხვისი სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო მოსპობა, მოტივი კი შეიძლება იყოს შურისძიება ან ეჭვიანობა. სხვისი ქონების ხელყოფის დროს დანაშაულის მოტივი და მიზანი ემთხვევა ერთმანეთს და გამოიხატება სხვისი ქონების მისაკუთრების სურვილში. დეზერტირობის დროს დანაშაულის მიზანია სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება და ამავდროულად მოტივით სამსახურში გამოუცხადებლობა.

დანაშაულის მოტივი და მიზანი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. დანაშაულის მიზანი წარმოიშობა დანაშაულის მოტივის საფუძველზე. მოტივი\* და მიზანი დამახასიათებელია მხოლოდ განზრახვი დანაშაულისათვის, ამიტომ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს არ ახასიათებს მოტივი და მიზანი. დანაშაულის მოტივი და მიზანი ყოველთვის კონკრეტულია და გათვალისწინებულია სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში.

დანაშაულის მიზანი არის დანაშაულის სუბიექტის აზრობრივი მოდელი იმ შედეგისა, რომლისკენაც მიისწრაფის ის, რათა დაიკმაყოფილოს თავის მოთხოვნილება ან ინტერესი. მოტივი ყოველთვის წინ უსწრებს მიზანს.

დანაშაულის მიზნის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების მართლწინააღმდეგობის ხარისხის დასადგენად. იგი ახასიათებს დამნაშავეს პიროვნებას და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი განზრახვის შინაარსზე. იგი შეიძლება იყოს დანაშაულის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება.

ამრიგად, დანაშაულის მოტივი და მიზანი ქმედების სუბიექტური მხარის ელემენტებს წარმოადგენენ და მათ დიდი მნიშვნელობა

აქვთ ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისა და სამართლის განაჩენის დადგენისათვის.

**§5. შეცდომის ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში**

შეცდომა ქმედების სუბიექტური მხარის ნიშანია და ორი სახისაა: იურიდიული შეცდომა და ფაქტობრივი შეცდომა.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში შეცდომას უწოდებენ პირის მცდარ წარმოდგენას მის მიერ ჩადენილი ქმედების იურიდიულ და ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ. შეცდომა გამოიხატება ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ პირმა არ იცის, რომ მისი ქმედება კანონით აკრძალულია და დასჯადია, იგი შეიძლება აგრეთვე ეხებოდეს მიჩნეობრივი კავშირის განვითარებას პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და სხვ. სისხლის სამართალში სუბიექტური შერაცხვის პრინციპი მოითხოვს, რომ მიუკერძოებლად შეფასდეს პირის როგორც სწორი, ისე მცდარი წარმოდგენები, რათა სამართლიანად იქნეს გადაწყვეტილი, არის თუ არა მის ქმედებაში დანაშაულის ის შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში.

ძველი სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავდა ნორმას, რომელიც მოაწესრიგებდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საკითხს იურიდიული შეცდომის დროს და ეს საკითხი წყდებოდა სისხლის სამართლის თეორიის დებულებების მიხედვით. ახლმა სისხლის სამართლის კოდექსმა შეავსო ეს ხარვეზი და 36-ე მუხლში გაითვალისწინა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს იურიდიული შეცდომის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობის საკითხი.

**1. იურიდიული ანუ სამართლებრივი შეცდომა (სსკ-ის 36-ე მუხლი)**

სსკ-ის 36-ე მუხლი, რომელიც იურიდიულ შეცდომას ითვალისწინებს, სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის თანახმად: „ის ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის,

აყრდალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატყვებელია".

იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „შეცდომა მისატყვებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აყრდალულ ქმედებას“.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „როცა შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება ამ კოდექსით“.

ეს ის შემთხვევაა, როცა პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აყრდალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ამის გათვალისწინება მას ვეალებოდა და შეეძლო კიდევაც.

სსკ-ის 36-ე მუხლი ეხება მხოლოდ სამართლებრივ (იურიდიულ შეცდომას), ხოლო ფაქტობრივი შეცდომის საკითხები განიხილება სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლების (განზრახვის და გაუფრთხილებლობის) ფარგლებში.

იურიდიული ანუ სამართლებრივი შეცდომა არის პირის მცდარი წარმოდგენა მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, ქმედების დასჯადობის თუ დაუსჯადობის, ქმედების კვალიფიკაციის და მოსალოდნელი სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

შეცდომა მართლწინააღმდეგობაში ნიშნავს იმას, რომ: 1) პირმა ჩაიდინა ქმედება, რომელიც კანონით აყრდალული არ არის და არ ისჯება, მაგრამ ცდება და ჰგონია, რომ მისი ქმედება აყრდალულია და დასჯადია. 2) ან პირიქით, ჩაიდინა ქმედება, რომელიც კანონით აყრდალულია და დასჯადია, მაგრამ უშეგებს შეცდომას და ჰგონია, რომ მისი ეს ქმედება კანონით აყრდალული არ არის და არც დასჯადია. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოჩვენებით დანაშაულთან, მაგალითად, პირს, რომელმაც გაუფრთხილებლობით თავის მეგობარს მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დამიანება, ჰგონია რომ ჩაიდინა დანაშაული, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ჯანმრთელობისათვის გაუფრთხილებლობით მსუბუქი კატეგორიის დამიანების მიყენებას დანაშაულად და დასჯადად არ მიიჩნევს. ასეთი სახის იურიდიული შეცდომა, რომელიც მოჩვენებით ხასიათს ატარებს საერთოდ გამოორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგანაც არ გვაქვს საბჭოე დანაშაულის შემადგენლობა.

მეორე შემთხვევაში, ე.ი. როცა პირს ჰგონია, რომ მისი ქმედება არ არის კანონით აკრძალული და დასჯადი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება თუ მას შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ასეთი შემთხვევაში შეცდომა არ იქნება მისატყვებელი.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პირს არ ჰქონდა შეგნებული და არც შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და შედეგი, იგი შეიძლება ცნობილ იქნეს არაპრაღეულად და გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პირის მიერ სპეციალურ ბლანკეტურ ნორმაში მოცემული ქცევის წესების დარღვევა, რისთვისაც დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ ხდება რომ პირმა არ იცის ბლანკეტური ნორმის შინაარსი. მართლაც პირმა შეიძლება არ იცოდეს სავალუტო ოპერაციის წესები, შრომის დაცვის წესები, ამა თუ იმ სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების წესები, რომელიც სპეციალურ ინსტრუქციაში ან დებულებაშია გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში პირს შეიძლება არ ჰქონდეს და არც შეეძლოს ჰქონდეს საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება, ასეთი შეცდომა მისატყვებელია, რადგანაც ბრალი სახეზე არაა, ხოლო ქმედება, რომელშიც ბრალი არაა, არ არის მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი, მაგრამ თუ პირს ევალეზობდა სცოდნოდა და შეეძლო კიდევაც – მან პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულისთვის, თუ ასეთი ქმედება საერთოდ კანონით დასჯადია.

არსებობს იურიდიული ანუ სამართლებრივი შეცდომის სხვა სახეებიც. შეიძლება პირმა შეცდომა დაუშვას მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის სახის და ზომის შეფასების საკითხებში, მაგრამ იგი ვერ მოახდენს გაფლენას დანაშაულის კვალიფიკაციაზე, მაგალითად, თუ პირი ფიქრობს, რომ განზრახი მკვლელობა, რომელიც მან ჩაიდინა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 111-ე მუხლით (განზრახი მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი, აღელვების მდგომარეობაში) და არა სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახი მკვლელობა) – ეს მდგომარეობა გაფლენას ვერ მოახდენს სასჯელის სახესა და ზომასზე, ვერც კვალიფიკაციაზე და სხვ.

## 2. ფაქტობრივი შეცდომა

ფაქტობრივი შეცდომა არის პირის მცდარი წარმოდგენა იმ გარემოების შესახებ, რომელიც ძირითადად მიეკუთვნება დანაშაულის შემადგენლობის ორ ნიშანს: ობიექტს და ობიექტურ მხარეს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში შინაარსის მიხედვით ასხვავებენ ფაქტობრივი შეცდომის შემდეგ სახეებს: 1. შეცდომას ობიექტში; 2. შეცდომას ხელყოფის საგანში; 3. შეცდომას დაზარალებულის პიროვნებაში; 4. შეცდომას დანაშაულის ჩადენის საშუალებაში და 5. შეცდომას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. აქედან პირველი სამი წარმოადგენს შეცდომას, რომლებიც შეეხებიან დანაშაულის ობიექტს, ხოლო დანარჩენი ორი კი დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებს. განვიხილოთ ცალ-ცალკე:

1. შეცდომა ობიექტში არის დანაშაულის სუბიექტის არასწორი წარმოდგენა იმ ობიექტზე, რომელსაც ის ხელყოფს, ამ შემთხვევაში პირი მის მიერ ხელსაყოფად ნასურვები უშუალო ობიექტის ნაცვლად შეცდომით თავს ესხმის სხვა ობიექტს და აზიანებს მას.

ობიექტში შეცდომა შეიძლება ორი სახით გამოვლინდეს. პირველი, როცა პირის განზრახვა კონკრეტული ირებულია ე.ი. როცა მას ნათელი წარმოდგენა აქვს იმ ობიექტზე, რომელსაც თავს ესხმის და იცის თუ რა შედეგები მოჰყვება მის ქმედებას და სურს მხოლოდ ამ შედეგის მიღება, თანაც სხვა შედეგი მას არ აინტერესებს, მაგალითად: დამნაშავემ განიზრახა რა საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის ხელყოფა - უშვებს შეცდომას და მის ნაცვლად სიცოცხლეს უსპობს რიგით მოქალაქეს. აქ ზიანი მიყენებულია სხვა ობიექტზე - რიგითი მოქალაქის სიცოცხლეზე, რომლის მოვლა დამნაშავეის განზრახვაში არ შედიოდა, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება განზრახვის მიმართების მიხედვით და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 325-ე მუხლით, როგორც საქართველოს პოლიტიკურ თანამდებობის პირზე თავდასხმა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ობიექტში შეცდომის მეორე სახე შეიძლება გამოიხატოს ბრალდებულის მიერ იმ გარემოებების არცოდნაში, რომელიც ცვლის ამ ობიექტის კანონისმიერ სოციალურ და ოურიდიულ შეფასებას. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა დანაშაულის ობიექტი კანონით დაცულია უფრო მკაცრად იმასთან შედარებით, როგორსაც დამნაშავე

ფიქრობს. მაგალითად, განზრახ მკვლელობა ქალისა, რომელიც  
ორსულადაა, ან კიდევ არასრულწლოვნის გაუპატიურება. აღნიშნული  
გარემოებები ზრდიან დანაშაულის საზოგადოებრივ საქმეში და  
და კანონით უფრო მკაცრად ისჯებიან, თუ დამნაშავეს აწივს  
ამ დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შესახებ - დანაშაული  
უნდა დაკვალიფიცირდეს ჩვეულებრივ. პირიქით, როცა ბრალდებული  
დარწმუნებულია, რომ კლავს ორსულ ქალს, ან აუპატიურებს  
არასრულწლოვანს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალი ორსული არ  
ყოფილა, ხოლო ქალი, რომელიც არასრულწლოვანი ეგონა,  
სრულწლოვანი ყოფილა - ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს  
განზრახვის მიმართების მიხედვით, შესაბამისად როგორც  
დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა და გაუპატიურება.

2. შეცდომა ხელყოფის საგანში გვაქვს მაშინ, როდესაც  
ბრალდებულს მცდარი წარმოდგენა აქვს არა დანაშაულის ობიექტზე,  
არამედ საგანზე, რომელიც ობიექტის კონკრეტულ სახეს  
წარმოადგენს. მაგალითად, ქურდები რუნიგზის კონტეინერიდან  
იპარავენ ყუთებს, რომლებშიც მათი წარმოდგენით დევს იაპონური  
მცირე გაბარიტიანი ტრანზისტორები, სინამდვილეში მათ მოიპარეს  
საპარფიუმერიო ნაწარმის ყუთები, რომელიც გარეგნულად ტრანზის-  
ტორის შეფუთვას ჰგავდა. ასეთი შეცდომა ხელყოფის საგანში  
გავლენას ვერ მოახდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე  
და ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის  
მეორე ნაწილით, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფასეული  
დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

3. შეცდომა დამზარალებულის პიროვნებაში გვაქვს მაშინ,  
როდესაც დამნაშავე შეცდომით ზიანს აყენებს არა ნაგულისხმევ,  
არამედ სხვა პიროვნებას. მაგალითად, დამნაშავემ განიზრახა მოქ-  
ბერიძის მოყვლა, მიამსგავსა რა მას მოქ. კეჭახმაძე, შეცდომით  
კლავს ამ უკანასკნელს. ამ შემთხვევაში შეცდომა ობიექტში კი  
არაა დაშვებული, არამედ - დამზარალებულის პიროვნებაში. ორივე  
შემთხვევაში დანაშაულის ობიექტად აღამიანის სიცოცხლე რჩება,  
რომელსაც კანონი თანაბრად იცავს. აღნიშნულის გამო შეცდომა  
დამზარალებულის პიროვნებაში არ ცვლის დანაშაულის კვალიფიკაციას  
და ეს ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ბერიძის განზრახ  
მკვლელობის მცდელობა, ხოლო კეჭახმაძისა კი გაუფრთხილებლობით  
მკვლელობად.

4. შეცდომა დანაშაულის ჩადენის საშუალებაში გვექნება მაშინ,

როდესაც პირი შეცდომით იყენებს სხვა საშუალებას, რომელიც დაგეგმილი არ ჰქონდა ამ დანაშაულის ჩასადენად. როგორც წესი შეცდომა დანაშაულის ჩადენის საშუალებაში გავლენას ვერ მოახდენს ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციაზე, რადგანაც ობიექტურად მხრივ სულერთია, მკვლელობა განხორციელდა სამზარეულოში თუ სხვა სივრცეში.

ა) როცა დანაშაულის ჩასადენად პირი იყენებს არა წინასწარ დაგეგმილ, არამედ სხვა საშუალებას, რომელიც თანაბრად ვარგისია სასურველი დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. მაგალითად, ბრალდებული ფიქრობს რომ სხვისი სიცოცხლის მოსასპობად იყენებს სტრიქინს, მაგრამ შეცდომით ხმარობს დარიშხანს და ადამიანი კვდება. იმის გამო რომ ორივე საწამლავი თანაბრად სასიკვდილოა, ასეთ შეცდომას დანაშაულის ჩადენის საშუალებაში მნიშვნელობა არა აქვს და დანაშაული კვალიფიცირდება როგორც განზრახ მკვლელობა.

ბ) როცა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულია საშუალება, რომლის ძალა პირის მცდარი წარმოდგენით უმნიშვნელოა, მაგალითად, მოქალაქემ სააგარაკო ნაკვეთი შემოაკავა მავთულით და მასში ჩართო დენი 60 ვოლტის ძაბვით, რომელიც მისი წარმოდგენით სასიკვდილო არაა, მაგრამ დააფრთხობს ბოროტ-მოქმედებს. წვიმის შემდეგ სველ მავთულს შემთხვევით შეეხო ბავშვი, რომელიც დენის დარტყმის ძალით მოკვდა, ასეთ შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდება, როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობა, რადგანაც სუბიექტს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა.

გ) როცა დანაშაულის ჩასადენად შეცდომით გამოყენებულია საშუალება, რომელიც ამ შემთხვევაში უვარგისი აღმოჩნდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის მისაღებად. მაგალითად, ა-მ განიზრახა შურისძიების ნიადაგზე ი-ს მოკვლა, ჩაუსაფრდა მას, დაუმჩნა თოფი და გამოსწია ჩახმახი, მაგრამ დამცემის უვარგისობის გამო გასროლა არ მოხდა. ასეთი შეცდომის დროს დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს განზრახვი მკვლელობის მცდელობისათვის, რადგანაც მის მიერ ნასურვები შედეგის მისაღწევად გამოყენებული საშუალება მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდა უვარგისი.

დ) როცა დანაშაულის ჩასადენად პირის მიერ შეცდომით

გამოიყენება საშუალება, რომელიც საერთოდ უფარგისია ამისათვის. მაგალითად, სასურველი პირის სიცოცხლის მოსპობისათვის პირი ცრუმორწმუნეობის გამო მიმართავს დაწყევლას, ხატზე გადაცემას და სხვ. ასეთი შეცდომა არ იწვევს სისხლისსამართლოში პასუხისმგებლობას, რადგანაც დანაშაულებრივი შედეგის მოსალოდნელად პირის მიერ არჩეულია სრულიად უფარგისი საშუალება. ასეთი შეცდომა შეიძლება განვიხილოთ, როგორც განზრახვის გამომჟღავნება, რომელიც სისხლის სამართლის წესით არ ისჯება, რადგანაც მას არ ახლავს ისეთი ქმედება, რომელსაც რეალურად შეეძლო საზოგადოებრივად საშიში შედეგის გამოწვევა.

5) შეცდომა მიზნობრივი კავშირის განვითარებაში გვაქვს, მაშინ როდესაც დამნაშავეს არასწორი წარმოდგენა აქვს საკუთარ მოქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის მიზნობრივი კავშირის განვითარებაზე. მაგალითად, ა-მ ბ-ს განზრახ მკვლელობის მიზნით ტყვია ესროლა პისტოლეტიდან. მაგრამ ააცდინა და ტყვია მოხვდა ბენზინის ბაქს, რომელიც აფეთქდა და იქვე მდგომი „ბ“. დაიწვა. მიუხედავად იმისა, რომ ა-მ შეცდომა დაუშვა მიზნობრივი კავშირის განვითარებაში, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ბ-ს განზრახ მკვლელობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონი დამნაშავისაგან ითხოვს, რომ მას შეცნობილი ჰქონდეს თავისი მოქმედების მხოლოდ მთავარი, კანონზომიერი შედეგი და არა ყოველგვარი დეტალი. ამის მიხედვით პირობით შეიძლება განვასხვაოთ არარსებითი და არსებითი შეცდომა მიზნობრივი კავშირის განვითარებაში.<sup>45</sup>

თუ განსხვავება პირის არასწორ წარმოდგენასა და სინამდვილეში დამდგარ შედეგს შორის არარსებითია და მას ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა მიზნობრივი კავშირის განვითარებაზე – ასეთი შეცდომა გავლენას ვერ მოახდენს, დანაშაულის კვალიფიკაციაზე. მაგალითად, ა-მ განზრახა ბ-ს მოკვლა ტყვიის გულში მორტყმით, მაგრამ ტყვია დაზარალებულს მოხვდა თავის არეში და იგი ტვინის დაზიანების გამო გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში ა-ს არასწორი ვარაუდი გავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. რადგანაც მას ზოგადად შეცნობილი ჰქონდა მთავარი, რომ რევოლვერიდან განასროლი ტყვიით მოკვდებოდა დაზარალებული, რაც ასეც მოხდა.

<sup>45</sup> Уголовное право, общая часть, Москва 1998 г. стр. 125-133

სისხლის სამართალს აინტერესებს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ისეთი შეცდომა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს არსებითად არასწორი წარმოდგენა აქვს სასჯელის მოქმედების კანონზომიერი შედეგების შესახებ, რის შედეგად ზიანი ერთდროულად ადგება სისხლის სამართლის კანონით დაცულ რამდენიმე ობიექტს. მაგალითად, კერძო მანქანის მძღოლმა დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესები და მანქანა დააჯახა გზის გვერდულაზე ველოსიპედით მოსიარულეს, რომელმაც დაკარგა გრძობა. მძღოლმა შემოწმებისა და დარწმუნების გარეშე ველოსიპედისტი ჩათვალა მკვდრად და დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ჩააგდო მდინარეში, ხოლო ველოსიპედი გადამალა ბუჩქებში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებით გამოიჩვენა, რომ ველოსიპედისტის სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო მდინარეში დახრჩობა (ასფექსია) და არა მანქანის დაჯახების შედეგად მიღებული სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება. მოცემულ შემთხვევაში კერძო მანქანის მძღოლმა დაშვებული შეცდომის გათვალისწინებით პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით, იმ ზიანისათვის, რაც მან მიაყენა ველოსიპედისტს. კერძოდ: ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა სხეულის მძიმე დაზიანება (საქ. სსკ-ის 276-ე მუხ. 1 ნაწ.) და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის, რომელიც დადგა ველოსიპედისტის წყალში გადაგდების შედეგად (საქ. სსკ-ის 116-ე მუხლი).

მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის ერთ-ერთი სახესხვაობაა მოქმედების გადახრა. ამ სახის შეცდომას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა გარკვეულ გარემოებათა შედეგად ფაქტობრივი ზიანი ადგება არა იმ პირს, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული დამნაშავეის მოქმედება, არამედ სხვა პირს. მაგალითად, ა-ს სურს ბ-ს მოკვლა, დაინახავს რა მას ქუჩაში ამხანაგებთან მიმავალს, ესვრის პისტოლეტიდან, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ მომენტში გვერდით გადაიწევა, მის ადგილზე აღმოჩნდება სხვა პირი, რომელსაც ტყვია თავში ზედება და კვდება. ამ შემთხვევაში დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ბ-ს განზრახვი მკვლელობის მცდელობისათვის (სსკ-ის 19-108-ე მუხლი) და მეორე პირის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის (სსკ-ის

116-ე მუხ.), რადგანაც ა. ვალდებული იყო და შეიძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა, რომ ასეთ პირობებში გასროლილ ტყვიას შეეძლო სხვა პირების სიცოცხლის მოსაპოვაც.

ზოგჯერ შეცდომა მიხეზობრივი კავშირის განხილვაში გამოიხატება იმაში, რომ პირს არა აქვს შეცნობილი, თუ რა შედეგს გამოიღებს მისი მოქმედება. ამ შემთხვევაში გამორიცხულია განზრახი დანაშაული, მაგრამ შედეგის მიხედვით შეიძლება სასჯენ გვექონდეს გაუფრთხილებლობითი დანაშაული, მაგალითად, გამოუცდელმა მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა მოლიპულ გზაზე, ინერციის ძალით მანქანა გაცურდა და გადავიდა ტროტუარზე, სადაც დაეჯახა ფეხით მოსიარულეს და მოკლა ის. ამ შემთხვევაში მძღოლს არ ჰქონდა წარმოდგენილი თავისი ქმედების მთავარი, კანონზომიერი შედეგი და მან პასუხი უნდა აგოს მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისათვის, თუ მას უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა.

## §6. შეცდომა და გაუფრთხილებლობა

როგორც ვიცით, გაუფრთხილებლობა, ისევე როგორც განზრახვა, ქმედების სუბიექტური მხარის ელემენტებია. განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს გამორიცხული არაა შეცდომის დაშვება, რაზედაც ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ.

აქ მოკლედ შევეხებით შეცდომის საკითხს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით და დაუდევრობით.

დანაშაულის თვითიმედოვნებით ჩადენის დროს პირის მოქმედებას საფუძვლად უდევს მცდარი წარმოდგენა ამა თუ იმ გარემოებების შესახებ, რომლებზე დაყრდნობით იგი ვარაუდობს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავიდან იქნება აცილებული. იგი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს და ამიტომ უშვებს შეცდომას, რომელიც მისატყვებელი არაა.

დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს პირის წინაშე სრულებით არ წარმოიშობა საკითხი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მოსალოდნელობის შესახებ. ამ დროს პირი სრულებით არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგის

დადგომას, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი. დაუდევრობა ქმედების შედეგის მიმართ წარმოდგენის უქონლობით ხასიათდება და ეს არის შეცდომა, რომელიც შედეგის სიმძიმის გათვალისწინებით შეიძლება მიუტყვევებელი იყოს და მასასადამე გასაკიცხი. შეცდომა, რომელიც დევს დაუდევრობის ცნებაში, გამოიხატება პირის მიერ ჩადენილი ქმედების შეუფასებლობაში.

თუ პირი არ ითვალისწინებდა მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ ევალუბოდა და არც შეეძლო მისი გათვალისწინება, გაუფრთხილებლობითი ბრალი გამორიცხულია და არსებობს შროლოდ "შემთხვევა", რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შეცდომის ცნებას და მნიშვნელობას სისხლის სამართალში სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სარიამ. ეს ნაშრომი წარმოადგენს შეცდომის პრობლემების საფუძვლიანი შესწავლის შედეგს და დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს, ასევე თეორიულ სფეროში მოღვაწე ამ საკითხით დაინტერესებულ იურისტებს.<sup>46</sup>

<sup>46</sup> ნ. სარია, შეცდომის ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში, თბილისი, 2001 წელი.



დაუშთავრებელი დანაშაული (სსკ-ის 241-1-ის შესახებ)  
 საქართველოს კანონი

**§1. დაშთავრებული და დაუშთავრებელი დანაშაულის ცნება**

ყველა განზრახვი დანაშაული შეიძლება იყოს დამთავრებული ან დაუშთავრებელი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როდესაც სუბიექტის მოქმედება შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნებს, რომლის ჩადენის განზრახვაც ჰქონდა მას. დამთავრებული დანაშაული მისი ობიექტური თვისებებით სრულად არის განზორციელებული. მაგალითად, თუ პირი თავის მტერს მოკვლის განზრახვით ესერის ტყვიას და ეს შედეგი დადგა, საქმე გვაქვს დამთავრებულ დანაშაულთან – განზრახ მკვლელობასთან, მაგრამ თუ მხოლოდ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას მიიღებს, მაშინ გვექნება განზრახ მკვლელობის მცდელობა, რომელიც ასევე დამთავრებული დანაშაულია. დანაშაულის დამთავრების მომენტი სხვადასხვაა და დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასზე.

ფორმალური ანუ შედეგგარეშე დანაშაული დამთავრებულად ითვლება თვით კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მოჰყვა თუ არა მას რაიმე მატერიალური ზიანი, ხოლო მატერიალური ანუ შედეგიანი დანაშაული დამთავრებულად ითვლება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის მომენტიდან, თუ ასეთი შედეგი არ დამდგარა, საქმე გვექნება ამ სახის დანაშაულის მცდელობასთან.

დანაშაული დაუშთავრებელია, როცა მისი ობიექტური მხარე არ არის დასრულებული, ე.ი. არ არის სახეზე მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომლის დადგომა აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისათვის, ან არ არის განზორციელებული მთლიანად თუ ნაწილობრივ ის ქმედება, რაც კანონითაა გათვალისწინებული და ყველაფერი ეს გამოწვეულია ისეთი მიზეზებით, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი დანაშაულის სუბიექტის ნებაზე.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი განზრახვა ზოგჯერ დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში, ზოგჯერ კი გარკვეული დროის

გავლის შემდეგ, რომლის შუალედში პირი ემზადება დანაშაულის ჩადენისათვის.

ამრიგად, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება არის პროცესი, რომელიც გაივლის შემდეგ სტადიებს: 1) დანაშაულის მომზადება; 2) დანაშაულის მცდელობა და 3) დამთავრებული დანაშაული. პირველ ორ სტადიას უწოდებენ წინასწარი დანაშაულებრივ საქმიანობას. ამ სტადიების გავლა ყველა განზრახვი დანაშაულის დროს სავალდებულო არ არის. პირს ხშირად ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა შეუძლია ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე. წინასწარი მომზადება არ სჭირდება ზოგიერთ ისეთი განზრახვი დანაშაულის ჩადენას, რომელიც უმოქმედობით ხორციელდება, მაგალითად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების შეუტყობინებლობა (სსკ-ის 376-ე მუხლი).

დანაშაულის მზადებას და საერთოდ წინასწარ დანაშაულებრივ საქმიანობას შეიძლება წინ უსწრებდეს განზრახვის გამოძეგლავნება. განზრახვის გამოძეგლავნება არის პირის მიერ დანაშაულებრივი განზრახვის გაგებინება მეორე პირისათვის სიტყვიერად, წერილობით, ზოგჯერ დანარალებულისადმი დამუქრებით ან ისეთი მოქმედებით, რომელიც გადაჭრით არ ქმნის დანაშაულის ჩადენის პირობას, მაგრამ მოუთითებს პირის დანაშაულებრივ განზრახვაზე. ასეთი ქმედება არ ისჯება სისხლის სამართლის წესით იმის გამო, რომ საერთოდ არ ისჯება შიმველი განზრახვა (აზრი, სურვილი), რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებაში არ გადაზრდილა და რეალური განხორციელების საფრთხეს არ ქმნის. ამიტომ დანაშაულის გამოძეგლავნება არ მიეკუთვნება დანაშაულის განვითარების ცალკე სტადიას. ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენის სტადიებია მხოლოდ დანაშაულის მომზადება და მცდელობა. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

## **§2. დანაშაულის მომზადება (სსკ-ის მე-18 მუხლი)**

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის მომზადება გათვალისწინებულია სსკ-ის მე-18 მუხლით, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის განსახორციელებლად პირობების განზრახვ შექმნა, რომელიც გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად

სამუალებების თუ იარაღის გამოძებნაში ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნაში. დანაშაულის იარაღის გამოძებნა ნიშნავს მის შეძენას მომავალში დანაშაულის ჩადენის მიზნით. დანაშაულის ჩადენის იარაღია ყოველგვარი საგანი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს იქნეს დანაშაულის ჩასადენად, მაგალითად, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი. დანაშაულის ჩადენის სამუალებას წარმოადგენს ისეთი საგანი, რომელიც საჭიროა დანაშაულის განხორციელებისათვის ან გადავილებისათვის. მაგალითად, ყალბი შტამპის და ბეჭდის ან ბლანკის დამზადება შემდეგში ყალბი საბუთების დასამზადებლად, მორგებული გასაღების შოვნა ბინის გაქურდვის ჩასადენად, ტრანსპორტის შოვნა დანაშაულებრივად მოპოვებული ქონების გადასატანად, ძლიერმოქმედ შხამის მომარაგება მკვლელობის ჩასადენად და სხვ. დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა ნიშნავს ისეთ მოქმედებას, რაც აადვილებს მომავალში დანაშაულის ჩადენას, მაგალითად დანაშაულის ადგილის წინასწარი დათვალიერება, ეზოს ძაღლის მოწამვლა, ელექტროენერჯის სადენების გადაჭრა და სხვ. სუბიექტური მხრივ დანაშაულის მომზადება სასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის, ე.ი. ისეთი დანაშაულის მომზადებისათვის, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება არ ისჯება.

ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის ამავე კოდექსის მე-18 მუხლზე მითითებით. მაგალითად, თუ პირმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, მისი ქმედება ჩვეულებრივ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით, მაგრამ თუ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობისათვის მომზადება, მაშინ დანაშაული დაკვალიფიცირდება სსკ-ის 18-108-ე მუხლით, სადაც მე-18 მუხლი მიგვანიშნებს, რომ ადგილი ჰქონდა არა დამთავრებულ განზრახ მკვლელობას, არამედ მხოლოდ განზრახ მკვლელობისათვის მომზადებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, გამონაკლისის სახით, ზოგიერთი დანაშაულის მომზადება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა მისი განხორციელება, გამოცხადებულია დამთავრებულ დანაშაულს მსგავსად სსკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული აგრესიული ომის მომზადების შემადგენლობა ითვლება დამთავრებულ დანაშაულად, რაც გამოწვეულია იმით, რომ აგრესიული ომის მომზადება, მიმართულია კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ და განსაკუთრებით საშიშია მსოფლიო ცივილიზაციისათვის, რის გამოც კანონმდებელი არ ელოდება ამ დანაშაულის ობიექტური მხარის განხორციელებას და მისი ძირშივე ალკვეთის მიზნით აცხადებს მას დამთავრებულ დანაშაულად განხორციელების დაწყებამდე.

### **§3. დანაშაულის მცდელობა** **(სსკ-ის მე-19 მუხლი)**

დანაშაულის მცდელობა დაუთავრებელი დანაშაულის მეორე სტადიას წარმოადგენს. სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

თუ დანაშაულის მომზადება გულისხმობს პირობის შექმნას მომავალში დანაშაულის ჩასადენად, მცდელობა კი წარმოადგენს მის დასაწყისს, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად.

დანაშაულის მცდელობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ პირი ასრულებს ყველა ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია მის მიერ ნასურვები დანაშაულის ჩადენისაკენ და ამით ნაწილობრივ ქმნის ამ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. მაგალითად, მტრის მოკვლის მიზნით პირი მას დამიზნებით ესვრის პისტოლეტიდან, მაგრამ ააცდენს და სიკვდილი არ დადგება. ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტმა შეასრულა ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო იყო განზრახულის მისაღწევად, მაგრამ შედეგი მიუღწეველი დარჩა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ამიტომ საქმე გვაქვს არა დამთავრებული მკვლელობის შემადგენლობასთან, არამედ მის მცდელობასთან.

დანაშაულის მცდელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის მცდელობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როცა დედა, სამწუხაროდ, მოკვლის განზრახვით არ აწოვებს თავის ჩვილს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს. მიუხედავად ამოუკიდებელი მიზნების გამო, ამ შემთხვევაში დედა განზრახ მკვლელობის ჩადენის მცდელობას ასორციელებს უმოქმედობით.

დანაშაულის მცდელობა შეიძლება იყოს ორი სახის: დამთავრებული და დაუმთავრებელი.

დაუმთავრებელი მცდელობა გვაქვს მაშინ, როდესაც პირმა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება, რომელსაც ნასურვები მართლსაწინააღმდეგო შედეგები უნდა მოჰყოლოდა მაგალითად, ა-მ ღვინოში საწამლავე ჩაუყარა ბ-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს ეს ღვინო ჯერ კიდევ არ დაუღვია. ასეთ შემთხვევაში გვექნება დაუმთავრებელი მცდელობა.

დამთავრებულ მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირმა ბოლომდე ამოწურა დანაშაულებრივი ქმედების შინაარსი და შედეგის დადგომას ელოდება. მაგალითად, პირმა მტერს ღვინოში საწამლავე ჩაუყარა და მოტყუებით დააღვინა, მაგრამ საწამლავის დოზა სასიკვდილო არ აღმოჩნდა და იგი გადაარჩა, ამ შემთხვევაში გვექნება დამთავრებული მცდელობა.

ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვით დანაშაულის მცდელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სამართლის დოქტორის მ. ტურავას აზრით, ევენტუალური განზრახვითაც შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახვი დანაშაულის ჩადენის მცდელობა. მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ა-მ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საკუთარი ძალების დემონსტრირების მიზნით დაიწყო უმისამართოდ სროლა. მას არ სურს გასროლილი ტყვია ვინმეს მოხვდეს, მაგრამ არც შედეგის დადგომის გარდაუვალობაშია დარწმუნებული. ამასთან იგი გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას. ასეთ ვითარებაში ტყვია მოხვდა ბავშვს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. მისი აზრით, ჩადენილი მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ევენტუალური განზრახვით ჩადენილია განზრახვი მკვლელობის მცდელობა.<sup>47</sup>

<sup>47</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2000 წელი ქ. თბილისი, გვ. 77-79.

დანაშაულის მცდელობის დროს სისხლის სამართლის თეორიაში გამოყოფენ ე.წ. უვარგის მცდელობას მისი ორი სახით — მცდელობა უვარგის ობიექტზე და მცდელობა უვარგისი საგნით. ობიექტზე უვარგისი მცდელობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როცა ა-მ განზრახა მოკლას ბ და ურტყამს დანას მკვლელობის განზრახვით, მაგრამ იგი უკვე მკვდარია. უვარგისი საგნით დანაშაულის ჩადენის მცდელობად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ა-მ განზრახა ბ-ს მკვლელობა და გამოკრა ჩახმახს, მაგრამ იარაღში ტყვია არ აღმოჩნდა და გასროლა არ მოხდა. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მცდელობას. ასეთი მცდელობა დაკვალიფიცირდება როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა.

სსკ-ის მე-19 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ამ სახის დამთავრებული დანაშაულისათვის მე-19 მუხლზე მითითებით. მაგალითად, პირმა ჩადინა განზრახი მკვლელობა მისი დანაშაული დაკვალიფიცირდება პირდაპირ სსკ-ის 108-ე მუხლით, მაგრამ თუ პირმა სცადა განზრახ მკვლელობის ჩადენა, მაგრამ შედეგი არ დადგა — მისი დანაშაული დაკვალიფიცირდება სსკ-ის მე-19 მუხლზე მითითებით ე.ი. სსკ-ის 19-108-ე მუხლით, სადაც მე-19 მუხლი მიგვანიშნებს, რომ ადგილი ჰქონდა არა დამთავრებულ განზრახ მკვლელობას, არამედ მხოლოდ განზრახ მკვლელობის მცდელობას.

სსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი. მაგალითად, პირმა თვითმფრინავს ჩამოგდების მიზნით შორი მანძილიდან ესროლა თოფიდან. მიუხედავად იმისა, რომ პირს ჰქონდა თვითმფრინავის ჩამოგდების განზრახვა, მისი ეს მოქმედება იმდენად არატიპურია და სოციალურად უმნიშვნელო, რომ იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ გამოიწვევს.

#### §4. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (სსკ-ის 21-ე მუხლი)

ქართული

სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მკვლელობის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება იმას ნიშნავს, რომ პირი საკუთარი ინიციატივით და საბოლოოდ შეგნებულად წყვეტს დანაშაულებრივ საქმიანობას, გადაიფიქრებს ადრე განზრახული დანაშაულის დამთავრებას და არაფერს აკეთებს მისი ბოლომდე მიყვანისათვის, მაშინ როდესაც მისი სისრულეში მოყვანის სრული შესაძლებლობა აქვს.

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი შეიძლება იყოს საკუთარი ქცევის მართლწინააღმდეგობის შეგნება, სიბრალული დაზარალებულის მიმართ, მოსალოდნელი სასჯელის შიში და სხვ.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის აზრიდან გამომდინარე პირს დამთავრებული მცდელობის სტადიაზეც შეუძლია ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. მოვიყვანოთ მაგალითები: 1) პირმა თავისი მტრის სიცოცხლის მოსპობის მიზნით შეიძინა საწამლავი, მაგრამ შემდეგში გადაიფიქრა და საწამლავი გაანადგურა. გვექნება დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების სტადიაზე. 2) ა-მ გადაწყვიტა მოწამლოს ბ. ჩაუყარა საწამლავი ღვინოში, მაგრამ გადაიფიქრა და თვითონ გააფრთხილა არ დაელია ღვინო. გვექნება დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე. 3) ა-მ გადაწყვიტა მოეწამლა ბ., ჭიქაში ჩაუყარა საწამლავი, რომელიც ბ-მ დალია, მაგრამ ა-ში სინანულის გრძობამ გაიღვიძა და თვითონ ყველა საშუალება იხმარა, რის შედეგად ბ. გადარჩა - გვექნება დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის სტადიაზე.

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. მაგალითად, ა-მ საწამლავი დააღვინა ბ-ს, შემდეგ

შებრაღა და ყველა საშუალება იმპარა მის გადასარჩენად, მ  
გადარჩა. საქმე გვაქვს აქტიური მოქმედებით დანაშაულის ჩადენაზე  
ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. მეორე შემთხვევა, მაგალითად,  
პირმა ერთი გასროლით ტყვია ვერ მოახვედრა მტერს, მაგრამ მან  
გადაიფიქრა მსხვერპლის სიცოცხლის მოსაზობა, მეორე და მესამე  
გასროლები არ მოახდინა, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა და  
შეეძლო მიზნისათვის მიეღწია. ამ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის  
ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით.  
ორსავე მაგალითში სახეზე გვაქვს დანაშაულის დამთავრებული  
მცდელობის შემთხვევა, მაგრამ ასეთი ქმედებისათვის პირი  
თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან,  
მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ ჩადენილია დასჯადი ქმედება.  
აღნიშნულის საფუძველია ის, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით  
ხელის აღების შესახებ ნორმა წამახალისებელი ნორმაა, რომელიც  
სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე  
ნებისმიერ პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს, მიუხედავად  
გაკეთებულისა, თავიდან აიცილოს კანონით დაცული სიყეთის  
დამიანება, რის სანაცვლოდ კანონი მას დაუსჯელობას ჰპირდება.  
დამთავრებული მცდელობისათვის პირის პასუხისმგებლობისაგან  
განთავისუფლება დასაბუთებულია ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორიით,  
რომელიც უკავშირდება ანსელმ ფოიერბახის სახელს<sup>48</sup>

სსკ-ის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით პირს, რომელმაც  
ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე,  
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ  
იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება  
სხვა დანაშაულს შეიცავს ესე იგი შეიცავს სხვა დამოუკიდებელი  
დანაშაულის ნიშნებს. მაგალითად, პირმა განზრახა ა-ს მკვლელობა  
და მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა პისტოლეთი, შემდეგ  
ნებაყოფლობით ხელი აიღო მკვლელობის ჩადენაზე – პირმა პასუხი  
უნდა აგოს არა განზრახ მკვლელობის მომზადებისა ან  
მცდელობისათვის, არამედ მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის  
მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვისათვის. ან კიდევ თუ  
პირმა ხელი აიღო მკვლელობის განზრახვაზე და მსხვერპლს მიაყენა  
ჯანმრთელობისათვის განზრახ ნაკლებად მძიმე დამიანება – იგი  
არ დაისჯება განზრახ მკვლელობისათვის, არამედ დაისჯება

<sup>48</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2000 წელი, გვ.  
80-85.

ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მოყენებითაა აღსანიშნავი.

სსკ-ის 21-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის ამსრულებლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობის დადგენას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკმაოდ დაბალი ტოტალური რაოდენობის შემთხვევაში, რომ დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარეს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოებს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. დამხმარეს აგერთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გაცემული იარაღი ან საშუალება. მოვიყვანოთ მაგალითები. ა-მ წააქეზა ბ. მოეკლა გ, მაგრამ შემდეგ უთხრა ნუ მოკლავო და გადაარწმუნა იგი, რის გამოც გ. გადარჩა. აქ გვექნება ნებაყოფლობით ხელის აღება გ-ს მკვლელობაზე, მაგრამ თუ ვერ გადაარწმუნა - გვექნება განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობა, ან კიდევ ა-მ ბ-ს მისცა იარაღი ც-ს მოსაკლავად, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და ისევ უკან გამოართვა იარაღი - გვექნება ნებაყოფლობით ხელის აღება განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობაზე.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შესძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. მოვიყვანოთ მაგალითი: ა-მ ბ. წააქეზა მოეკლა გ., შემდეგ შეეცადა გადაერწმუნებია იგი, მაგრამ ვერ შესძლო და ა-მ მოკლა გ. ასეთ შემთხვევაში ა. არის განზრახ მკვლელობაში თანამონაწილე, მაგრამ მისი ცდა, რომ წაქეზების შემდეგ სცადა გადაერწმუნებია იგი, სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სისხლის-



სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას,  
 ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის  
 განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო  
 დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით  
 თავიდან აიცილა ეს შედეგი. მაგალითად, ა-მ ხიდის უწყვეტობის  
 მიზნით დაამონტაჟა ბომბი და მოუკიდა ფითილს, რომელიც ორ  
 საათში ააფეთქებდა ხიდს, მაგრამ ერთი საათის შემდეგ მასში  
 გაიღვიძა ადამიანურმა გრძობამ, წავიდა და გადაჭრა ფითილი.  
 ა-მ თავისი აქტური ნებაყოფლობითი მოქმედებით თავიდან აიცილა  
 მართლსაწინააღმდეგო შედეგი და ამიტომ იგი სისხლის-  
 სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს.



**დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში  
თანამონაწილეობა (სსკ-ის VII თავში)**

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ერთი პირის, ისე ორი ან მეტი პირის მიერ. ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობა განზრახ დანაშაულის ჩადენაში არის დანაშაულში თანამონაწილეობა, რომელიც ითვლება დანაშაულებრივ საქმიანობის უფროს სამიშ ფორმად, ვიდრე დანაშაულის ჩადენა ერთი პირის მიერ დამოუკიდებლად.

იმის მიხედვით, ერთპიროვნულად განახორციელა სუბიექტმა დანაშაული, თუ სხვებთან ერთად წინასწარ შეთანხმებით - განასხვავებენ დანაშაულის ამსრულებლობას და დანაშაულში თანამონაწილეობას.

**§1. დანაშაულის ამსრულებლობის ცნება  
(სსკ-ის 22-ე მუხლი)**

საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვაასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამრიგად, სსკ-ის 22-ე მუხლი ასხვავებს სამი სახის ამსრულებლობას: 1) უშუალო ამსრულებლობას, 2) თანაამსრულებლობას და 3) შუალობით ამსრულებლობას.

1. უშუალო ანუ ერთპიროვნული ამსრულებელია ის, ვინც პრაქტიკულად ერთპიროვნულად ახორციელებს განზრახ დანაშაულს. მაგალითად, ა. თავისი ნებით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სხვებისაგან დამოუკიდებლად კლავს ბ-ს. უშუალო ამსრულებლის ცნება ემთხვევა დანაშაულის სუბიექტის ცნებას.

2. თანაამსრულებელია ის პირი, რომელიც უშუალო

ამსრულებელთან ერთად განზრახ მონაწილეობდა განზრახი დანაშაულის განხორციელებაში. თანამსრულებლობა გვაქვს მაშინ როდესაც ყველა თანამსრულებელი საკუთარი მოქმედებით დანაშაულის მთელ შემადგენლობას ახორციელებს. მაგარიძის შემთხვევაში რამდენიმე პირი ერთდროულად სცემს ერთ კაცს. აქ ყველა პირი ერთგვაროვან მოქმედებას ასრულებს, მაგრამ შეიძლება თანამსრულებელი დანაშაულის შემადგენლობის მხოლოდ ნაწილს ახორციელებდეს. მაგალითად, განზრახ მკვლელობის დროს ამსრულებლად ითვლება არა მხოლოდ ის, ვინც დაზარალებულს დანა ჩასცა გულ-მკერდის არეში, არამედ ისიც, ვისაც ამ დროს დაზარალებულის ხელები ჰქონდა გაკავებული და არ აძლევდა მას საშუალებას წინააღმდეგობა გაეწია და ამით თავი დაეცვა უშუალო ამსრულებლისაგან. თანამსრულებელი იგივე ამსრულებელია.

3. ამსრულებლობის მესამე სახედ ითვლება შუალობითი ამსრულებლობა. შუალობითი ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ფიზიკურად არ ახორციელებს დანაშაულს, მაგრამ მოქმედებს განზრახ და შედეგს აღწევს სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც საერთოდ არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასაკის ან ფსიქიკური დაავადების გამო, ან კიდევ საერთოდ პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ შეცდომაში შეიყვანეს და ასეთ სიტუაციაში მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩაადენინეს დანაშაული. მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითები:

- ა-მ 12 წლის ასაკს მიუღწეველი პირი წააქეზა და გააჭურდინა მჭობლის ბინა და ნაჭურდალი თვითონ მიითვისა, ანდა ა-მ შეურაცხადი პირი წააქეზა, მისცა თოფი და მოაკვლევინა ბ. ორსავე შემთხვევაში ა. იქნება შუალობითი ამსრულებელი, როგორც ჭურდობის, ისე მკვლელობისა.

- სანადიროდ ტყეში გავიდნენ ა., ბ., და ც. ა-ს განზრახული ჰქონდა ც-ს მოკვლა. მან ისარგებლა იმით, რომ ბუჩქებს გაღმა იმყოფებოდა ც. და როცა მოესმათ ხმაური, ა-მ ბ-ს უთხრა, ესროლე დათვიაო, ბ-მ დაუფიქრებლად გაისროლა და მოკლა ც. ა-ს შეგნებული ჰქონდა ჩადენილი ქმედება და სურდა ც-ს მოკვლა ბ-ს ხელით. ა. იქნება განზრახ მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ბ. დაისჯება გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის, რადგანაც ვერ გააცნობიერა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების შედეგი, თუმცა ევალბოდა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

შუალობითი ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ ფსიქიკურად დაავადებულ, კანონით დადგენილ ასაკს მიუღწეველ ან შეცდომაში შეყვანილ პირს<sup>49</sup> კრძალვები სწორედ საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაადენინეს, სისხლისსწრაფობით ეძახიან „ცოცხალ იარაღს“. «ცოცხალი იარაღი» შეიძლება იყოს: ა) ის პირი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეასრულა საკუთარი ნების გარეშე, ასეთია მაგალითად მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ჩადენილ იქნა პირის მიერ ფიზიკური იძულების ან ჰიპნოზის მდგომარეობაში; ბ) ასაკის ან ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხადი პირი, რომელმაც შერაცხვისუნარიანი პირის შეგულიანებით ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) შერაცხვისუნარიანი პირი, თუ იგი შეცდომაში შეიყვანა მეორე პირმა და დანაშაული ჩაადენინა; დ) ხელქვეითი, რომელმაც უფროსის სავალდებულო დავალება შეასრულა, თუ ეს ბრძანება აშკარა დანაშაულებრივ ხასიათს არ ატარებდა.

შუალობითი ამსრულებლობის დროს ის შერაცხვისუნარიანი პირი, რომელმაც «ცოცხალი იარაღი» დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა, პასუხს აგებს როგორც დანაშაულის ამსრულებელი, ხოლო «ცოცხალ იარაღად» გამოყენებული პირი საერთო წესით პასუხს არ აგებს.

პროფესორ ო. გამყრელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ „შუალობით ამსრულებლობას მამინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავე სხვა ადამიანს იყენებს დანაშაულის ჩადენის იარაღად. დამნაშავეს შეგნებული აქვს რომ მეორე პირი, მისთვის უბრალო იარაღია დასახული მიზნის მიღწევის გზაზე და მეტი არაფერი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ წამქეზებული თვითონ განიხილება ამსრულებლად-უშუალო ამსრულებელი ამ შემთხვევაში არის არა დანაშაულის ამსრულებელი, რადგანაც იგი მოქმედებს არა თავისი ნებით, არამედ მას იყენებენ იარაღად. ის, ვისაც იარაღად იყენებენ, არ შეიძლება იყოს ამსრულებელი და რადგანაც არ გვყავს ამსრულებელი, არ არის თანამონაწილეობა. ამიტომ წამქეზებული ამ შემთხვევაში თვითონ გამოდის ამსრულებლის როლში“.<sup>49</sup>

შუალობითი ამსრულებლობა უნდა განვასხვაოთ თანაამსრულებლობისაგან. ფართო მნიშვნელობით თანაამსრულებლობა იგივე

<sup>49</sup> ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა თბილისი, 1974 წ. გვ. 53.

თანამონაწილეობაა, ხოლო შუალობითი ამსრულებელი ერთპიროვნულად მოქმედი დამნაშავეა.

ამსრულებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური ან კერძო რომელიც კანონით დადგენილ ასაკსაა მიღწეული და შერაცხადი.

სუბიექტური მხრივ ამსრულებლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ესე იგი ამსრულებელს შეგნებული უნდა ჰქონდეს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, ან კიდევ, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ სურდეს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს მის დადგომას. თანაამსრულებლობას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის დროს. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი შედეგი რამოდენიმე პირის ერთობლივი გაუფრთხილებელი მოქმედებითაა ჩადენილი, თითოეული მათგანი პასუხს აგებს როგორც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დამოუკიდებელი ამსრულებელი და არა როგორც თანაამსრულებელი.

ამსრულებლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. მაგალითად, ყველა დანაშაული, რომელიც კანონით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება, უმოქმედობითაა ჩადენილი.

თანაამსრულებლობა თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახეა. იგი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. თანაამსრულებლობა მარტივია, რომლის დროსაც ყველა თანამონაწილე უშუალოდ მონაწილეობს განზრახ დანაშაულის ჩადენაში.

თანაამსრულებლობის უფრო გავრცელებული სახეა რთული თანამონაწილეობა, რომლის დროსაც დანაშაულს უშუალოდ ასრულებს არა დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი, არამედ მხოლოდ რამდენიმე მათგანი, ხოლო სხვები კი შეიძლება იყვნენ ორგანიზატორები, წამქეზებლები ან დამხმარენი.

იმის გამო, რომ თანაამსრულებლები უშუალოდ ასორციელებენ დანაშაულის შემადგენლობას, მათი მოქმედება კვალიფიცირდება პირდაპირ სსკ-ის კრძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, ამავე კოდექსის 22-ე მუხლზე მითითების გარეშე.

§2. დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ  
(სსკ-ის 27-ე მუხლი)

ეროვნული

ჯგუფური დანაშაული არის დანაშაულში თანაბრად მონაწილეობის ერთ-ერთი სახე. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის ორგანიზებასა და განხორციელებაში ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი პირი. ზოგ შემთხვევაში ასეთი ჯგუფი იქმნება ერთი დანაშაულის, ხოლო ხშირ შემთხვევაში განუსაზღვრელი რაოდენობის დანაშაულის ჩასადენად.

სსკ-ის 27-ე მუხლი, ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით, იცნობს ჯგუფური დანაშაულის სამ სახეს: 1) ჯგუფურ დანაშაულ წინასწარი შეთანხმების გარეშე; 2) ჯგუფურ დანაშაულს წინასწარი შეთანხმებით და 3) ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

წინასწარ შეუთანხმებელი, წინასწარ შეთანხმებული და ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი სხვადასხვა საშიშროებისანი არიან, რის გამო კანონი აწესებს განსხვავებულ სასჯელებს. სსკ-ის 27-ე მუხლში მოცემულია ჯგუფური დანაშაულის სახეების განსაზღვრა.

1) სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია ჯგუფური დანაშაულის ყველაზე პრიმიტიული სახე და განმარტებულია შემდეგნაირად: „დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი“. თანამონაწილეთა რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს, ამსრულებლები დანაშაულებრივ ქმედებას ასორციელებენ წინასწარ შეუთანხმებლად. მაგალითად ა. და ბ. მგზავრობდნენ „ტაქსით“, რა დროსაც ა-მ ძალადობის გამოყენებით, რომელიც არ იყო საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მძლოლი გააგდო მანქანიდან და თვითონ მიუჯდა საჭეს, ხოლო ბ-მ უკანა სალონიდან გადმოინაცვლა წინა საჯდომზე და წავიდნენ. დანაშაული ა-ს და ბ-ს მიერ ჩადენილია წინასწარ შეუთანხმებლად, მაგრამ ჯგუფურად. ჯგუფის მიერ წინასწარ შეუთანხმებლად ჩადენილი დანაშაულის ორგანიზატორი შეიძლება იყოს მისი ერთ-ერთი ამსრულებელი. ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო გამტაცებელი ორივე პირი დანაშაულის თანაამსრულებელია და მათი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სსკ

ის განსაკუთრებული ნაწილის 184-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით (სატრანსპორტო საშუალებების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ჯგუფურად). დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად არის კმედების მაკვალიფიცირებელი ნიშანი და შესაბამის მუხლში ცალკე ნაწილად არის გამოყოფილი და უფრო მკაცრად ისჯება, რადგანაც ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული მეტ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. ჯგუფის მიერ წინასწარ შეუთანხმებლად ჩადენილი დანაშაული, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, გათვალისწინებულია მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში (ყაჩაღობა), 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში (გამოძალგა), 192-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა), 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში. წინასწარ შეუთანხმებელ ჯგუფურ დანაშაულს პირები ჩადიან უეცრად აღძრული სურვილის შედეგად, უეცრად აღძრული განზრახვით, რომელიც სხვა პირებთან წინასწარ არაა შეთანხმებული.

2) სსკ-ის 27-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და იგი განმარტებულია შემდეგნაირად: „დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“. აქაც აუცილებელია დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდეს ორი ან მეტი ამსრულებელი.

ამრიგად, როგორც 27-ე მუხლის პირველი ნაწილით, ისე მეორე ნაწილით გათვალისწინებული თანამონაწილეობა არის კლასიკური მაგალითი თანაამსრულებლობისა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის საკმარისი დანაშაული განხორციელებული იყოს ერთი ამსრულებლის მიერ ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის მონაწილეობით, არამედ აუცილებელია დანაშაულებრივ ჯგუფში ორი ან მეტი ამსრულებელი იყოს, ხოლო სხვები შეიძლება იყვნენ წამქეზებლნი ან დამხმარენი.

მაგალითად, ა-მ წააქეზა ბ. გაუპატიუროს ც. ხოლო ლ. დაეხმარა ბ-ს ც-ს გაუპატიურებაში იმით, რომ მიიპატიჟა ისინი თავის ბინაში, სადაც ჩაეკეტა და თვითონ წავიდა სხვაგან. ასეთ შემთხვევაში ჩადენილი გაუპატიურება არ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ჯგუფური გაუპატიურება, რადგანაც არ გვყავს მეორე თანაამსრულებელი. ამ შემთხვევაში ბ. არის ამსრულებელი, ა.

წამქეშებელი, ხოლო ლ. დამხმარე. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული, თუ სახეზე არ არის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნები, დაკვალიფიცირდება პირდაპირ სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო წამქეშებლის და დამხმარე ქმნილების დაკვალიფიცირდება სსკ-ის იმავე მუხლის პირველი ნაწილის 24-ე მუხლის შესაბამის ნაწილზე მითითებით, რადგანაც ისინი იმავდროულად გაუპატიურების თანაამსრულებლები არ ყოფილან.

წინასწარ შეთანხმებით ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულის ორგანიზატორი შეიძლება იყოს ერთ-ერთი თანაამსრულებელი, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ეს ჯგუფი და თვითონ მეორე თანაამსრულებელთან ერთად უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს მის ჩადენაში. წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი გათვალისწინებულია მაგალითად, სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ); სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით (ძიველად ხელში ჩაგდება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ); სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით (ქურდობა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და ასე შემდეგ.

3) სსკ-ის 27-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ადგენს: „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად“.

ორგანიზებული ჯგუფის თავისებურება ის არის, რომ იგი, ჯგუფური დანაშაულის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, ხასიათდება მეტი სიმყარით, სიმტკიცით, მაღალი ორგანიზებულობით და, როგორც წესი, შექმნილია ხანგძლივი დროით დანაშაულებრივი საქმიანობისათვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტი); ძარცვა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტი), თაღლითობა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტი, და სხვ. ბანდიტიზმისაგან განსხვავებით ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება არ იყოს შეიარაღებული).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი და

მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ ჯგუფურ დანაშაულში მხოლოდ ორი ან მეტი თანამსრულებელია, ხოლო იმავე მუხლის შესამე ნაწილით გათვალისწინებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის დროს კი ადგილი აქვს გამონაკლას. [[  
იმაში გამოიხატება, რომ ამსრულებელთან ერთად იგულისხმება ორგანიზებული ჯგუფის ყველა წევრი, მათ შორის თანამონაწილეები, (ორგანიზატორი, წამქმნელი და დამხმარე). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზებული ჯგუფის სიმყარის ნიშნის გათვალისწინებით, შეიძლება ზოგიერთი ამსრულებელი და თანამონაწილე ორგანიზებული ჯგუფის წევრი იყოს, ზოგიერთი არა. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს სსკ-ის 27-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, რომელიც ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა. ამ მუხლის მიხედვით ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც მაკვალიფიცირებული ნიშანი მხოლოდ იმ პირს შეეხება ბრალად, ვინც ასეთი ორგანიზებული ჯგუფის წევრია. მაგალითად, სსკ-ის 178-ე მუხლის შესამე ნაწილის „ა“ პუნქტით დაისჯებიან ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელები და წევრები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ძარცვაში, ხოლო ძარცვის სხვა ამსრულებლები და თანამონაწილეები, რომლებიც არ არიან ამ ორგანიზებული ჯგუფის წევრები, დაისჯებიან ამ მაკვალიფიცირებული ნიშნის გარეშე, კერძოდ, თუ მათ სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა მაკვალიფიცირებული ნიშნები არა აქვთ, დაისჯებიან 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით.

ჯგუფური დანაშაულის სამივე სახე (წინასწარ შეთანხმების გარეშე, წინასწარ შეთანხმებით და ორგანიზებული ჯგუფი) მართლსაწინააღმდეგო ქმედების მაკვალიფიცირებული ნიშანია, გათვალისწინებულია სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლების დოსპოზიციამი და შესაბამისად სასჯელის ზომაც მეტია.

§3. დანაშაულის თანამონაწილეობის ცნება და  
მნიშვნელობა სისხლის სამართალში  
(სსპ-ის 23-ე მუხლი)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თანამონაწილეობის ინსტიტუტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესია სისხლის სამართლის თეორიაში. ეს შემთხვევით არ არის. დანაშაულთა ერთ მესამედზე მეტი ხდება თანამონაწილეობით, განსაკუთრებით ეს ეხება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიებს.

აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის თემას მიეძღვნა სისხლის სამართლის მეშვიდე საერთაშორისო კონგრესი, რომელიც 1957 წელს ჩატარდა ქ. ათენში, სადაც განხილულ იქნა პრობლემატური საკითხები, როგორცაა არის თუ არა შესაძლებელი გაუფრთხილებლობით მონაწილეობა განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში, არის თუ არა თანამონაწილეობა აქცესორული<sup>50</sup> ბუნების, ესე იგი თანამონაწილეობა ემყარება თუ არა ამსრულებლის მოქმედებას, თუ ყველა თანამონაწილე, მიუხედავად დანაშაულში მათ მიერ შესრულებული როლისა, არიან თავისებური ამსრულებლები. მოკლედ, ამსრულებელი არის თუ არა თანამონაწილეთა შორის მთავარი ფიგურა, ხოლო ყველა სხვა თანამონაწილეები ჯგუფდებიან თუ არა ამსრულებლის გარშემო, როგორც მისი თანაშემწენი. ამ საკითხებზე კონგრესმა შეიმუშავა საერთო ზარი, რომლის მიხედვით გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობა განზრახი ან გაუფრთხილებლობით დანაშაულში შეუძლებელია. თანამონაწილეები ფაქტობრივად არიან ამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქმნელი და დამხმარე, მათ შორის ცენტრალური ფიგურაა ამსრულებელი. დანარჩენები მის გარშემო იყრიან თავს და მისი თანაშემწენი არიან. ამრიგად, თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა. რადგანაც ამსრულებლის გარეშე არ არსებობს თანამონაწილეობა ამსრულებლისათვის აუცილებელი არაა თანამონაწილე, მაგრამ თანამონაწილეებისათვის აუცილებელია ამსრულებელი. აქცესორული ბუნების წესი კი გამოიხატება იმაში, რომ ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთიანად, ყველა თანამონაწილის მოქმედება არის

<sup>50</sup> სიტყვა „accessorius“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს — „დამატების“ „არადაამოკიდებელს“, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1964 წ. თბილისი გვ. 59

მიხეობრივ კავშირში ამსრულებლის მოქმედებასთან და მის  
შედეგთან, ყველა თანამონაწილე მოქმედებს განზრახ ერთიანი  
ნებით და მისწრაფებით, რომელიც აისახება ამსრულებლის მოქმედებაში და ამდენად თითოეულის ქმედება არის პირობა დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ დანაშაულის დამთავრებამდე, დანაშაულის დაფარვა წინასწარი შეპირების გარეშე არ ქმნის თანამონაწილეობას და განიხილება ცალკე დანაშაულად.

სსკ-ის 23-ე მუხლის შესაბამისად დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

თანამონაწილეობის სუბიექტები არიან: ორგანიზატორი, წამქმნებელი და დამხმარე, რომელთა მოქმედებას არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და უკავშირდება ამსრულებლის ან თანაამსრულებლის მოქმედებას. ამიტომ თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ არის ამსრულებელი, არ არის თანამონაწილეობა.

ამრიგად, თანამონაწილეობის აუცილებელი ნიშანია ორი ან მეტი პირის წინასწარი განზრახვით ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ამით ხაზგასმულია ის მდგომარეობა, რომ თანამონაწილეობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენის დროს, ვინაიდან ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა გამორიცხავს დანაშაულის შედეგისადმი თანამონაწილეთა დადებით დამოკიდებულებას.

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს ყველა მათგანის მოწადინება და სურვილი მიმართულია ერთიანი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მისაღწევად, რომელიც მათი საქმიანობის საერთო პროდუქტს წარმოადგენს, ამიტომ თანამონაწილეებმა უნდა იცოდნენ ამსრულებლის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, ხოლო თანაამსრულებლებმა - სხვა ამსრულებელთა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ.

ობიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენაში პირთა განზრახი ერთობლივი მონაწილეობა აუცილებლად გულისხმობს მიხეობრივი კავშირის არსებობას ყველა თანამონაწილის მოქმედებასა და დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული თანამონაწილის მოქმედება ქმნის ასეთი შედეგის დადგომის აუცილებელ პირობას და ამა თუ იმ საზომით

მონაწილეობს სისხლის სამართლის ობიექტივობის ჩაანაცურების მიყენებაში, რასაც უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით ახორციელებს დანაშაულის ამსრულებელი.

ქვეყნის კანონი

სუბიექტური მხრივ თანამონაწილეობა ხასიათდება იმით, რომ ბრალით, რადგანაც თითოეულ თანამონაწილეს (ორგანიზატორს, დამხმარეს, წამქეზებელს) შეგნებული აქვს არა მარტო საკუთარი, არამედ დანაშაულის უშუალო ამსრულებლის მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, სურთ მართლსაწინააღმდეგო შედეგის რომლის დადგომისათვისაც ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

ამრიგად, თანამონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ობიექტური მხრივ არის მიზნობრივი კავშირი თანამონაწილეთა ქმედებასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის, ხოლო სუბიექტური მხრივ კი პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვა. როგორც წესი, დანაშაულში თანამონაწილეობა ხდება პირდაპირი განზრახვით, მაგრამ გამონაკლისის სახით მასში მონაწილეობა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც. მაგალითად, თანამონაწილეს (წამქეზებელს ან დამხმარეს) სხვა პირებთან შეთანხმების შემდეგ შეიძლება არც სურდეს მათ მიერ ჩადენილი ქმედების არამართლზომიერი შედეგი, მაგრამ სხვებთან ერთად ასრულებს რა თავის როლს აღნიშნული შედეგის მისაღწევად - ამით შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

შეთანხმება თანამონაწილეთა შორის შეიძლება მოხდეს დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის პროცესში, იგი შეიძლება მოხდეს წერილობითი, სიტყვიერი ან სიმბოლური ნიშნის მიცემის ფორმით.

თანამონაწილეებს დანაშაულის ჩადენისას შესაძლოა სხვადასხვა მოტივი და მიზანი ამოძრავებდეთ, სახელდობრ: ერთს შურისძიება, მეორეს ანგარება, მესამეს ეჭვიანობა და ასე შემდეგ, რასაც მნიშვნელობა აქვს თითოეულის დანაშაულის კვალიფიკაციისათვის.

თანამონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

თანამონაწილენი უნდა იყვნენ შერაცხადნი და კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულნი.

თანამონაწილენი პასუხს აგებენ იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, თუ ამსრულებლის ექსცესს არ ექნება ადგილი.

თანამონაწილეობის ნიშანი ბრალთან და მიზნობრივ კავშირთან

ერთად არის თანამონაწილეთა ქმედების ორგანული ერთიანობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილეებმა უნდა იცოდნენ ამსრულებლის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს სსკ-ის 23-ე მუხლი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის ერთობლივ მონაწილეობას განზრახვი დანაშაულის ჩადენაში».

**§4. თანამონაწილის სახეები**  
(სსკ-ის 24-ე მუხლი)

საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტები არიან ორგანიზატორი, წამქმნებელი და დამხმარე.

ამსრულებლობას და ამსრულებლის როლს თანამონაწილეობაში ზემოთ გავვეცანით. ახლა განვიხილოთ თანამონაწილის დასახელებული სახეები.

**1. დანაშაულის ორგანიზატორი**  
(სსკ-ის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი)

დანაშაულის ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

დანაშაულის ორგანიზატორი სხვა თანამონაწილეთა შორის ყველაზე საშიში ფიგურაა, ის დანაშაულის ჩადენის სულის ჩამდგმელია. იგი ადგენს გეგმებს, გამონახავს მათი განხორციელების საშუალებებს, შეარჩევს თანამონაწილეებს, მათ შორის ანაწილებს როლებს. გარდა ამისა, ის შეიძლება იყოს მის მიერ ორგანიზებული დანაშაულის ამსრულებელიც, მაგრამ იგი მეტწილად ორგანიზაციული საკითხებითაა დაკავებული: იძლევა დავალებებს და განკარგულებებს და შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილიდან შორისაც კი იმყოფებოდეს.

დანაშაულის ორგანიზატორი ყოველთვის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. მას შეგნებული აქვს მოქმედების სასიათი, რომელიც უნდა განახორციელოს მის მიერ ორგანიზებულმა ჯგუფმა ან დანაშაულებრივმა ორგანიზაციამ და მასში შემავალმა პირებმა,

გათვალისწინებული აქვს დანაშაულებრივი შედეგი და ბრუნს ამ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. ამიტომ იგი პასუხს აგებს ყველა დანაშაულისათვის, რომელსაც ჩაიდენს მის მიერ ორგანიზებული ჯგუფი ან დანაშაულებრივი ორგანიზაცია, თუ ეს მოცემული იყო მის განზრახვაში.

დანაშაულის ორგანიზატორი განსაკუთრებული ფიგურაა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ორგანიზატორი სხვა თანამონაწილებთან შედარებით უფრო მკაცრად ისჯება.

## 2. დანაშაულის წამქეზებელი (სსკ-ის 24-ე მუხლის მეორე ნაწილი)

დანაშაულის წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახვი დანაშაულის ჩასადენად.

წამქეზება გულისხმობს სხვა ადამიანში დანაშაულის ჩადენის სურვილის აღძვრას. წამქეზებელი უქმნის ამსრულებელს დანაშაულის ჩადენისათვის გადამწყვეტ მოტივს. იგი თავის დანაშაულებრივ სურვილს „ასესხებს“ ამსრულებელს და ამ უკანასკნელის მეშვეობით ახორციელებს თავის ჩანადიქრს.<sup>51</sup>

ობიექტური მხრივ წამქეზება ყოველთვის აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება. წამქეზების საშუალებები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. იგი შეიძლება განხორციელდეს მოსყიდვით, დარწმუნებით, მატერიალური დაინტერესებით, დამინებით და სხვა ამგვარი გზით. წამქეზება შეიძლება მოხდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, შესტით, მიმიკით და ასე შემდეგ.

წამქეზება ყოველთვის გულისხმობს ამა თუ იმ პირის მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში დაყოლიებას. იგი უშუალოდ არ მონაწილეობს დანაშაულის აღსრულებაში.

სუბიექტური მხრივ წამქეზება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განზრახვ, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვითაც. წამქეზებელს შეეძლება აქვს რომ, თავისი მოქმედებით სხვა პირში აღძვრავს სურვილს, რათა მან ჩაიდინოს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სურს ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა ან შეგნებულად უშვებს ან გულჯრილად ეკიდება მის დადგომას.

<sup>51</sup> ვან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, მოკლე კურსი, ქ. თბილისი, 1999 წელი, გვ. 205-206.

წამქეზებლის და ამსრულებლის მოტივი დანაშაულის განხორციელებაში შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ ეს დანაშაულის ვალიფიკაციაზე არ მოქმედებს.

წამქეზებელი ამსრულებლისაგან იმით განსხვავდება, რითაც ამსრულებელი თვითონ უშუალოდ ახორციელებს დანაშაულს. შემადგენლობას, ხოლო წამქეზებელი კი - ამსრულებლის მეშვეობით. რადგანაც ამსრულებელი დანაშაულის ძირითადი ღერძია, იგი უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე სხვა თანამონაწილენი, მაგრამ როგორც წამქეზებელი შეიძლება უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს ვიდრე დამხმარე, რადგანაც იგი დანაშაულის წამომწყობია. სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა წამქეზებელი უფრო მკაცრად დაისაჯა, ვიდრე თვით ამსრულებელი. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ წამქეზებელი ყოველთვის დანაშაულის მთავარი ფიგურა იყოს.

წამქეზების საკითხის შესწავლისას არ შეიძლება არ შევეხოთ აგენტ-პროვოკატორის პასუხისმგებლობის საკითხს. აგენტ-პროვოკატორი არის ის პირი, ვინც სხვა პირს წააქეზებს დანაშაულის ჩასადენად, რათა იგი შემდგომ თვითონ ამხილოს დანაშაულის ჩადენაში და მიაღწიოს მის მიერ წაქეზებულის სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას. ასეთი პირის მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა და იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემა, როგორც თანამონაწილე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სხვა პირი დაიყოლია პროვოკაციული მიზნით.

იმ შემთხვევაში, როცა წაქეზება ფუჭი აღმოჩნდება, ესე იგი როცა ამსრულებელმა სხვადასხვა მიზეზის გამო არ განახორციელა დანაშაული, რომლის ჩასადენად წააქეზეს - წამქეზებლის მოქმედება დაკვალიფიციირდება არა როგორც თანამონაწილეობა, არამედ როგორც დანაშაულისათვის მზადება, თუ ასეთი სახის დანაშაულის ჩადენის მომზადება ისჯება მოქმედი კანონით.

**3. დანაშაულში დამხმარე**  
*(სსკ-ის 24-ე მუხლის შესაბამის ნაწილი)*

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყობს დანაშაულის ჩადენას. ობიექტური მხრივ დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყობს დანაშაულის

ჩადენას, რჩევა-დარიგებით, ინფორმაციის ან დანაშაულის იარაღის ან საშუალების მოწოდებით, დანაშაულის ჩადენის განხორციელების გზაზე დაბრკოლების მოხსნით და სხვ.

დამხმარე შეიძლება დანაშაულის განხორციელებაში ხელს უწყობდეს როგორც დანაშაულის უშუალო ამსრულებელს, ასევე დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელს ან სხვა დამხმარეს.

დახმარება შეიძლება იყოს ორი სახის: ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური და ფიზიკური. ინტელექტუალური დახმარება შეიძლება გამოიხატოს რჩევა-დარიგების მიცემაში, იმის განმარტებაში, თუ უფრო ადვილად და მოხერხებულად როგორ შეიძლება ჩაფიქრებული დანაშაულის განხორციელება და სხვ.

დანაშაულის იარაღის ან საშუალების მიწოდება ნიშნავს დანაშაულის ამსრულებლისათვის სასყიდლით ან უსასყიდლოდ დანაშაულის ჩასადენად საჭირო საგნების, ნივთიერების და ასე შემდეგ გადაცემას. მაგალითად მკვლელობის დროს ამსრულებლისათვის ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის, ან მომწამვლელი ნივთიერების გადაცემა, ქურდობის ჩასადენად ამსრულებლისათვის მორგებული გასაღების გადაცემა და სხვ.

დაბრკოლებათა აცილება შეიძლება გამოიხატოს ისეთი მოქმედებით, რომელიც ამსრულებელს შესაძლებლობას მისცემს შეუფერხებლად ჩაიდინოს დანაშაული. მაგალითად გასაქურდად გამიზნული შენობის კარის ან ფანჯრის ჩაუკეტავად დატოვება სამუშაოდან წასვლის წინ, ღამის გუშაგის დათრობა ან სხვაგან გატყუება, ქზოს ძაღლის მოწამვლა და სხვ.

ამსრულებლისაგან დამხმარე განსხვავდება იმით, რომ იგი უშუალოდ არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, უშუალოდ არ აყენებს ზიანს დანაშაულის ობიექტს, მაგრამ მისი მოქმედება დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს და ამით მიზქობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან.

სუბიექტური მხრივ დამხმარის მოქმედება მხოლოდ განზრახვა-მას შეგნებული აქვს, როგორც საკუთარი, ისე ამსრულებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და იცის, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობს მას მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომაში და სურს ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას.

დახმარება დანაშაულის ჩადენაში შეიძლება როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. უმოქმედობა მხოლოდ მაშინ

ჩაითვლება დახმარებად, როდესაც იგი მიზნობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან.

ამრიგად, დანაშაულის განხორციელებაში დამხმარეს მოქმედება განსაკუთრებული აქტივობით არ გამოირჩევა, იგი მხოლოდ აადვილებს განზრახული დანაშაულის ჩადენას, რის გამოც სასამართლო პრაქტიკაში მას სხვა თანამონაწილეებთან შედარებით მსუბუქ სასჯელს უფარდებენ.

## §5. თანამონაწილეობის ფორმები

იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება ერთობლივი საქმიანობით შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა და როგორი ხარისხისაა დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეთა მოქმედების ურთიერთშეთანხმება – ასევეებენ თანამონაწილეობის სამ ფორმას:

1. მარტივ თანამონაწილეობა ანუ თანაამსრულებლობას; 2. რთულ თანამონაწილეობას, ანუ თანამონაწილეობას როლების განაწილებით და 3. თანამონაწილეობას, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

1. მარტივი თანამონაწილეობა ანუ თანაამსრულებლობა გვაქვს მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილია ჯგუფის მიერ და ხასიათდება იმით, რომ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე თითოეული წევრი უშუალოდ ასრულებს სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და მაშასადამე, ყოველი თანამონაწილე ამ დანაშაულის ამსრულებელია. მაგალითად, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. ყაჩაღობის დროს, თუ ერთი პირი იარაღით ემუქრება დანარალებულს, ხოლო მეორე ამ პირობებში დაეუფლება მის ქონებას – ადგილი აქვს მათ მიერ ერთი საერთო დანაშაულის ჩადენას, კერძოდ – ყაჩაღობას. ამ შემთხვევაში ორივე პირი ყაჩაღობის ამსრულებელია და ისინი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცებიან სსკ-ის 179-ე მუხლით ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის 23-ე მუხლზე მითითების გარეშე.

2. რთული თანამონაწილეობა ხასიათდება იმით, რომ დანაშაულის შემადგენლობას ასორციელებს ჯგუფი, მაგრამ არა ყველა წევრი, არამედ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მათგანი, დანარჩენები კი ასრულებენ დანაშაულის შედეგის მისაღწევად

გამიზნულ სხვადასხვა მოქმედებებს, რაც შეიძლება გამოიწვიოს როლების იმდაგვარად განაწილებაში, როდესაც ერთი უშუალოდ ასრულებენ დანაშაულს, მეორე დაიყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად, მესამე ხელს უყწობს და ესმარება ამსრულებლის დანაშაულის ჩადენაში.

რთული თანამონაწილეობის დროს დანაშაულის უშუალოდ ამსრულებლის მოქმედება კვალიფიცირდება სსკ-ის კერძო ნაწილის მხოლოდ იმ მუხლით, რომელშიც გათვალისწინებულია მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ხოლო სხვა თანამონაწილეთა (ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის) მოქმედება კი ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი მუხლით – სსკ-ის 24-ე მუხლზე მითითებით.

3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა ჰყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. თანამონაწილეობის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ხასიათდება მეტი სიმყარით, სიმტკიცით და, როგორც წესი, შექმნილია რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, რის გამოც იგი, თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმაა და სსკ-ის კერძო ნაწილის ბევრ მუხლშია გათვალისწინებული როგორც მაკვალიფიცირებული ნიშანი. მაგალითად, სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» პუნქტი, 144-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» პუნქტი, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» პუნქტი და სსკ. ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა ბანდიტიზში, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 224-ე მუხლით, რომლის აუცილებელი ნიშანია შეიარაღება. ბანდისაგან განსხვავებით ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის დროს შეიარაღება არ არის სავალდებულო. ვარდა ამისა, მათ შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ბანდა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთი თავდასხმისათვის, მაშინ როდესაც ორგანიზებული ჯგუფი იქმნება რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

§6. ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა  
(სსკ-ის 25-ე მუხლი)



როგორც ზემოთ აღენიშნეთ, თანამონაწილენი პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, თუმცა ამ საკითხზე იურიტებს შორის არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის წარმომადგენლების აზრით, ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის მოქმედებები დამოუკიდებელ მოქმედებებს წარმოადგენენ და ისინი დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობებს ქმნიან. აღნიშნულის გაზიარებისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგანაც ასეთ შეხედულებას თანამონაწილეობის ცნების სრულ უარყოფამდე მივყავართ. ამ თეორიის საწინააღმდეგოდ ჰიპერაქცესორული თეორიის წარმომადგენლები ამსრულებლის დასჯადობისგან თანამონაწილეთა სრულ დამოკიდებულებას აღიარებენ. ეს კი პირდაპირი გაგებით ნიშნავს სხვისი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას, რაც სისხლის სამართლის პრინციპების უარყოფა იქნებოდა.

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობას მიაჩნია, რომ თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა. ეს ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამსრულებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. აქედან, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, მაგრამ ეს არ არის პასუხისმგებლობა სხვისი დანაშაულისათვის; ყოველი თანამონაწილე პასუხს აგებს იმიტომ, რომ მისი ქმედება ბრალეულ და მიხეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულთან<sup>52</sup>.

ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობის აქცესორულ ბუნებაზე პირდაპირ მიუთითებს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენს: „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის

<sup>52</sup> ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, თბილისი, 1996 წელი, გვ. 412.

ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით". აქედან გამომდინარე, თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე არა მარტო ამსრულებლის მოქმედებაში, არამედ იმ ქმედების ხასიათსა და ხარისხში, რაც მათ პირადად შეასრულეს თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო შედეგის მისაღწევად. თითოეული თანამონაწილის დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელყოფენ კანონით დაცულ სიკეთეს და ბრალეულად ახორციელებენ კანონით აკრძალულ ქმედებას, რომელიც აუცილებელი პირობაა ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენისათვის. სწორედ ამიტომ თითოეული თანამონაწილის მოქმედება ბრალეულია დამიჯობრივ კავშირშია დანაშაულის შედეგთან.

სსკ-ის 25-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება თანამსრულებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ადგენს, რომ თანამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება პირდაპირ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, სხვა მუხლზე მიუთითებლად, რასაც საფუძველად უდევს ის ფაქტი, რომ თანამსრულებელი იგივე ამსრულებელია სისხლისსამართლებრივ თვალსაზრისით. მაგალითად, ა-ს და ბ-ს მოუვიდათ ჩხუბი, რომელსაც ესწრებოდა ს, რომელმაც ხელები გაუკავა ბ-ს, ა-მ კი დანის გულმკერდის არეში ჩარტყმით მოკლა ბ., ა. და ს არიან თანამსრულებლები და მათ მიერ ჩადენილ განზრახვ მკვლელობა დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითების გარეშე.

სსკ-ის 25-ე მუხლის მესამე ნაწილი ეხება თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ადგენს, რომ ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მესამე ნაწილზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანამსრულებლები იყვნენ. მაგალითად, ა-მ წააქეზა ბ. მოეკლა ც., ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღი გადასცა გ-მ. ბ-მ განახორციელა ც. მკვლელობა. ბ. არის უშუალო ამსრულებელი ა. არის წამქეზებელი, ხოლო გ. დამხმარე. ბ-ს მიერ ჩადენილ განზრახვ მკვლელობა დაკვალიფიცირდება პირდაპირ სსკ-ის 108-ე მუხლით, რადგანაც იგი უშუალო ამსრულებელია, ხოლო ა-ს და

სსრკ-ის ცენტრალური საბჭო  
სსრკ-ის ცენტრალური საბჭო

გ-ს ქმედება დაკვალიფიცირდება იმავე 108-ე მუხლით ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მესამე ნაწილზე მითითებით, რომელიც გვირგვინებს იმას, რომ ისინი არიან ბ-ს მიერ ჩადენილი განზრახ მკვლელობის წამქეზებელი და დამხმარე და არა ამსრულებლები.

სსკ-ის 25-ე მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილები ეჭება ამსრულებლისა და თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან ან დამნაშავის პიროვნებასთან. ძველი სისხლის სამართლის კოდექსით ეს საკითხი საკანონმდებლო წესით არ იყო გადაწყვეტილი.

სსკ-ის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული ნიშანი შეიძლება იყოს ანგარება, ქალის ორსულობა და სხვ. მაგალითად, ორი პირი თანაბრად არის დაინტერესებული მესამე პირის სიცოცხლის მოსპობით და გადაწყვეტილებაც მოჰყავთ სისრულეში. გამოირკვევა, რომ ერთი მოქმედება მოკლულის ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, ესე იგი ანგარებით, მეორემ კი ამის შესახებ არაფერი იცოდა და მკვლელობაში მონაწილეობდა შურისძიების ნიადაგზე. ამ შემთხვევაში მეორე პირს ქმედების ანგარებითი ნიშანი დამამძიმებელ გარემოებად არ შეერაცხება, მაგრამ თუ მას წინასწარ ეცოდინებოდა თავისი თანამსრულებლის ანგარებითი მიზნის შესახებ - ეს ნიშანი მასაც უნდა შეერაცხოს, მიუხედავად იმისა, თვითონ ჰქონდა ასეთი მიზანი თუ არა. მოცემულ შემთხვევაში პირის მოქმედება, რომელმაც მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო ანგარების მიზნით დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში ანგარებით), ხოლო მეორე თანამსრულებლის ქმედება, რომელმაც არ იცოდა პირველი თამამსრულებლის ანგარებითი მიზნის შესახებ და თვითონ შურისძიების ნიადაგზე მოქმედებდა - დაკვალიფიცირდება დამამძიმებელი გარემოების გარეშე ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით, ე.ი. სსკ-ის 108-ე მუხლით.

სსკ-ის 25-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ითვალისწინებს პიროვნებასთან დაკავშირებული გარემოების ანუ პერსონალური ნიშნის არსებობისას ამსრულებლის ან თანამონაწილის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალდებისათვის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომელსაც იგი ახასიათებს.

ამრიგად, პერსონალური ნიშანი ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს დანარჩენი ამსრულებლის ან თანამონაწილის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. პერსონალური ნიშანი შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომელსაც იგი შეეხება. პერსონალური ნიშნებია არასრულწლოვანობა, ექსტერიტორიულობის უფლება, რეციდივისტობა და სხვ. მაგალითად, დანაშაული ჩაიდინა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტმა და პირმა, რომელსაც ადრე არცერთი დანაშაული არ ჩაუდენია. რეციდივისტის პერსონალური ნიშანი ეხება პირადად რეციდივისტს, ხოლო დანაშაულის პირველად ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხებზე სხვა პირის რეციდივისტობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

როგორც ცნობილია, არსებობს დანაშაულის საერთო და სპეციალური სუბიექტი. საერთო სუბიექტი არის 14 წლის ასაკს მიღწეული ყველა შერაცხადი პირი, რომელიც არ არის ალჭურვილი რაიმე განსაკუთრებული უფლებებით და შეუძლია ჩაიდინოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაული, გარდა იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენა შეუძლია სპეციალურ სუბიექტს. სპეციალური სუბიექტი კი არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს საერთო სუბიექტისათვის კანონით წაყენებულ მოთხოვნებს და გარდა ამისა, ალჭურვილია ცალკეული დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელი უფლებებით და საშუალებებით, რომელთა გამოყენებით შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული. თუ რომელი დანაშაულის სუბიექტია სპეციალური სუბიექტი, ამას განსაზღვრავს სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიცია. მაგალითად, ისეთი დანაშაულებანი, როგორიცაა თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი სიყალბე, ქრთამის აღება, შეუძლია მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელს, სამხედრო დანაშაული კი შეუძლია ჩაიდინოს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურემ და ა.შ.

სსკ-ის 25-ე მუხლის მეექვსე ნაწილი ეხება დანაშაულის სპეციალური სუბიექტის და სხვა თანამონაწილეთა დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხს და ადგენს, რომ ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც ორგანიზატორს, წამქეშებელს ან დამხმარეს. ამრიგად, სპეციალური სუბიექტის არსებობა აუცილებელია მხოლოდ დანაშაულის ამსრულებლისათვის, ხოლო თანამონაწილეებად შეიძლება იყვნენ სხვა პირებიც ესე იგი წამქეშებელი, დამხმარე ან ორგანიზატორი.

სსკ-ის 25-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი არეგულირებს დაუმთავრებელი დანაშაულის დროს ამსრულებლის და თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის საკითხს და ადგენს რომ თუ ამსრულებელმა დანაშაული არ განახორციელა, თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შესძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.

დანაშაული დაუმთავრებელია მაშინ როდესაც ამსრულებელმა მიუხედავად წამქეშებლის და დამხმარის მცდელობისა არ ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ხელის ალება განიხილება როგორც წმინდა ხასიათის პირადი გარემოება, რის გამოც თანამონაწილენი, რომელთაც თვითონ არ აუღიათ ხელი დანაშაულის ჩადენაზე დაისჯებიან დანაშაულის მომზადებისათვის და არა თანამონაწილეობისათვის. მაგალითად ა-მ წააქეზა ბ. მოკლა გ, ხოლო ც-მ კი მას მკვლელობის ჩასადენად გადასცა პისტოლეტი, მაგრამ ბ-მ. მკვლელობა არ განახორციელა, რის გამოც იგი განთავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაგრამ ა. როგორც წამქეშებელი და ც. როგორც დამხმარე სისხლისსამართლებრივად პასუხს აგებენ განზრახი მკვლელობის მომზადებისათვის.

დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვისი დაყოლიება დანაშაულის

ჩასადენად. ეს არის უმედეგო წაქეზების შემთხვევა. მაგალითად, ა. მ წააქეზა ბ. მოეკლა გ. და ამ მიზნით ა-ს გადასცა აისტოლოეტი, მაგრამ ბ-მ მკვლელობის ჩადენაზე ნებაყოფლობით აღიარა ხელი. ასეთ შემთხვევაში ა. პასუხს აგებს გ-ს მკვლელობის მომზადებისათვის. აქვე უნდა გვახსოვდეს რომ ისჯება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება.

### §7. ამსრულებლის ემსცინი (სსკ-ის 26-ე მუხლი)

ძველი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლეოდა ამსრულებლის ექსცესის<sup>53</sup> ცნების განმარტებას და პასუხს იმზე, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ამსრულებლის ექსცესის დროს. ეს ხარვეზი შეავსო ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა.

სსკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა და სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ამსრულებელი გასცილდა საერთო დანაშაულებრივ განზრახვას და უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე თანაამსრულებელთან ან სხვა თანამონაწილესთან წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული.

სსკ-ის 26-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მაგალითად, ა. და ბ. შეთანხმდნენ გაეჭურდათ ლ-ს ბინა. ა. შეიპარა ლ-ს ბინაში, ხოლო ბ. დარჩა გარეთ. როცა ლ-ს გამოეღვიძა და დაკავება მოუნდომა მას, ა.-მ დანით ჯანმრთელობისათვის საშიში მძიმე დაზიანება მიაყენა ლ-ს, ესე იგი ფაქტობრივად ჩაიდინა სხვისი მოძრავი ქონების დაუფლების მიზნით ყაჩაღური თავდასხმა. ამ შემთხვევაში ამსრულებლის ექსცესთან გვაქვს საქმე და ა-ს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით (ყაჩაღობა), ხოლო ბ. პასუხს აგებს სსკ-ის

<sup>53</sup> ექსცესი, ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გამოსვლას, გადაბრას, თავმუშუკავებლობას უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1981 წ., გვ. 143.

177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით (ქურდობა ჯგუფის მიერ), რადგანაც ა-მ ჩაიდინა უფრო მძიმე დანაშაული ვიდრე „ბ“-სთან წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული.

არ გვექნება ამსრულებლის ექსცესი იმ შემთხვევაში, როდესაც წამქმნებელი ალტერნატიულად აქტებს პირს ორი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად ქურდობის ან ყაჩაღობის ჩასადენად. პროფესორ ბ. ფურცხვანიძის აზრით: „ამსრულებლის ექსცესი არის მის მიერ თანამონაწილეებთან შეთანხმებული ფარგლებიდან გამოსვლით, ისეთი დანაშაულებრივი ქმედების შესრულება, რაც თავისი ხასიათით, მოცულობით თუ ჩადენის ტერხითა და საშუალებით არ შეესაბამება შეთანხმებას და ქმნის ამ დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, ან შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, რომლის განზრახვაც არ ჰქონდათ დანარჩენ თანამონაწილეებს.“<sup>54</sup>

ამსრულებლის ექსცესისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ამსრულებელს, დანარჩენი თანამსრულებლის ან თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რაც შეთანხმებული იყო ამსრულებელთან. ეს განპირობებულია იმით, რომ ამსრულებლის ექსცესის დროს ექსცესით დამდგარ დანაშაულებრივ შედეგსა და დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედებას შორის არ არის მიწვეობრივი კავშირი და მათი ინდივიდუალური ბრალეულობა გამორიცხულია.

სისხლის სამართლის თეორიაში ამსრულებლის ექსცესის ორ სახეს განასხვავებენ: რაოდენობრივ და თვისობრივ ექსცესს.

რაოდენობრივი ექსცესის დროს დანაშაულის ამსრულებელი იმავე გვარის დანაშაულს განახორციელებს, რაც თანამონაწილეთა საერთო განზრახვაში შედიოდა, მაგრამ ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმეა, მაგალითად, ქურდობის ნაცვლად, ამსრულებელმა ყაჩაღობა ჩაიდინა.

თვისობრივ ექსცესში იგულისხმება ამსრულებლის მიერ სულ სხვაგვარი დანაშაულის ჩადენა, ვიდრე საერთო განზრახვით იყო გათვალისწინებული. მაგალითად, ძარცვის ნაცვლად გაუპატიურების ჩადენა და ასე შემდეგ.

ორსავე შემთხვევაში თანამსრულებლის ან თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის

<sup>54</sup> პროფ. ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971 წ. გვ. 202

მიხედვით გადაწყდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი პასუხს აგებენ მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომელიც მათი ბრალით იყო მოცულობით.

ქართული

### §8. დანაშაულის შემსებლობა

წინა თავებიდან ვიცით, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს თითოეული თანამონაწილის მოქმედება მიზნობრივ კავშირშია და ბრალეულად უკავშირდება ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასა და მის შედეგს. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება დაკავშირებული უკვე დამთავრებულ დანაშაულთან არ ქმნის თანამონაწილეობას დანაშაულში და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში განიხილება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. ამ გაგებით განასხვავებენ დანაშაულში თანამონაწილეობას და დანაშაულის შემსებლობას.

დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახ დანაშაულის ჩადენაში, ხოლო შემსებლობა კი ისეთი მოქმედებაა, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულში მონაწილეობას, მაგრამ შემდგომში უკავშირდება მას და მის გარეშე წარმოუდგენელია.

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედება დაკავშირებული უკვე ჩადენილ დანაშაულთან, რომელიც ხელს არ უწყობს ამსრულებელს დანაშაულის განხორციელებაში - არის შემსებლობა.

შემსებლობა არის სამი სახის: 1. დანაშაულის დაფარვა წინასწარი შეპირების გარეშე. 2. დანაშაულის შეუტყობინებლობა და 3. მიმნებლობა.

1). სისხლის სამართლის კანონმდებლობა საერთოდ იცნობს ორი სახის დაფარვას, სახელდობრ: 1) დანაშაულის დაფარვას წინასწარი შეპირებით და 2) დანაშაულის დაფარვას წინასწარ შეუპირებლად.

დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეპირებით ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას და მიზნობრივ კავშირშია დანაშაულის შედეგთან, რადგანაც განამტკიცებს დანაშაულის ამსრულებლის განზრახვას. ის ვინც ფარავს სხვის დანაშაულს წინასწარი შეპირებით ამსრულებლის ფსიქიკური დამხმარეა და ამიტომ წინასწარ შეპირებული დაფარვა განიხილება როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში.

დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვა ხელს არ უწყობს



დანაშაულის ჩადენას და არ არის მიზნობრივ კავშირში მართლსაწინააღმდეგო შედეგთან. ასეთ შემთხვევაში დამფარავი მას შემდეგ იწვევს მოქმედებს, როდესაც დანაშაული უკვე ჩადენილია და ამდენად ასეთი დაფარვა დანაშაულის ჩადენას კი არ უწყობს ხელს, არამედ იმას, რომ დანაშაული არ იქნეს გახსნილი და დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი. დანაშაულის წინასწარ შეუპირებული დაფარვა არ ქმნის დანაშაულში თანამონაწილეობას. მისი ობიექტია მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირება, ასევე მოქალაქის კანონიერი უფლებები და გამოიხატება თვით დამნაშავეს ან დანაშაულის, ანდა მისი ჩადენის იარაღების და ინსტრუმენტების, დანაშაულის კვალის დაფარვაში, დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების გადამალვაში და სხვ. დანაშაულის დაფარვა ყოველთვის აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება.

სუბიექტური მხრივ დაფარვა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მას შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედების შედეგად შესაძლოა დანაშაული არ გაიხსნას და დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს და სურს სწორედ ასეთი შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობდა დამფარავი, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დაფარვა გაუფრთხილებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას არ იწვევს. დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად გათვალისწინებულია მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით, რომლის შინაარსი ასეთია: „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად, — ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე“. ამრიგად, ისეთი კატეგორიის დანაშაულის დაფარვა, რომელიც ამ მუხლის დისპოზიციაში მოხსენებული არაა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას ვერ გამოიწვევს. კერძოდ, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის დაფარვა არ იძლევა დანაშაულის ამ შემადგენლობას და არ ისჯება.

თუ რომელი დანაშაული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმეს, მძიმეს და განსაკუთრებით მძიმეს უნდა გავარკვიოთ სსკ-ის მე-12 მუხლის მიხედვით.

მაგალითი: ა-მ განზრახ მოკლა ბ. რის შემდეგ მივიდა მეგობრის სახლში, გაანდო რაც შეემთხვა და სთხოვა დახმარება. მეგობარმა

მას გამოუცვალა სისხლიანი პერანგი და მოსპო, შემდეგ უმოკლე მანქანა და ღამით ფარულად გააპარა იმ ადგილიდან. სახელეუბნო გვაქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარი შეპირების გარეშე, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 375-ე მუხლით.

2). დანაშაულის შეუტყობინებლობა ითვლება შემხებლობის მეორე სახედ. შეუტყობინებლობა ნიშნავს კონსტიტუციური და საერთო მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების უგულვებელყოფას, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირი არ ატყობინებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს ან იმ ორგანოს, დაწესებულებას, მუნიციპალიტეტს და სხვას, რომელთაც შეუძლია მიიღონ ზომები დანაშაულის აღსაკვეთად.

დანაშაულის შეუტყობინებლობა, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება გათვალისწინებულია სსკ-ის კერძო ნაწილის 376-ე მუხლით. ამ მუხლის მიხედვით დასჯადია ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ესე იგი ისეთი დანაშაულის მზადება, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვაღო თავისუფლების აღკვეთა. ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს, თუმცა ასეთი დანაშაულის შეუტყობინებლობა მორალურ გამართლებას ვერ ჰპოულობს და გასაიციხია.

ობიექტური მხრივ შეუტყობინებლობა გამოიხატება უმოქმედობაში, ხოლო სუბიექტური მხრივ იგი შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პირს აქვს შეგნებული თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

წინასწარ შეპირებული შეუტყობინებლობა, ისე როგორც წინასწარ შეპირებული დაფარვა დამნაშავეს უმტკიცებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, ფსიქიკურად ეხმარება მას და ამიტომ თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახედ (დამხმარედ) უნდა ჩაითვალოს.

შეუტყობინებლობის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი. თუ

დანაშაულის შეუტყობინებლობა ჩაიდინა თანამდებობის პირმა, რომელსაც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია აკისრია, იგი პასუხს აგებს თანამდებობრივი დანაშაულისათვის.

იმის მიუხედავად, რომ დანაშაულის შეუტყობინებლობის დანაშაულის დაფარვის ობიექტი ერთი და იგივეა, ობიექტურ მხარის ნიშნებით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ დანაშაულის შეუტყობინებლობა სორციელდება უმოქმედობით, ხოლო დანაშაულის დაფარვა კი შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით.

3. მიმნებლობა დანაშაულის შემხებლობის მესამე სახეა - ჩვენი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ხმარობს დანაშაულის მიმნებლობის ცნებას, მაგრამ იგი შეისწავლება სისხლის სამართლის თეორიაში.

მიმნებლობა არის პირის მიერ ზომების მიუღებლობა დანაშაულის ჩამდენის მიმართ, როდესაც ამ პირს შეეძლო მიეღო ესა თუ ის ზომები დანაშაულის ასაცდენად, მაგალითად, ახედავს ავტობუსში თუ როგორ აცლის ბ. ერთ-ერთ მგზავრს ჯიბიდან ფულს, მაგრამ არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს მას. ამრიგად, პირის მოქმედებაში მიმნებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ის შემთხვევით გახდა დანაშაულის ჩადენის შემსწრე, თანაც არ აკისრია სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს დანაშაულს, მაგრამ ამას არ აკეთებს.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მიმნებულებისათვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აწესებს, მაგრამ დანაშაულისათვის ხელის შეშლა ყველა მოქალაქის მორალური მოვალეობაა და ამის გაუკეთებლობა საზოგადოებრივ გაკიცხვას იმსახურებს.

მიმნებლობა ობიექტური მხრივ გამოიხატება უმოქმედობაში და ამდენად თავისი ბუნებით არ არის დანაშაულის ჩადენის აუცილებელი პირობა, რადგანაც დანაშაულებრივ შედეგთან არ იმყოფება მიზეზობრივ კავშირში.

სუბიექტური მხრივ, მიმნებლობა პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, მაგრამ იგი უფრო ხშირად ევენტუალური განზრახვით ხდება.

დანაშაულის მიმნებლობა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

დანაშაულის აცდენა და მისთვის ხელის შეშლა შეადგენდა ამ თუ იმ პირის თანამდებობრივ თუ სხვა სახის მოვალეობას. ასეთი პირის მიერ მიმნებულობის გამოჩენა ქმნის დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, თუ პოლიციის მუშაი არ ლეზულობს სათანადო ზომებს დანაშაულის აღსაქვეთად ან დამნაშავის დასაქვეზლად, ასეთი პოლიციელი შეიძლება სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიეცეს სამოხელეო დანაშაულისათვის სსკ-ის 342-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

დანაშაულის დაფარვისაგან მიმნებულობა განსხვავდება იმით, რომ დაფარვა ხდება ძირითადი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ხოლო მიმნებულობა, ესე იგი დანაშაულისათვის ხელის არ შეშლა ან მის ასაცდენად ზომების მოულებლობა, ხორციელდება მანამ, სანამ დანაშაულებრივი ხელყოფა გრძელდება. გარდა ამისა დაფარვა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება, მიმნებულობა კი წმინდა უმოქმედობაა.



**მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი**  
**ბარამოვანი (სსკ-ის VIII თავი)**

ქართული  
 ბიბლიოთეკა

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიან სისტემას. ესენია: 1) მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც მოცემულია სსკ-ის VIII თავში და 2) ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის IX თავში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ასეთ დაყოფას არ იცნობდა ძველი სისხლის სამართლის კოდექსი.

**§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი**  
**ბარამოვანის ცნება და სახეები**

მართლწინააღმდეგობის ცნება და მნიშვნელობა ჩვენ შევისწავლეთ ლექციების ამ კურსის მეოთხე თავში, როცა შევეხეთ დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნებს: ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობას და ბრალს, რა დროსაც აღვნიშნეთ, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მომქმედი კანონის ნორმებს, არამედ კულტურისა და ზნეობის ნორმებსაც ანუ ცივილიზებულ სახელმწიფოში არსებულ სამართლებრივ შეხედულებებს. ისიც ვთქვით, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება, როგორც წესი, გულისხმობს ქმედების მართლსაწინააღმდეგობას.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში არსებული კანონით განსაზღვრული რიგი პირობები და გარემოებები, რომელთა დროს ჩადენილი ქმედება გარეგნულად მართლსაწინააღმდეგოა და ფორმალურად შეიცავს სსკ-ის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ თავისი ბუნებით და შინაარსით არ არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, პირიქით – მართლზომიერია და სასარგებლო პიროვნების, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ასეთ მართლ-  
წინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე მიიჩნევს. აუცილებელ  
მოგერიებას, დამნაშავეს შეპყრობას, უკიდურეს აუცილებლობას,  
მართლზომიერ რისკს და სსკ-ის 32-ე მუხლით გათვალისწინებულ  
სხვა ზეკანონურ გარემოებებს და მიაკუთვნებს მათ სისხლის-  
სამართლებრივ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა  
ჯგუფს.

ქმედება დანაშაულად რომ ჩაითვალოს აუცილებელია იგი იყოს  
მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. თუ ქმედების შემადგენლობას  
ერთი რომელიმე ნიშანი აკლია – დანაშაულის არსებობა  
გამორიცხულია.

ქმედების ჩამდენი პირისათვის მართლწინააღმდეგობის  
გამომრიცხველი გარემოებების არსებობა ნიშნავს, რომ მას არ  
ჩაუდენია დანაშაული და არ ეკისრება არც სასჯელი, არც  
სამედიცინო ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება და  
იგი უდანაშაულოა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის  
504-ე მუხლის მეასე ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ქმედებაში  
მართლწინააღმდეგობის არ არსებობა – გამამართლებელი განაჩენის  
საფუძველია.

თანამონაწილისათვის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი  
გარემოებების არსებობა ნიშნავს იმას, რომ იგი არ შეიძლება  
დაისაჯოს, რადგან დასჯადი თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ  
მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს.

დაზარალებულისათვის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი  
გარემოების არსებობა ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს არა აქვს  
მომგერიებლის მართლზომიერი ქმედების მიმართ აუცილებელი  
მოგერიების უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით  
დაზარალებულის მოქმედება იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო.  
მართლზომიერი ქმედებისაგან თავდაცვა თავისთავად გულისხმობს  
სამართლებრივი სიყეთის დაზიანებას და მართლსაწინააღმდეგო  
ქმედების ჩადენას.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების  
არსებობის დროს, ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან  
შედარებით, გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა, რაც გამოიხატება  
შემდეგში:

1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების  
არსებობის დროს ქმედების ჩამდენ პირს არ ეკისრება

სისხლისსამართლებრივი სასჯელი, ასევე სამედიცინო ან სხვა სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება, რადგან მისი ქმედება მართლწომიერია, ხოლო ბრალის გამომრიცხველი გარემოების დროს პირის მიმართ შეიძლება სამედიცინო ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, ვინაიდან მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. შესაბამისად, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის დროს პირი უდანაშაულოა და ითვლება გამართლებულად, ხოლო ბრალის გამომრიცხველი გარემოებების დროს პირის სისხლისსამართლებრივი სასჯელისაგან გათავისუფლება ნიშნავს პატიებას მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.

2. ბრალის გამომრიცხველი გარემოების არსებობის დროს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ჩადენილია თანამონაწილეობით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამომრიცხავს მხოლოდ შეურაცხადი პირის მიმართ, დანარჩენთა მოქმედება დასჯადია.

3. არაბრალეულად მოქმედი პირის (მაგალითად სულით ავადმყოფის) თავდასხმის მოგერიება აუცილებელი მოგერიების წესების დაცვით დასაშვებია.

## §2. აუცილებელი მოგერიება (სსა-ის 28-ე მუხლი)

აუცილებელი მოგერიება სისხლის სამართლის უძველესი ინსტიტუტია და გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობისა და სხვა ბუნებითი უფლებებიდან, რომელთაც პირი იძენს დაბადებიდანვე.

აუცილებელი მოგერიება ნიშნავს სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად მართლსაწინააღმდეგო ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების საზღვრები.

აუცილებელი მოგერიების დროს ორი მხარეა. პირველი მხარე ანხორციელებს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მიზნით, ხოლო მეორე მხარე მართლწომიერად იცავს თავის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს. ამრიგად, აუცილებელ მოგერიებაში ყოველთვის არის თავდამსხმელი და მოგერიებელი. თავდამსხმელის მოქმედება მართლსაწინა-

ნააღმდეგოა, ხოლო მომგერიებლისა კი მართლზომიერი. ამიტომ კანონი მომგერიებელს უფლებას აძლევს ზიანი მიაყენოს უკანონოდ თავდამსხმელს, რათა ამით დაიცვას სამართლებრივი სიკეთე.

აუცილებელი მოგერიების ობიექტი არის ინდივიდუალური და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სქესობრივი ხელშეუხებლობა, საკუთრება, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი და სხვ.

აუცილებელი მოგერიების დროს თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენების უფლება ნიშნავს მისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებას, რომლის ხარისხი კანონით შეზღუდული არ არის. იგი შეიძლება გამოიხატოს თავდამსხმელის ჯანმრთელობისათვის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი კატეგორიის დაზიანების მიყენებაში, ანდა კანონით დაშვებულ პირობებში მისი სიცოცხლის მოსაპობაშიც.

კანონი მომგერიებელს უფლებას აძლევს დააზიანოს თავდამსხმელი, იმის მოუხედავად, შეუძლია თუ არა მას სხვაგვარად აიცილოს ხელყოფა. მომგერიებელი ვალდებული არაა მოუხმოს სხვას ან გაექცეს თავდამსხმელს და ამით დაზიანებას გადაარჩინოს სამართლებრივი სიკეთე.

სსკ-ის 28-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ხელმოყოფის დაზიანება წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმოყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

აუცილებელი მოგერიების უფლება ყოველი მოქალაქის სუბიექტური უფლებაა და არა იურიდიული მოვალეობა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ამ უფლების გამოყენება არა მარტო მორალური, არამედ იურიდიული მოვალეობაცაა. მაგალითად, სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც ფიცი აქვს დადებული სახელმწიფოს წინაშე, ვალდებულია ყოველი საშუალებით დაიცვას მტრისაგან ქვეყნის საზღვრები, სახელმწიფო ქონება, ალკვეთოს სამხედრო სამსახურის დადგენილი წესების დარღვევა და სხვ. ასევე პოლიციის მუშაკი თანამდებობრივად ვალდებულია მიიღოს ყოველგვარი ზომები საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების, საკუთრების და სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, რისთვისაც მას მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებებისა და წესების შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს იარაღი და მას აუცილებელი მოგერიების უფლების უგულვებელყოფის

შემთხვევაში დაეკისრება დიციპლინარული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი.

აუცილებელი მოგერიება მართლზომიერია და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელყოფა განხორციელებულია შემდეგ პირობებში:

1. ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო;
2. ხელყოფა უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი;
3. ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი და
4. ხელყოფა უნდა იყოს სოციალურდ მნიშვნელოვანი.

განვიხილოთ ცალცალკე.

1. ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ნიშნავს იმას რომ, იგი უნდა იყოს ისეთი, რომელიც არსებით ზიანს აყენებს ან შეუძლია მიაყენოს ინდივიდუალურ ან საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად, ა. პისტოლუტით ხელში თავს ესხმის გ.-ს განზრახ მკვლელობის მიზნით გ.-მ დაასწრო და მოკლა იგი. საქმე გვაქვს აუცილებელ მოგერიებასთან. აუცილებელი მოგერიება დასაშვებია მაშინაც, როდესაც ხელყოფას ანხორციელებს შეურაცხადი ან კანონით დადგენილ ასაკს მიუღწეველი პირი, მაგრამ ასეთი პირების ხელყოფის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების გამოყენება მართლზომიერად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მომგერიებელს თავდამსხმელზე ზიანის მიყენების გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა თავიდან აეცდინა ზიანი. თუ პირს ცხოველი ესხმის თავს და მოგერიების მიზნით მოკლავს მას, საქმე გვექნება უკიდურეს აუცილებლობასთან, რადგანაც აუცილებელი მოგერიება შეიძლება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისა, ხოლო ცხოველი არ არის რა ადამიანი, მისი მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა.

დაუშვებელია აუცილებელი მოგერიება ისეთი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია მართლზომიერ პირობებში. მაგალითად, მძარცველს, რომელმაც დაზარალებულს წინააღმდეგობის გაწვევის გამო სხეულის დაზიანება მიაყენა, უფლება არა აქვს თავი იმართლოს აუცილებელი მოგერიების უფლების მოშველიებით.

თავდამსხმელი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს მომგერიებლად, როდესაც მის წინააღმდეგ ხდება ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომელიც აუცილებელი მოგერიების ფარგლების აშკარა გადაცილებას წარმოადგენს, ან აუცილებელი მოგერიების ნიღბის ქვეშ ხდება მასთან შურისძიების საფუძველზე ანგარიშის გასწორება.

2. ხელყოფა უნდა იყოს რეალური ნიშნავს იმას, რომ ხელყოფის ადგილი უნდა ჰქონდეს სინამდვილეში და არა მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში, ესე იგი ხელყოფა უნდა იყოს მოჩვენებითი, არარსებული.

მოჩვენებითი მოგერიების დროს პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება განთავისუფლდეს, მხოლოდ ისეთი ფაქტობრივი შეცდომის დროს, როდესაც საქმის მთელი ვითარება საკმაო საფუძველს აძლევდა მას ვარაუდისათვის, რომ თავდასხმა რეალურია და მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეცნობიერებინა რომ ასეთი ვარაუდი შეცდომა იქნებოდა.

3. ხელყოფის იმწუთიერება ნიშნავს იმას, რომ თავდასხმა უკვე დაიწყო ან მისი დაწყების ფაქტი იმდენად ნათელი და ცხადია, რომ მის აღსაკვეთად ზომების უმაღლვე მიუღებლობა აშკარად გარდაუვალ საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიყუთეს.

აუცილებელი მოგერიება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედების წინააღმდეგ, ასევე დამთავრებული ხელყოფის წინააღმდეგ ესე იგი ხელყოფის წინააღმდეგ, რომელიც უკვე განხორციელდა ან უკვე შეწყდა ამა თუ იმ გარემოების გამო და მომგერიებლისათვის ხელყოფის საშიშროებამ განვლო. ამის საიულისტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. ა. თავს დაესხა ც-ს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოიგერია ის, რის შემდეგ გაბრაზებულმა ც-მ მოკლა ა. ამ შემთხვევაში არ გვექნება აუცილებელი მოგერიება, რადგანაც ხელყოფის საშიშროება უკვე გავლილი იყო და აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაც არ არსებობდა.

ასევე თუ პირმა, წინასწარ მოკლა ადამიანი, რომელიც მომავალში მოკვლით ემოქრებოდა მას და საფრთხეც იყო რეალური — არ ჩაითვლება იმწუთიერ თავდასხმად, რადგანაც მას ჰქონდა დრო თავისი სიცოცხლის გადარჩენის სხვა შესაძლებლობების გამოძებნისათვის.

4. ხელყოფა უნდა იყოს სოციალურად მნიშვნელოვანი ნიშნავს იმას, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ხელყოფის წინააღმდეგ, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე. (სსკ-ის მე-7 მუხლის II ნაწილი). მაგალითად, არასრულწლოვანი ა. შვიდა ბ-ს ბაღში ვაშლის მოსაპარავად, ამ უკანასკნელმა მოკლა იგი. ბ. დაისჯება განზრახ მკვლელობისათვის, ვინაიდან მკვლელობა თუმცა წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დამახინჯებას, მაგრამ არ წარმოადგენს ისეთ სოციალურად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მოსპობის საჭიროებას რამეთი ამართლებდეს. დაცული სამართლებრივი სიკეთე შესაძლებელია თავისი მნიშვნელობით ტოლფასი ან ნაკლები იყოს ხელყოფის მიერ დაზიანებულ სიკეთესთან შედარებით, მაგრამ არ უნდა იყოს აშკარა შეუსაბამობა ხელყოფასა და დაცვის ობიექტს შორის. მაგალითად, ა. თავს ესხმის ბ-ს, რათა მიაყენოს სხეულის მძიმე დაზიანება, მაგრამ ბ. მოკლავს ა-ს. ასეთი მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან აშკარა შეუსაბამობას ადგილი არა აქვს. აუცილებელი მოგერიების დროს აუცილებელია, რომ დაცვა განხორციელდეს მხოლოდ ხელმყოფის მიმართ. მაგალითად, სასამართლომ პირს უკანონოდ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, ამ საბაბით მან მოკლა საპრობილის გუშაგი და გაიქცა. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება განზრახ მკვლელობას, რადგანაც გუშაგს არ მიუყენებია მისთვის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. აუცილებელი მოგერიება სუბიექტური და ობიექტური კომპონენტების ერთობლიობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოგერიების დროს ობიექტურად სახეზე უნდა იყოს თავდასხმა, ხოლო სუბიექტურად პირს უნდა ჰქონდეს მხოლოდ თავდაცვის მიზანი.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების დაცვით მომგერიებლის მიერ თავდამსხმელზე (ხელმყოფზე) ზიანის მიყენება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს, მაგრამ ამ ფარგლების გადაცილებით მიყენებული ზიანისათვის მომგერიებელი სისხლის სამართლის წესით ისჯება, როდესაც ეს გათვალისწინებულია სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე განხორციელებული თავდასხმის ხარისხთან და საშიშროებასთან შედარებით. ამის გადასაწყვეტად აუცილებელი არ არის, რომ თავდაცვის საშუალებანი და იარაღი ზუსტად შეესაბამებოდეს თავდამსხმელის მიერ გამოყენებულ საშუალებას და იარაღს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალთა თანაფარდობის შეფასებისას

გათვალისწინებულ უნდა იქნეს თავდამსხმელთა და მომგერიებელთა რაოდენობა, მათი ასაკი, სქესი, შეიარაღება, ხელყოფის ადგილი, დრო და სხვა გარემოებანი, რომელთაც გავლენის მოხდენა მოქალაქეთა თავდამსხმელის და მომგერიებლის ძალების რეალურ უნაუნა ფარდობაზე.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების წარმოსადგენად შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა: ღრმად მოხუცი მიდის მოქ. ა-სთან და დაუწყებს ლანძღვას. ა. წინადადებას აძლევს მას მოშორდეს და წავიდეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯოხით ხელში გაიწევა მისკენ ფიზიკური შეურაცხოფის მისაყენებლად. ა. მოსალოდნელი დაზიანებისაგან თავის დასაცავად ესვრის მას რევოლვერიდან და აყენებს ჯანმრთელობისათვის მძიმე კატეგორიის დაზიანებას. სახეზე გვაქვს ა-ს მიერ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.

სსკ-ის 113-ე მუხლის შესაბამისად მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, ხოლო სსკ-ის 122-ე მუხლის თანახმად ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

ცხოვრებაში ხდება აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მომგერიებელი თავდასხმის ინსცენირებას ახდენს, რათა თავისი მტერი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოკლულად წარმოაჩინოს და ამით თავი დააღწიოს სასჯელს. ასეთი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად და პირი უნდა დაისაჯოს განზრახი მკვლელობისათვის.

### **§3. დამნაშავის შეპყრობა (სსკ-ის 29-ე მუხლი)**

მომქმედი სისხლის სამართლის კოდექსით მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის უფლება დამოუკიდებელი სისხლის-სამართლებრივი ინსტიტუტია და წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის

გამომრიცხველ გარემოებას. მისი მიზანია დაიცვას სასამართლო ხელისუფლებისა და საზოგადოების ინტერესები. სსკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს და სამისოდ აუცილებელი ზომების გადაუცილებლად.

დამნაშავის შეპყრობა მოქალაქის მორალური უფლებაა, თუ მას აქვს ამისი რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მას არ აკისრია ამგვარი მოქმედების შესრულების სამართლებრივი ვალდებულება. მოქალაქეს მორალურადაც ვერ გავკიცხავთ, თუ დამნაშავის შეპყრობა საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

სასამართლო პრაქტიკაში არსებობს პოზიცია, რომლის მიხედვითაც სსკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე პირის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაპყრობი პირი დამნაშავედ არის ცნობილი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით და ამის შესახებ დანამდვილებით იცის შემპყრობმა პირმა.

სხვა შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთა შეპყრობით შეიძლება თუ პირის მიერ ხორციელდება ან უკვე ჩადენილია დანაშაული და იგი ცდილობს მიიმალოს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის შემპყრობი შეიძლება გამართლდეს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე, თუ მისი ქმედება აკმაყოფილებს მართლზომიერების პირობებს.

პირის შეპყრობის უფლება არ წარმოიშობა, თუ ამ პირის მიერ ჩადენილია ადმინისტრაციული გადაცდომა ან სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებლობას გახდის მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სადაოა აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება შეიპყროს ფსიქიკური დაავადების ან 14 წლის ასაკს მიუღწევლობის გამო შეურაცხადი პირი, რომელმაც ზიანი მიაყენა სხვას. თ. შავგულიძის აზრით მოქალაქეს ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხადი პირის დაკავების უფლება უნდა ჰქონდეს, ხოლო 14 წელს მიუღწევლისა არა.<sup>55</sup> ეს საკითხი უნდა გადაწყდეს დამნაშავის შეპყრობისა და აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტების

<sup>55</sup> თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი სამართლის გამომრიცხველი გარემოებები 1998 წ. გვ. 162.

განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით. კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ აუცილებელი მოგერიება ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას, როცა ხდება თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვა დაზიანებისაგან, აქედან გამომდინარე მოქალაქეს აქვს უფლება შერაცხადი და კანონით [დადგენილი] მის მიღწეული პირის მოქმედების აუცილებელი მოგერიებისა, ხოლო დამნაშავეს შეპყრობა კი ხორციელდება მხოლოდ დამნაშავეს მიმართ ესე იგი პირის მიმართ ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია 1998 წელს, თვლის რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი შესაპყრობი პირი უნდა იყოს ფსიქიკურად შერაცხადი და კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული. შეპყრობა უნდა იყოს მისგან საფრთხის აცილების ერთადერთი საშუალება, ხოლო მიზანი კი მისი ხელისუფლების ორგანოში წარდგენა და ამით მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა<sup>56</sup>

საქართველოს მოქმედი სსკ-ის 29-ე მუხლის აზრით დამნაშავეს გამოძინარე ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიძლება შეპყრობილ იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულ შერაცხადი პირი, რომელმაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განჩინებით.

დამნაშავე შეიძლება შეიპყროს როგორც დაზარალებულმა ასევე სხვა პირმაც. დამნაშავეს მიმართ გამოყენებული ძალადობა უნდა წარმოადგენდეს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ადგილზე აღკვეთის და ხელისუფლების ორგანოში მისი წარდგენის საჭირო საშუალებას, მაგრამ თუ შეპყრობა მოხდა ანგარიშის გასწორების მიზნით, მაშინ იგი არამართლზომიერი მოქმედება იქნება. დამნაშავეს შეპყრობა, როგორც წესი აქტიური მოქმედებით ხორციელდება.

საჭიროების შემთხვევაში დამნაშავეს შეპყრობისას დასაშვებია ძალის გამოყენება, სხულის დაზიანება, გათოყვა და სხვა, მაგრამ იგი უნდა შეესაბამებოდეს შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილ

<sup>56</sup> რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 1998 წ. ქ. მოსკოვი გვ.272-274.

დანაშაულის სიმძიმეს და შეპყრობის გარემოებებს და უნდა მოხდეს ამისთვის საჭირო ზომების ფარგლების გადაცილების გარეშე.

საქართველოს სსკ-ის 123-ე მუხლის მიხედვით ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება და მწვავედ შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, ხოლო სსკ-ის 114-ე მუხლის საფუძველზე მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით - ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

დამნაშავის შეპყრობის დროს დამნაშავეს არ წარმოეშობა აუცილებელი მოგერიების უფლება.

დამნაშავის შეპყრობა მოქალაქის მხოლოდ მორალური უფლებათა, მაგრამ სამართალდამცველი ორგანოების მუშაებისათვის იგი სამსახურებრივი მოვალეობაა და მათი უფლება-მოვალეობანი წესრიგდება კანონით, შესაბამისი უწყების დებულებით და ინსტრუქციით.

#### **§4. უკიდურესი აუცილებლობა** (სსკ-ის 30-ე მუხლი)

უკიდურესი აუცილებლობა ნიშნავს სხვისთვის ზიანის მიყენებას, იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დაზიანების მიმყენებლის ან სხვა პირის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის აცილება მოცემულ სიტუაციაში არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო გადარჩენილ სიკეთესზე. ზიანის მიყენება ხდება თვით საფრთხის წყაროზე ან მესამე ძალაზე.

უკიდურესი აუცილებლობის აქტი მართლზომიერი მოქმედებაა და საზოგადოებრივად სასარგებლოა, რადგანაც მიმართულია კანონით დაცული უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის დასაცავად. მისი შესრულება მოქალაქის უფლებაა და არა მოვალეობა.

უკიდურესი აუცილებლობის დროს დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს: ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება და სხვა სამართლებრივი სიკეთე.

უკიდურესი აუცილებლობის დროს ერთმანეთს ეჯახება კანონით დაცული ორი ინტერესი, რომელთაგან უფრო მნიშვნელოვანის გადარჩენა ხდება ნაკლებმნიშვნელოვანი სიკეთის ხარვეზზე.

უკიდურესი აუცილებლობა ორი სახისაა: 1) დღევანდური ანუ თავდაცვითი; 2) აგრესიული ანუ თავდასხმითი<sup>57</sup>.

დღევანდური<sup>58</sup> ანუ თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში პირი ზიანს აყენებს არა მესამე ძალას, არამედ თვით საფრთხის წყაროს. მაგალითად, ა. კლავს ვეფხვს, რომელიც ზოოპარკიდან გამოიქცა და უპირებს თავდასხმას. ამ შემთხვევაში თავდამცველი ზოოპარკის წინაშე მიყენებული ზიანისათვის არ აგებს პასუხს, რადგანაც მის მხრივ მომეტებულ საფრთხის წყაროსთან დაუდევარ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია.

აგრესიული, ანუ თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი ზიანს აყენებს არა ხელმყოფს, არამედ მესამე პირს ან ძალას, რომელთაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ შექმნილი საფრთხის წარმოშობასთან. მაგალითად, ა-ს სახლს წაეკიდა ცეცხლი, რომლის ჩაქრობის დროს მან დაზიანა მეზობლის ვენახი, ბოსტანი და სხვ. ასეთ შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ სამოქალაქო წესით, მაგრამ სხვისი ქონების განზრახ განადგურებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, რადგანაც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

ამრიგად, როგორც თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობა, ასევე თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობა გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მხოლოდ თავდასხმითი (აგრესიული) უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი პასუხს აგებს სამოქალაქო წესით და ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

უკიდურესი აუცილებლობის წყარო შეიძლება იყოს ყოველგვარი ძალა, რომელსაც ზიანის მიყენება შეუძლია.

იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხის წყარო ადამიანის მოქმედებაა, იგი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და საშიში. ამიტომ დაუშვებელია უკიდურესი აუცილებლობით გავამართლოთ თანამდებობის პირების მართლზომიერი მოქმედებისაგან თავის დაცვა

<sup>57</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი 2002 წ. გვ. 78-79

<sup>58</sup> დღევანდელი - დრანგული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თავდაცვას. იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი 1964 წ. გვ. 108

ამ პირის მიერ, რომელმაც თავისი მოქმედებით შექმნა საფრთხე სხვებისათვის.



ბუნების სტიქიურ ძალებს შეუძლიათ ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას შეუქმნან საფრთხე. მაგალითად ზამთარში ძლიერი ქარბუქის დროს გზა აბნეული მოქალაქეები მოყვნილობა რომ გადაირჩინონ, გათბობისათვის წვავენ თივის ზეინებს და ამით ზიანს აყენებენ სახელმწიფო მეურნეობას. მათი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ გამოიწვევს. საფრთხის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესები, როგორცაა შიმშილი, ავადმყოფობა, დასახიჩრება და სხვა, რომელთა აცილების მიზნით ჩადენილი ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც უკიდურესი აუცილებლობა. უკიდურესი აუცილებლობის დროს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება უფრო მაღალი რანგის სამართლებრივი სიკეთეა, ვიდრე ქონება.

უკიდურესი აუცილებლობის დროს სამართლებრივი სიკეთე უნდა იმყოფებოდეს იმწუთიერ საფრთხეში, რაც იმას ნიშნავს, რომ საფრთხე უნდა იყოს სახეზე. საფრთხე, რომელიც წარსულს ან შორეულ მომავალს მიეკუთვნება ვერ ქმნის უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას.

უკიდურეს აუცილებლობასა და აუცილებელ მოგერიებას შორის საერთოა ის, რომ ორივე შემთხვევაში მოქმედება მართლზომიერია ამასთან ერთად უკიდურეს აუცილებლობასა და აუცილებელ მოგერიებას შორის არის არსებითი ხასიათის განსხვავება, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

1. აუცილებელი მოგერიების დროს საფრთხის წყაროს წარმოადგენს ადამიანის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაშინ როდესაც უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხის წყარო შეიძლება იყოს როგორც ადამიანის მოქმედება, ასევე ბუნების სტიქიური ძალები, ცხოველები და სხვ.
2. აუცილებელი მოგერიების დროს ზიანის მიყენება ხდება მხოლოდ დანაშაულებრივი ხელმოფისათვის (თავდამსხმელისათვის), მაშინ როდესაც, როგორც წესი, უკიდურესი აუცილებლობის დროს ზიანი ადგება ისეთ პირს, რომელსაც დანაშაულთან არავითარი კავშირი არა აქვს.
3. უკიდურესი აუცილებლობის დროს მიყენებულ ზიანი

ყველა შემთხვევაში საგრძნობლად ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე თავიდან აცილებული ზიანი, მაშინ როდესაც აუცილებელი მოგერიების დროს ასეთი შეზღუდვა არ არსებობს და მოგერიების ზიანი შეიძლება უფრო მეტიც კი იყოს ვიდრე აუცილებელი ზიანი.

4. უკიდურესი აუცილებლობა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაშინ როდესაც აუცილებელი მოგერიება არ გამოირიცხავს ხელყოფას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. აუცილებელი მოგერიების აქტი გამოიყენება მხოლოდ ადამიანის მიმართ, ხოლო უკიდურესი აუცილებლობის აქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხოველების მიმართაც.

5. უკიდურესი აუცილებლობის დროს ზიანის მიყენება მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი საშუალებაა და არ არსებობს არავითარი სხვა გამოსავალი, მაშინ როდესაც აუცილებელი მოგერიების დროს მომგერიებელს სხვა საშუალებაც გააჩნია, მაგალითად, მოუწოდოს სხვა პირს დასახმარებლად ან თავს უშველის გაქცევით და სხვ.

**§ 5. მართლზომიერი რისკი**  
(სსკ-ის 31-ე მუხლი)

მართლზომიერი რისკი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ძველი კოდექსი არ იცნობდა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მართლზომიერი რისკი დანაშაულს არ წარმოადგენს, თუმცა იგი არ გამოირიცხავს ზიანის დადგომის შესაძლებლობას.

მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. რისკი გამართლებულია მაშინ, თუ საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი არ მიიღწევა რისკის გარეშე.

რისკის პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარების პირობებში. იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ მართლზომიერი რისკის შემდეგ სახეებს:

- 1) საწარმოო-პროფესიონალური რისკს, რომელსაც ადგილი აქვს,

ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში მშენებლობაზე, მრეწველობაში, მედიცინაში, პროფესიონალურ სპორტში და სხვ.  
2) სამეურნეო რისკს, რომელიც მოიცავს საწარმოო-ეკონომიკურ სფეროს და მიმართულია ზარალის თავიდან აცილებას და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას და 3) სამეცნიერო-ტექნიკურ რისკს, რომელიც გულისხმობს მეცნიერულ ძიებებს, ექსპერიმენტებს და ლაბორატორიულ გამოცდებს მიზნის მისაღწევად.

ყოველგვარი რისკი მომავალში დაკავშირებულია სავარაუდო მაგნე შედეგთან. ესე იგი სამართლებრივი სიკეთის შესაძლო დაზიანებასთან. სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია რისკის მართლზომიერების შემდეგი პირობები:

1. რისკი უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზანს, რომლის განსახორციელებლად ეწევიან მას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანია მიზანი მით უფრო დიდი რისკია დასაშვები და გამართლებული და პირიქით. ამასთან ერთად რისკის მართლზომიერების განსაზღვრის დროს მნიშვნელობა აქვს იმ სამართლებრივი სიკეთის ღირებულებას, რომელიც სავარაუდოა დაზიანდეს, რა დროსაც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება უფრო მაღალი რანგის სამართლებრივი სიკეთეა, ვიდრე ქონება. ამიტომ გამართლებული არ იქნება ადამიანთა სიცოცხლის რისკით მატერიალური სიკეთის გადარჩენა.

2. რისკი გამართლებულია თუ სასარგებლო მიზნის მიღწევა შეუძლებელია რისკის გარეშე. მაგალითად, მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური მიზნის მისაღწევად რისკი გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში თუ დასახული მიზნის მიღწევა სხვა უფრო ნაკლები რისკით არ შეიძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში რისკი კარგავს მართლზომიერ ხასიათს და მართლსაწინააღმდეგო დასჯად ქმედებად იქცევა.

3. რისკის დროს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ყოველთვის მხოლოდ სავარაუდო უნდა იყოს და იგი არ უნდა გადაიზარდოს ზიანის შეგნებულად მიყენებაში. აღნიშნულის გამო სუბიექტური მხრივ რისკი შედეგთან მიმართებაში მხოლოდ გაუფრთხილებლობითი შეიძლება იყოს, თუ რისკი განხორციელდა პირდაპირი ან არპირდაპირი განზრახვით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაული.

4. რისკის ობიექტს, როგორც წესი, მატერიალური სიკეთე

წარმოადგენს. რისკი არ იქნება გამართლებული თუ გარემოებალი საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს ან უღანმრთილოებას. მოსალოდნელი რისკის შესახებ იგი წინასწარ უნდა იქნეს გაფრთხილებული და მისგან წინასწარი თანხმობა მუდმივად უნდა გამოწვევა ყველა შემთხვევაში უნდა მიიღოს ყველგან. აუცილებელი ზომები ზიანის ასაცილებლად.

რისკის მართლზომიერებისათვის აუცილებელია ყველ ჩამოთვლილი პირობის ერთდროულად არსებობა.

რისკი ვერ იქნება მართლზომიერი თუ რისკის გამწვევს შეგნებული ჰქონდა, რომ რისკს შეიძლება მოჰყოლოდა მრავალი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ეკოლოგიური კატასტროფა ან სხვა სახის საზოგადოებრივი უბედურების საფრთხე.


### §6. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური ბარემოებანი (სსკ-ის 32-ე მუხლი)

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 28-31-ე მუხლები პირდაპირ ასახელებენ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ისეთ გარემოებებს, როგორცაა აუცილებელი მოგერიება, დამნაშავეის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა და მართლზომიერი რისკი. ამასთან ერთად არის ისეთი გარემოებანი, რომლებიც კოდექსში პირდაპირ დასახელებული არ არის, მაგრამ გამომრიცხავს მართლწინააღმდეგობას და არის მართლზომიერი, რის გამო მისი ჩამდენი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.

ასეთ გარემოებებს სისხლის სამართლის თეორიაში უწოდებენ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს და იგი გათვალისწინებულია სსკ-ის 32-ე მუხლით. ამ მუხლმა, ისე როგორც 38-ე მუხლმა გზა გაუხსნა სამოსამართლო სამართალშემოქმედებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართალში პიროვნების სასარგებლოდ მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებით დაშვებული იქნა სასამართლოს მიერ ანალოგიის გამოყენება.

სსკ-ის 32-ე მუხლის შესაბამისად მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს, ის ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენებული, მაგრამ საფრთხილ აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური ესე იგი კოდექსში სახელდებით არმოსხენებული გარემომებები შენძლება იყოს: 1) დაზარალბულის თანხმობა; 2) დაზარალბულის საგარაუდო თანხმობა; 3) მოვალეობათა კოლიზია და ასე შემდეგ.



### 1. დაზარალბულის თანხმობა

დაზარალბულის თანხმობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი დაუწერელი გარემოებაა. კანონი დანაშაულად არ თვლის ადამიანის მიერ საკუთარი ქონების განადგურებას, საკუთარი სიცოცხლის მოსპობას ანდა საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა არის თუ არა მართლსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ზემოთ დასახელებული სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება სხვა პირის მიერ დაზარალბულთან შეთანხმებით ან მისი თხოვნით.

იურისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ პირის თანხმობა საკუთარი ქონების განადგურების შესახებ გამორიცხავს ქმედების მართლსაწინააღმდეგობას, რადგანაც თანხმობა ამ შემთხვევაში არის მისი საკუთრების რეალიზაციის საშუალება. მათვე მიაჩნიათ, რომ ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივს და ღირსებას, მაგრამ კანონმდებლობაში სხვაგვარად დგას საკითხი, როცა საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის საფუძველზე მკვლელობა მსხვერპლის დაჰინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად ჩადენილი მომავლადვის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან განთავისუფლების მიზნით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. როგორც ვხედავთ პირის თანხმობა მისი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შესახებ ყოველთვის არ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას.

პირის თანხმობა მისი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შესახებ მართლწინააღმდეგობად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ შემდეგი პირობების არსებობის დროს:

ა) დაზარალბულის თანხმობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა თანხმობის მიმცემი უფლებრივად თვითონ ინდივიდუალურად არის სამართლებრივი სიკეთის მატარებელი და არავითარი ზიანი არ ადგება სხვა სახის სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად, სსკ-ის 370-ე მუხლი

ითვალისწინებს მოწმის ან 'დამხარალებულის მიერ ცრუ ჩვენება' მიცემას ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემას, ანდა თარჯიმანის მიერ განზრახ არასწორად თარგმნას, თუ აღნიშნულთა ნებისმიერ განსასჯელის თანხმობით სასამართლოს მისცემენ ცრუ ჩვენებას ან ყალბ დასკვნას, ანდა თარჯიმანი განზრახ საქმის მასალებს არასწორად გადათარგმნის, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს მოქმედება განსასჯელის თანხმობით განახორციელეს - არ გვექნება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, ვინაიდან ამ სახის დანაშაულის დაცვის ობიექტია არა განსასჯელის ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე, არამედ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე, - კერძოდ მართლმსაჯულება და მისი ინტერესები.

აღნიშნულთან ერთად, ნებისმიერი ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზეც არ არის საკმარისი ამ სამართლებრივი სიკეთის მატარებლის თანხმობა, რომ პირის მოქმედება ჩაითვალოს მართლწომიერად.

მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა თუნდაც დამხარალებულის თანხმობით, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, რადგანაც ასეთი ქმედება საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოა და ძირს უთხრის სწვისი სიცოცხლის ხელშეუხებლობის პრინციპს, ესე იგი საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეს.

კერძო ბრალდებათა საქმეების დროს, როცა დამხარალებული თვითონ არის სამართლებრივი სიკეთის მატარებელი, მისი თანხმობა შეიძლება იყოს საფუძველი ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად ცნობისათვის.

ბ) თანხმობა არ უნდა ისახავდეს მიზნად მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიღწევას. მაგალითად, საკუთარი ქონების განადგურებაზე დამხარალებულის თანხმობა არ გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას, თუ მოქმედება თავისთავად სოციალურად საშიშია და სხვებისთვის საზიანოა.

გ) თანხმობა მიცემული უნდა იყოს შერაცხადი და ქმედუნარიანი პირის მიერ. თანხმობის მიცემის დროს გამორიცხული უნდა იყოს ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა. თანხმობა აუცილებელია მიცემული იყოს ქმედების ჩადენამდე. ხელყოფის ჩადენის შემდეგ მიცემული თანხმობა არ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას და მამასადამე, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ზემოთ ხსენებული პირობების დაცვით მიღებული თანხმობის შემდეგ თანხმობის მიმცემის პრეტენზიები არ შეიძლება შეფასებულ იქნეს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფად თუ დადგინდება, რომ ამსრულებლის მოქმედებაში არ არის განზრახი დანაშაულის ნიშნები. მაგალითად, ა-მ გაიყვანა ცხვირის ოპერაცია, რის შემდეგ მას თავისი გარეგნობა არ მოეწონა და უჩივლა ქირურგს. თუ დადგინდება, რომ ქირურგს ოპერაცია ჩატარებული ჰქონდა ამ სახის ოპერაციის წესების დაცვით და განზრახვა არ ჰქონდა დაემახინჯებინა ა-ს სახე, იგი პასუხს არ აგებს.

## 2. დაზარალებულის საგარაუდო თანხმობა

ზოგჯერ ხდება, რომ დაზარალებულისაგან თანხმობის მიღება შეუძლებელია სხვადასხვა გარემოებების გამო, მაშინ აუცილებელია გვექონდეს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი თანახმა იქნებოდა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონოდა. მაგალითად, საავადმყოფოში მოიყვანეს მძიმედ დაჭრილი, გონდაკარგული პაციენტი. ექიმმა მას გაუკეთა სასწრაფო ოპერაცია და ფეხი მოკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში განგრენისაგან დაიღუპებოდა. ასეთი პაციენტის მიმართ ჩატარებული ეს მძიმე ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი ნება არ გამოუხატავს, - იქნება მართლზომიერი. თუ გამოჯანმრთელების შემდეგ ეს პაციენტი უჩივლებს ექიმს და განაცხადებს, რომ ფეხის მოკვეთას სიკვდილი ერჩია, უნდა დადგინდეს შეიძლებოდა თუ არა მისგან თანხმობის მიღება, და სწორად იყო თუ არა ჩატარებული ოპერაცია და მყურნალობა. თუ დადგინდა, რომ პაციენტი უგონო მდგომარეობაში იყო, ხოლო ექიმის მიერ ოპერაცია და შემდგომი მყურნალობა ჩატარებული იყო სწორად - ექიმის მოქმედება იქნება მართლზომიერი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება.

## 3. მოვალეობათა კოლიზია<sup>59</sup>

კოლიზია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს საპირისპირო შესრულებათა და ინტერესთა შეჯახებას.

<sup>59</sup> კოლიზია - ლათინური წარმოშობის სიტყვაა, იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1964 წ. გვ. 203

მოვალეობათა კოლიზია არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი ზეკანონური გარემოება. მოვალეობათა კოლიზიის დროს პირი ერთდროულად ორი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის პრობლემის წინაშე იმყოფება, მას კი დროის გაქცევას გათვალისწინებით შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ერთს დაენშაროს და გადაარჩინოს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ერთი სიკეთე გადაარჩეს, მეორე კი დაიღუპოს ან დაზიანდეს. მაგალითად, ექიმი ერთდროულად გამოიძახეს ორ მძიმე ავადმყოფთან. ექიმი მოვალეობათა კოლიზიის მდგომარეობაშია. არა აქვს მნიშვნელობა ექიმი რომელ ავადმყოფზე შეაჩერებს ყურადღებას, ბავშვზე თუ მოხუცზე, პროფესორზე თუ გლეხზე. მისი მოქმედება იქნება მართლზომიერი თუ დაუყოვნებლივ გაემგზავრება და პაციენტს აღმოუჩენს სათანადო სამედიცინო დახმარებას. ექიმის მოქმედება მხოლოდ მაშინ იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუ ის შეგნებულად წავიდა იმ ავადმყოფის გადასარჩენად, რომლის ავადმყოფობის სიმპტომებიც არ იყო საგანგაშო მეორე ავადმყოფთან შედარებით, რომელიც პირველი რიგის გადაუდებელ დახმარებას საჭიროებდა.

#### 4. საკუთარი უფლების განხორციელება, კანონის აღსრულება და სხვა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა ზეკანონურ გარემოებებს მიეკუთვნება საკუთარი უფლების განხორციელება. მაგალითად, მესაკუთრის მიერ საკუთარი ნივთის ამოღება სხვისი მართლსაწინააღმდეგო სარგებლობიდან. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს აგრეთვე კანონის აღსრულება, მაგალითად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულება ან გადაწყვეტილების საფუძველზე მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად ქონების ამოღება და სხვ.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების ამომწურავი სია არ არსებობს, რაც გზას უხსნის მოსამართლეს პიროვნების სასარგებლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნიოს, ისეთი გარემოება რომელიც აუმაყოფილებს მართლზომიერების პირობებს, ე.ი. პიროვნების სასარგებლოდ გამოიყენოს ანალოგია.

**ბრაღის გამომრიცხველი და უპაჲსუპაჲბელი  
ბარამოჲბანი (სსკ-ის IX თაჲვი)**

ქ რ ი ვ ნ უ ლ ი  
გ ი ზ უ ლ ი რ ი თ ე ჯ ა



როგორც ზემოთ ითქვა, ბრაღის გამომრიცხველი გარემოებები წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს.

**§1. ბრაღის გამომრიცხველ ბარამოჲბათა ცნება და სახეები. (სსკ-ის 34-ე მუხლი)**

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების შესწავლის შემდეგ უნდა შევეხოთ ბრაღის გამომრიცხველ გარემოებებს.

სისხლის სამართლის კანონის მიხედვით არავინ არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ინდივიდუალური ბრაღის დადგენის გარეშე. ამიტომ ბრაღის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების შესწავლის დროს, საჭიროა განვლილი მასალიდან ზოგი რამ მოვიგონოთ ბრაღის, როგორც დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ერთ-ერთ ნიშანზე.

საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ეფუძნებოდა ბრაღის წმინდა ფსიქოლოგიურ თეორიას, ბრაღი გაგებული იყო, როგორც პირის ფსიქიკური დამოციდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი განზრახი ან გაუფრთხილებლობის ფორმით.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, რომელიც აღიარებს ბრაღის წმინდა ნორმატიულ თეორიას, ბრაღი არ არის პირის ფსიქიკური დამოციდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადმი, არამედ ბრაღი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ანუ ბრაღი არის გაკიცხვა, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენს ბრაღის ფორმებს, არამედ იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ულემენტებია, რომელიც გამოიხატება დანაშაულის მოტივსა და

მიზანში და წარმოადგენენ ინდივიდუალურ-სამართლებრივ გარემოების კრიტერიუმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების განზრახ ჩადენა უფრო მკაცრად იციცხება (ისჯება) ვიდრე გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება და მაშასადამე, განსაზღვრავს ბრძანის მართლმართლ.

ბრალი შეფასებითი, ნორმატიული კატეგორიაა და სისხლის მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას, ესე იგი პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

პირი ბრალეულია და სისხლისსამართლებრივი წესით პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შერაცხადია, მიღწეულია კანონით დადგენილ ასაკს და აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნების უნარი.

ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ცნებაში იგულისხმება პირის ისეთი ინტელექტუალური და ნებელობითი მდგომარეობა, როდესაც ის ქრონიკული ავადმყოფობის, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო, აგრეთვე კანონით დადგენილ 14 წლის ასაკს მიუღწევლობის, მისატყვევებელი შეცდომის, ან წინასწარ შეცნობის გარეშე სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისა და სხვა ბრალის გამომრიცხველ ზეკანონური გარემოებების დროს დააზიანებს კანონით დაცულ სამართლებრივ სიყეთეს.

ბრალის გამომრიცხველი გარემოებების საფუძველზე პირის განთავისუფლება ნიშნავს არა გამართლებას, არამედ პატიებას მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. არა-ბრალეულად მოქმედი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამედიცინო ან სხვა სახის სოციალური დაცვის ღონისძიება.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ბრალის გამომრიცხველი გარემოებებია: შეურაცხადობა, შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება და სხვა არაბრალეული ქმედებები (სსკ-ის 38-ე მუხლი).

## §2. შეურაცხადობა

ახალი კოდექსის მიხედვით შეურაცხადობა წარმოადგენს გვარობით ცნებას და თავისთავში მოიცავს ორ მომენტს: შეურაცხადობას ასაკის გამო და შეურაცხადობას ფსიქიკური მდგომარეობის გამო. შეურაცხადობა ასაკის გამო დგინდება მოქმედი კანონით, ხოლო შეურაცხადობა ფსიქიკური მდგომარეობის გამო კი სამედიცინო-

ფსიქოლოგიური მონაცემების სფუძველზე სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიერ.

შერაცხაობის საკითხი ჩვენ განვიხილეთ დანაშაულის სუბიექტის შესწავლის დროს და ხაზგასმით ვთქვით, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელსაც ახასიათებს ორი ძირითადი ნიშანი, კერძოდ უნდა იყოს კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული და შეეძლოს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება ე. ი. იყოს ფსიქიკურად ჯანსაღი.

განმეორების თავიდან აცილების მიზნით აქ მხოლოდ მოყვლე შევეხოთ თითოეულს.

**ა) შეურაცხაობა ასაკის გამო (სსკ-ის 33- მუხლი)**

მოქმედი სსკ-ის 33-ე მუხლის შესაბამისად ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეურაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. კანონმდებელი თვლის, რომ ამ ასაკს მიუღწეველ მოზარდს ჯერ კიდევ არა აქვს საკმარისი უნარი გააყეთოს სწორი არჩევანი კანონით აკრძალულ და ნებადართულ ქცევათა შორის, ხოლო 14 წლის ასაკს მიღწეულისათვის უშვებს პრეზუმციას, რომ მას ასეთი უნარი გამოუმუშავებული აქვს.

ამრიგად, ახალი კოდექსის მიხედვით ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობა იწყება 14 წლის ასაკიდან. ამასთან ერთად კანონმდებელი ითვალისწინებს იმას, რომ მოზარდი 14-დან 18 წლამდე ასაკში არასრულწლოვანია და თუმცა მას აქვს უნარი ერთმანეთისაგან განასხვავოს კანონით აკრძალული და ნებადართული, მაგრამ მისი მართლშეგნება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და დამოკიდებულია არა მარტო ნაცხოვრებ წელთა რაოდენობაზე, არამედ ოჯახურ აღზრდაზე და გარემო პირობებზე, ამიტომ ამ თავისებურებების გათვალისწინებით კანონმდებელი უშვებს არასრულწლოვნის მიმართ სისხლის-სამართლებრივი სასჯელის ნაცვლად აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებასაც, თანაც ადგენს არასრულწლოვანი დამნაშავისათვის დასანიშნი სასჯელის სახეებს და მისი დანიშვნის პირობებს, რომელიც მოცემულია სსკ-ის მეთექვსმეტე თავში.

ბ) შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო  
(სსკ-ის 34-ე მუხლი)



სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეურაცხება ბრალდებულს, ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი გაეცნობიერება, მაგრამ არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად.

აქვე უნდა ხაზი გაუსვათ იმას, რომ პირი შეურაცხადად რომ იქნეს ცნობილი, აუცილებელია ორი წინაპირობის ანუ კრიტერიუმის არსებობა – სამედიცინო ანუ ბიოლოგიურის და იურიდიული ანუ ფსიქოლოგიურის.

სამედიცინო ანუ ბიოლოგიური კრიტერიუმი გვიჩვენებს პირის ფსიქიკური დაავადების სახეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს ამ პირის შეურაცხადად ცნობისათვის, რადგანაც ასეთი პირი შეიძლება გამოჯანმრთელებული იყოს და აცნობიერებდეს თავის ქმედებას, ამიტომ იმავდროულად აუცილებელია იურიდიული ანუ ფსიქოლოგიური კრიტერიუმის არსებობა, რომელიც გვიჩვენებს ჰქონდა თუ არა მას ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების უნარი და თუ არ ჰქონდა, იყო თუ არა ეს გამოწვეული ფსიქიკური დაავადებით.

იურიდიული ანუ ფსიქოლოგიური კრიტერიუმს თავის მხრივ ახასიათებს ორი ნიშანი: ინტელექტუალური და ნებელობითი, რომლებიც განუყოფელ კავშირში არიან ერთმანეთთან. ინტელექტუალური ნიშანი გულისხმობს პირის უუნარობას ფსიქიკური ავადმყოფობის გამო გააცნობიეროს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობრივი ხასიათი. ასეთ შემთხვევაში პირს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა ჰგონია, რომ მისი ქმედება მართლზომიერია და მისაღებია, ხოლო ნებელობითი მომენტი გულისხმობს იმას, რომ პირი აცნობიერებს თავის ქმედების მართლწინააღმდეგობას, მაგრამ არა აქვს უნარი თავი შეეკავოს ამ მოქმედებისგან და ემოქმედოს სხვაგვარად. მაგალითად, კლექტომანიით<sup>60</sup> დაავადებული პირი აცნობიერებს, რომ ქურდობა

<sup>60</sup> კლექტომანია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გადაულახავ ავადმყოფურ მიდრეკილებას ქურდობისადმი. იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1964 წ. გვ. 200

სისხლის სამართლის წესით დასჯადი მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა მაგრამ არ შეუძლია თავი შეიკავოს ამ ქმედების ჩადენისაგან იმის გამო, რომ ნებისყოფა არ ჰყოფნის.

პირის შეურაცხადად ცნობისათვის აუცილებელი ერთდროულად სახეზე იყოს იურიდიული ანუ ფსიქიკური კრიტერიუმის ორივე მომენტი, ესე იგი ინტელექტუალური და ნებელობითი ფუნქციის მოშლა, არამედ საკმარისია ერთ-ერთი ფუნქცია იყოს მოშლილი.

ამრიგად, პირის შეურაცხადად ცნობისათვის აუცილებელია თავდაპირველად დადგინდეს, რომ იგი ბიოლოგიურად დაავადებულია ერთ-ერთი რომელიმე ფსიქიკური დაავადებით და ამის შემდეგ სამართლებრივი შეფასების მეთოდით გაირკვეს მის ქმედებაში არის თუ არა ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტი ან ერთ-ერთი მათგანი მაინც. მაგალითად, თუ პირი დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით, დავეუშვათ შიზოფრენიით, მაგრამ დანაშაულის ჩადენის დროს გამოჯანმრთელებული იყო და შეეძლო გაცნობიერებინა ჩადენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და კონტროლი გაეწია მისთვის — საქმე არ გვექნება ბრალის გამომრიცხველ გარემოებასთან და ასეთი პირი მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხგებაში, როგორც შერაცხადი პირი.

შეურაცხადი პირი ფსიქიკურად ავადმყოფია და ამიტომ არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის სუბიექტური, რის გამოც მის მიმართ გამოიყენება არა სასჯელი, არამედ სოციალური დაცვის ღონისძიება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 102-ე მუხლით.

### §3. შეცდომა

(სსკ-ის 36-ე მუხლი)

შეცდომა ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა.

შეცდომას, მის სახეებს და სამართლებრივ მნიშვნელობას ჩვენ ვრცლად გავეცანით დანაშაულის სუბიექტური მხარის შესწავლის დროს. ამიტომ აქ შევეხებით მხოლოდ იურიდიულ შეცდომას, რომელიც გარკვეული პირობების არსებობისას განზრახვის ან საერთოდ ბრალის გამომრიცხველი გარემოება შეიძლება იყოს.

იურიდიული შეცდომა ნიშნავს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის არასწორ წარმოდგენას იმ ქმედების დასჯადობის

თუ დაუსჯადობის შესახებ, რომელსაც ის სჩადის.

სსკ-ის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება რომელსაც სჩადის აკრძალულია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატყვევებელი იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად შეცდომა მისატყვევებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა კანონით აკრძალულ ქმედებას. ამრიგად, მისატყვევებელი შეცდომის დროს არ არსებობს, მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომელიც ქმედების ბრალად შერაცხვის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენი სისხლის სამართალი, რომელიც ბრალის პრინციპზეა აგებული, ბრმად არ აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პრინციპით: "კანონის არ ცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისგან", არამედ აუცილებლად მიიჩნევს ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის დადგენას.

მისატყვევებელი შეცდომის სწორად გაგებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი: რკინიგზის მწონავმა დანიშნულებისამებრ სხვა ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციის სახელზე ტარის გარეშე პირდაპირ ვაგონში ჩაყრით გადააგზავნა რამოდენიმე ტონა სტაფილო, რომელიც გზაზე გაფუჭდა. მწონავს წინასწარ გამოძიებამ წაუყენა ბრალდება, რომ მან დაარღვია მალფუჭებადი საქონლის რკინიგზით გადატვირთვის ინსტრუქცია, რომელიც სტაფილოს ტარის გარეშე გადატვირთვას კრძალავს, რამაც გამოიწვია სტაფილოს გაფუჭება და მნიშვნელოვანი ზიანი. სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ რკინიგზის ადმინისტრაციას ისეთი ბლანკეტური ნორმა, როგორიცაა მალფუჭებადი საქონლის გადაგზავნის ინსტრუქცია, მწონავებისათვის გაცნობილი არ ჰქონდა, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ მწონავის მიერ დაშვებული შეცდომა იყო მისატყვევებელი, რადგანაც მას ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების საშუალება არ ჰქონდა თვით ადმინისტრაციის ბრალით, რომელიც ვალდებული იყო მწონავისათვის გაეცნო ეს ინსტრუქცია.

სსკ-ის 36-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, როცა შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით.

#### §4. ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ-ის 37-ე მუხლი)



ქართული  
საქართველოს  
საქართველოს

ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს ხელქვეითის მიერ უფროსის სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულება, მისი შედეგის მართლწინააღმდეგობის შეგნების გარეშე.

ბრძანების ან განკარგულების სავალდებულო შესრულების საკითხი უპირველეს ყოვლისა ეხება სამხედრო, შინაგან საქმეთა, უშიშროების, კავშირგაბმულობის, საგადასახადო პოლიციის, საბაჟო და სხვა კატეგორიის სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირების საქმიანობას.

უფროსი, რომელიც იძლევა სავალდებულო ბრძანებას ან განკარგულებას არის პირი, რომელიც დროებით ან მუდმივად არჩეულია ან დანიშნულია და იმყოფება სახელმწიფო სამსახურში ხელმძღვანელად, მიცემული აქვს უფლებამოსილება უბრძანოს ხელქვეითებს ამა თუ იმ კანონიერი მოთხოვნის შესრულება ან მისგან თავის შეკავება და გააკონტროლოს ბრძანების შესრულების დროულობა და სიზუსტე. უფროსის კანონიერი ბრძანება ხელქვეითმა უყოყმანოდ უნდა შეასრულოს.

სსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას წინასწარი შეცნობის გარეშე დაზიანა სამართლებრივი სკეეთე. ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა. მაგალითად, ომიანობის დროს ოფიცერი უბრძანებს ჯარისკაცს ვითომ შეტევითი ოპერაციის მიზნებისათვის მოქალაქეს დროებითი გამოყენებისათვის ჩამოართვას ავტომანქანა. ჯარისკაცმა შეასრულა ბრძანება, ოფიცერი კი ამ მანქანას პირადი გამორჩენის მიზნით გაყიდის კერძო პირზე. ჯარისკაცი, რომელსაც ამ შემთხვევაში არ ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება, არ აგებს პასუხს ოფიცერის უკანონო ბრძანების შესრულებისთვის, რადგანაც მის მიერ დაშვებულია მისატყვებელი შეცდომა. საერთოდ 37-ე მუხლის პირველი ნაწილი არის 36-ე მუხლის გამოვლენის სპეციალური შემთხვევა, რადგანაც უფროსის სავალდებულო ბრძანება ხელქვეითისთვის შეცდომის დაშვებისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობის საფუძველია.

ბრძანება ან განკარგულება მართლწინააღმდეგოდ რომ ჩაითვალოს საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა: ა) ბრძანება ან განკარგულება,

რომელსაც ხელქვეითი ასრულებს, უნდა შეესაბამებოდეს კანონსა და კანონქვემდებარე აქტს. ამჟამად კანონსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება მართლსაწინააღმდეგოა და შესრულებას ვერ ექვემდებარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ქვეყნის მთავრობის მიერ მიყენებული სამართლებრივი სიყუთვე, დადგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც ბრძანების ან განკარგულების გამცემი თანამდებობის პირის, ისე მისი ამსრულებელი ხელქვეითის მიმართ; ბ) ბრძანება ან განკარგულება გაცემული უნდა იყოს შესაბამისი უფროსის მიერ უშუალო ხელქვეითისადმი კომპეტენციის ფარგლებში კანონით დადგენილი ფორმის შესატყვისად; გ) ბრძანების ან განკარგულების შემსრულებელ ხელქვეითს უნდა ჰქონდეს შეგნება და რწმენა, რომ ასრულებს მართლზომიერ და არა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. თუ ხელქვეითს ბრძანების ან განკარგულების მართლწინააღმდეგობის შეგნება აქვს და მაინც შეასრულებს მას, მაშინ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც დანაშაულის ამსრულებელს, ხოლო მის უფროსს კი როგორც წამქმნებელს. უკანონო ბრძანების ან განკარგულების შეუსრულებლობა არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**§5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს (სსკ-ის 38-ე მუხლი)**

სსკ-ის 38-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, რომელიც ამ კოდექსში სახელობით არ არის მოხსენებული, მაგრამ აკმაყოფილებს ქმედების არაბრალეულობის პირობებს და წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს.

ეს მუხლი გულისმობს ტრადიციული კოლიზიის შემთხვევებს, რომელთა არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბრალეულად არ მოქმედებს ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის შეგნებულად, მაგრამ სამართლებრივი სიყუთის ნაწილის გადასარჩენად, როცა ეს სიყუთე მთლიანობაში დასაღუპად იყო განწირული. მაგალითად, თუ ორ მთამსვლელს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება, ასეთ ვითარებაში მესამე თოქს გადაჭრის იმ მიზნით, რომ ერთ-ერთი მაინც გადაარჩინოს, გვექნება ბრალის გამოძრიცხველი გარემოება, რადგანაც ორივე დასაღუპავად იყო განწირული.

ტრაგეულ კოლონიას ადგილი არა აქვს იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად ხელყოფენ იმ სიკეთეს, რომელსაც დაღუპვა არ ემოქმედებოდა, მოუხედავად ამ სიკეთებს შორის დიდი სხვაობისა. მაგალითად, დაუშვებელია მწარმოებელი განწირული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, თუნდმც კონკრეტული ადამიანის გაწირვა, რომლის სიცოცხლეს საფრთხე არ ემოქმედებოდა. ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების დადგენა ახალი კოდექსით განეკუთვნება სამოსამართლო სამართალ-შემოქმედებით სფეროს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელი პერიოზულ ნდობას უცხადებს მოსამართლეს თვითონ გადაწყვიტოს სამართლებრივი შეფასების მეთოდის გამოყენების გზით ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების არსებობის საკითხი.<sup>61</sup>

**§6 ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება  
(სსკ-ის 35-ე მუხლი)**

სსკ-ის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, შეზღუდულ შერაცხადობასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის დროს პირს ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულიდ გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის. შეზღუდული შერაცხადობა არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, იგი მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულწლოვანი პირი ჩვეულებრივ მიეცემა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ხოლო მის მიერ დანაშაულის ჩადენა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში გაითვალისწინება სასჯელის დანიშვნის დროს, ხოლო რაც შეეხება არასრულწლოვანს, იგი სსკ-ის 35-ე მუხლის შესამე ნაწილის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და დაუნიშნოს მას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

შეზღუდული შერაცხადობის საკითხს ჩვენ უფრო ვრცლად გავეცანით ამ ლექციების კურსის მერვე თავში, როცა შევისწავლეთ დანაშაულის სუბიექტი და მისი დამახასიათებელი ნიშნები (იხ. თავი VIII §4-ე).

<sup>61</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2000 წ. გვ. 128-129.



ეროტიანი დანაშაული და მისი სასჯელი

§1. ერთიანი დანაშაულის ცნება და სასჯელი სისხლის სამართლის თეორიაში

ერთიანი დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით დაცულ ერთი ობიექტის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, რომელიც ხორციელდება ერთი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით. ხასიათდება ბრალის ერთი ფორმით და ქმნის დანაშაულის ერთ შემადგენლობას.

სისხლის სამართლის თეორიაში ერთიანი დანაშაული იყოფა ერთიან მარტივ და ერთიან რთულ დანაშაულად.

ერთიანი დანაშაულის მარტივი სახე თავის მხრივ იყოფა ორ ქვესახედ: ა) ერთიანი მარტივი დანაშაული ფორმალური შემადგენლობით და ბ) ერთიანი მარტივი დანაშაული მატერიალური შემადგენლობით.

ერთიანი მარტივი დანაშაული ფორმალური შემადგენლობით გვაქვს მაშინ, როდესაც ხელყოფა მიმართულია კანონით დაცულ ერთ ობიექტზე, რომელიც ხორციელდება ერთი მოქმედებით. ხასიათდება ბრალის ერთი ფორმით და შედეგის დადგომას კანონი არ ითხოვს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 151-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარას პირისადმი, რომელსაც გაუჩნდა ამ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

ერთიანი მარტივი დანაშაული მატერიალური შემადგენლობით წარმოადგენს ხელყოფას კანონით დაცულ ერთ ობიექტზე, რომელიც ხორციელდება ერთი მოქმედებით, ხასიათდება ბრალის ერთი ფორმით და მთავრდება ერთი მართლსაწინააღმდეგო შედეგით, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობა, რომელიც ჩადენილია დამამძიმებელი გარემოების გარეშე.

ამრიგად, ერთიანი მარტივი დანაშაული ფორმალური შემადგენლობით და ერთიანი მარტივი დანაშაული მატერიალური

შემადგენლობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ შედეგის მიხედვით. მარტივი დანაშაული ფორმალური შემადგენლობით არ მოითხოვს შედეგის დადგომის აუცილებლობას და დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც სუბიექტმა შეასრულა კანონით აკრძალული მოქმედება, ხოლო მარტივი დანაშაული მატერიალური შემადგენლობით მოითხოვს შედეგის დადგომას.

ერთიანი რთული დანაშაული წარმოადგენს ერთი პირის მიერ ჩადენილ რამდენიმე ქმედებას, რომელიც ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ორ ან მეტ ობიექტს, რომელიც ხორციელდება ორი ან მეტი მოქმედებით და თუ მათ განვიხილავთ ერთმანეთისაგან იზოლირებულად, თითოეული წარმოგვიდგება, როგორც დამოუკიდებელი მარტივი დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ურთიერთმჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და თვით დანაშაულის სუბიექტის მიერ შეცნობილია როგორც ერთი დანაშაული, სისხლის სამართლის თეორიაში მიჩნეულია ერთიან რთულ დანაშაულად.

ერთიან რთულ დანაშაულთა შორის სისხლის სამართლის თეორიაში გამოყოფენ შემდეგ სახეებს: 1) შენადგენი დანაშაული; 2) დანაშაული რამდენიმე ობიექტით ანუ მრავალობიექტიანი დანაშაული; 3) დანაშაული რამდენიმე შედეგით; 4) დანაშაული ორმაგი ბრალით 5) განგრძობადი დანაშაული და 6) დენადი დანაშაული.

ერთიან რთულ დანაშაულთა დასახელებული სახეებიდან სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა დენადი და განგრძობადი დანაშაულის განმარტებას, ხოლო დანარჩენი სახეების განსაზღვრა დამუშავებულია სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

### 1. შენადგენი დანაშაული

შენადგენი დანაშაული არის ერთიანი რთული დანაშაულის ერთ-ერთი სახე, რომელიც შედგება ორი ან მეტი ქმედებისაგან, რომლებიც ხელყოფენ ორ ან მეტ ობიექტს. აქ თითოეული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, თუ მათ განვიხილავთ იზოლირებულად, წარმოგვიდგება როგორც ორი მარტივი დამოუკიდებელი დანაშაული, მაგრამ მათ შორის ისეთი მჭიდრო

შინაგანი კავშირია, რომ კანონმდებელი მათგან ქმნის მესამე ერთიან დანაშაულს<sup>62</sup>.

შენადგენ დანაშაულს კანონმდებელი ქმნის სხვადასხვა ხერხით. პირველი, როდესაც ორი დამოუკიდებელი დანაშაული ერთმანეთს და იქმნება მესამე ახალი დანაშაული. მაგალითად, ყაჩაღობა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 179-ე მუხლით, წარმოადგენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით თავდასხმას პიროვნებაზე მისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. აქ ორ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ერთდროულად ხელყოფს ორ ობიექტს: ადამიანის პიროვნებას და მის საკუთრებას, მაგრამ ისინი ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ კანონმდებელი მათ ითვალისწინებს ერთ დანაშაულად - ყაჩაღობად, და არა როგორც ორ მარტივ დანაშაულს, კერძოდ პიროვნების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

მეორე ხერხის გამოყენების დროს კანონმდებელს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი დანაშაული შეაქვს მეორე დამოუკიდებელ დანაშაულში, როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი. მაგალითად, ხულიგნობა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 239-ე მუხლით, განმარტებულია, როგორც ისეთი მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა ქმნის დამოუკიდებელ დანაშაულს ადამიანის წინააღმდეგ, მაგრამ ხულიგნობის შემადგენლობაში იგი კანონმდებლის მიერ შეტანილია როგორც აუცილებელი ნიშანი, იმიტომ რომ საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა ხულიგნობად რომ ჩაითვალოს; აუცილებელია იგი ჩადენილი იყოს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. აღნიშნულის გამო ამ შემთხვევაში ძალადობის მუქარამ, რომელიც ჩვეულებრივ ქმნის დამოუკიდებელ დანაშაულს ადამიანის პიროვნების წინააღმდეგ - დაკარგა თავისი დამოუკიდებელი სისხლის-სამართლებრივი მნიშვნელობა და ხულიგნობის შემადგენლობაში

<sup>62</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, თბილისი, 1976 წ. გვ. 236

შევიდა როგორც ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი.

ბოლოს, კანონმდებელმა ერთი დამოუკიდებელი მარტივი დანაშაული შეიძლება შეიტანოს მეორეში როგორც მკვალიფიცირებული ნიშანი. მაგალითად, ძალადობას, რასშიც სამიში არ არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, კანონმდებელი განიხილავს, როგორც მკვალიფიცირებულ ნიშანს ისეთი დანაშაულებებისათვის, როგორიცაა ძარცვა, ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე (სსკ-ის 178-ე, 184-ე მუხლები) და სხვ.

ამრიგად, შენადგენი დანაშაულის დამახასიათებელია ის, რომ კანონმდებლის მიერ გამოყენებული ხერხის მიუხედავად, ერთი მარტივი დამოუკიდებელი დანაშაული შთანთქავს მეორეს და შთანთქმული დანაშაული კარგავს თავის სისხლისსამართლებრივ დამოუკიდებლობას და ხდება შენადგენი დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი.

## 2. დანაშაული რამდენიმე ობიექტით

როგორც ცნობილია, უობიექტო დანაშაული საერთოდ არ არსებობს. ზოგიერთი დანაშაული ზიანს აყენებს ან ზიანის მიყენების კონკრეტულ საფრთხეს უქმნის არა ერთს, არამედ ორ ან მეტ ობიექტს. ასეთ მართლსაწინააღმდეგო და ბრალულ ქმედებას უწოდებენ დანაშაულს რამდენიმე ობიექტით ანუ მრავალობიექტიან დანაშაულს. მრავალობიექტიან დანაშაულში ერთი ობიექტი, რომლის წინააღმდეგ უშუალოდ არის მიმართული ხელყოფა, ყოველთვის არის მთავარი და მას კანონმდებელი პირველი რიგის მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო დანარჩენი ობიექტები, რომლებიც ასეთ უშუალო მნიშვნელოვან ზიანს არ განიცდიან დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, მეორეხარისხოვან ობიექტებად იწოდებიან. დანაშაულის შემადგენლობაში მთავარ უშუალო ობიექტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. მაგალითად, ცრუ დასმენის შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლით ორ უშუალო ობიექტს ითვალისწინებს. იგი ხელყოფს სასამართლოს ხელისუფლების ნორმალურ მუშაობას, ასევე ცალკეული ადამიანის პიროვნების ინტერესებს, მაგრამ ხელყოფის ამ ორი ობიექტებიდან კანონმდებელი



შემადგენლობა ორმაგი ბრალით. აეთ შემთხვევაში თანმდევი უფრო მძიმე შედეგი დანაშაულის შემადგენლობაში შეტანილია, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

დანაშაულის ერთ შემადგენლობაში ორმაგი ბრალი უფრო ხშირად გვხვდება ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 119-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებას, რომელმაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ორმაგი ბრალით ჩადენილი დანაშაულის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირებულია სსკ-ის მე-11 მუხლით, რაზედაც საკმაოდ ვილაპარაკეთ წინა ლექციებში.

### 5. დენადი დანაშაული (მუხლი მე-13)

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დენადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. დენადი დანაშაულია, მაგალითად, წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება (სსკ-ის 356-ე მუხლი), დანაშაულის შეუტყობინებლობა (სსკ-ის 376-ე მუხლი) თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან, ანდა ბადრაგირებისას გაქცევა (სსკ-ის 379-ე მუხლი) დეზერტირობა (სსკ-ის 389-ე მუხლი).

დენადი დანაშაული დამთავრებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტის მომენტიდან. იგი შეიძლება შეწყდეს თვით დამნაშავის ნებით და ეს მოხდება თუ იგი სათანადო უფლებამოსილ ორგანოებში გამოცხადდა მონანიებით, მაგრამ იგი შეიძლება შეწყდეს დამნაშავის ნების გარეშე, თუ იგი პოლიციის მიერ იქნება დაკავებული. დენადი დანაშაული რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს, ითვლება ერთიან დანაშაულად და დაკვალიფიცირდება სსკ-ის შესაბამისი ერთი მუხლით ან მისი ნაწილით.

ყველა დენადი დანაშაული პირობით შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) როცა დანაშაულის სუბიექტი არ ასრულებს მისთვის

კანონით დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად, ამ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული აღიშენების გადასახადისაგან ჯიუტად თავის არიდება ან კიდევ სსკ-ის 379-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც მდგომარეობს თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევაში ბ) მეორე ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოთ აკრძალული ან თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებული საგნების შენახვასთან დაკავშირებული დანაშაულები, მაგალითად, სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გამოიხატება ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექენაში, შენახვაში, ტარებაში, დამზადებაში, გადაზიდვა-გადაგზავნაში ან გასაღებაში ან კიდევ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გამოიხატება ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებაში, შექენაში, შენახვაში, გადაზიდვა-გადაგზავნაში ან გასაღებაში.

## 6. განგრძობადი დანაშაული (მუხლი მე-14)

სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით, განგრძობადია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას. განგრძობადი დანაშაულის დროს მისი შემადგენელი ქმედებები იურიდიულად ერთგვაროვანია, ცალკეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს შორის დროის მოკლე შუალედი, დანაშაულებრივი ქმედება მიმართულია ერთი წყაროსაკენ. მაგალითად, მოსავლის აღების პერიოდში დამნაშავეს მიერ სხვისი ყანიდან სიმინდის მოპარვა ზედიზედ რამოდენიმეჯერ ქმნის განგრძობადი დანაშაულის შემადგენლობას. განგრძობადი დანაშაულის დროს მისი შემადგენელი ცალკეული ქმედებები დამოუკიდებლად არ შეფასდება, არამედ განიხილება როგორც ერთიანი დანაშაულის შემადგენლობა<sup>63</sup> და არა როგორც განმეორე

<sup>63</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, პირველი ნაწილი თბილისი 1976 წ. გვ. 8.



პითი დანაშაული, რადგან იგი თუმცა დროშია გაწელილი, მაგრამ ერთიანი განზრახვით და საერთო მიზნით არის მოცული და განხორციელებულია ერთი და იგივე წყაროდან ხელყოფით.

განგრძობადი დანაშაული დამთავრებულად ითვლება უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან.

დენადი და განგრძობადი დანაშაული ერთიანი დანაშაულის სახეებია. ისინი ერთმანეთისაგან განხვავდებიან იმით, რომ განგრძობადი დანაშაული შედგება ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი ქმედებისაგან და დამთავრებულად ითვლება უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან, ხოლო დენადი დანაშაული გულისხმობს ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას განუწყვეტლივ და დამთავრებულად ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.



დანაშაულის სიმრავლე მსკ-ის V (მეხმ) ნომერი

ს ი მ რ ა ვ ლ ი ს

§1. დანაშაულის სიმრავლის ცნება, მისი სოციალური და იურიდიული დახასიათება

დანაშაულის სიმრავლე ნიშნავს ერთი პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის თავმოყრას, რომლებიც ცალ-ცალკე აღებული ქმნიან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობებს, ინარჩუნებენ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, არ იწვევენ პროცესუალურ შეფერხებას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის და სასჯელი ჯერ მოხდელი არ არის არც ერთისათვის.

დანაშაულის სიმრავლის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. დანაშაულის სიმრავლის გამაერთიანებელი საწყისია ის, რომ მასში შემავალი რამდენიმე დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია ერთი და იმავე სუბიექტის, ან სუბიექტთა ჯგუფის მიერ.

2. თითოეული სამართალდარღვევა წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის სიმრავლეს არ ქმნის ის შემთხვევა, როცა ორი სამართალდარღვევიდან ერთ-ერთი არის დამოუკიდებელი ხასიათის სისხლისსამართლებრივი დარღვევა (დანაშაული), ხოლო მეორე კი ადმინისტრაციული გადაცდომა ან სამოქალაქო სამართლებრივი დელიქტია.

3. დანაშაულის სიმრავლეში შემავალი ყველა ცალკეული დანაშაული შეიცავს დამოუკიდებელი შემადგენლობის ნიშნებს და ამრიგად, სიმრავლის სტრუქტურულ ელემენტად გამოდის ერთიანი დანაშაული, როგორც მარტივი, ისე რთული შემადგენლობის სახით და ამ ნიშნის მხედველობაში მიღებით ხდება დანაშაულის სიმრავლის და ერთიანი რთული დანაშაულის გამოიჯენა.

4. დანაშაულის სიმრავლეს ქმნის როგორც დამთავრებული დანაშაულები, ისე მათი მომზადება და მცდელობა. სიმრავლის სტრუქტურულ ელემენტებად შეიძლება ვიცნოთ არა მარტო დანაშაულის ამსრულებლის, არამედ ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება. მაგალითად, დანაშაულის სიმრავლე

გვექნება იმ შემთხვევაშიც თუ ქურდობის ერთ ეპიზოდში პირი იყო ამსრულებელი, ხოლო მეორე ეპიზოდში დამხმარე.

დანაშაულის სიმრავლე არ გვექნება, მაშინ როდესაც ორი სამართალდარღვევის ეპიზოდიდან ერთი გამორიცხავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასეთი გარემოებები შეიძლება იყოს შემდეგი:

- სისხლსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ქმედითი მონანიების გამო (სსკ-ის 68-ე მუხლი).
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო (სსკ-ის 69-ე მუხლი).
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ვითარების შეცვლის გამო (სსკ-ის 70-ე მუხლი).
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (სსკ-ის 71 მუხლი).
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ამნისტიის აქტის საფუძველზე (სსკ-ის 77-ე მუხლის მეორე ნაწ.).
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების გამო (სსკ-ის 79-ე მუხლი).
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის შენიშვნებში მითითებული გარემოების გამო. მაგალითად, სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად ხელს შეუწყობს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას. ან კიდევ სსკ-ის 339 მუხლის შენიშვნა, რომლის თანახმად ქრთამის მიცემი, თუ მას ქრთამი გამოძალეს ან მან ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობით განაცხადა სისხლის სამართლის საქმის აღმძვრელ ორგანოში თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

5. სიმრავლეში შემავალი ცალკეული დამოუკიდებელი დანაშაული არ უნდა შეიცავდეს პროცესუალურ შემადგერხებელ გარემოებას, რომელიც გამორიცხავს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას. ასეთი შემადგერხებელი გარემოებები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში: მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 120-121-ე და 126-ე მუხლებით, 139-ე მუხლის პირველი ნაწილით, 140-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, 217-ე მუხლით, 218-ე მუხლის პირველი ნაწილით და 263-ე მუხლის პირველი ნაწილით გაფუჭდის წინაშე დანაშაულთა შესახებ საქმეები აღიძვრება მხოლოდ დამარტყვიანების საჩივრით, მაგრამ უნდა შეწყდეს ბრალდებულთან მისი შერიგების გამო. შერიგება კი დასაშვებია სასამართლოს (მოსამართლის) სათათბირო ოთახში გასვლამდე. აქედან გამომდინარე თუ პირს ჩადენილი აქვს ორი დანაშაული, რომლიდანაც ერთი დამთავრდა დამარტყვიანების ბრალდებულთან შერიგებით, ანდა დამარტყვიანება მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე, რომელიც სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა არ შეიტანა საჩივარი, – საქმე გვექნება ერთიან დანაშაულთან და არა დანაშაულის სიმრავლესთან<sup>64</sup>.

დანაშაულის სიმრავლესა და ერთიან დანაშაულს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის სიმრავლე გვაქვს მაშინ, როდესაც ერთი პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებაში თავმოყრილია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა, რომლებიც არ იწვევენ პროცესუალურ შეფერხებას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის და სასჯელი ჯერ მოხდელი არ არის არც ერთისათვის, ხოლო ერთიანი დანაშაული არის ერთი პირის მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც ხელყოფს ერთ ობიექტს და ხასიათდება ბრალის ერთი ფორმით.

ამრიგად, დანაშაულის სიმრავლის სტრუქტურული ელემენტია ერთიანი დანაშაული, როგორც მარტივი, ისე რთული სახის.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს დანაშაულის სიმრავლის სამ სახეს: არაერთგზისი დანაშაულის, დანაშაულთა ერთობლიობას და დანაშაულის რეციდივს.

## §2. არაერთგზისი დანაშაული (სსკ-ის 32-15 მუხლი)

არაერთგზისობა დანაშაულის სიმრავლის სახეობაა. სსკ-ის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით

<sup>64</sup> Уголовное право, часть общая, Москва, 1998 г. стр. 394-396

გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგვაროვანი დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში".

ამრიგად, საერთო წესის მიხედვით დანაშაულის არაერთგვაროვანს ქმნის ერთი პირის მიერ სხვადასხვა დროს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი იგიური სახის დანაშაულის ჩადენა, მაგალითად, ქურდობის შემდეგ ქურდობა, ძარცვის შემდეგ ძარცვა, გამოძალვის შემდეგ გამოძალვა და ასე შემდეგ, მაგრამ გამონაკლისის სახით ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულიც შეიძლება ჩაითვალოს არაერთგვაროვან ჩადენილად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. აღნიშნულის მაგალითია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მეორე პუნქტი, რომელიც ადგენს: "ამ კოდექსის 177—186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგვაროვანად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა". სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მეორე პუნქტის შესაბამისად, თუ პირის მიერ ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობის, გამოძალვის, მითვისების ან გაფლანგვის ჩადენას წინ უსწრებდა დასახელებული დანაშაულები და ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი), ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერებისაგან მაიონებული გამოსხივების წყაროს ხელში ჩაგდება (231-ე მუხლი), იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა (237-ე მუხლი) და ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (264-ე მუხლი) - საბჭოე გვექნება არაერთგვაროვანი დანაშაული.

სსკ-ის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დანაშაული არაერთგვაროვანს ჩადენილად არ ჩაითვლება თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის განთავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. აქვე უნდა ავლენიშნოთ, რომ ერთიანი განგრძობადი დანაშაული არ ქმნის დანაშაულის არაერთგვაროვანს

და იგი ითვლება დამოუკიდებელ დანაშაულად.

არაერთგზისობის ნიშნის დადგენისათვის მნიშვნელობა არა აქვს იყო თუ არა დამნაშავე ნასამართლევი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ თუ პირი წინათ ჩადენულ დანაშაულისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული, მაშინ წინათ ჩადენილი დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელიც არაერთგზისობას ქმნის, სისხლისსამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს ცალ-ცალკე, მით უმეტეს, როდესაც პირველი დანაშაული უფრო მძიმეა, ვიდრე მეორე. ასეთ შემთხვევაში მეორე დანაშაული უნდა დაევალიფიცირდეს როგორც არაერთგზის ჩადენილი, ხოლო პირველი კი - სსკ-ის იმ მუხლით, რომლითაც იგი გათვალისწინებულია. მაგალითად, თუ დამნაშავემ პირველად ჩაიდინა სსკ-ის 224-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ბანდიტიზმი), ხოლო შემდეგ სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (ძარცვა) და იგი არც ერთისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, მისი დანაშაული უნდა დაევალიფიცირდეს სსკ-ის 224-ე მუხლით და 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით, როგორც არაერთგზის ჩადენილი ძარცვა, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა როგორც არაერთგზისობა, ისე ორი დამოუკიდებელი დანაშაული. წინააღმდეგ შემთხვევაში პირის მიერ ჩადენილი უფრო მძიმე დანაშაული (ბანდიტიზმი) დარჩებოდა სამართლებრივი შეფასებისა და დასჯის გარეშე.

სსკ-ის მე-15 მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად თუ არაერთგზისი დანაშაული ამ კოდექსით გათვალისწინებულია გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაევალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგზისი დანაშაულისათვის. ამრიგად, არაერთგზისობა შეიძლება ჩავთვალოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, თუ ამის შესახებ მითითებულია სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში. მაგალითად, სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძარცვისათვის სასჯელის მაქსიმალური ვადა არის ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც არაერთგზის ჩადენილი ძარცვა, როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება, გვაძლევს სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის შემადგენლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე.

### §3. დანაშაულთა ერთობლიობა (სსკ-ის მე-16 მუხლი)



დანაშაულთა ერთობლიობის ცნების განსაზღვრას იძლევა სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ამბობს: „დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლებით ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით, ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს“.

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ კანონმდებელი დანაშაულთა ერთობლიობაში გულისხმობს სუბიექტის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედებით ორი ან მეტი სხვადასხვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული და ამით ქმედებათა რიცხვის მიხედვით ასხვავებს დანაშაულთა ერთობლიობის ორ სახეს: იდეალურ ერთობლიობას და რეალურ ერთობლიობას, თუმცა ამის შესახებ სპეციალურად არ მიუთითებს.

იდეალური ერთობლიობა გულისხმობს სუბიექტის მიერ ერთი მოქმედებით ორი ან მეტი, სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლით. მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რომელმაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია. აქ ერთი მოქმედებით განხორციელებულია ორი დანაშაულის შემადგენლობა (ყაჩაღური თავდასხმა და განზრახი მკვლელობა ანგარების მიზნით), რომლებიც გათვალისწინებული არიან სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით და ეს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით. დანაშაულის იდეალური ერთობლიობის დროს ზიანი ადგება ორ ან მეტ ობიექტს და ხორციელდება სუბიექტის ერთი მოქმედებით ან უმოქმედობით. დანაშაულის იდეალური ერთობლიობა, როგორც წესი, არ ქმნის არაერთგზობას და ამდენად დანაშაულის დაკვალიფიცირებელ ნიშანს არ წარმოადგენს, ამიტომ დაკვალიფიცირდება სხვადასხვა მუხლებით.

დანაშაულის რეალური ერთობლიობა გულისხმობს სუბიექტის

მიერ სხვადასხვა დროს ორი ან მეტი ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც შეიცავს სსკ-ის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას (დეკლარაციის ერთისათვის ჯერ არ ყოფილა მსჯავრდებულ<sup>68</sup> მსჯავრდებულ ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 176-ე მუხლით და ბანდიტიზმი, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 224-ე მუხლით, ჩადენილი პირის მიერ სხვადასხვა დროს ქმნის დანაშაულის რეალურ ერთობლიობას.

იდეალური და რეალური ერთობლიობის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ, პირველ შემთხვევაში სუბიექტის ერთი მოქმედებით ერთდროულად ხორციელდება ორი ან მეტი დანაშაულის შემადგენლობა, მაშინ როდესაც რეალური ერთობლიობის დროს რამდენი დამოუკიდებელი ქმედებაცაა სახეზე, იმდენი დამოუკიდებელი დანაშაულიც არის ჩადენილი.

დანაშაულის ერთობლიობის იურიდიული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ სუბიექტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მის მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაულისათვის ცალ-ცალკე, რის შემდეგ სასამართლო, სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრავს საბოლოო სასჯელის ვადას.

სსკ-ის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს ქმედება ერთდროულად ზოგადი და სპეციალური შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს. მაგალითად სსკ-ის 375-ე მუხლი შეიცავს ზოგად ნორმას და ითვალისწინებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვას წინასწარი შეპირების გარეშე, ხოლო სსკ-ის 370-ე მუხლი შეიცავს სპეციალურ ნორმას და ითვალისწინებს მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენებების მიცემის ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენებების მიცემის ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორ თარგმნას გამოძიების დროს ან სასამართლოში. თუ სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნული მონაწილენი მიზნად ისახევენ დამნაშავეს გამართლებას, მაშინ მათი მოქმედება დამნაშავეს და დანაშაულის დაფარვის ერთ-ერთი საშუალებაა და შეიცავს სსკ-ის 375-ე მუხლით

<sup>68</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი თბილისი, 1976 წ. გვ. 235

გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებსაც, მაგრამ სსკ-ის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 370-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი, რომელიც შეიცავს სპეციალურ ნორმას ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ანდა არასწორი თარგმნისათვის.

**§4. დანაშაულის რეციდივი**  
(სსკ-ის მე-17 მუხლი)

რეციდივი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს განმეორებას, სისხლის სამართალში კი რეციდივის ცნებაში იგულისხმება დანაშაულის განმეორებით ჩადენა.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს დანაშაულის რეციდივის სამ სახეს: რეციდივს, საშიშ რეციდივს და განსაკუთრებით საშიშ რეციდივს.

დანაშაულის რეციდივი გათვალისწინებულია სსკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით და გვაქვს მაშინ, როდესაც განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი ამ ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე ჩაიდენს ახალ განზრახ დანაშაულს.

რეციდივს, როგორც დანაშაულის სიმრავლის ერთ-ერთ სახეს ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1) მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად რეციდივს ქმნის მხოლოდ განზრახი დანაშაული; 2) რეციდივის დროს, ისე როგორც დანაშაულის არაერთგზისობის და რეალური ერთობლიობის დროს, პირი იდენს ორ ან მეტ განზრახ ქმედებას, რომელთაგან თითოეული შეიცავს დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას. 3) მეორეჯერ ჩადენილი განზრახი დანაშაული რეციდივს გვაძლევს მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი პირველი განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული იყო და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ამ კოდექსის 79-ე მუხლით დადგენილი წესით. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლის ასაკამდე, თუნდაც მეორე განზრახი დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იგი მოხსნილი არ ჰქონდეს მას. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს ხდება სსკ-ის 58-ე მუხლით დადგენილი წესით.

ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიხედვით რეციდივის ორ სახეს ასხვავებენ: საერთო რეციდივს და სპეციალურ რეციდივს.

საერთო რეციდივს ქმნის ორი ან მეტი არაერთგვაროვანი განზრახვი დანაშაული, როცა პირი პირველ განზრახვი დანაშაულისათვის მსჯავრდებულია. მაგალითად, განზრახვი მკვლელობისათვის მსჯავრდების შემდეგ ქურდობის ჩადენა გვაძლევს საერთო რეციდივს. საერთო რეციდივის იურიდიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: 1) იგი არ წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებას, არამედ მხოლოდ სასჯელის დამამძიმებელი გარემოებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს ახალი დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაენიშნოს უფრო მაკცრი სასჯელი (სსკ-ის მე-17 მუხ. მე-5 ნაწ.) 2) სასჯელის ვადა დანაშაულის რეციდივის დროს არ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მაკცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ნახევარზე ნაკლები (სსკ-ის 58-ე მუხ. II ნაწ.) 3) დანაშაულის რეციდივის დროს თუ პირველი განაჩენი დაკავშირებული იყო თავისუფლების აღკვეთასთან, რეციდივისტი სასჯელს მოიხდის მაკცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

საერთო რეციდივის ნაირსახეობაა სპეციალური რეციდივი და გვაქვს მაშინ, როდესაც პირის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი განზრახვი ერთგვაროვანი დანაშაული, რომლიდანაც პირველი დანაშაულისათვის მსჯავრდებული იყო და მეორისათვის უსჯიანთა თვისუფლების აღკვეთას.

სპეციალური რეციდივის იურიდიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში პირდაპირ გათვალისწინებული სპეციალური რეციდივი წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ან განსაკუთრებით მაკვალიფიცირებელ გარემოებას. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვა, მითვისება ან გაფლანგვა ჩადენილი იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლეთი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. (სსკ-ის 178-182-ე მუხლები) ან კიდევ უკანონო აბორტი ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც

მსჯავრდებული იყო ასეთივე ქმედებისათვის (სსკ-ის 133-ე მუხლის მეორე ნაწილი) და სსკ. 2) იმ შემთხვევაში, როცა სპეციალური რეციდივი არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, როგორც დანაშაულის მკაცრი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, ის მხედველობაში მიიღება, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება. მაგალითად, სსკ-ის 148-ე მუხლი ითვალისწინებს ცილისწამებას დანაშაულის დაბრალებით, მაგრამ იგივე ქმედება განმეორებით არ ქმნის ამ დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიცირ სახეს. ამიტომ ცილისწამება განმეორებით არის მხოლოდ სასჯელის დამამძიმებელი გარემოება. ჩადენილი განზრახი დანაშაულის რაოდენობისა და სიმძიმის მიხედვით მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, გარდა პირველი ნაწილით გათვალისწინებული რეციდივისა, იცნობს საშიშ რეციდივს და განსაკუთრებით საშიშ რეციდივს, რომელიც შესაბამისად ცალცალკეა გათვალისწინებული სსკ-ის მე-17 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში.

სსკ-ის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საშიში რეციდივი ნიშნავს: ა) წინათ განზრახი დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა პირმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისათვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას; ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ახალი განზრახი მძიმე დანაშაული, ე.ი. ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას. საშიში რეციდივის ჩადენის დროს მსჯავრდებული, თუ ისინი წინათ სასჯელს იხდიდნენ თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელს მოიხდიან მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში<sup>66</sup>

საშიში რეციდივის იურიდიული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ სსკ-ის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საშიში რეციდივის დროს სასჯელის ვადა არ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ორ მესამედზე ნაკლები.

სსკ-ის მე-17 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად განსაკუთრებით

<sup>66</sup> საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“. მუხლი 74-ე.

საშიში რეციდივი ნიშნავს: ა) წინათ განზრახი ნაკლებად მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის სამჯერ ან მეტჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას; ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ მსჯავრდებულმა ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა პირმა, ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული და გ) წინათ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ესე იგი ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

განსაკუთრებით საშიში რეციდივის იურიდიული მნიშვნელობა სსკ-ის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად გამოიხატება იმაში, რომ სასჯელის ვადა არ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის სამ მეოთხედზე ნაკლები. დანაშაულის რეციდივის ან საშიში რეციდივის დროს თუ მსჯავრდებული წინათ იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მსჯავრდებულს შეიძლება სასჯელის ნაწილის მოხდა განესაზღვროს საპრობილეში.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლისაგან განსხვავებით ახალი სისხლის სამართლის კოდექსში ლაპარაკია არა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტზე, არამედ დანაშაულის რეციდივზე, რაც ხაზს უსვამს მოქალაქეთა თანასწორობას სისხლის სამართლის კანონის წინაშე. ახალი კოდექსის მიხედვით, ძველი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით არ ხდება მსჯავრდებულის ცნობა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, რასაც წინათ მეტად უარყოფითი სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა იმ მხრივ, რომ სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილი პირი წინასწარ არათანაბარ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით, რის გამოც კანონის წინაშე ყველას თანასწორობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.



**სასჯელის ცნება და მიზანი**

**§1. სასჯელის ცნება და მისი საპენიტენციური ნიშნები**

სასჯელი, ისევე როგორც დანაშაული, სოციალური მოვლენაა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. ქმედება დანაშაულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი კანონით აკრძალულია სასჯელის გამოყენების მუქარით, რომელიც აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში მოიყვანება სისრულეში სახელმწიფო იძულების გამოყენების გზით.

დანაშაული და სასჯელი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. სასჯელი არის სახელმწიფოს ბუნებრივი რეაქცია დანაშაულზე და წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას.

სისხლისსამართლებრივ სასჯელს გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ა) სასჯელის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ის, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების დანაშაულად მიჩნევა და მისი ჩადენისთვის სასჯელის დაწესება სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს. სასჯელი, არის რა იძულებითი ღონისძიება, ინიშნება სახელმწიფოს სახელით და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს არა აქვს უფლება გამოიყენოს სისხლის სამართლის სასჯელი. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

ბ) სასჯელი სასამართლო განაჩენით ინიშნება მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით დანაშაულად აღიარებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის მიმართ და აქვს მკაცრად განსაზღვრული ინდივიდუალური ზასიათი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი არ ეხება სხვა პირის ინტერესებს და შეესაბამება მხოლოდ დამნაშავეს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხარისხს და მის პიროვნულ თვისებებს. ამით სასჯელი წარმოადგენს სახელმწიფოს სახელით დამნაშავეს და მის მიერ ჩადენილი ქმედების

უარყოფით შეფასებას, რომელიც იწვევს სახელმწიფო იძულებით ღონისძიებათა სხვა ფორმებს შორის ყველაზე მყარ და მძიმე ღონისძიების გამოყენებას.

გ) სასჯელი, სახელმწიფო იძულებითი სხვა ღონისძიებებისაგან განსხვავებით, იწვევს გარკვეულ სამართლებრივ-საქმურ ნასამართლობას, რომელიც კანონით დადგენილი ვადით სასჯელის მოხდის შემდეგაც გრძელდება და მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სხვა სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. მაგალითად ნასამართლობა ზოგჯერ იწვევს შეზღუდვას სამუშაოს ნებისმიერი არჩევის საკითხში. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ნასამართლობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა და სხვ.

დ) სისხლისსამართლებრივი სასჯელი განსხვავდება სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან, კერძოდ ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებებისაგან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი გამოიყენება ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რაც დანაშაულად არ ითვლება და მათ განიხილავენ როგორც რაიონის (ქალაქის) სასამართლოები, ასევე შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციის ორგანოების და საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოების თანამდებობის პირები, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს სახელმწიფოს სახელით. გარდა ამისა, ადმინისტრაციული სახდელი ნასამართლობას არ იწვევს.

სისხლის სამართლის სასჯელი დისციპლინური სახდელის ღონისძიებისაგან განსხვავდება იმით, რომ ამ უკანასკნელს იყენებს საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი მისი ხელქვეითების მიმართ შრომის შინაგანაწესის ან სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევა იწვევს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, რომელიც გამოიხატება ისეთი იძულებითი ღონისძიებების



გატარებაში, როგორცაა ზიანის ანაზღაურების დაკისრება, პირის გარკვეული უფლების აღიარება, ნივთის დაბრუნების მოვალეობის დაკისრება, პირვანდელი მოვალეობის აღდგენა და სხვ.

ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო სამართლებრივი დარღვევები შედარებით ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავენ, იურიდიული გაგებით დანაშაულს არ წარმოადგენენ და არ იწვევენ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენებას, თუმცა ისინიც შეიცავენ გარკვეულ იძულებით ღონისძიებებს.

ამრიგად, სასჯელი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოს სახელით სასამართლოს განაჩენით შეეფარდება დანაშაულის ჩადენაში ბრალულ პირს, დაკავშირებულია ერთგვარ ტანჯვასთან, რაც გამოიხატება მსჯავრდებულისათვის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი ინტერესების, პირადი უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვაში ან ჩამორთმევაში, იწვევს სასამართლობას და მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

**§2. სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა ცნება და მათი განსხვავება სასჯელისაგან**

სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებში იგულისხმება აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 90-96-ე მუხლებში და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 101-107-ე მუხლებში, რომელთაც სასამართლო იყენებს სისხლის სამართლის სასჯელის ნაცვლად გარკვეული კატეგორიის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირთა მიმართ.

1. აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. სსკ-ის 90-ე მუხლის შესაბამისად არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ეი სისხლის სამართლის კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებული



მდგომარეობაში მყოფ პირებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის  
ნაცვლად და მისი მიზანია ფსიქიკურად დაავადებული პირის  
განკურნება ან მისი ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო  
თუ ეს შეუძლებელია მაშინ მათი იზოლირება, რათა ფეხედენ  
ქნეს აცილებული ახალი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, და მისი  
შედეგი.

ზემოხსენებულის გამო აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი  
ლონისძიებები და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები  
წარმოადგენენ არა სისხლისსამართლებრივ სასჯელს, არამედ  
სოციალური დაცვის ღონისძიებებს, რომელთა გამოყენების მიზანია  
საზოგადოების დაცვა მომავალში მართლსაწინააღმდეგო ქმედების  
ჩადენისა და მისი შედეგებისაგან.

### §3. სასჯელის მიზანი

სასჯელის შესახებ მოძღვრების ისტორიასა და თანამედროვე  
სისხლის სამართლის თეორიაში დისკუსიის საგანი იყო და დღესაც  
აქტუალურია, თუ რა არის სასჯელის მიზანი - შურისძიება  
ჩადენილი დანაშაულისათვის, რომელიც გარკვეულ ტანჯვასთანაა  
დაკავშირებული, თუ დანაშაულის თავიდან აცილების საშუალება.  
მე-18 საუკუნემდე სასჯელის მიზნად მიჩნეული იყო: 1. შურისძიება  
ტალიონის პრინციპით «თვალი-თვალის წილ, კბილი კბილის წილ»  
და 2. დაშინება სხვა პირთა მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის  
ასაცდენად. სასჯელის მიზნის ასეთი გაგების გამო გამოიყენებოდა  
სიკვდილით დასჯა და სხვა მკაცრი სასჯელები, რათა ერთის მხრივ  
სამაგიერო მიეზღოთ მძიმე დანაშაულის ჩამდენთათვის, ხოლო  
მეორეს მხრივ დაეშინებინათ საზოგადოების დანარჩენი წევრები,  
რომ მათ მომავალში რაიმე დანაშაულის ჩადენის სურვილი არ  
გასჩენოდათ.

დიდ მეცნიერს და იურისტს ჩეზარე ბეკარიას, რომელიც  
იმყოფებოდა ფრანგული საგანმანათლებლო ფილოსოფიის გავლენის  
ქვეშ, სასჯელის მიზანთა შორის უმთავრესად მიაჩნდა დანაშაულის  
თავიდან აცილება. იგი წერდა: „სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს  
გაწამება, ტანჯვა და უკვე მომხდარი დანაშაულის არარსებულად  
ქცევა... აქედან გამომდინარე, სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაში  
გამოიხატება, რომ წინ აღუდგეს დანაშაულებს, რათა კვლავ არ  
დააზიანოს საზოგადოება და სხვები ანალოგიურის ჩადენისაგან

შეაკავოს, ამრიგად, საჭიროა გამოვიყენოთ მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც დანაშაულთან შესაბამისობით ყველაზე ძლიერ და უმეტესად ხანგრძლივ შთაბეჭდილებას მოახდენს ადამიანთა სულებზე და დამნაშავის სხეულისათვის ნაკლებ სატანჯველი იქნებოდეს.<sup>67</sup>

მე-18 საუკუნის განმანათლებლების შეხედულებებმა მხოლოდ ნაწილობრივ ჰპოვეს ასახვა მე-19 საუკუნის ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის კოდექსებში, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ რელიგიურ დოგმებს, რომელთა გადალახვა ჯერ კიდევ ეკონომიკურად სუსტ ბურჟუაზიას არ ძალუძდა.

გერმანული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზომიერი წარმომადგენლის, ფილოსოფოს კანტის აზრით დასჯა ტალიონის პრინციპით «თვალი-თვალის წილ, კბილი-კბილის წილ» არის სამართლიანი შურისძიება, რადგანაც ბოროტებას თანაბარი ბოროტებითვე უნდა გაეცეს პასუხი. ამასთან ერთად, ის მოითხოვდა ამ პრინციპით დასჯის დროს ყველას თანასწორობას კანონის წინაშე, მიუხედავად დამნაშავის სოციალური მდგომარეობისა.

სასჯელმა, როგორც შურისძიებამ ჩადენილი დანაშაულისათვის, დასაბუთება ჰპოვა ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში. მისი აზრით სამართალი საზოგადოების საერთო ნების გამოხატულებაა, დანაშაული კი არის ამ საერთო ნების უარყოფა, ხოლო სასჯელი არის უარყოფის უარყოფა, რომელმაც უნდა აღადგინოს დარღვეული სამართლიანობა. ესე იგი ჰეგელისათვის სასჯელი არის სამართლიანი შურისძიება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედებისათვის, რომელსაც კანონი თვლის დანაშაულად და იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის მიმართ მხოლოდ მისი გონებრივი, სულიერი განწყობისათვის<sup>68</sup>.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სასჯელის მიზანია: 1) სამართლიანობის აღდგენა, 2) ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და 3) დამნაშავის რესოციალიზაცია.

1. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი სისხლის სამართლის კანონი დანაშაულებრივი ქმედებისაგან იცავს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებას, საზოგადოების უშიშროებას და წესრიგს, ასევე სახელმწიფოს კონსტიტუციურ

<sup>67</sup> ჩუზარე ბეკრაია: დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი, 2003 წელი. გვ. 69, 70.

<sup>68</sup> Курс Советского уголовного права, Том 3, Наказание, Москва 1970 г. стр 31-32

წყობილებისა და უშიშროების საფუძვლებს, რომელიც ადამიანთა საზოგადოებაში აღიქმება როგორც ნორმალური ცხოვრების სამართლიანი წესი, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს, დანაშაული კი არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ცხოვრების წესს ამ წესებს და კანონით აკრძალულია. დანაშაულით ~~გერღვევს~~ სოციალური სამართლიანობა, რაც ზიზღს და აღშფოთებას იწვევს საზოგადოების წევრთა უმრავლესობაში, რომლებიც ნებაყოფლობით იცავენ კანონით დაცულ მართლწესრიგს. ამის გამო საზოგადოებაში ჩნდება მოთხოვნა, რომ კანონის დარღვევამ არ ჩაიაროს დაუსჯელად, ე.ი. სახელმწიფო წინ აღუდგეს დანაშაულს და მისი ჩამდენი პირის წინააღმდეგ გამოიყენოს სასჯელი, რათა აღდგენილ იქნეს სოციალური სამართლიანობა, რაც ნიშნავს შესაძლებლობის ფარგლებში დანაშაულის ჩადენის შედეგად დარღვეული უფლებების აღდგენას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და დაზარალებულისთვის დაკარგული სამართლებრივი სიკეთის აღდგენას.

ამრიგად, სახელმწიფოს მიერ დამნაშავის მიმართ სისხლის-სამართლებრივი სასჯელის გამოყენება გულისხმობს კანონიერებისა და სამართლიანობის ზეიმს, რითაც ხორციელდება სასჯელის ეს მიზანი - სამართლიანობის აღდგენა.

2. დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი. ჩეზარე ბეკარიას შეხედულებით უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასჯა, ამისათვის საჭიროა გაავაუთოთ ისე, რომ ადამიანებს ემინოდეთ კანონის და მხოლოდ მათი შიშით კანონის წინაშე კეთილისმყოფელი, მაგრამ შიში ადამიანისა ადამიანის მიმართ დამღუპველია და წარმოშობს დანაშაულს<sup>66</sup>.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას სისხლის სამართლის თეორიაში უწოდებენ პრევენციას, რომელიც ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ჩვეულებრივ ნიშნავს წინასწარი ზომების მიღებას რისამე თავიდან ასაცილებლად. სისხლის სამართალში პრევენცია გულისხმობს წინასწარ გაფრთხილებას დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. პრევენცია ანუ გაფრთხილება ორი სახისაა:

- ა) კერძო ანუ სპეციალური და ბ) ზოგადი.
- ა) კერძო (სპეციალური) პრევენცია ანუ გაფრთხილება გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის მეორედ ჩადენის აცდენას, რომელიც მიიღწევა იმით, რომ პირს ჩადენილი

<sup>66</sup> ჩეზარე ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილის, 2003 წელი, გვ.197-199.

დანაშაულის სიმძიმის და ხარისხის შესაბამისი სასჯელის შეფარდებით შესაძლებლობა ესპობა ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მაგალითად, თუ პირს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ბუნებრივია, იგი საზოგადოებისაგან იზოლირებულია და ამით აცდენილია მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. ახალი დანაშაულის თავიდან აცდენის მიზნის მისაღწევად ყოველთვის როდია აუცილებელი დამნაშავეს მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. ჩნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, სასჯელის უფრო მსუბუქი იძულებითი ღონისძიებების (ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი მუშაობა და სხვ.) შეფარდებითაც შეიძლება მიღწეულ იქნეს კერძო (სპეციალური) პრევენციის მიზანი, რადგანაც ამ სახის სასჯელებიც დაკავშირებულია გარკვეულ შეზღუდვებთან და მათზე კონტროლი ხორციელდება სასჯელალსრულებითი ორგანოების მიერ. მსჯავრდებული ასეთ პირობებში რწმუნდება, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ის უფრო მკაცრ სასჯელს მიიღებს, რაც თავდაჭერილობისაკენ მოუწოდებს და აიძულებს, თავი შეიკავოს კანონით აკრძალული ქმედების ჩადენისაგან.

ბ) ზოგადი გაფრთხილება ანუ ზოგადი პრევენცია სპეციალური გაფრთხილებისაგან ანუ სპეციალური პრევენციისაგან განსხვავდება იმით, რომ ეს უკანასკნელი მიმართულია და ზემოქმედებს უშუალოდ კონკრეტული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირზე, მაშინ როდესაც ზოგადი გაფრთხილება ანუ ზოგადი პრევენცია მიმართულია სხვა პირების მიმართაც და ემსახურება მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის აცდენის მიზანს, ზოგადი პრევენციის ეს მიზანი მიიღწევა იმით, რომ სასამართლო კონკრეტულ დამნაშავეს უფარდებს რა სისხლისსამართლებრივ სასჯელს, ყველა სხვა პირი რწმუნდება იმაში, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისინიც დაისჯებიან და სხვისთვის შეფარდებული სასჯელი მათთვის გამაფრთხილებელია და დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავების საჭიროების მაგალითია.

ზოგადი და სპეციალური გაფრთხილების მიზნები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთი კონკრეტული პირის დასჯით მიღწეულ უნდა იქნეს როგორც ამ მსჯავრდადებულის, ისე სხვა პირთა მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის აცდენა.

ზოგადი გაფრთხილების ანუ პრევენციის მიზნის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობის ატმოსფეროს შექმნას, ესე იგი საზოგადოების მერყევი ნაწილის დარწმუნებას იმაში, რომ ისინი ჩაიდენენ რომელიმე სახის დანაშაულს, დასჯის დარჩებიან. აქ მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დამნაშავე მკაცრად დაისაჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გაუხსნელი და არც ერთი მისი ჩამდენი არ დარჩეს დაუსჯელი.

სასჯელის ზოგადი გამაფრთხილებელი ზემოქმედება, როგორც ეს სისხლის სამართლის ლიტერატურაშია ცნობილი, შედგება სამი სტადიისაგან: 1) კანონის გამოცემა. 2) სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნა და 3) სასჯელის აღსრულება.

სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის კანონის გამოქვეყნება, რომელშიც აღწერილია, თუ რომელი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ითვლება დანაშაულად და რა სახის და ზომის სასჯელი ემუქრება მის ჩამდენ პირს — თავისთავად აფრთხილებს მოქალაქეებს არ ჩაიდინონ დანაშაული. აგრეთვე, სასამართლოს მიერ პირისათვის სასჯელის დანიშვნა კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის, ზოლო შემდეგ მისი სისრულეში მოყვანა სასჯელაღსრულებითი ორგანოების მიერ, დანარჩენ მოქალაქეებს არწმუნებს იმაში, რომ კანონის მუქარა ლიტონი სიტყვა როდია, არამედ რეალურად ხორციელდება.

3. დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი ტერმინი რესოციალიზაცია ლათინური წარმოშობის ორი სიტყვის «რე»-ს და «სოციალიზაციის» შერწყმის შედეგადაა მიღებული. «რე» არის თავსართი, რომელიც აღნიშნავს საწინააღმდეგო, საპირისპირო მოქმედებას, ხოლო «სოციალიზაცია» კი რისიმე გადაქცევას სოციალისტურად, მთელი საზოგადოების საკუთრებად<sup>70</sup>.

სისხლის სამართალში რესოციალიზაცია გულისხმობს დამნაშავის პიროვნების გარდაქმნის (გამოსწორების) პროცესს, იმის მიღწევას, რომ ის არ არღვევდეს კანონით დადგენილ აკრძალვებს და ემორჩილებოდეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ცნობრების წესებს.

ცნობილია, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა დანაშაულს არ სჩადის არა დასჯის შიშით, არამედ ზნეობრივი მოთხოვნების და შინაგანი რწმენის ზეგავლენით. ამასთან ერთად ცნობილია, რომ

<sup>70</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, 1964 წ. გვ. 236, 357

ადამიანთა გარკვეული ნაწილი დანაშაულს არ სჩადის მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის შიშის გამო.

საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი სასჯელის ერთ-ერთ მიზნად მიიჩნევდა მსჯავრდებულს გამოსწორებას და ხელახალ აღზრდას. დამოუკიდებელი საქართველოს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა უარი თქვა სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორცაა «მსჯავრდებულის ხელახალი აღზრდა». იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ზურაბ გოთუას აზრით «მსჯავრდებულის ხელახალი აღზრდა ნაწილობრივ მოიპყრება კიდევაც მსჯავრდებულის გამოსწორებაში, ხოლო, მეორეს მხრივ ამკარად არარეალურია სამართლისათვის. სასჯელის მიზანი – გამოსწორის დამნაშავე, მიღწეულად ჩაითვლება უკვე მაშინ, როცა დამნაშავე პირი აღარ სჩადის ახალ დანაშაულს, თუნდაც მის მიმართ სასჯელის შესაძლო გამოყენების შიშით, ანუ მიიჩვევა კანონის პატივისცემას, როგორც იტყვიან იურიდიულად გამოსწორდება. სწორედ იურიდიულად გამოსწორება არის ის მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგი, რომელიც მიიღწევა სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების გზით, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ყოველი დამნაშავე უსაფრთხო გახდეს ადამიანებისათვის და თავად შეეგუოს საზოგადოებაში მიღებული წესებით ცხოვრებას»<sup>71</sup>. ეს მოსაზრება სავსებით სწორია, რადგანაც კანონით სასჯელის გამოყენების მიზანია მსჯავრდებულის გამოსწორება, მაგრამ სასჯელის გამოყენება არ იძლევა მსჯავრდებულის ხელახალი აღზრდის სრულ გარანტიას ე.ი. იმის გარანტიას, რომ ზნეობრივი მოთხოვნის და შინაგანი რწმენის ზეგავლენით არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, რის გამოც კანონმდებელი სჯერდება იმას, რომ პირი იურიდიულად გამოსწორდეს, რაც ნიშნავს კანონისა და სამართლიანობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავებას, რაც ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას.

დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნის მისაღწევად გამოიყენება სასამართლოს მიერ განაჩენით დანიშნული როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელის ღონისძიება. მაგალითად, თავისუფლება-აღკვეთილი მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სასჯელალსრულებების დაწესებულებებში სასამართლოს მიერ განსაზღვრული რეჟიმის მიხედვით, რომელთაზეც

<sup>71</sup> ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი. თბილისი, 2001 წ. გვ. 10.

ტარდება გამასწორებელი ღონისძიებები, რათა ისინი განიმსჯელონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს კანონით «პატიმრობის შესახებ». ასეთივე ზემოქმედებას მსჯავრდებულზე არასაპატიმრო სასჯელის ღონისძიებები, როგორცაა გამასწორებელი სამუშაო, ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანის უფლების ჩამორთმევა და სხვ, რომლის გამოყენების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს კანონით «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და აპრობაციის შესახებ».

#### §4. სასჯელის შინაარსი, მისი ეფექტურობის ამაღლების პირობები და საშუალებები

ყოველი სასჯლის სამართლებრივი სასჯელი თავისი შინაარსით არის დანაშაულის ჩადენაში ბრალეული პირის უფლებებისა და ინტერესებისათვის სახელმწიფოს სახელით, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით განსაზღვრული ზიანის მიყენება. ესე იგი სასჯელი არის პირის დასჯა ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის.

სასჯელი ყოველთვის გულისხმობს მსჯავრებულ პირზე იძულებით, ძალდატანებით ზემოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მისი ინტერესებისათვის ფიზიკური, ქონებრივი და მორალური ზიანის მიყენებასთან, კერძოდ მისი უფლებების და თავისუფლების შეზღუდვასთან ან ჩამორთმევასთან, მისი ქონების ხარჯზე სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებასთან, პატივისა და ღირსების ერთგვარ შელახვასთან და სხვაგვარ შეზღუდვებთან, რომელიც მეტნაკლებად დაკავშირებულია გარკვეულ ტანჯვასთან. სახელმწიფოს ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გარკვეულ ტანჯვის მომენტებს არ შეიცავს, თავისი არსით სისჯლის სამართლებრივი სასჯელი არ არის, თუმცა სასჯელის პირდაპირი მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება, მაგრამ მის გარეშე სასჯელის მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

სასჯელი დამნაშავეს სულ სხვა პირობებში ამყოფებს იმასთან შედარებით, რაც მას ჰქონდა მსჯავრდებამდე. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთით მისჯილი პირი საზოგადოებისაგან

იზოლირებულია და მოთავსებულია კანონით განსაზღვრულ სასჯელალსრულების დაწესებულებაში. თავისუფლების შეზღუდვით მსჯავრდებული პირი, მართალია, საზოგადოებისაგან იზოლირებული არაა, მაგრამ მოთავსებულია სპეციალურ დაწესებულებაში. გამასწორებელ ცენტრში მასზე ზედამხედველობის განხორციელებაში გამასწორებელი სამუშაოთი მსჯავრდებული პირი სახელმწიფო შემოსავალში თავისი ყოველთვიური ხელფასიდან იხდის განაჩენით დადგენილი ოდენობით გარკვეულ პროცენტს. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშნებითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში, ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას და ა.შ.


მოკლედ რომ ვთქვათ, სასჯელის შინაარსი გამოიხატება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების და დანაშაულის რესოციალიზაციის ამოცანის განხორციელებაში კანონით დადგენილი შეზღუდვების ზუსტად და სამართლიანად გამოყენების გზით.

სასჯელი, როგორც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, უნდა იყოს ეფექტური. სასჯელის ეფექტურობის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ ძლიერი და უმეტესად ხანგრძლივი შთაბეჭდილების მოხდენა ადამიანთა ფსიქიკაზე, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული, ხოლო ის ვინც მსჯავრდებულია, არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და გამოსწორების გზას დაადგეს.

სასჯელი მორალური, ეთიკური კატეგორიაა. ამიტომ სასჯელის ეფექტურობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ ის იყოს სამართლიანი და ყველასათვის გასაგებად დასაბუთებული. სასჯელი სამართლიანია მაშინ, როდესაც იგი პროპორციულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და შედეგის, ბრალის ხასიათისა და თვით დამნაშავეს პერსონალური თვისებების.

სასჯელის ეფექტურობის ამაღლებისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დამნაშავე სასტიკად ისჯებოდეს, არამედ იმას, რომ არც ერთი დამნაშავე არ დარჩეს გამოუმჯდავნებელი და დაუსჯელი.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი სასჯელი უნდა გაქვეყნდეს, რისთვისაც უნდა გაშუქდეს ტელევიზიით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით, რათა მიღწეულ იქნეს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის მიზანი.



**სასჯელთა სისტემა და სასჯელის სახეები**

**§1 სასჯელთა სისტემის ცნება და სასჯელის სახეები  
(სსკ-ის მე-40 მუხლი)**

სასჯელთა სისტემა ეწოდება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ სასჯელთა ამომწურავ ჩამონათვალს გარკვეული თანმიმდევრობით, მათი სიმძიმის მიხედვით.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელთა სისტემა განსხვავდება ძველი კოდექსის სისტემისაგან. ახალი კოდექსი ძველი კოდექსისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებს სასჯელთა ისეთ სახეებს, როგორცაა: გასახლება, გადასახლება, თანამდებობიდან დათხოვნა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა და მშობლის უფლების ჩამორთმევა. სამაგიეროდ, დამატებით ითვალისწინებს სასჯელთა ისეთ სახეებს, როგორცაა: ტუსალობა, თავისუფლების შეზღუდვა, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა და სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა. ახალი კოდექსით შემოღებულია ჯარიმის გამოთვლის ახალი ე.წ. დღიური ანაზღაურების სისტემა.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელთა სისტემა ცხრა სახის სასჯელისაგან შედგება. ესენია:

- ა) ჯარიმა;
- ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
- დ) გამასწორებელი სამუშაო;
- ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;
- ვ) თავისუფლების შეზღუდვა;
- ზ) ტუსალობა; —
- თ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;
- ი) უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სასჯელის სახეებისა, სსკ-ის 41-ე მუხლში 2000 წლის 5 მაისს, იმავე წლის 5 დეკემბერს და 2002 წლის 4 ივლისს შეტანილი ცვლილების შესაბამისად დამნაშავეს

მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალებების ჩამორთმევის სახით, ამასთან ერთად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის "ა" და "დ" პუნქტი ითვალისწინებს დანაშაულის იარაღის საპროცესო კონფისკაციას, აგრეთვე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულისა და ფასეულობების ჩამორთმევას.

აღსანიშნავია, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი სპეციალურად XVI თავში ითვალისწინებს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის თავისებურებას და მათთვის აწესებს სასჯელთა დამოუკიდებელ სისტემას (იხ. სსკ-ის 82-ე მუხლი).

ახალი კოდექსით სასჯელთა სახეები გარკვეული თანმიმდევრობითაა განლაგებული: თავდაპირველად დასახელებულია ყველაზე მსუბუქი, შემდეგ ხდება თანდათანობით გადასვლა მძიმე სასჯელებზე, ბოლოს დასახელებულია ყველაზე მძიმე სასჯელი, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს უფლება არა აქვს დამნაშავეს შეუფარდოს სხვა სასჯელი, რომელიც სსკ-ის მე-40, 41-ე და 82-ე მუხლებით არ არის დასახელებული. ამასთან ერთად, სასამართლომ სასჯელის ზომა უნდა განსაზღვროს სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლის სანქციის ფარგლებში, ხოლო თუ დამნაშავე არასრულწლოვანია, უნდა დაიცვას სსკ-ის 83-ე, 89-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობები. აღნიშნული, სასამართლოს მხრიდან გამორიცხავს სასჯელის გამოყენების დროს თვითნებობას.

## §2. ძირითადი და დამატებითი სასჯელები

(სსკ-ის 41-ე მუხლი)

სსკ-ის 41-ე მუხლი დანიშნის წესის მიხედვით ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ სასჯელთა სისტემის სახეებს ჰყოფს ორ ჯგუფად:

1. ძირითად სასჯელებად და 2. დამატებით სასჯელებად.

1. ძირითადია ისეთი სასჯელები, რომელთაც სასამართლო ნიშნავს დამოუკიდებლად და არ შეიძლება იგი დაუმატოს სხვა რომელიმე სასჯელს. სსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად

ძირითადი სასჯელებია: საზოგადოებათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ტუსალობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა.

2. დამატებითი ისეთი სასჯელები, რომელნიც შემოღდება გამოყენებულ იქნენ როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელებად. სსკ-ის 41-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დამატებითი სასჯელებია: ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის არც ერთი მუხლის სანქცია არ ითვალისწინებს ისეთ სასჯელს, რომელიც მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით იყოს განსაზღვრული. ამიტომ ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლებში, როგორც ძირითადი სასჯელი, მოხსენებულია ალტერნატიულ სასჯელთა შორის, რომელთაგან მხოლოდ ერთის გამოყენების უფლება აქვს სასამართლოს.

დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გათვალისწინებულია სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციაში. მაგალითად, სსკ-ის 194-ე მუხლის მეორე ნაწილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენისას, სასჯელის ძირითად ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე და ჯარიმას. სასამართლო უფლებამოსილია დამნაშავეს ორივე სასჯელი შეუფარდოს.

სსკ-ის 43-ე მუხლის მეცამე ნაწილის თანახმად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი პირდაპირ არის გათვალისწინებული კერძო ნაწილის მუხლის სანქციაში, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის ზომად არაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით. იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს პირს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება - დამნაშავეს დამატებითი სასჯელის სახით შეუფარდებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.

დამატებითი სასჯელი თავისი სიმძიმით არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითად სასჯელს.

### §3. სასჯელთა სახეები

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლი სრულწლოვან დამნაშავეთათვის ითვალისწინებს სასჯელის ცხრა სახეს, ხოლო ამავე კოდექსის 82-ე მუხლი კი არასრულწლოვანთათვის ითვალისწინებს სასჯელის შვიდ სახეს. სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებათა გამო მათ მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის ისეთი სახეები, როგორიცაა სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა და უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამავე დროს, არასრულწლოვანთა მიმართ დასანიშნი სასჯელთა ზომა უფრო მსუბუქია სრულწლოვანებთან შედარებით. აღნიშნულის გათვალისწინებით განვიხილოთ სასჯელთა სახეები ცალ-ცალკე.

#### ა) ჯარიმა სრულწლოვანთათვის და არასრულწლოვანთათვის (შესაბამისად სსკ-ის 42-ე და 83-ე მუხლები)

ძველი სისხლის სამართლის კოდექსით ჯარიმის მინიმალური ოდენობა განსაზღვრული იყო ათი ლარით, ხოლო მაქსიმალური კი მითითებული იყო კერძო ნაწილის მუხლის საწევრიცაში.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსით შემოღებულია ჯარიმის გადახდის დღიური ანაზღაურების სისტემა, რომელიც გადმოღებულია ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან.

სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმა არის ფულადი გადასახადი, რომელიც ინიშნება დღიური ანაზღაურების სისტემით. ჯარიმის დღიური მინიმალურ ანაზღაურებას შეესაბამება ორი ლარი, ხოლო მაქსიმალურს კი ათი ათასი ლარი. ჯარიმის მინიმალურ ოდენობაა ათი დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმალური – სამასამოცი დღიური ანაზღაურება. სასჯელთა შეკრებისას ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდასოც დღიურ ანაზღაურებას

ჯარიმის დანიშვნა და გამოთვლა ხდება შემდეგი წესით: სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს როგორც დღიური ანაზღაურების ოდენობა, ისე გადასახდელი თანხის ოდენობა ლარებში.

დღიური თანხის განსაზღვრა ხდება მსჯავრდებულის ყოველთვიური შემოსავლის 30-ზე გაყოფით, რომელიც შემდეგში უნდა გამრავლდეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ჯარიმის დღიურ ანაზღაურების ოდენობაზე. მიღებული თანხა მსჯავრდებულმა უნდა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მაგალითად: 1. თუ სასამართლომ მსჯავრებულს მიუსაჯა ჯარიმა 10 დღიური ანაზღაურების ოდენობით და მას არა აქვს შემოსავალი, მისი დღიური თანხა იქნება კოდექსით განსაზღვრული მინიმუმი - 2 ლარი, აქედან გამომდინარე, მას ჯარიმის სახით ბიუჯეტში გადასახადი ექნება ჯარიმა  $10 \times 2 = 20$  ლარი. 2. თუ სასამართლომ მსჯავრებულს ბრალის ხარისხის მიხედვით დაუნიშნა ჯარიმა 100 დღიური ანაზღაურების ოდენობით და მისი თვიური შემოსავალი 600 ლარია, ე.ი. დღიური  $600 : 30 = 20$  ლარი, მაშინ მას ჯარიმის სახით გადასახდელი ექნება  $20 \times 100 = 2000$  ლარი. 3. თუ სასამართლომ დამნაშავეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ქონების და შემოსავლის გათვალისწინებით დაუნიშნა ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა - 360 დღიური ანაზღაურება და მისი ყოველთვიური შემოსავალი 300 000 ლარს შეადგენს, დღიური ანაზღაურება იქნება  $(300\ 000 : 30) = 10\ 000$  ლარი და მსჯავრებულს ბიუჯეტში გადასახდელი ექნება  $(360 \times 10\ 000) = 3\ 600\ 000$  ლარი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს სასჯელთა შეჯამებასთან ექნება საქმე, ჯარიმის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 7 200 000 ლარი.

თავისებურებებით ხასიათდება ჯარიმის სახით სასჯელის დანიშვნა არასრულწლოვანთათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ არასრულწლოვანს ჯარიმა ენიშნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს დამოუკიდებელი ხელფასი ან ქონება. მათთვის ჯარიმის მინიმალური ოდენობა ხუთი დღიური ანაზღაურებაა, მაქსიმალური - ორასი დღიური ანაზღაურება, ხოლო სასჯელთა შეჯამებისას არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 400 დღიურ ანაზღაურებას (იხ. სსკ-ის 83 მუხლი).

სსკ-ის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრებული ჯიუტად თავს აარიდებს ჯარიმას ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების შეზღუდვით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაში მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებრივად სასარგებლო

შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: ჯარიმის ერთი დღიური ანაზღაურება - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის 4 საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე - თავისუფლების შეზღუდვის 1 დღე. ამასთან, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში, იგი შეიცვლება ტუსალობით ან თავისუფლების აღკვეთით ამ კოდექსის სასჯელის სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში დადგენილი წესით.

**ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სრულწლოვანთათვის და არასრულწლოვანთათვის (შესაბამისად სსკ-ის 43-ე და 84-ე მუხლები)**

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშნით თანამდებობა სახელმწიფოს სამსახურში, ადგილობრივ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას (სსკ-ის 43-ე მუხლის 1 ნაწილი). აღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ კანონი იგივე ორგანოებში არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლებას არ ართმევს მსჯავრდებულს, თუ მას პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობის უფლება სასამართლოს მიერ არა აქვს ჩამორთმეული. თანამდებობის ცნებაში იგულისხმება სახელმწიფო მოხელის და მასთან გათანაბრებული პირის თანამდებობა და არა ტექნიკური მუშაეები, როგორცაა მბეჭდავ-მემანქანე, მძღოლი, მეწივე და სხვ.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას რომ, მსჯავრდებულს სასამართლოს განაჩენში მითითებულ ვადაში არა აქვს უფლება შეასრულოს პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობა. პროფესიული საქმიანობის აკრძალვაა საექიმო, პედაგოგიური და ასე შემდეგ საქმიანობის აკრძალვა. სხვა საქმიანობის აკრძალვაში იგულისხმება ნადირობის, მძღოლის უფლების და ასე შემდეგ ჩამორთმევა.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

იგი ძირითად სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად კი ექვსი თვიდან სამ წლამდე. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით. იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხის და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევა შეუნარჩუნოს პირს დაკავებული თანამდებობა ან საქმიანობის უფლება — შეუფარდებს ამ უფლებების ჩამორთმევას. არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

სსკ-ის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების შეზღუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვრცელდება ჩამოთვლილ ძირითად სასჯელთა მოხდის მთელ ვადაზე, ხოლო ეს ვადა გამოიანგარიშება მათი მოხდის მომენტიდან.

**გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიმართ (შესაბამისად სსკ-ის 44-ე და 85-ე მუხლები)**

სასჯელის ეს სახე ახალია ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. სასჯელის ეს ღონისძიება ინიშნება ოციდან ოთხას საათამდე ვადით. ასეთი შრომის ხანგრძლივობა ყოველდღიურად არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განისაზღვრება, თუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს საზოგადოებისთვის

სასარგებლო შრომით მისჯილმა პირმა. ეს სამუშაოები შეიძლება იყოს ქუჩებისა და სკვერების დასუფთავება, მოხუცების ან ინვალიდების მოვლა და სხვ, რომლის შესრულების საჭიროება არსებობს რეგიონში და არ აღემატება მსჯავრდებულის შესაძლებლობას და ცოდნას. ჯარიმის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადით.

თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესრულებაზე ან ვიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეეცვლება თავისუფლების შეზღუდვით, ტუსალობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდოდა ამ სასჯელს, ჩათვლება თავისუფლების შეზღუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის რვა საათი – თავისუფლების შეზღუდვის, ტუსალობის, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნებათ პირველ და მეორე ვჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს რომელსაც ჰყავს შვიდი წლამდე ასაკის შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურებს.

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებების გათვალისწინებით 18 წლის ასაკის მიუღწევლებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ენიშნებათ ოციდან ას სამოც საათამდე ვადით, რომელსაც ისინი მოიხდიან სწავლისაგან ან ძირითად სამუშაოდან თავისუფალ დროს. ამასთან ერთად, თხუთმეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შრომა არ უნდა აღემატებოდეს დღეში ორ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისთვის – სამ საათს (სსკ-ის 85-ე მუხლი).

**დ) გამასწორებელი სამუშაო სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიმართ**  
(შესაბამისად სსკ-ის 45-ე და 86-ე მუხლები)

გამასწორებელ სამუშაოს სასამართლოები სწირად უფარდებენ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, რომელთა გამოსწორებისათვის აუცილებელი არაა საზოგადოებისაგან იზოლაცია.

გამასწორებელი სამუშაო სასამართლოს მიერ ენიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდის უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

ამ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დატვირთილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არაუმეტეს პროცენტისა.

სასამართლომ გამასწორებელი მუშაობა მსჯავრდებულის პირის მიმართ არ უნდა გამოიყენოს მაშინ, როცა ჩადენილი დანაშაული უკავშირდება მის სამუშაო ადგილს. მაგალითად, პირი, რომელმაც ჩადინა სამსახურეობრივი სიყალბე, მიზანშეუწონელია მსჯავრდებულ იქნეს გამასწორებელი სამუშაოთი, რადგანაც ადვილი შესაძლებელია მან კვლავ ჩადინოს იმავე სახის დანაშაული.

სსკ-ის 86-ე მუხლის შესაბამისად არასრულწლოვანს გამასწორებელი სამუშაო ენიშნება ორი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

სსკ-ის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულის ჯიუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით, ტუსალობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულის იხდოდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვების, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე - თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს ორი დღე - ტუსალობის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე - თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

### **ე) სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა (სსკ-ის 46-ე მუხლი)**

სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის ახალი სახეა და წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურისათვის გამასწორებელი სამუშაოს ალტერნატივას. იგი ენიშნება სამხედრო მოსამსახურეს ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენისათვის, აგრეთვე სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეს სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული გამასწორებელი სამუშაოს ნაცვლად.

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ინიშნება სამი თვიდან ორ წლამდე ვადით.

სამხედრო მოსამსახურედ საქართველოს სსკ-ის 382-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ითვლება პირი, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტულ საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტი სამხედრო შეკრების პერიოდში, მაგრამ რეზერვისტების მიმართ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სსკ-ის 46-ე მუხლი არ გამოიყენება.

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა იმნავს იმას, რომ იგი რჩება თავის სამსახურებრივ მდგომარეობაში, მაგრამ მსჯავრდებულს ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაექვეთება თანხა სასამართლოს განაჩენით დადგენილი ოდენობით არაუმეტეს 20 პროცენტისა. გარდა ამისა, ამ სასჯელის მოხდის დროს არ შეიძლება მისი დაწინაურება თანამდებობაზე, არც სამხედრო წოდების მომატება და სასჯელის მთელი ვადა არ ჩაეთვლება ნამსახურების ვადაში მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად.

იმ შემთხვევაში, როცა სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილია არა სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო, არამედ სხვა სახის დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე 381-ე მუხლებით და ამ მუხლების სანქცია ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოს, სასჯელის სახედ სამხედრო პირს ენიშნება სამსახურებრივი შეზღუდვა გამასწორებელი სამუშაოს სანქციის ფარგლებში. სწორედ ამიტომ არის სამხედრო პირის შეზღუდვა გამასწორებელი სამუშაოს ალტერნატივა.

სისხლის სამართლის კანონი არ ითვალისწინებს სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის უფრო მძიმე სახის სასჯელით შეცვლას, რაც განპირობებულია იმ მყარი დისციპლინით, რაც სამხედრო ნაწილში მოსამსახურეთათვის არის დაწესებული.

ვ) თავისუფლების შეზღუდვა სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიმართ

(შესაბამისად სსკ-ის 47-ე და 86<sup>1</sup>-ე მუხლები)

თავისუფლების შეზღუდვა ინიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თოთხმეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე შრომაში ჩაბმის მიზნით მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში, გამასწორებელ ცენტრში,

სადაც მასზე სათანადო ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალური სახელმწიფო ორგანოს მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება ნასამართლობის აქტის შესრულების მსჯავრდებულს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით. მნიშვნელოვან შემთხვევებში აქვს, დანაშაული ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება დაინიშნოს ერთ წელზე ნაკლები ვადითაც.

არასრულწლოვანებს თავისუფლების შეზღუდვა ენიშნებათ ოთხ წლამდე ვადით.

თავისუფლების შეზღუდვა არ შეიძლება დაენიშნოს პირველ და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

სსკ-ის 47-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს თავისუფლების შეზღუდვას, ეს სასჯელი შეეცვლება თავისუფლების აღკვეთით - განაჩენით დანიშნული თავისუფლების შეზღუდვის ვადით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდოდა ამ სასჯელს, ჩათვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი განაგარიშებით: თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე - თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

**ზ) ტუსალობა სრულწლოვანთა მიმართ (სსკ-ის 48-ე მუხლი)**

ტუსალობა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციას და ინიშნება ერთიდან ექვს თვემდე ვადით.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ტუსალობით შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება დაინიშნოს ერთ თვეზე მცირე ვადითაც.

ტუსალობა არ დაენიშნება იმას, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, აგრეთვე ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი.

ტუსალობა, როგორც სასჯელის სახე, განსხვავდება თავისუფლების

აღკვეთისაგან იმით რომ იგი ინიშნება მოკლე ვადით, მაგრამ მისი აღსრულების წესი საკმაოდ მკაცრია.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად ტუსალობა აღსრულდება სასამართლოდანიშნულ საპყრობილეში საამისოდ გამოყოფილ განყოფილებაში. პირობებში: ტუსალი იმყოფება სადღეღამისოდ ჩაკეტილ საკანში, სადაც შესაძლებელია ვიზუალური და ელექტრონული დაკვირვება მსჯავრდებულზე. ტუსალის სხვა რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანა დაუშვებელია. ყოველდღიურად სარგებლობს ერთსაათიანი გასეირნების უფლებით. ტუსალს უფლება აქვს თვეში ორჯერ შეხვდეს ოჯახის წევრებს საპყრობილის თანამშრომლის ვიზუალური ზედამხედველობით, მოსმენის გარეშე.

თ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა სრულწლოვანებისათვის და არასრულწლოვანებისათვის (შესაბამისად სსკ-ის 50-ე და 88-ე მუხლები)

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და თვით პიროვნების გათვალისწინებით, კანონით განსაზღვრულ საერთო ან მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებით.

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტიდან არ შესრულებია თვრამეტი წელი, მოთავსდება არასრულწლოვანთა აღმზრდელი დაწესებულებაში.

სასამართლოს მიერ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით, მაგრამ იგი შეიძლება განისაზღვროს ექვს თვეზე მცირე ვადითაც, როცა კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთით იცვლება ადრე დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო ან თავისუფლების შეზღუდვა.

დანიშნულთა ერთობლობით სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდასუთ წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლობით სასჯელთა შეჯამებისას – ოცდაათ წელს.

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურების გათვალისწინებით, სსკ-ის 88-ე მუხლის შესაბამისად

არასრულწლოვანს 14-დან 18 წლამდე ასაკში დანაშაულის ჩადენისათვის ენიშნება თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

მოქმედ სასჯელთა სისტემაში თავისუფლების აღკვეთა ყველაზე მძიმე სასჯელია, რომელიც მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარდა ითვალისწინებს მის უფლებათა და თავისუფლებათა სხვა მრავალ შეზღუდვებს. ამიტომ, სასამართლოს მიერ მისი გამოყენება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მიიჩნევა, რომ მსჯავრდებულის გამოსწორება სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით შეუძლებელია.

### ი) უვადო თავისუფლების აღკვეთა (სსკ-ის 51-ე მუხლი)

უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ეს სასჯელი მრავალ სახელმწიფოში გამოიყენება, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, ან როცა იგი სიკვდილის დასჯის ალტერნატიულ სასჯელის სახითაა გათვალისწინებული სსკ-ის მუხლის სანქციაში.

უვადო თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას ვადის განსაზღვრის გარეშე ე.ი. სიკვდილამდე, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში ის სიკვდილამდე უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთის ადგილას. სსკ-ის 72-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტიურად მოიხდა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა. გარდა ამისა, სსკ-ის 77-ე მუხლის მეორე ნაწილის და 78-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული შეიძლება ამნისტიის ან შეწყალების აქტის საფუძველზე გათავისუფლდეს სასჯელისაგან, ან მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

პუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სსკ-ის 51-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის შემთხვევაში შესრულდა სამოცი წელი.

### **დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა (სსკ-ის 52-ე მუხლი)**

დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა, ასევე დანაშაულის იარაღის საპროცესო კონფისკაცია დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით.

დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა დამატებითი სასჯელის სახით მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ორ შემთხვევაში, კერძოდ: საბაჟო წესის დარღვევის დროს, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის 214-ე მუხლით და სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 244-ე მუხლით (იხ. ამ მუხლების შენიშვნების მეორე პუნქტები).

დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული განზრახვი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთის უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ნივთის ჩამორთმევის საკითხს წყვეტს სასამართლო ასეთი ღონისძიების გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, რაც იგი საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

გარდა ამისა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის "ა" და "დ" პუნქტები ითვალისწინებენ დანაშაულის იარაღის საპროცესო კონფისკაციას და დანაშაულგებრივ გზით მოპოვებული ფულისა და ფასეულობათა ჩამორთმევას.



**§1. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები**  
(სსკ-ის 53-ე მუხლი)

იმის შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს რომ პირმა ბრალეულად ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ქმედება და მაშასადამე, არსებობს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, სასამართლოს წინაშე დგება არა ნაკლები სირთულის მქონე საკითხი, სახელდობრ — სასჯელის ზომის სწორად განსაზღვრის საკითხი. იმ საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 53-ე მუხლით დადგენილი სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით.

ამრიგად, სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები და წესები, რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს.

სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის დანიშვნის ძირითად პრინციპად (საწყისად) მიჩნეულია სამართლიანობის პრინციპი, რაც პირველ რიგში ნიშნავს, რომ სასჯელი უნდა დაინიშნოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით, მუხლის ნაწილით ან პუნქტით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში უფრო ხშირად გათვალისწინებულია სასჯელის როგორც მაქსიმუმი, ისე მინიმუმი. თუ მუხლში სასჯელის უმდაბლესი ზღვარი მითითებული არ არის, იგულისხმება რომ კანონს მხედველობაში აქვს სასჯელის ამ სახისათვის კოდექსის ზოგად ნაწილში დადგენილი მინიმუმი. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთისათვის სასჯელის უმდაბლესი ზღვარია ექვსი თვე (სსკ-ის 50-ე მუხლის მეორე ნაწილი), გამასწორებელი სამუშაოსათვის სასჯელის უმდაბლესი ზღვარია ერთი თვე (სსკ-ის 45-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლოს

უფლება არა აქვს გასცდეს კოდექსის მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმს, ხოლო თუ არსებობს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს შეუძლება დაწინაურდეს პიროვნების გათვალისწინებით დაუნიშნოს მას კოდექსით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი (სსკ-ის 55-ე მუხლი).

თუ სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლი ალტერნატიულ სანქციას ითვალისწინებს, სასამართლოს სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეუძლია დანიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამ შემთხვევაშიც სასამართლო არ უნდა გასცდეს გამოყენებული სასჯელის სახის კანონით დადგენილ მინიმუმს და მაქსიმუმს. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით ქურდობისათვის დაწესებულია სასჯელთა ალტერნატიული<sup>72</sup> სახეები, როგორცაა ჯარიმა ან თავისუფლების შეზღუდვა ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთა იმავე ვადით. სასამართლოს უფლება აქვს დამნაშავეს მიმართ გამოიყენოს ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯარიმის ან თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის განხორციელებას, შეუძლია გამოიყენოს უფრო მკაცრი სასჯელის სახე თავისუფლების აღკვეთის სახით ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მეორე ნაწილში ზუსტად განსაზღვრულია ისეთი შემთხვევები, როცა შეიძლება დაინიშნოს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი სასჯელი.

კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება დაინიშნოს დანაშაულთა ერთობლიობითა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა ზომის საბოლოო განსაზღვრის დროს, ამავე კოდექსის 59-ე და 60-ე მუხლების მიხედვით, ხოლო კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშნვის საფუძველი განსაზღვრულია მოქმედი კოდექსის 55-ე მუხლით, რაზედაც ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

<sup>72</sup> „ალტერნატიული“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ორი ან რამოდენიმედან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობას (იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი. 1964 წ. გვ. 32)

სსკ-ის 53-ე მუხლის პირველ აწილში ჩამოყალიბებული დებულება იმის შესახებ, რომ სასამართლო დამნაშავეს სასჯელს დაუნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში, არ ეწინააღმდეგება ამავე მუხლის მეორე ნაწილში ითვალისწინებულ უფრო მკაცრი სასჯელის დაწესებას შესაძლებლობას დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს, რადგანაც პირველი ნაწილი გულისხმობს ერთი პირის მიერ ერთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევას, ხოლო მეორე ნაწილი კი ერთი პირის მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენის შემთხვევას, რა დროსაც თითოეული დანაშაულისათვის დამნაშავეს სასჯელი ენიშნება ცალ-ცალკე მოცემულ დანაშაულთა მუხლების სანქციის ფარგლებში და შემდეგ სასამართლოს მიერ ხდება სასჯელთა მთლიანად ან ნაწილობრივ შეკრების გზით საბოლოოდ მოსახდელი სასჯელის ზომის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს ცალკე აღებული მუხლით დადგენილ სანქციის ფარგლებს.

კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

როგორც ვხედავთ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილში არ არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალი. მასში დასახელებულია მხოლოდ ქმედების სუბიექტური და ობიექტური დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა ერთობლიობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გახდეს დამნაშავეს პასუხმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომლის განსაზღვრა მინდობილი აქვს მოსამართლეს. მაგალითად, ნასამართლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის მოხსნილი ან გაქარწყლებული, მაგრამ თუ მოხსნილი ან გაქარწყლებულია,

სასჯელის დანიშვნის დროს მას მნიშვნელობა არა აქვს. კანონმდებელი სერიოზულ ნდობას უცხადებს მოსამართლეს იმით, რომ არ ზღუდავს მას კონკრეტული დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების ჩამოთვლით, მაშინ <sup>კარდესაგ</sup> <sup>საქმის</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლებში <sup>პირდაპირ</sup> იყო დასახელებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომელთაგან 39-ე მუხლით ჩამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებები მიჩნეული იყო ამომწურავად.

კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა, სასჯელის დანიშვნის დროს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა, აგრეთვე, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, წარმოადგენს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურ განხორციელებას, რითაც სასამართლოს საშუალება ეძლევა გარეგნულად თუნდაც ერთნაირი ორი სხვადასხვა დანაშაულის შემთხვევაში კონკრეტული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოების დადგენის გზით, წარდგენილი მუხლის ფარგლებში დანიშნოს მკაცრი ან ნაკლებად მკაცრი სასჯელი, ხოლო განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას დამნაშავის წარსული ცხოვრების, პირადი და ეკონომიკური პირობების, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ყოფაქცევის, ზიანის ანაზღაურების ან დაზარალებულთან შერიგების მისწრაფების გათვალისწინებით, დანიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია, რომელიც სამართლიანი სასჯელის დანიშვნის საწინდარია, გულისხმობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების თანაზომიერ სასჯელის დანიშვნას. სასჯელის ინდივიდუალიზაცია ამავე დროს გულისხმობს დამნაშავისათვის ისეთი სასჯელის შერჩევას და დანიშვნას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

განსახილველი 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება.

არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის დროს, ამ კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად, მხედველო

ბაში მიიღება არასრულწლოვანის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თვისებები და მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა. (სსკ-ის 89-მუხლი).

ქვეყნული  
სამართლებრივი

**§2 სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას (სსკ-ის 54-ე მუხლი)**

კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობენ დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს. მაგალითად, პირმა ჩაიდინა სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამოძალვა, რომლისთვისაც ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ვადა არის ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. თუ ეს პირი სამართალდამცავ ორგანოებში თავისი ინიციატივით გამოცხადდება ბრალის აღიარებით და ხელს შეუწყობს ამ დანაშაულის გახსნას და თანაც არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოებანი, სასამართლოს სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე უფლება არა აქვს ამ პირს დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადის სამ მეოთხედზე მეტი ვადით, ესე იგი მოცემულ შემთხვევაში სამ წელზე ზევით, მოუხედავად იმისა, რომ 181-ე მუხლის პირველი ნაწილით მაქსიმალური ვადა განსაზღვრულია ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

თუ 54-ე მუხლში დასახელებულ შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც ამძიმებს პასუხისმგებლობას, მაშინ 54-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია.

**§3 კანონით გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა (სსკ-ის 55-ე მუხლი)**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო სასჯელს ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის ფარგლებში, მაგრამ ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში საქმის

განსაკუთრებული გარემოებები და დამნაშავეის პიროვნული თვისებები ისეთია, რომ მიზანშეუწონელია მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის დანიშვნაც კი. ასეთი შემთხვევისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი, მსგავსად ქვემოთ მოცემული 45-ე მუხლისა, განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნის გამსაზღვრებელ წესს, რომლის შინაარსი მდგომარეობს იმაში რომ განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას სასამართლოს უფლება აქვს დამნაშავეის პიროვნების გათვალისწინებით დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნაში იგულისხმება აგრეთვე ის დამატებითი სასჯელი, რომელსაც შესაბამისი მუხლის სანქციით სავალდებულო ხასიათი აქვს.

განვიხილოთ სამივე შემთხვევა ცალ-ცალკე მაგალითების მოყვანით:

1. სასამართლოს შეუძლია დამნაშავეს დაუნიშნოს სასჯელი იმ მინიმალური ზღვარს ქვევით, რომელიც გათვალისწინებულია კერძო ნაწილის მუხლის სანქციაში. მაგალითად, თუ მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციაში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამიდან ხუთ წლამდე, სასამართლოს ამ კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას დამნაშავეს შეუძლია დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე ნაკლები ვადით, მაგრამ არა ნაკლებ ექვსი თვისა, რადგანაც ზოგადი ნაწილის 50-ე მუხლის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთა არ ინიშნება ექვს თვეზე ნაკლები ვადით.

2. სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა არის სასჯელის შემსუბუქების მეორე ფორმა, რომელიც გამოიხატება მუხლით გათვალისწინებულ სანქციასთან შედარებით სხვა, უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელის დანიშვნაში. მაგალითად, თუ წარდგენილი მუხლით გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, სასამართლოს განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას დამნაშავეს შეუძლია დაუნიშნოს სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი თავისუფლების შეზღუდვა ან თავისუფლების შეზღუდვის ნაცვლად გამასწორებელი მუშაობა და ა.შ.

3. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის მესამე ფორმას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც

სასამართლო განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობის გამო უარს ამბობს მუხლის ან მისი ნაწილით გათვალისწინებულ სავალდებულო დამატებითი სასჯელის გამოყენებაზე, მაგალითად, სსკ-ის 133-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს უკანონო აბორტს, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ამ შემთხვევაში, სასამართლოს 55-ე მუხლის საფუძველზე უფლება აქვს დამნაშავეს არ დაუნიშნოს დამატებითი სასჯელი თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით და დასჯერდეს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

კანონი არ განსაზღვრავს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების ცნებას და არც მის ჩამონათვალს იძლევა. ამიტომ მისი განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა.

საქმის განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებები, იგივე სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებებია. მათი განსაკუთრებულობა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ არსებით შემამსუბუქებელ ზეგავლენას უნდა ახდენდეს ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხზე და ამის გაუთვალისწინებლობა არ იქნებოდა მიზანშეწონილი. იგი შეიძლება ეხებოდეს როგორც დანაშაულს, ისე დამნაშავეს პიროვნებას. განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებები მოითხოვს ამ გარემოებების შეფასებას, რაც დაკავშირებულია დანაშაულის მოტივისა და მიზნის, პირის მიერ მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომის, ქმედების განხორციელების ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავეს წარსულ ცხოვრების, ქმედების ჩადენის შემდეგი ქცევის, პირადი და ეკონომიკური პირობების, ზიანის ანაზღაურებისა და დაზარალებულთან შერიგების სურვილის გათვალისწინებასთან. ასეთივე განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებებად შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებით მძიმე პირად და ოჯახურ მდგომარეობათა დამთხვევა, ჯგუფური დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირის მიერ ამ დანაშაულის გახსნაში აქტიური მონაწილეობა და სხვ.

სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების უფრო მეტი საფუძველი არსებობს, როდესაც დამნაშავეს ერთდროულად აქვს რამოდენიმე შემამსუბუქებელი გარემოება.

სასამართლომ უნდა დაადგინოს და განაჩენში მიუთითოს ყველა

შემამსუბუქებელი გარემოება და მათ შორის ის გარემოება, რომელსაც ის განსაკუთრებულ გარემოებად მიიჩნევს, თანაც უნდა დაასაბუთოს, თუ რა საფუძვლების გამო თვლის ამა თუ იმ შემამსუბუქებელ გარემოებას განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებად, რომლის საფუძველზეც ხდებოდა კანონის გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონით 55-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი: „თუ პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის არა უმეტეს ნახევარი“.

სსკ-ის 55-ე მუხლის მეორე ნაწილი გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების დროს ესე იგი როცა პროკურორი და ბრალდებულის დამცველი შეთანხმდებიან და ბრალდებული თანახმაა ითანამშრომლოს ბრალდების მხარესთან.

#### **§4. სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის (სსკ-ის 56-ე მუხლი)**

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 56-ე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი გარემოებები:

1. დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

2. დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამავე სახის დამთავრებული დანაშაულისათვის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის დაწესებულია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის.

3. დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის

კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.

4. დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის არ შეიძლება დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ამ ქვეთავის შესწავლის დროს სასურველია ერთხელ კიდევ გავიმეოროთ ამ ლექციების კურსის X თავი, სადაც განმარტებულია დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებები, სახეები და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხები.

**§5. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში  
თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის  
ამსრულელობისათვის  
(სსკ-ის 57-ე მუხლი)**

ძველი კოდექსისაგან განსხვავებით, ახალი სისხლის სამართლის კოდექსით ამსრულებელი დანაშაულში თანამონაწილედ არ ითვლება, იგი დანაშაულის უშუალო შემსრულებელია, ხოლო ორგანიზატორი, წამქმნელი და დამზარე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილენი არიან. დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ერთმა პირმა და ამსრულებელიც ერთი იქნება, მაგრამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ორი ან მეტი პირი. ასეთ შემთხვევაში მეორე ან მესამე ამსრულებელი ითვლება თანამსრულებლად. ამსრულებლისა და თანამსრულებელთა სამართლებრივი მდგომარეობა და მათი პასუხისმგებლობაც ზუსტად ერთია: მაგალითად, განზრახ მკვლელობის დროს ამსრულებლად ითვლება არა მხოლოდ ის, ვინც დამარალებულს დანა ჩასცა გულმკერდის არეში, არამედ ისიც, ვისაც ამ დროს დამარალებულის ხელები ჰქონდა გაკავებული და არ აძლევდა მას საშუალებას წინააღმდეგობა გაეწია და თავი დაეცვა უშუალო ამსრულებლისაგან, რომელიც დანით იყო შეიარაღებული. ამიტომ, ამსრულებლის და თანამსრულებლის მოქმედება ერთი მუხლით დაკვალიფიცირდება და მათ მიმართ სასჯელიც იმავე მუხლის საწყისის ფარგლებში დაინიშნება.

სსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეებისათვის და დანაშაულის ამსრულებლებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა

გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე.  
 ამავე 57-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ერთ-ერთი თანამონაწილის ან ამსრულებლის პიროვნებას შეეხება, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ თანამონაწილის ან ამსრულებლის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს. მაგალითად, ორი პირი თანაბრად არის დაინტერესებული მესამე პირის სიცოცხლის მოსპობით და გადაწყვეტილებაც მოჰყავთ სისრულეში. გამოირკვევა, რომ ერთი მოქმედებდა დაზარალებულის ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, ესე იგი ანგარებით, მეორემ კი ამის შესახებ არ იცოდა და მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო შურისძიების ნიადაგზე. ამ შემთხვევაში, პირველი პირის დანაშაული დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის "ი" პუნქტით და იგი პასუხს აგებს ანგარებით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მეორე პასუხს აგებს განზრახ მკვლელობისათვის შურისძიების ნიადაგზე, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით და სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

ამ ქვეთავის უკეთ გაგებისათვის კარგი იქნება თუ გავიმეორებთ ლექციების ამ კურსის XI თავს დანაშაულის ამსრულებლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ.

**§6. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს**  
*(სსკ-ის 58-ე მუხლი)*

დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის თემის შესწავლისას სასურველია გავიმეოროთ ლექციების ამ კურსის XV თავის მეოთხე პარაგრაფი.

დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას. მოქმედი კოდექსი იცნობს რეციდივის სამ სახეს: დანაშაულის რეციდივს, საშიშ რეციდივს და განსაკუთრებით საშიშ რეციდივს.

დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილია ან გაქარწყებულია კანონით გათვალისწინებული წესით.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს წესრიგდება მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით.

ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის საშიში რეციდივის და განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება წინათ ჩადენილი დანაშაულთა რაოდენობა, სიმძიმე და გარემოებანი, რომელთა გამოც წინათ დანიშნული სასჯელთა გამაფრთხილებელი ზემოქმედება არასაკმარისი აღმოჩნდა, აგრეთვე ახლად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

დანაშაულის რეციდივი, მით უმეტეს საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივი მეტყველებს დამნაშავის მყარ დანაშაულებრივ მიდრეკილებაზე, პარაზიტულ სულისკვეთებასა და განსაკუთრებულ თავხედობაზე, მის ეგოიზმზე და ზნეობრივ დეგრადაციაზე და ყოველივე ეს ქმნის საფუძველს მისი მკაცრი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. აღნიშნულის გამო, სსკ-ის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასჯელის ვადა დანაშაულის რეციდივის დროს არ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ნახევარზე ნაკლები, საშიში რეციდივის დროს – ორ მესამედზე ნაკლები, ხოლო განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს – სამ მეოთხედზე ნაკლები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებულ ნიშანზე, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას, რეციდივის, საშიში რეციდივის ან განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება 58-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესი. მაგალითად, სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სულიგნობის შემადგენლობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებული ნიშანია მისი ჩადენა სულიგნობისათვის ადრე მსჯავრდებული პირის მიერ და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე. როგორც ვხედავთ ადგილი აქვს დანაშაულის რეციდივს. თუ ვიმსჯელებთ 58-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესის მიხედვით, ამ შემთხვევაში სულიგნობის ჩამდენ

პირს არ შეიძლება დაენიშნოს სასჯელის ზომა ორ ნახევარ წელზე ნაკლები, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სულიგნობის ჩამდენი პირის წარსულში ნასამართლობის ფაქტი მოცემულ შემთხვევაში მისი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს, ამიტომ 58-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესი მხედველობაში არ მიიღება და სასამართლოს შეუძლია ამ პირს დაუნიშნოს ორ ნახევარ წელზე ნაკლები. ასეთი გამონაკლისი მოქმედებს მაშინაც, როცა განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას სასამართლო, სსკ-ის 55-ე მუხლის შესაბამისად კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელს ნიშნავს, ამრიგად, 55-ე და 58-ე მუხლების კონკურენციის დროს უპირატესობა ენიჭება 55-ე მუხლს.

### **§7. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს (სსკ-ის 59-ე მუხლი)**

სსკ-ის მე-16 მუხლის მიხედვით დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ამ მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არცერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს.

ქმედებათა რიცხვის მიხედვით შეიძლება ადგილი ექნეს დანაშაულთა რეალურ და იდეალურ ერთობლიობას.

რეალური ერთობლიობა ნიშნავს ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა დროს და ადგილას სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, განზრახ მკვლელობის შემდეგ სულიგნობის ჩადენას და ა.შ.

დანაშაულის იდეალური ერთობლიობა გულისხმობს საბიექტის ერთი მოქმედებით ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას. მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთის გატაცების მიზნით ჩადენილი ყაჩაღობა, რომელმაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია.

სსკ-ის 59-ე მუხლი მოქმედებს მხოლოდ დანაშაულთა რეალური ერთობლიობისას, რა დროსაც გამოიყენება სასჯელთა შთანთქმის

და შეკრების პრინციპი. იდეალური ერთიანობის დროს კი ყოველთვის, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, შთანთქმის პრინციპი გამოიყენება, რადგან მოქმედებს წესი: ერთი ქმედებისათვის მხოლოდ ერთი სასჯელი<sup>73</sup>.

ქვეყნული  
სამართლებრივი  
სისტემა

სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დანაშაულის ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის ცალ-ცალკე.

სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება დანაშაულთა ისეთ ერთობლიობას, რომელიც შედგება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულთაგან და ადგენს საბოლოო სასჯელის დანიშვნის წესს, რომელიც გამოინატება იმაში, რომ უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიკრიბება ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები. ამასთან, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს, ე.ი. სსკ-ის მე-12-ე მუხლის მეორე ნაწილით ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალური სასჯელის ვადას.

სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილი აწესრიგებს საბოლოო სასჯელის დანიშვნის წესს, როცა დანაშაულთა ერთობლიობა შედგება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან და ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში საბოლოო სასჯელის განსაზღვრისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ შეიკრიბება ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები. ამასთან, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდახუთ წელს.

როგორც ვხედავთ, თუ დანაშაულთა ერთობლიობა მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისაგან შედგება, გამოიყენება მხოლოდ სასჯელთა მთლიანად ან ნაწილობრივ შეკრების წესი, მაშინ როდესაც 59-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობის დროს გამოიყენება როგორც შთანთქმის, ისე სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპი.

სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ, ან მთლიანად შეკრიბოს დანიშნული სასჯელები

<sup>73</sup> შ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. ქ. თბილისი 2002 წ. გვ. 102

ან მხოლოდ ნაწილობრივ. მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალიტები. პირმა ჩაიდინა ორი დანაშაული, რომელთაგან ერთი მძიმეა, მეორე განსაკუთრებით მძიმე. მძიმე დანაშაულისათვის სასამართლომ პირს შეუფარდა ექვსი წლით თავისუფლებითა და ადგილზე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა. თუ სასამართლო გამოიყენებს სასჯელთა მთლიან შეკრების წესს, მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელის სახით უნდა განუსაზღვროს ოცდაერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თუ გამოიყენებს სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების პრინციპს, მაშინ სასამართლოს შეუძლია ამ ორი სასჯელიდან უფრო მკაცრ სასჯელს თხუთმეტი წლით თავისუფლებას დაუმატოს უფრო მსუბუქი სასჯელის ექვსი წლით თავისუფლების ნაწილი ვთქვათ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ამ პირს საბოლოო სასჯელად დაუნიშნოს თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა. ავიღოთ სხვა მაგალითი, როცა სასამართლომ დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი პირველი დანაშაულისათვის, მაგალითად, განზრახ მკვლელობისათვის პირს დაუნიშნა თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მეორე დანაშაულისათვის დაუშვათ მეკობრეობისათვის ცამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ შეკრიბოს სასჯელები და დამნაშავეს სასჯელის საბოლოო ზომად განუსაზღვროს თვრამეტ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ არა უმეტეს ოცდახუთი წლისა.

სასამართლომ სასჯელთა მთლიანად ან ნაწილობრივ შეკრების დროს უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 53-ე მუხლით დადგენილი სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით, კერძოდ, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებებით, რომელიც ჩამოყალიბებულია 53-ე მუხლის შესაბამე ნაწილში.

სსკ-ის 59 მუხლის მეოთხე ნაწილი არეგულირებს საბოლოო სასჯელის დანიშვნას, როცა დანაშაულთა ერთობლიობა შედგება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულისაგან, ანდა ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან და ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს ანდა ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები. ამასთან, დანიშნული საბოლოო სასჯელის

ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოც წელს.

სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის დანიშვნის წესს და ადგენს, რომ ნაწილობრივ ან მთლიანად სასჯელთა შეჯამებისას დანიშნული საპრობაციო დამატებითი სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის ზოგადი ნაწილით სასჯელის მოცემულ სახისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ვადას ან ზომას. კერძოდ, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შეკრებისას იგი არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს, ხოლო სასჯელთა შეკრებისას ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდასოც დღიურ ანაზღაურებას.

სსკ-ის 59-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, იმავე წესით დაინიშნება სასჯელი, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ.

სამართლის დოქტორს ბატონ მერაბ ტურავას გასათვალისწინებლად მიაჩნია „ზრი იმის შესახებ, რომ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისათვის დაინიშნოს ერთი სასჯელი, ხოლო რეალური ერთობლიობისას – შეკრების პრინციპით“.<sup>74</sup>

## **§8. სასჯელთა დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს (სსკ-ის მ-60 მუხლი)**

განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა მსჯავრდებულმა განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ მის სრულ მოხდამდე ჩაიდინა ახალი დანაშაული, რისთვისაც პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის გათვალისწინებით სასამართლომ უნდა განსაზღვროს საბოლოო სასჯელი.

სასჯელის მოხდის პერიოდში ახალი დანაშაულის ჩადენა მიუთითებს ქმედების სუბიექტის მომეტებულ საშიშროებაზე. სწორედ

<sup>74</sup> 8. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2002 გვ. 102

ამიტომ ასეთი პირის მიმართ უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა გათვალისწინებული, ვიდრე იმ პირის მიმართ, რომელმაც მარიადლი, ორი ან მეტი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ არც ერთისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა, რის გამოც რამდენიმე წინააღმდეგობრივ სასჯელის დანიშვნის წესი განსხვავდება დანაშაულთა ერთმანეთთან დასაჯების წესისგან იმით, რომ იგი ცნობს მხოლოდ სასჯელთა ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრების პრინციპს და არ უშვებს უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის პრინციპს.

სსკ-ის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მოუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. ამასთან ერთად, ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს. მაგალითად, პირს, რომელსაც პირველი განაჩენით მოსახდელი ურჩევა თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა და ჩაიდინა ახალი დანაშაული, რომლისთვისაც მეორე განაჩენით ესჯება ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა, განაჩენთა ერთობლიობის წესით ამ პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრინციპი მოუხდელი სასჯელის მთლიანად მიერთების შესახებ, რადგან მოცემულ შემთხვევაში საბოლოო სასჯელი (15+20) მეტი იქნება მაქსიმალურად დასაშვებ ოცდაათ წელზე.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა ან ზომა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქია, არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის ზოგადი ნაწილით სასჯელის მოცემული სახისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ვადას ან ზომას. მაგალითად, პირს პირველი განაჩენით მისჯილი ჰქონდა ორი წლით გამასწორებელი სამუშაო ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ პირმა ჩაიდინა ახალი დანაშაული, რისთვისაც მას მიესაჯა ასევე ორი წლით გამასწორებელი მუშაობა 20%-ის დაკავებით, რა დროსაც პირველი განაჩენით ურჩებოდა მოსახდელად ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა. განაჩენთა ერთობლიობით ამ პირს არ შეიძლება საბოლოო სასჯელად დაენიშნოს ორ წელზე მეტი ვადით გამასწორებელი მუშაობა, რადგანაც ეს არის



მაქსიმალური ვადა ამ სახის სასჯელისათვის (სსკ-ის 45-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სსკ-ის მე-60 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი უნდა იყოს მუხლი მეტი, როგორც ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელზე, ისე წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილზე, ვინაიდან ორი დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება ნაკლებად მკაცრად დაისაჯოს, ვიდრე ერთ-ერთი ამ დანაშაულისა.

მაგალითად, პირველი განაჩენიდან მსჯავრდებულს მოსახდელად ურჩება სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ახალი განაჩენით სასჯელის ზომად განესაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენთა ერთობლიობით ამ პირს საბოლოო სასჯელი სამ წელზე მეტი ვადით უნდა განესაზღვროს.

თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდება, რომ პირს პირველი განაჩენის გამოტანამდე ჩადენილი ჰქონდა სხვა დანაშაული, რომლისთვისაც იგი გასამართლებული არ ყოფილა, ახალი განაჩენის გამოტანის დროს სასჯელი ინიშნება არა განაჩენთა ერთობლიობის, არამედ დანაშაულთა ერთობლიობის წესით, რა დროსაც საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ (სსკ-ის 59-ე მუხლის მეექვსე ნაწილი).

სსკ-ის მე-60 მუხლის მეხუთე ნაწილი ეხება განაჩენთა ერთობლიობის დროს დამატებით სასჯელთა მიერთების წესს, რომლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჯამოს დამატებითი სასჯელის ვადა ან ზომა, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს სსკ-ის ზოგადი ნაწილით დამატებითი სასჯელის მოცემული სახისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ვადას ან ზომას.

განაჩენთა ერთობლიობის დროს, სასჯელის მოხდის ვადა გამოიანგარიშება ბოლო განაჩენის გამოტანის მომენტიდან, ხოლო თუ პირი იმყოფებოდა ამ საქმეზე პატიმრობაში, მაშინ - დაპატიმრების დღიდან.

**§9. სასჯელთა შეჯამების წესი, სასჯელის ვადის  
გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა**

**(სსკ-ის 61-ე და 62-ე მუხლები)**

სასჯელთა შეჯამება გამოიხატება იმაში, რომ ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელი მთლიანად ან ნაწილობრივ ემატება წინა განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

სსკ-ის 61-ე მუხლი ადგენს, თუ რა სახის სასჯელთა შეჯამება შეიძლება და როგორია მათი შეჯამების წესი, რომელიც გამოიყენება როგორც დანაშაულთა ერთობლიობის, ისე განაჩენთა ერთობლიობის დროს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივ შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება:

ა) ტუსალობის ერთი დღე;

ბ) თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე;

გ) გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურების შეზღუდვის სამი დღე;

დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი.

რაც შეეხება ჯარიმის ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, სსკ-ის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მათი შეჯამება თავისუფლების შეზღუდვასთან, ტუსალობასთან ან თავისუფლების აღკვეთასთან მიმატების შემთხვევაში გამოიყენება დამოუკიდებლად.

სსკ-ის 62-ე მუხლი აწესრიგებს სასჯელის ვადის გამოანგარიშებისა და სასჯელის ჩათვლის წესს. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, ტუსალობის და თავისუფლების აღკვეთის ვადა გამოანგარიშება თვეებით და წლებით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადა – საათებით.

სსკ-ის 62-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელთა შეცვლისა და შეჯამების დროს, აგრეთვე სასჯელთა ჩათვლისას შეიძლება სასჯელის გამოანგარიშება დღეებით.

განსახილველი მუხლის შესამე ნაწილი ეხება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე პირის პატიმრობაში ყოფნის დროის სასჯელის ვადაში ჩათვლის საკითხს და ადგენს, რომ სასამართლო



განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის ერთი დღე - თავისუფლების აღკვეთის ან ტუსალობის ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე; გამასწორებელი სამუშაოს ან საქმედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე; საზოგადოებრივი სასარგებლო შრომის რვა საათი.

სსკ-ის 62-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პატიმრობაში ყოფნის დრო, აგრეთვე განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდილი დრო ამ კოდექსის მე-6 მუხლის საფუძველზე პირის გადმოცემის შემთხვევაში ჩაითვლება ერთი დღე ერთ დღედ.

აღნიშნული 62-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად თუ პირს, რომელიც სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში იყო, ძირითად სასჯელად დაენიშნება ჯარიმა ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმსუბუქებს მას დანიშნულ სასჯელს ან მთლიანად გაათავისუფლებს მისი მოხდისაგან.

**§10. პირობითი მსჯავრი, მისი სწავა და იურიდიული გუნება (სსკ-ის XX თავი)**

პირობითი მსჯავრი არის გამამტყუნებელი განაჩენის სისრულეში მოყვანის გადადება იმ პირობით, რომ მსჯავრდებულმა სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით პირობითი სასჯელი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ გამასწორებელ სამუშაოზე, სამხედრო პირის სამსახურებრივ შეზღუდვაზე, თავისუფლების შეზღუდვაზე, ტუსალობაზე ან თავისუფლების აღკვეთაზე (სსკ-ის 63-ე მუხლის I ნაწილი).

პირობითი მსჯავრი არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის სასჯელის სახედ, რადგანაც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლი არ ითვალისწინებს მას სასჯელის სახეებს შორის. პირობითი მსჯავრის დროს სასჯელს წარმოადგენს მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელის კონკრეტული

სახე, რომელიც ჩამოთვლილია სსკ-ის 63-ე მუხლის პირველ ნაწილში.

პირობითი მსჯავრი არ შეიძლება ჩაითვალოს სასჯელის გადავადებად, რადგანაც პირობითი მსჯავრის დროს სასჯელის გადავადება კი არ ხდება, არამედ მისი მოხდისაგან მსჯავრდებულის მთლიანად თავისუფლდება იმ პირობით, თუ ის გამოხატული ვადის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და შეასრულებს სასამართლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

პირობითი მსჯავრის გამოყენების მიზანია დამნაშავის რესოციალიზაცია მისი საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე.

პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება მდგომარეობს შემდეგში: 1) პირობით მსჯავრდებული პირი სასამართლოს მიერ გამოსაცდელად დანიშნულ ვადის გასვლამდე ითვლება ნასამართლევ პირად; 2) პირობით მსჯავრდებულს ახალი დანაშაულის ჩაუდენობის შემთხვევაში გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ გაუქარწყლდება ნასამართლობა და ჩაითვლება ნასამართლობის არმქონე პირად.

პირობითი მსჯავრის სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია ზუსტად დავიცვათ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით რეგლამენტირებული შემდეგი წესები:

### **1. პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი (სსკ-ის 63-ე მუხლი)**

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პირობითი სასჯელის დანიშვნის საფუძველს და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურობრივი შჩზლუდვის, თავისუფლების შჩზლუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის შესაბამისად, პირობითი მსჯავრის დროს სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის საფუძველს და პირობითი მსჯავრის მოსალოდნელ ეფექტს. პირობითი მსჯავრის დროს შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი.

ამრიგად, პირობითი სასჯელის დანიშვნის საფუძველია სასამართლოს შექმნას რწმენა, რომ მსჯავრდებულის გამოსწორება შესაძლებელია დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე. ამისათვის სასამართლომ უნდა შეაფსოს ჩადენილი დანაშაულის

საშიშროების ხასიათი და ხარისხი, თვით განსასჯელის პიროვნება და შესაბამისად განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის მიზანშეუწონლობა.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს პირობითი სასჯელის გამოყენების დროს და სასამართლოს უფლება აქვს 63-ე მუხლში აღნიშნული საფუძვლების არსებობისას, ნებისმიერი სიძიმის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენოს პირობითი მსჯავრდება. მაგალითად, სსკ-ის 137-ე მუხლით მესამე ნაწილის "ვ" პუნქტით გათვალისწინებულია გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულისათვის შიდის შეყრა, მისი ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე. მოცემულ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიისაა, მაგრამ თუ სასამართლო სასჯელის ზომად დანიშნავს მინიმალურ ვადას - ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას - შეუძლია მსჯავრდებულს სასჯელი ჩაუთვალოს პირობითად ექვს წლამდე გამოსაცდელი ვადით, თუ არსებობს ამ კოდექსის 63-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი და პირობითი სასჯელისაგან მოსალოდნელია კანონით გათვალისწინებული ეფექტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი გამოყენებულ იქნეს, როგორც წესი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. პირობითი მსჯავრის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგენილია დამნაშავის პიროვნების დადებითი დამახასიათებელი ნიშნები, ამ დანაშაულის ჩადენაში მისი მეორეხარისხოვანი როლი და დანაშაულის ჩადენის გარემოებები ადასტურებენ, რომ მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაცია მიზანშეუწონელია.

## **2. გამოსაცდელი ვადა (სსკ-ის 64-ე მუხლი)**

სსკ-ის 64-ე მუხლი განსაზღვრავს გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობას და ადგენს, რომ ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი წელი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას - არა ნაკლებ ერთი და არა უმეტეს ექვსი წლისა.

ძველი კოდექსით ასეთი ვადა არ იყო დატყმული.

როგორც ვხედავთ, თუ სასამართლო პირს სასჯელად უნიშნავს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წელზე მეტი ვადით, ახალი კოდექსით, პირობითი მსჯავრი არ უნდა იქნეს გამოყენებული, მაშინ როდესაც ამავე კოდექსის 63-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ან მსჯავრი აღნიშნული საფუძვლის არსებობისას ნებისმიერი სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირობითი მსჯავრდება. გამოსავალი იმაშია, რომ სასამართლომ შეიძლება ერთდროულად გამოიყენოს ჯერ 55-ე, შემდეგ 64-ე მუხლი, დაუნიშნოს პირს მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელი და შემდეგ შეუფარდოს პირობითი მსჯავრი<sup>75</sup>.

გამოსაცდელი ვადა ნიშნავს დროის იმ მონაკვეთს, რომელშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი განზრახვი დანაშაული და დაამტკიცოს, რომ იგი გამოსწორდა.

სასამართლო პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს გამამტყუნებელ განაჩენში დანიშნავს ორ ვადას.

გამამტყუნებელ განაჩენში სასამართლო თავდაპირველად განსაზღვრავს გამოყენებული სასჯელის სახის კონკრეტულ ზომას, ხოლო შემდეგ კი გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობას. როცა გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა განაჩენში განსაზღვრული არ არის, მაშინ პირობით მსჯავრს ეკარგება აზრი და მნიშვნელობა, რადგანაც შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა ხნის განმავლობაში ინარჩუნებს გამამტყუნებელი განაჩენი თავის ძალას და ასეთი შემთხვევა განაჩენის გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

პირობითი მსჯავრი შეიძლება დანიშნოს არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლომ, არამედ სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განმხილველმა სასამართლოებმაც.

გამოსაცდელი ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოქვეყნების დღიდან.

### **3. მოვალეობის დაკისრება (სკ-ის 65-ე მუხლი)**

განსახილველი მუხლის თანახმად, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს შემდეგი მოვალეობის შესრულება: პრობაციის ბიუროს ნებართვის

<sup>75</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზედი ნაწილის მიმოხილვა. ქ. თბილისი 2000 წ. გვ. 137

გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრულ ადგილები, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი. სასამართლოს, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

#### 4. კონტროლი და დახმარება (სსკ-ის 66-ე მუხლი)

განსახილველი მუხლი აწესრიგებს პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლის და მისთვის დახმარების გაწევის საკითხს. ეს მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს და მის დახმარებას ახორციელებს პრობაციის ბიურო. ეს ორგანო თვალყურს ადევნებს პირის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ხოლო მისი შეუსრულებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სასამართლოს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ პირობით მსჯავრდებულის სამხედრო მოსამსახურეა – მის მიმართ კონტროლის ფუნქციას ახორციელებს სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გამოსაცდელ ვადაში სასამართლოს შეუძლია იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლს და დახმარებას პირობით მსჯავრდებულის მიმართ, მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს პირობითი მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობა ან დააკისროს მას ახალი მოვალეობა.

#### 5. პირობითი მსჯავრის გაუქმება ან გამოსაცდელი ვადის გაგრძელება (სსკ-ის 67-ე მუხლი)

განსახილველი მუხლი ხუთი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პირობით მსჯავრდებულის წახალისებასაც ითვალისწინებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ თუ პირობით მსჯავრდებულის გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ თავისი

ყოფაქცევით დაამტკიცებს გამოსწორებას, სასამართლოს შეუძლია იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლს და დახმარებას პირობით მსჯავრდებულის მიმართ, გააუქმოს პირობითი მსჯავრი და მსჯავრდებულს მოუხსნას წასამართლება. აღნიშნული 67-ე მუხლის მეორე ნაწილი (სადაც წარმართული სასამართლოს განაჩენით დანიშნული გამოსაცდელი ვადის გაგრძელებას, რომელიც დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) თუ პირობით მსჯავრდებულმა პირმა თავი აარიდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას ან 2) დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რის გამოც მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლს და დახმარებას პირობით მსჯავრდებულის მიმართ, გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს ერთი წლით. ამ ვადის ხელმეორედ გაგრძელება დაუშვებელია.

ზემოთხსენებულ შემთხვევაში დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაში იგულისხმება მხოლოდ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობა, მაშინ როდესაც არსებობდა მისი შესრულების რეალური შესაძლებლობა.

განსახილველი მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს პირობითი მსჯავრდების გაუქმებას და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულებას, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში სისტემატურად ან ჯიუტად არ ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი.

სასამართლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობათა სისტემატურად შეუსრულებლობაში იგულისხმება პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელ ვადაში დაკისრებული ამა თუ იმ მოვალეობის სამჯერ ან მეტჯერ შეუსრულებლობა, მაშინ როდესაც არსებობდა ამ მოვალეობათა რეალურად შესრულების შესაძლებლობა.

დაკისრებული მოვალეობის ჯიუტად შეუსრულებლობაში იგულისხმება სასამართლოს მიერ ისეთი გარემოებების დადგენა, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ პირობით მსჯავრდებული ბოროტად არიდებს თავს იმ ორგანოების მითითების შესრულებას, რომელიც ახორციელებს კონტროლს და დახმარებას პირობით მსჯავრდებულზე.

განსახილველი მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილი ითვალისწინებს პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელ ვადაში ახალი დანაშაულის ჩადენას. ამ დროს პირობითი მსჯავრდების გაუქმების საკითხი შეიძლება სხვადასხვაგვარად გადაწყდეს იმის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულმა გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა თუ განზრახი.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, პირობით მსჯავრდების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წვევტს სასამართლო. თუ სასამართლომ მიზანშეწონილად არ ცნო პირობითი მსჯავრის გაუქმება, წინა დანაშაულისათვის გამოსაცდელი ვადა გაგრძელდება, ხოლო ახალი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი ჩვეულებრივი წესით მიექცევა აღსასრულებლად.

განსახილველი მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ე.ი. მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჯამებს სასჯელებს.



**სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან  
განთავისუფლება**

**§1. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან  
განთავისუფლების ცნება და მნიშვნელობა.  
სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან  
განთავისუფლების სახეები, საფუძვლები და წესი**

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სახელმწიფო იძულების ღონისძიებების გამოყენება მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, რომელიც დაკავშირებულია დამნაშავის პირადი და ქონებრივი ხასიათის შეზღუდვებთან, იმ მიზნით, რომ აღსდგეს დაზარალებულის კანონიერი უფლებები და გარდა ამისა, მოხდეს დამნაშავის შეგნების და მოქმედების რესოციალიზაცია.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება კი ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას სახელმწიფოს მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯაზე უარის თქმას, როცა მიზანშეუწონელია სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების გამოყენება.

სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა მიზანშეუწონელია მაშინ, როდესაც დამნაშავის მოქმედებას არ მოჰყოლია არსებითი ზიანი და სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემამ შეიძლება უფრო მეტი ზიანიც კი მოიტანოს, ვიდრე სასარგებლო.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება მოკვლევის და წინასწარი გამოძიების დროს ფორმდება დადგენილებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო სასამართლოში კი სამართლის განჩინებით სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ.

სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაზე უარის თქმა არ ნიშნავს დამნაშავის გამართლებას და მის რეაბილიტაციას, რადგან კანონი გამოდის იმ ფაქტიდან, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ კანონით დადგენილ გარემოებათა არსებობის გამო მისი პასუხისგებაში მიცემა მიზანშეუწონელია საზოგადოებრივი საშიშროების არ არსებობის გამო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დამნაშავე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ოთხ საფუძველს, კერძოდ: ქმედებით მონანიებას დაზარალებულთან შერიგებას, ვითარების შეცვლას და ქვეყნის მულობის ვადის გასვლას. განვიხილოთ ცალ-ცალკე

**1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ქმედითი მონანიების გამო.**  
(სსკ-ის 68-ე მუხლი)

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფილობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და ანაზღაურა ზიანი.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის ნორმა წამახალისებელი ხასიათისაა და ვრცელდება პირზე, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული. დანაშაულის პირველად ჩამდენად ითვლება ასევე პირი, რომელსაც ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის მოხსნილი აქვს ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ის, ვინც ჩაიდინა სხვა კატეგორიის დანაშაული, შეიძლება განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ის სპეციალურად გათვალისწინებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის შენიშვნაში.

ქმედითი მონანიება ვლინდება დამნაშავის აქტიურ ქმედებაში, რომელიც 68-ე მუხლის პირველ ნაწილშია დასახელებული.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველია: დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირის ნებაყოფილობით გამოცხადება ბრალის აღიარებით, ხელის შეწყობა დანაშაულის გახსნისათვის და ზიანის ანაზღაურება.

ნებაყოფილობითი გამოცხადება ბრალის აღიარებით გულისხმობს კომპეტენტურ ორგანოში უშუალოდ დამნაშავის გამოცხადებას და ჩადენილი დანაშაულის გულწრფელ აღიარებას. მნიშვნელობა არა

აქვს მოტივის, რომლითაც ხელმძღვანელობდა დამნაშავე – სიბრაღელობით დაზარალებულისადმი, სასჯელის სიმკაცრის შიშით თუ სხვა რაიმით.

მთავარია, რომ ნებაყოფილობითი გამოცხადება და ბრალის აღიარება არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. თუ დამნაშავე დარწმუნებულია, რომ მისი დანაშაულის შესახებ ყველაფერი ცნობილია კომპეტენტური ორგანოებისათვის და მას ისედაც დააყვებენ და ამის შემდეგ ცხადდება, არ ჩაითვლება ქმედით მონანიებად.

დანაშაულის გახსნაში ხელის შეწყობა ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე ბოლომდე გულწრფელია და არა მარტო თავის საკუთარ ბრალს აღიარებს, არამედ გამოძიებას აწვდის ისეთ ფაქტებს, რომელიც მათთვის უცნობია და საშუალებას აძლევს თანამონაწილეთა მხილებისა და დანაშაულის ბოლომდე გახსნისთვის.

დამნაშავის მიერ ზიანის ანაზღაურება შეიძლება გამოხატოს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ნებაყოფილობით გამოსწორებაში, ღირებულების გადახდაში, დაზიანებული ქონების აღდგენაში და სხვ.

## **2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო (სსკ-ის 69-ე მუხლი)**

დაზარალებული არის ფიზიკური პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღდა უშუალოდ დანაშაულისაგან. სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილ პირს აქვს მთელი რიგი პროცესუალური უფლებები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას არსებითი ზეგავლენა იქონიოს გამოძიებასა და სასამართლო განხილვის მსვლელობასა და შედეგებზე. დაზარალებული საჯარო ან კერძო – საჯარო ბრალდების საქმის გამო არის სუბსიდიური ბრალმდებელი, დაზარალებულს სამართალწარმოების ნებისმიერ მომენტში შეუძლია უარი თქვას კერძო ბრალდებაზე ან ბრალდების მხარდაჭერაზე.

დაზარალებულის პროცესუალური როლის და მისი ბრალდებულთან სპეციფიკური კავშირის გათვალისწინებით მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დაზარალებულის დანაშაულის ჩამდენ პირთან შერიგებას, როგორც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ერთ-ერთ დამოუკიდებელ საფუძველს.

საქართველოს სსკ-ის 69-ე მუხლის შესაბამისად ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლებას ალკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს.

სსკ-ის 69-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელია სამი პირობის არსებობა, კერძოდ: დამნაშავეს მიერ დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს პირველად, დანაშაულისათვის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს სამი წლით თავისუფლების ალკვეთას და საბჭოე უნდა იყოს დანაშაულის ჩამდენი პირისა და დაზარალებულის შერიგების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ დაზარალებულს არ გააჩნია დამნაშავეს მიმართ ადრე განცხადებული პრეტენზიები და არ ითხოვს მის დასჯას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კერძო ბრალდების საქმეებს განეკუთვნება: სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენება, 125-ე მუხლით გათვალისწინებული ცემა და 148-ე მუხლით გათვალისწინებული ცილისწამება. აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის საქმეები აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, მაგრამ უნდა შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო.

იმავე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, კერძო საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით), 138-ე მუხლის პირველი ნაწილით (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით), 153-ე მუხლით (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა), 157-ე მუხლით (პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა), 167-ე მუხლით (ინფორმაციის გავრცელებაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა), 175-ე მუხლით (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება) და 189-ე მუხლით (ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა) აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. ასეთი დანაშაულთა საქმეები წარმოებს საერთო წესით და

ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგების გამო არ წყდება, ვერც  
იმ შემთხვევებისა, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება  
ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს.

### 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ვითარების შეცვლის გამო (სსკ-ის 70-ე მუხლი)

სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო.

სსკ-ის 70-ე მუხლის საფუძველზე დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაიშვება ორი პირობიდან ერთ-ერთის არსებობისას: 1) თუ მიზნული იქნება, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის, ვითარების შეცვლის შედეგად, დამნაშავის ქმედებამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან 2) თუ ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში. ორივე შემთხვევაში პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან მისი დასჯა მიზანშეუწონელია.

კანონმდებელი არ განსაზღვრავს, თუ რა იგულისხმება ვითარების შეცვლაში. მისი შინაარსის განსაზღვრა გამოძიების და სასამართლოს პრეროგატივაა და ფაქტის საკითხია, რომელიც უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის გზით. ვითარების შეცვლა შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეცვლამ, საომარი მოქმედების შეწყვეტამ, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამ და სხვ. მაგალითად, ომიანობის დროს მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება, ან ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის ან სხვა ბეგარის შეუსრულებლობისათვის, ანდა გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ თუ ვითარება შეიცვალა, ე.ი. შეწყდა საომარი მოქმედება, მაშინ ამ სახის დანაშაულის ჩამდენი პირები შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდნენ, რადგანაც დამნაშავის ქმედებამ, ვითარების შეცვლის გამო, უკვე დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.

მოვიყვანოთ მეორე მაგალითი, როცა პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში. სამხედრო პირმა თვითნებურად დატოვა სამხედრო ნაწილი არა უმეტეს ათი დღე-ღამისა. ასეთი ქმედება მოქმედი სსკ-ის 388-ე მუხლის პირველი ნაწილით, ისჯება ტუსაობით ექვს თვემდე, მაგრამ თუ ეს პირი საქმის სასამართლოში განხილვის დროსთვის მძიმე ავადმყოფი აღმოჩნდა და თადარიგშია გასაშვები, იგი კონკრეტული ვითარების გამო უკვე აღარ არის საზოგადოებრივად საშიში და ის სსკ-ის 70-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს.

**4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო (სსკ-ის 70<sup>1</sup> მუხლი)**

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე სსკ-ს დაემატა 70<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც ადგენს: „განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირების) ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით მოხდა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობების შექმნა, სასამართლო უფლებამოსილია სრულად გაათავისუფლოს ბრალდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან“. (იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679<sup>1</sup> მუხლის მე-9 პუნქტი და ამავე საპროცესო კოდექსის 679<sup>3</sup> მუხლის მე-3 პუნქტი).

**5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (სსკ-ის 71-ე მუხლი)**

სასჯელის პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ჩადენილი დანაშაულის გამო რაც შეიძლება მოკლე ვადაში აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩატარდეს გამოძიება, სასამართლო განხილვა და გამამატყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი მოყვანილ იქნეს სისრულეში. ეს განპირობებულია იმით, რომ დანაშაულის ჩადენის დღიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ

სასჯელს არა აქვს ის ეფექტი და მნიშვნელობა, როგორც დანაშაულის ჩადენიდან მოკლე დროში ექნებოდა. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ ძნელდება ჭეშმარიტების დადგენა, რადგანაც ქრება კვალი, ნაღვესურდები დამამტკიცებელი საბუთები, კლებულობს მოწმეთა რაოდენობა და თანაც ავიწყდებათ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დეტალები. ყოველივე ამით არის გამოწვეული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის გამოყენება, რომელიც სისხლის სამართლის პუბლიცის პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა ნიშნავს კანონით დადგენილი ვადის გასვლას დანაშაულის ჩადენიდან, რომლის შემდეგ პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. სსკ-ის 71 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ხანდაზმულობის შემდეგ ვადებს:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი ნაკლებდ მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

დ) ოცი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

როგორც ვხედავთ, ხანდაზმულობის ვადები დადგენილია იმის შესაბამისად, თუ რამდენად მძიმე და საშიშია ჩადენილი დანაშაული. შესაბამისად, რამდენად მყაცრი სასჯელია მუხლის ან მუხლის ნაწილით განსაზღვრული, იმდენად უფრო ხანგრძლივია სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

განსახილველი 71-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე, ანდა როდესაც უნდა ემოქმედა მას, შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს. ახალი დანაშაულის ჩადენაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

სსკ-ის 71-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება



განახლება დამნაშავეს დაკავების ან ბრალის აღიარებით  
 გამოცხადების მომენტიდან.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად საქონელს  
 უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო  
 თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წევეტს სასამართლო  
 თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას,  
 უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების  
 აღკვეთით ოც წლამდე ვადით.

განსახილველი მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად ხანდაზმულობა  
 არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით  
 გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამგვარ დანაშაულთა კატეგორიას  
 განეკუთვნება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი  
 დანაშაული, მაგალითად, აგრესიული ომის მომზადება და წარმოება,  
 გენოციდი, ეკოციდი.

განსახილველი მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად ხანდაზმულობის  
 ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს  
 იმუნიტეტი.



**§1. სასჯელისაგან განთავისუფლების ცნება, ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა და სასჯელისაგან განთავისუფლების სახეები**

სასჯელის მიზანი, რომელიც გამოიხატება სამართლიანობის აღდგენაში, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში და დამნაშავის რესოციალიზაციაში, ზოგჯერ გარკვეული პირობების არსებობისას შეიძლება მიღწეულ იქნეს სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდამდეც.

სასჯელისაგან განთავისუფლება განსხვავდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისაგან შემდეგით: ა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან დანაშაულის პირველად ჩამდენი პირები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, მაშინ როდესაც სასჯელისაგან განთავისუფლება გამოიყენება ნებისმიერი სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რა დროსაც მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი შეიძლება აღემატებოდეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთას; ბ) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ახორციელებს როგორც სასამართლო, ისე მომკვლვეი, გამომძიებელი და პროკურორი, მაშინ როდესაც სასჯელისაგან განთავისუფლება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ სახეებს:

- ა) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება;
- ბ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით;
- გ) სასჯელისაგან განთავისუფლება ავადმყოფობის გამო;
- დ) ორსული ქალის და მცირეწლოვანი შვილის დედის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება და

ე) სასჯელის მოხდისგან განთავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო.

სასჯელისაგან განთავისუფლება შეიძლება იყოს პირობითი ან უპირობო. სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება პირობითია მაშინ, როდესაც პირს ეკისრება ამ კოდექსით 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა ითვლება პირობის დარღვევად და მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გაუქმდეს პირობით მსჯავრდება და აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი (სსკ-ის 72-ე და 75-ე მუხლები). ხოლო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების სხვა სახეები, გარდა ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან განთავისუფლებისა (74-ე მუხლი), უპირობოა და საბოლოო.

სასჯელისაგან განთავისუფლების სახეები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. სასჯელისაგან განთავისუფლების სავალდებულო და 2. სასჯელისაგან განთავისუფლების ფაკულტატურ სახეებად. პირველს განეკუთვნება სასჯელისაგან განთავისუფლების ის სახეები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნენ სავალდებულო წესით. მაგალითად, ახალი კანონის გამოცემის შემთხვევაში, თუ ის ამსუბუქებს მსჯავრდებულის მდგომარეობას, ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ, გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ამნისტიის და შეწყალების აქტის გამო. სასჯელისაგან განთავისუფლება სასამართლოსათვის სავალდებულოა.

სასჯელისაგან განთავისუფლების დანარჩენი სახეები ფაკულტატურია და მათი გამოყენება სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა.

## განვიხილოთ სასჯელისაგან განთავისუფლების სახეები

### **1. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება (სსკ-ის 72-ე მუხლი)**

სსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ის, ვინც სასჯელს იხდის გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შიზლუდვის, თავისუფლების შიზლუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის სახით, შეიძლება პირობით ვადამდე

გათავისუფლდეს, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანაშაული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთან, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

სასჯელის მოხდისაგან პირის პირობით ვადამდე განთავისუფლების საფუძველია მისი გამოსწორება, რომელიც უნდა გამოიხატოს სანიმუშო ყოფაქცევაში, მინდობილი საქმის კეთისინდისიერად შესრულებაში, მისწრაფებაში რომ აიმაღლოს პროფესიული მომზადების დონე და სხვ. ამასთან ერთად, სსკ-ის 72-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელ პირს ფაქტობრივად მოხდილი უნდა ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი, მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არა ნაკლებ ორი მესამედი, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს კი დანიშნული სასჯელის სამი მეოთხედი.

იმ პირის მიმართ, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, მაგრამ პირობით ვადამდე განთავისუფლება გაუქმდა, ამ მუხლის მეექვსე ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეუბნების საფუძველზე სასჯელის მოხდისაგან პირობით განთავისუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოიხადა დანიშნული სასჯელის სამი მეოთხედი.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები, რადგან უფრო ნაკლებ ვადაში ფაქტიურად შეუძლებელია გამოცნობა იმისა, მსჯავრდებული გამოსწორდა თუ არა.

განსახილველი მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, პირობით ვადამდე განთავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს პრობაციის სამსახური, ხოლო თუ პირობით მსჯავრდებული სამხედრო მოსამსახურეა, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა.

სსკ-ის 72-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირობით ვადამდე განთავისუფლებისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს ამ კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში.

ამავე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა

სასჯელის მოუხდელ ვადაში ჯიუტად თავი აარიდა პირობით ვადამდე განთავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის მეშუთე ნაწილში აღნიშნული ორგანოს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობით ვადამდე განთავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირობით ვადამდე განთავისუფლების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო, ხოლო განზრახ დანაშაულის ჩადენისას სასამართლო პირობით ვადამდე განთავისუფლებულ პირს დაუნიშნავს სასჯელს განაჩენთა ერთობლიობის წესით. იმავე წესით დანიშნება სასჯელი გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს პირობით ვადამდე განთავისუფლებას.

განსახილველი მუხლის მეშვიდე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

პირობით ვადამდე განთავისუფლება ფაქულტატური ნორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენება სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა.

## **2. სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით** **(სსკ-ის 73-ე მუხლი)**

სსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით. ამასთან, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა დანიშნული სასჯელის ვადის არა ნაკლებ ერთი მესამედი.

როგორც ვხედავთ, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საფუძველია მსჯავრდებულის ყოფაქცევა, რომელიც დამაჯერებლად უნდა მოუთითებდეს, რომ იგი დაადგა გამოსწორების გზას, მაგრამ სასჯელის საბუნდობლო მიზანი - გამოსწორება - ჯერ ბოლომდე არაა მიღწეული, რის გამოც საკმარისია თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენება.

განსახილველი მუხლი სასჯელისაგან განთავისუფლების ამ სახის გამოყენებისათვის, გარდა იმისა, რომ მსჯავრდებული უკვე დაადგა გამოსწორების გზას, ითხოვს ორი აუცილებელი პირობის არსებობას: 1. მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს ნაკლებად მძიმე კატეგორიის, ე.ი. ჩადენილი დანაშაულისათვის სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი არ უნდა ითვალისწინებდეს ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას; 2. მსჯავრდებულს ფაქტობრივად უნდა ჰქონდეს მოხდელი დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით უპირობოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლო მსჯავრდებულს განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, უფლება არა აქვს მსჯავრდებულს თავდაპირველად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდა კვლავ დააკისროს, თუნდაც ახალი დანაშაული ჩაიდინოს, რადგანაც არ არსებობს საამისოდ კანონით დადგენილი სამართლებრივი მექანიზმი და ახალი დანაშაულისათვის დამნაშავეს სასჯელი დაენიშნება სსკ-ის მე-60 მუხლით გათვალისწინებული განაჩენთა ერთობლიობის წესით.

თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა სასჯელისაგან განთავისუფლების ფაქულტატური სახეა, რადგანაც ეს სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა.

### **3. სასჯელისაგან განთავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო** (სსკ-ის 74-ე მუხლი)

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კანონით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელის მოხდა დაეკისრება ფიზიკურ პირს, რომელიც ფსიქიკურად შერაცხადია.

სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ის, ვინც დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, რის გამოც მას არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი მოქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა უხელმძღვანელოდ მას თავისუფლდება სასჯელისგან, ხოლო ის, ვინც სასჯელს იზღის, თავისუფლდება მისი შემდგომი მოხდისგან. მათ შეიძლება დაენიშნოთ მხოლოდ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, რომლის სახეები გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 102-ე მუხლით.

ფსიქიკური დაავადების გამო სასჯელისაგან განთავისუფლება სასამართლოსთვის შესასრულებლად სავალდებულოა და დამოკიდებული არ არის არც დამნაშავეს პიროვნებაზე, არც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, რადგან ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ სასჯელის გამოყენებას აზრი არა აქვს.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა სხვა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. სხვა მძიმე ავადმყოფობაში იგულისხმება ისეთი დაავადებები, რომელიც შესულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ნიხრში და სტაციონალურმა მყურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. ასეთ შემთხვევაში სასჯელისაგან განთავისუფლება ფაქულტატურ ხასიათს ატარებს. სასამართლოს შეუძლია დამნაშავეს პიროვნების და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით გაათავისუფლოს პირი სასჯელის მოხდისაგან ან უარი უთხრას ამაზე.

სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით სასჯელისაგან განთავისუფლება არის პირობითი, რადგანაც სსკ-ის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებში აღნიშნულ პირებს გამოჯანმრთელების შემთხვევაში შეიძლება კვლავ დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოთ სასჯელი, თუ არ გასულა ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

განსახილველი მუხლის მეზუთე ნაწილი ეხება სასჯელისაგან ავადმყოფობის გამო განთავისუფლებას და ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალები 65 წლის ასაკიდან, მამაკაცები 70

წლის ასაკიდან), თუ მისჯილი არა აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვთ სასჯელის არანაკლებ ნახევარი. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სასჯელისაგან განთავისუფლება პირობითი ხასიათისაა.

#### 4. სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის ან ქალისათვის, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი (სსკ-ის 75-ე მუხლი)

ორსული ქალი ან ქალი, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე ასაკის შვილი, მიზანშეუწონელია სასჯელს იხდიდეს, რადგანაც თვით ორსულობა, როგორც სპეციფიკური ფიზიოლოგიური მდგომარეობა, იშვიათად არ არის დაკავშირებული გართულებებთან და ავადმყოფურ ცვლილებებთან, ხოლო ქალს, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე ასაკის შვილი, აქვს ორმაგი საზრუნავი, საკუთარი თავის მოვლა და ჩვილისათვის ზრუნვა, რაც მათ არ შეუძლიათ განახორციელონ სასჯელის ფაქტობრივად მოხდის პირობებში.

აღნიშნულის საფუძველზე სსკ-ის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს, ან ქალს, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი, სანამ ბავშვი ხუთი წლის გახდება.

როგორც ვხედავთ, ქალისათვის სასჯელის მოხდის გადავადების პირობაა ის, რომ იყოს ორსული ან ჰყავდეს ხუთ წლამდე შვილი. ორსულობა სასჯელის გადავადების საფუძველია იმ მომენტიდან, როცა დადგინდება ქალის ორსულობის ფაქტი და გაგრძელდება მანამ, სანამ ბავშვი გახდებოდეს ხუთი წლის. ბუნებრივია, ორსულობის შეწყვეტა, ჩვილის მკვდრად დაბადება, ან სიკვდილი წყვეტს ქალისათვის სასჯელის გადავადებას.

ქალისათვის ორსულობის ან ხუთ წლამდე შვილის ყოლის გამო სასჯელის მოხდის გადავადება არ ნიშნავს მისი სასჯელის მოხდისაგან საბოლოოდ განთავისუფლებას.

სსკ-ის 75-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას, მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, სასამართლოს შეუძლია ამ ორგანოს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული ქალი სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას. შვილზე

უარის თქმაში შეიძლება ვიგულისხმოთ მისი გაშვილება ან გადაცემა ბავშვთა სახლისათვის აღსაზრდელად, რომელიც შეიძლება საფუძველი გახდეს სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა.


განსახილველი მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, როდესაც შვილი ხუთი წლის ასაკს მიაღწევს, სასამართლო გაათავისუფლებს მსჯავრდებულ ქალს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად შესაბამის დაწესებულებაში მისი უკან დაბრუნების შესახებ.

განსახილველი მუხლის მესამე ნაწილი, როგორც ვხედავთ, სასამართლოს აძლევს უფლებას: 1) საბოლოოდ გაათავისუფლოს მსჯავრდებული ქალი სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან; 2) შეუცვალოს მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით ანდა 3) მიიღოს გადაწყვეტილება სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მისი შესაბამის დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ. ამ სამი შესაძლებლობიდან სასამართლო იყენებს ერთ რომელიმეს, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი ყოფაქცევა და თუ როგორ ასრულებდა ის დედობრივ მოვალეობას სასჯელის გადავადების პერიოდში. ქალი, რომელსაც სასჯელის მოხდა ჰქონდა გადავადებული და საბოლოოდ გაათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან, ითვლება ნასამართლობის არმქონე პირად.

სასჯელისაგან განთავისუფლების ეს სახე არის ფაქულტატური, რადგანაც ეს სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა. სასამართლო მსჯავრდებულს გაათავისუფლებს სასჯელის დარჩენილი ვადის მოხდისაგან თუ გააგზავნის მას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად შესაბამის დაწესებულებაში, საბოლოოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიმძიმის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და როგორი იყო მიყენებული ზიანი. გარდა ამისა, როგორია მსჯავრდებულის პიროვნება, აქვს თუ არა მას სურვილი და შესაძლებლობა ჰყავდეს შვილი და იზრუნოს მის ნორმალურ აღზრდაზე.

სსკ-ის 75-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის გადავადების პერიოდში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო  
(სსკ-ის 76-ე მუხლი)



გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდა იწყება მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობად ითვლება კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლა, რის შემდეგაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება მოყვანილ იქნეს სისრულეში.

გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით, როგორცაა მსჯავრდებულის ხანგრძლივი ავადმყოფობა, ხანძრისაგან საქმის მასალების განადგურება, სახელმწიფო მოხელეთა უპასუხისმგებლო მოქმედება და სხვ.

სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო გამართლებულია იმით, რომ განაჩენის ძალაში შესვლიდან გასულია ხანგრძლივი დრო და მისი აღსრულება უკვე ვერ ახორციელებს სასჯელის ვერც ზოგად და ვერც კერძო პრევენციის ამოცანებს.

სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრას უკავშირებს ჩადენილი დანაშაულის კატეგორიებს და ეს ვადები იზრდება იმის მიხედვით, თუ რა სიმძიმისაა ჩადენილი დანაშაული.

სსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

- ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;
- ბ) ექვს წელში სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;
- გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;
- დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

სასჯელის ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა. ახალი მოქმედი კოდექსით გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის გამოანგარიშება დაკავშირებულია არა სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომასთან, არამედ სასჯელის მაქსიმუმთან, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლის საჩქციით, მაშინ როდესაც ძველი კოდექსით სასჯელის ხანდაზმულობა გამოიანგარიშებოდა განაჩენით დანიშნული სასჯელის ზომის მიხედვით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი კოდექსისაგან განსხვავებით, ახალი კოდექსი არ ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის მიმდინარეობის შეწყვეტას, თუნდაც ახალი დანაშაულის ჩადენის გამო და შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას და აღგენს, რომ ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო.

როგორც ვხედავთ, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების ერთადერთი საფუძველია მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან თავის განზრახ არიდება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მსჯავრდებულის მიმალვაში გამამტყუნებელი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, გამასწორებელი სამუშაო ადგილის თვითნებურად მიტოვებაში ანდა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევაში, გვარის გამოცვლაში და სხვ.

სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებაში არ ჩაითვლება ის შემთხვევა, როდესაც სასჯელის ფაქტობრივად აღსრულება შეუძლებელია მსჯავრდებულისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მაგალითად, ფსიქიკური დაავადების ან საზღვარგარეთ პატიმრობაში ყოფნის გამო. ასეთ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობა ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობს.

განსახილველი მუხლის მესამე ნაწილი არეგულირებს შემთხვევას, როდესაც მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა აქვს

მისჯილი და ადგენს, ხანდაზმულობის შეფარდების საკითხს წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კერძოდ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ.

განსახილველი მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლა არის სასჯელისაგან განთავისუფლების სავალდებულო საფუძველი და იგი საბოლოოა.



სსკ-ის მე-13 და მე-14 თავების შესწავლის დროს ჩვენ გავცვანით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების სახეებს, საფუძვლებს და წესს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებითაა გათვალისწინებული. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლება, სასჯელის შემსუბუქება და ნასამართლობის მოხსნა ხორციელდება საქართველოს პარლამენტის და პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტებით ამნისტიის და უწყალების შესახებ.

**§1. ამნისტია**  
(სსკ-ის 77-ე მუხლი)

ამნისტია ბერძნული წარმოების სიტყვაა და პირდაპირი გაგებით ნიშნავს დაფიწყებას. სისხლის სამართალში იგი იხმარება, როგორც ჩადენილი დანაშაულის პატიება უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების, პარლამენტის დადგენილებით გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთათვის.

ამნისტია არ არის მსჯავრდებულის რეაბილიტაცია და არც სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის რვეიზია.

ამნისტია არის საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების კუმანური აქტი, რომლის ძალით ინდივიდუალურად განუსაზღვრელი პირთა ჯგუფი მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდება სასჯელისაგან და აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ნასამართლობისაგან.

სსკ-ის 77-ე მუხლის შესაბამისად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული – სასჯელისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

ამნისტია ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებიც წასითდებიან ამნისტიის აქტში ჩამოთვლილი ნიშნებით. გარდა ამისა ამნისტია, როგორც წესი, ვრცელდება როგორც უკვე მსჯავრდებულ, ისე იმ პირებზე, რომელთა საქმეებიც სასამართლო თუ საგანგებო ორგანოების წარმოებაშია, ასევე იმ პირებზე რომელთა მიერაც დანაშაული ჩადენილია ამნისტიის გამოცემამდე, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ აღძრული არ არის.

როგორც ვხედავთ, ამნისტია წარმოადგენს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ისე სასჯელისაგან განთავისუფლების სახეს, ამიტომ იგი გამოიყენება, როგორც დანაშაულის ჩამდენი ჯერ კიდევ მსჯავრდაუდებელი პირის, ისე უკვე მსჯავრდებული პირის მიმართ.

ამნისტია ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე.

დენადი დანაშაულის ჩამდენ პირს ამნისტია შეეფარდება, თუ დანაშაული დამთავრდა ამნისტიის გამოცემამდე. თუ დენადი დანაშაული ამნისტიის გამოცემის შემდეგაც გრძელდება, მაშინ დამნაშავეზე ამნისტია არ გავრცელდება.

განგრძობადი დანაშაულის დროს, თუ იგი მთლიანდ დამთავრდა ამნისტიის გამოცემამდე – დამნაშავეს შეეფარდება ამნისტია, მაგრამ თუ ამნისტიის გამოცემის შემდეგ განხორციელდა დაწყებული დანაშაულის თუნდაც ერთი ეპიზოდი, პირს ამნისტია არ შეეფარდება და იგი პასუხს აგებს განგრძობადი დანაშაულის ყველა ეპიზოდისათვის.

## §2. შეწყალება

(სსკ-ის 78-ე მუხლი)

შეწყალება არის დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის პატიება. შეწყალებას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირების მიმართ.

პრეზიდენტის მიერ შეიძლება შეწყალებულ იქნეს მხოლოდ ის პირი, რომლის მიმართ არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეწყალების აქტით პირი არ შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მანამ სანამ სასამართლო არ გამოიტანს ამ პირის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს.

სსკ-ის 78-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად პრეზიდენტს

უფლება აქვს შეწყალების აქტით მსჯავრდებული გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მის მიმართ დანიშნული სასჯელი შეამციროს ან შეცვალოს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, პრეზიდენტს აქვს შეწყალების აქტით პირს მოუხსნას ნასამართლობა.

ამნისტიასა და შეწყალების შორის განსხვავება ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ ამნისტია ვრცელდება პირთა განუსაზღვრელ რაოდენობაზე, შეწყალება კი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ. გარდა ამისა, ამნისტიის აქტი ყოველთვის გამოიცემა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ და მისი ინიციატივით, მაშინ როდესაც შეწყალების აქტის ინიციატორია თვითონ მსჯავრდებული, მისი ნათესავები, სწოგადობრივი ორგანიზაციები ან სასჯელალსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაცია და მას აკმაყოფილებს პრეზიდენტი. გარდა ამისა, შეწყალება ერთჯერადი აქტია და შესრულებაც დაუყოვნებლივ ხორციელდება, მაშინ როდესაც ამნისტიის რეალიზაციას გარკვეული დრო სჭირდება, რადგანაც დასაშუსტებელია მსჯავრდებულთა კონტიგენტიდან თუ ვინ ხასიათდება ამნისტიის აქტში ჩამოთვლილი ნიშნებით.

შეწყალება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მსჯავრდებულის მიმართ, მათ შორის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის მსჯავრდებულთა მიმართაც.

შეწყალების აქტის მომზადების მიზნით პრეზიდენტთან არსებობს შეწყალების კომისია.

### **§3. ნასამართლობა**

**(სსკ-ის 79-ე მუხლი)**

ნასამართლობა არის სასამართლოს მიერ პირისათვის მსჯავრის დადების სამართლებრივი შედეგი, რომელიც იწყება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდშიც ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე და გამოიხატება მსჯავრდებულის კანონით განსაზღვრული უფლებების შეზღუდვაში.

ნასამართლობის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მდგომარეობს იმაში რომ, იგი მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-  
სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გადაწყვეტილას.

ნასამართლობა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნები  
მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე  
წინებული ქურდობა, როცა იგი ჩადენილია პირველად, ისჯება  
ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა  
თავისუფლების აღკვეთით იმავე სამი წლის ვადით, მაგრამ თუ ქურდობა  
ჩადენილია არა ერთგზის, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად –  
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს  
წლამდე, ხოლო თუ პირი ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვე  
სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის – იგი სსკ-  
ის 177-ე მუხლის მე სამე ნაწილის "დ" პუნქტით მიხედვით დაისჯება  
თავისუფლების აღკვეთით სამიდან თორმეტ წლამდე.

ნასამართლობა აგრეთვე მხედველობაში მიიღება დანაშაულის  
რეციდივის, საშიში რეციდივის და განსაკუთრებით საშიშ რეციდივის  
დროს სასჯელის დანიშნისას (სსკ-ის მე-17 და 58-ე მუხლები)  
ნასამართლობა შეუძლებელს ხდის სასჯელის ისეთი სახის გამოყენებას,  
როგორცაა თავისუფლების შეზღუდვა (სსკ-ის 47-ე მუხლის მეორე  
ნაწილი). თუ არასრულწლოვანი ნასამართლვეია, მის მიმართ ახალი  
დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ გამოიყენება აღმზრდელობითი  
ხასიათის ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება და სხვ.

სისხლის სამართლის კანონის ჰუმანურობის პრინციპიდან  
გამომდინარე, კანონმდებელი თვლის, რომ ნასამართლობის ფაქტი  
მსჯავრდებულს არ უნდა ახლდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე  
და ამისათვის ადგენს მსჯავრდებულთათვის ნასამართლობის  
გაქარწყლების და მოხსნის გარკვეულ წესებს.

ნასამართლობის გაქარწყლება ნიშნავს სასჯელის მოხდის მომენტიდან  
კანონით დადგენილი ვადის გასვლას, რის შემდეგ ავტომატურად  
ბათილდება მსჯავრდების ყველა სამართლებრივი შედეგი.

ნასამართლობის მოხსნა ნიშნავს სასამართლოს მიერ სასჯელ-  
მოხდელი პირის ნასამართლობის არმქონე პირად ცნობას კანონით  
დადგენილ ვადაზე ადრე, თუ სასჯელის მოხდის შემდეგ სამაგალითო  
ყოფაქცევით დაამტკიცებს, რომ იგი გამოსწორდა.

ნასამართლობის გაქარწყლების და მოხსნის მიზანია სასჯელ-  
მოხდელს საბოლოოდ აღუდგეს წინანდელი უფლებრივი მდგო-  
მარეობა. იგი სპობს მსჯავრდების შედეგებს და ნასამართლობა  
გაქარწყლებულ ან ნასამართლობა მოხსნილ პირს შეუძლია  
განაცხადოს, რომ იგი ნასამართლვეი არ არის.

სსკ-ის 79-ე მუხლის მეხამე ნაწილი ადგენს ნასამართლობის გაქარწყლების პირობებს და ვადებს. ნასამართლობა გაქარწყლდება:  
ა) პირობით მსჯავრდებულისა - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა განთავისუფლებული, ანდა თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

აღნიშნული მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდეც.

ამავე მუხლის მეექვსე ნაწილით დადგენილია ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის იურიდიული შედეგი, რაც გამოიხატება იმაში, რომ გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

შესაბამისად, სსკ-ის მე-100 მუხლისა იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება, თუ გავიდა: ა) ერთი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მოხდიდან; ბ) სამი წელი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მოხდიდან.

ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო დროის გასვლამდე იგი შეიძლება მოიხსნას ამნისტიისა და შეწყალების აქტის საფუძველზეც.



**არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის XVI თავი)**

**§1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება (სსკ-ის 80-ე, 81-ე და 82-ე მუხლები)**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან განთავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი (სსკ-ის მე-80 მუხლი).

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება (სსკ-ის 81-ე მუხლი). აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ სასჯელს, რადგანაც მასში არ არის ტანჯვის ელემენტები და თანაც არ იწვევს ნასამართლობას.

აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ არასრულწლოვნის მიმართ და არის სოციალური დაცვის ღონისძიება, რაც სისხლის სამართალში სანქციითაა ორკვალიანი სისტემის გამოხატულებაა.

არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის ალტერნატიულად აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენების დაშვების საფუძველია ის, რომ საზოგადოებისათვის სასურველია არასრულწლოვანი გამოსწორდეს პირველ რიგში აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებით და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იქნეს მის მიმართ სისხლის სამართლის სასჯელი გამოყენებული.

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და დასჯადობის თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ სსკ-ის 82-ე მუხლი ცალკე გამოყოფს არასრულწლოვან დამნაშავეთათვის დასანიშნი სასჯელის სახეებს. ესენია:



- ა) ჯარიმა;
- ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
- დ) გამასწორებელი სამუშაო;
- ე) თავისუფლების შეზღუდვა;
- ვ) ამოღებულია;
- ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

როგორც ვხედავთ, სსკ-ის მე-40 მუხლით სრულწლოვანთათვის გათვალისწინებულ სასჯელთა ცხრა სახიდან არასრულწლოვანთა მიმართ არ გამოიყენება სამი სახე, კერძოდ, სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და ტუსალობა. ამასთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსი ერთი და იგივე დანაშაულისათვის სასჯელის განსხვავებულ ზომას ადგენს სრულწლოვანებისათვის და არასრულწლოვანებისათვის. სასჯელის ზომა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის უფრო ნაკლებია, ვიდრე სრულწლოვანისათვის.

გარდა ამისა, სრულწლოვანთა დასჯის თავისებურება გამოიხატება იმაშიც, რომ თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულებს, რომელთაც განაჩენის გამოტანის დროისათვის არ შესრულებიათ თვრამეტი წელი, მოათავსებენ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში, სადაც მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს ათავსებენ სხვა მსჯავრდებულთაგან განცალკევებით. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება იყოფა დახურულ, ნახევრად ღია და ღია რეჟიმის ბლოკებად. შესაბამის რეჟიმს, რომელშიც არასრულწლოვანმა სასჯელი უნდა მოიხადოს, ადგენს ადმინისტრაცია კლასიფიკაციის ცენტრის დასკვნის საფუძველზე. კარგი ყოფაქცევისა და სწავლის შემთხვევაში, სასჯელის ვადის ერთი მეოთხედის მოხდის შემდეგ, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს, რაც შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ ნება ეძლევა წელიწადში იქონიოს დამატებით ორი ხანგრძლივი პაემანი, ჩადენილი დანაშაულის საშიშროების, მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დირექტორის ბრძანებით 18 წელს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება გადაყვანილ იქნეს საერთო ან მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ან ოცი წლის ასაკის მიღწევამდე დარჩეს იმავე აღმზრდელობით დაწესებულებაში.

განვიხილოთ არასრულწლოვანთათვის დაწესებული სასჯელის სახეები ცალ-ცალკე:

1. ჯარიმა

(სსკ-ის 83-ე მუხლი)

ქრქცნუჭი

ბიგჭიჩისუქქ

არასრულწლოვანს ჯარიმა ენიშნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს დამოუკიდებელი ხელფასი ან ქონება, რომელზედაც შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა ხუთი დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმალური – ორასი დღიური ანაზღაურება. სასჯელთა შეკრებისას ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 400 დღიურ ანაზღაურებას.

2. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

(სსკ-ის 84-ე მუხლი)

არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ერთიდან სამ წლამდე ვადით.

3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

(სსკ-ის 85-ე მუხლი)

არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება ოციდან ას სამოც საათამდე ვადით, რომელსაც ის მოიხდის სწავლისაგან ან ძირითადი სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს. ეს სასჯელი გულისხმობს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ძალუძს არასრულწლოვანს. ამ სასჯელის ვადა თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში ორ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის დღეში სამ საათს.

4. გამასწორებელი სამუშაო

(სსკ-ის 86-ე მუხლი)

არასრულწლოვანს გამასწორებელი სამუშაო ენიშნება ორი თვიდან ერთ წლამდე.

5. თავისუფლების შეზღუდვა

(სსკ-ის 87-ე მუხლი)

არასრულწლოვანს თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება ოთხ წლამდე ვადით.

6. ტუსალობა

(სსკ-ის 87-ე მუხლი ამოღებულია საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონის საფუძველზე)

7. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

(სსკ-ის 88-ე მუხლი)

სსკ-ის 88-ე მუხლი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება არა უმეტეს ათი წლის ვადით, რომელსაც ის სრულწლოვანობამდე მოიხდის აღმზრდელობით დაწესებულებაში.

88-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თექვსმეტი წლის თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

თვრამეტ წელს მიუღწეველ არასრულწლოვანს უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაენიშნოს.

8. არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნა (სსკ-ის 89-ე მუხლი)

არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს სსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად მხედველობაში უნდა მიიღოს მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეების წარმოებას გააჩნია პროცესუალური თავისებურებებიც, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 647-ე მუხლში, რომლის მიხედვით არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა სავალდებულოა ჩატარდეს დამცველის მონაწილეობით, ასევე დაკითხვას უნდა ესწრებოდეს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი ან პედაგოგი.



**არასრულწლოვნის განთავისუფლება  
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და  
სასჯელისაგან  
(სსკ-ის XVII თავი)**

სისხლის სამართლის კოდექსის ამ თავში მოცემულია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების საფუძველი, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების სახეები და დანიშნვის წესები. საკითხების უკეთ გაგებისათვის უმჯობესია ცალ-ცალკე განვიხილოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების საფუძველები და წესები.

**§1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების და სახეები  
(სსკ-ის 89-ე, 90-ე, 91-ე მუხლები)**

არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებათა გამოყენება დასაშვებია როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების, ისე სასჯელისაგან განთავისუფლების დროს.

სსკ-ის 89<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, შეიძლება გაათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს.

სსკ-ის 90-ე მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედებების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით. არასრულწლოვანს ერთდროულად შეიძლება დაენიშნოს აღმზრდელობითი ზემოქმედების რამდენიმე ღონისძიება (სსკ-ის 91-ე მუხლი მეორე ნაწილი).

აღმზრდელითი შემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენების დროს არასრულწლოვანზე აღმზრდელითი შემოქმედება ხდება ძირითადად დარწმუნების მეთოდით, მაგრამ იმავდროულად იგი შეიცავს იძულების ელემენტებს, ზანდგანსაგნით მათი დანიშვნა და აღსრულება არ არის დამოკიდებული არასრულწლოვანის ნებაზე.

როგორც შემოთ ითქვა აღმზრდელითი შემოქმედების იძულებითი ღონისძიება არსებითად განსხვავდება სისხლისსამართლებრივი სასჯელისაგან, რომელიც შეიცავს ტანჯვის ელემენტებს. გარდა ამისა იგი არ იწვევს ნასამართლობას.

სსკ-ის 91-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს აღმზრდელითი შემოქმედების იძულებით ღონისძიებათა სახეებს. ესენია:

- ა) გაფრთხილება;
- ბ) საზედამხედველოდ გადაცემა;
- გ) ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება;
- დ) ქცევის შეზღუდვა;
- ე) სპეციალურ-აღმზრდელითი ან სამკურნალო-აღმზრდელითი დაწესებულებაში მოთავსება.

სსკ-ის 91-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვანი სისტემატურად არღვევს აღმზრდელითი შემოქმედების იძულებითი ღონისძიებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ ეს ღონისძიება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით გაუქმდება და მასალები გადაიგზავნება სასამართლოში არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მისაცემად.

ცალ-ცალკე განვიხილოთ არასრულწლოვანთა აღმზრდელითი შემოქმედების იძულებით ღონისძიებათა სახეები.

### 1. გაფრთხილება

(სსკ-ის 92-ე მუხლი)

გაფრთხილება ნიშნავს არასრულწლოვანსათვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა მოქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება ასეთი ქმედების განმეორებით ჩადენას. მასვე განემარტება მის მიმართ გამოყენებული გაფრთხილების შეუსრულებლობის შედეგი.

### 2. საზედამხედველოდ გადაცემა

(სსკ-ის 93-ე მუხლი)

საზედამხედველოდ გადაცემა ნიშნავს მშობლისათვის ან მისი შემცველი პირისათვის ან და სპეციალიზებული სახელმწიფო

ორგანოსათვის იმ მოვალეობის დაკისრებას, რომ მან აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე და კონტროლი გაუწიოს მის ყოფაქცევას.

3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება (სსკ-ის 94-ე მუხლი)

არასრულწლოვნისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებისას სასამართლო ითვალისწინებს მის ქონებრივ მდგომარეობას და შესაბამის შრომის ჩვევებს.

4. ქცევის შეზღუდვა (სსკ-ის 95-ე მუხლი)

არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს გარკვეული ადგილის მონახულება; დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა; სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე სადმე წასვლა; თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება.

არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს: საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება ან სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება. ამ შეზღუდვების გარდა სასამართლოს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია სხვაგვარად შეზღუდოს არასრულწლოვნის ქცევა.

სპეციალურ-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებაში მოთავსება დასაშვებია მხოლოდ არასრულწლოვნის სასჯელისგან განთავისუფლების და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების დროს. ამიტომ მას განვიხილავთ ამ თემის ქვემო პარაგრაფში, რომელიც შეეხება არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი სასჯელისაგან განთავისუფლებას.

## **§2. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი სასჯელისაგან განთავისუფლება და მისი სახეები** (სსკ-ის 96-ე, 97-ე და 98-ე მუხლები)

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი იმ მსჯავრდებულისათვის, რომელმაც დანაშაული თვრამეტი წლის ასაკამდე ჩაიდინა, სასჯელისაგან განთავისუფლების უფრო შელავათიან პირობებს აწესებს, ვიდრე ამ ასაკს გადაცილებული სხვა პირების მიმართ, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ასაკში დანაშაულისადმი

მიდრეკილების დაძლევა შედარებით უფრო ადვილად მიიღწევა.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს მსჯავრდებულთა არასრულწლოვნის სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ სახეს.

- 1) სპეციალურ-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსებას,
  - 2) სასჯელისაგან განთავისუფლებას
  - 3) სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე განთავისუფლებას.
- განვიხილოთ ცალ-ცალკე.

**1. სპეციალურ-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება (სსკ-ის 96-ე მუხლი)**

სპეციალურ-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება წარმოადგენს არასრულწლოვნის სასჯელისაგან განთავისუფლების ერთ-ერთ სპეციალურ სახეს და არ გამოიყენება სრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების დროს.

სსკ-ის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სასჯელისაგან, თუ მიიჩნევს რომ სასჯელის მიზანი მიიღწევა მისი სპეციალურ-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსებით. ამ დაწესებულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალურ ვადას.

სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულებებია: სპეციალური აღმზრდელობითი სკოლა და სპეციალური პროფესიონალური სასწავლებელი.

სპეციალურ-აღმზრდელობით დაწესებულებაში სასამართლოს შეუძლია მოათავსოს არასრულწლოვანი, რომელსაც გააჩნია ფიზიკური ნაკლი (ყრუ-მუნჯი, ბრმა) და ფსიქიკური ნაკლის მქონენი ან რომლებიც საჭიროებენ სხვა სახის მკურნალობას და აღმზრდელობით მუშაობას.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად არასრულწლოვნის სპეციალურ-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ყოფნა შეიძლება შეწყდეს ამ მუხლის

პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, თუ სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დასვენით მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის ამ ღონისძიებების შემდგომი გამოყენება. არასრულწლოვნის სპეციალურ-აღმზრდელობით დასაყრდენობით დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დასაშვებია მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიული მომზადების დასამთავრებლად.


**2. არასრულწლოვნის სასჯელისაგან განთავისუფლება აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით**  
(სსკ-ის 97-ე მუხლი)

სსკ-ის 97-ე მუხლის თანახმად ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება, გაათავისუფლოს სასჯელისაგან ამ კოდექსის 91-ე მუხლით გათვალისწინებული აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით. ეს მუხლი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი იყო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული ესე იგი ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადა არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას, ამასთან მნიშვნელობა არ აქვს დანაშაულის პირველად ჩადენის ფაქტს.

**3. არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება**  
(სსკ-ის 98-ე მუხლი)

განსახილველი მუხლის თანახმად გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება პირობით ვადამდე გაათავისუფლოს სასჯელის მოხდისაგან შემდეგი პირობების დაცვით, კერძოდ, თუ მან ფაქტობრივად მოიხდა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის არანაკლებ ერთი მესამედი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.



**§3. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან განთავისუფლებისას ხანდაზმულობის ვადები და ნასამართლობის გაქარწყლების ვადები (სსკ-ის 99-ე და მპ-100 მუხლები)**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულწლოვანი დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან განთავისუფლება ხდება სსკ-ის 71-ე და 76-ე მუხლების პირველი ნაწილებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გასვლის დღიდან, მაგრამ სსკ-ის 99-ე მუხლის შესაბამისად არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან განთავისუფლებისას ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები განახევრდება.

ჰუმანიზმის პრინციპის განხორციელებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ სრულწლოვნისაგან განსხვავებით არასრულწლოვნისათვის ნასამართლობის გაქარწყლების უფრო შემცირებული ვადებია დადგენილი. სსკ-ის მე-100 მუხლის შესაბამისად იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება, თუ გავიდა:

ა) ერთი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის დღიდან;

ბ) სამი წელი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების ვადის აღკვეთიდან.



**სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების**

შეფარდების მიზანი, საფუძველი და იურიდიული გუნება

**§1. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების  
შეფარდების მიზანი, საფუძველი და იურიდიული გუნება  
(სსკ-ის 101-ე მუხლი)**

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება არ არის სისხლის-სამართლებრივი სასჯელი. იგი არის კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიება, რომლის შეფარდების მიზანია შეურაცხადი პირის განკურნება ფსიქიკური დაავადებისაგან, ან მისი ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მისგან საზოგადოების დაცვა.

ალკოპოლიკებისა და ნარკომანებისათვის სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების მიზანია განკურნება და მომავალში მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის აცილება.

სსკ-ის 101-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საფუძველს და წესს. იგი შეიძლება დაინიშნოს, თუ:

ა) პირმა ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში;

ბ) დანაშაული ჩადენილია შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში;

გ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, რაც შეუძლებელს ხდის სასჯელის დანიშვნას და აღსრულებას.

დ) პირს ესაჭიროება განკურნება ალკოპოლიზმისაგან ან ნარკომანიისაგან.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ინიშნება სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე მამინ, როდესაც პირის ფსიქიკური მდგომარეობა საფრთხეს უქმნის თვითონ მას, ან სხვას და შეიცავს სხვაგვარი არსებითი ზიანის საშიშროებას.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების აღსრულების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სასამართლოს შეუძლია, თუ პირის ფსიქიკური მდგომარეობა

გამოსწორდა, სათანადო მასალები გადასცეს ჯანმრთელობის ორგანოს, რომელიც გადაწყვეტს აღნიშნული პირის მიმართ ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებაში მოთავსების ან მოუთავსებლობის საკითხს.

ალკოპოლიციები და ნარკომანები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შერაცხად მდგომარეობაში, ალკოპოლიზმის და ნარკომანიის საწინააღმდეგო სამედიცინო იძულებით მკურნალობას გაივლიან სისხლისსამართლებრივი სასჯელის მოხდის პერიოდში.

მსგავსება სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებასა და სისხლისსამართლებრივ სასჯელს შორის გამოიხატება იმაში, რომ ორივე არის იძულებითი ღონისძიება და ინიშნება სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით და აღსრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, ხოლო განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

1. სისხლისსამართლებრივ სასჯელს ყოველთვის თან ახლავს დასჯის, ერთგვარი ტანჯვის, მწუხარების მიყენების ნიშნები, მაშინ როდესაც სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებებისათვის ეს ნიშნები დამახასიათებელი არ არის;

2. სასჯელი ინიშნება სასამართლოს განაჩენით, მაშინ როდესაც სამედიცინო ხასიათის ღონისძიება – სასამართლოს განჩინებით;

3. სასჯელი ინიშნება პირის მიერ შერაცხად მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენის გამო, მაშინ როდესაც სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ინიშნება პირის მიმართ, რომელმაც სსყ-ის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა შერაცხად მდგომარეობაში, რომლის მოქმედება სისხლის სამართალში იწოდება არა დანაშაულად, არამედ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად, რომლის ჩამდენი პირი საჭიროებს აუცილებელ სამედიცინო-სამკურნალო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდებას.

4. სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდების მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის გამოსწორება, მაშინ როდესაც სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების მიზანია ფსიქიკურად დაავადებული პირის განკურნება ან მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო როცა ეს შეუძლებელია – მისი იზოლაცია საზოგადოებისაგან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ახალი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

5. სისხლის სამართლის სასჯელი იწვევს ნასამართლობას, მაშინ

როდესაც სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება არ იწვევს ნასამართლობას;

6. სისხლისსამართლებრივი სასჯელი სასამართლო-მედიცინო ყოველთვის გარკვეული ვადით ინიშნება, მაშინ როდესაც სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების ვადა არ განისაზღვრება, რადგანაც იგი დამოცილებულია ავადმყოფობის ხარისხზე, ხოლო შემდეგ მის მიმდინარეობაზე და განკურნების ან მდგომარეობის გაუმჯობესების ხანგრძლივობაზე. გარდა ამისა, სასჯელის მოხდის რეჟიმი ინიშნება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და დამნაშავეის პიროვნების გათვალისწინებით, ხოლო სასამართლო-ფსიქიატრიული მჯურნალობის რეჟიმი განისაზღვრება არა ჩადენილი ქმედების სიმძიმის, არამედ მხოლოდ ფსიქიკური ავადმყოფობის ხარისხის მიხედვით.

## **§2. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების სახეები (სსპ-ის 102-ე მუხლი)**

სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია დანიშნოს შემდეგი სახის სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება:

- ა) დისპანსერული ფსიქიატრიული მჯურნალობა;
- ბ) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი მეთვალყურეობით;
- გ) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით;
- დ) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება მკაცრი მეთვალყურეობით;
- ე) სპეციალიზებულ ნარკოლოგიურ სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შერაცხად მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულს, რომელსაც ესაჭიროება ალკოგოლიზმის, ნარკომანიის ან ისეთი ფსიქიკური დაავადების მჯურნალობა, რომელიც არ გამოირიცხავს შერაცხადობას, სასჯელთან ერთად დაუნიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. როგორც ვხედავთ, სასამართლოს შეუძლია სისხლისსამართლებრივ სასჯელთან ერთად ალკოპოლიკებს, ნარკომანებს და შეზღუდული შერაცხაობის მქონე პირებს დაუნიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახეები განვიხილავთ რიგ-რიგობით:



ქართული  
ენების ინსტიტუტი

## **1. დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა (სსკ-ის 103-ე მუხლი)**


დისპანსერი ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას, რომლის მიზანია მკურნალობის გარდა დაავადებათა წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება. სსკ-ის 103-ე მუხლის თანახმად დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება დაენიშნოს პირს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხაობის ან შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ან თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, რაც ხელს უშლის სასჯელის დანიშვნას ან აღსრულებას, ანდა პირს, რომელსაც ესაჭიროება განკურნება ალკოგოლიზმისა და ნარკომანიისაგან, თუ მათ ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ ესაჭიროებათ ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსება, ე.ი. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაწვენა, რადგანაც არიან ამბულატორიული ავადმყოფობები.

დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა გულისხმობს სავალდებულო მკურნალობას, რომელსაც სასამართლო აწესებს პაციენტისა და მისი ახლობლების ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად. მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს სახლში ან შესაბამისი პროფილის მქონე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ამბულატორიულად. დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა ენიშნებათ იმ პირებს, რომელთა ფსიქიკური მდგომარეობა საფრთხეს არ უქმნის მას ან გარემომყოფთ.

## **2. იძულებით მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (სსკ-ის 104-ე მუხლი)**

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა შეიძლება დაინიშნოს, თუ ფსიქიკური დაავადების ხასიათი და სიმძიმე მოითხოვს მკურნალობის, მოვლის, ყოფა-ცხოვრებისა და მეთვალყურეობის ისეთ პირობებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

სსკ-ის 104-ე მუხლი აწესებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობის სამ რეჟიმს:



1. იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ ჩვეულებრივი მეთვალყურეობით;

2. იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ გაძლიერებული მეთვალყურეობით;

3. იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ მკაცრი მეთვალყურეობით.

იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჩვეულებრივი მეთვალყურეობით შეიძლება დაენიშნოს იმას, ვისაც ფსიქიკური მდგომარეობის გამო ესაჭიროება სტაციონარული მკურნალობა ან მეთვალყურეობა, მაგრამ არა გაძლიერებული მეთვალყურეობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ავადმყოფის მდგომარეობა შედარებით მშვიდია და არ მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების გატარებას.

იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაძლიერებული მეთვალყურეობით შეიძლება დაენიშნოს იმას, ვისაც ფსიქიკური მდგომარეობის გამო ესაჭიროება მუდმივი მეთვალყურეობა. გაძლიერებული რეჟიმით მეთვალყურეობა სჭირდება ფსიქიკურად ავადმყოფს, როცა იგი საშიშია გარშემომყოფთათვის და მუდმივი მეთვალყურეობის გარეშე შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება.

იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკაცრი მეთვალყურეობით შეიძლება დაენიშნოს იმას, ვისი ფსიქიკური მდგომარეობაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის თვითონ მას ან სხვას და ამის გამო ესაჭიროება მუდმივი და ინტენსიური მეთვალყურეობა. ამგვარი მეთვალყურეობა ესაჭიროებათ პირებს, რომლებიც დაავადებული არიან მძიმე ფსიქიკური ავადმყოფობით და ჩადენილი აქვთ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი.

**§3. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების  
გაგრძელება, შეცვლა ან შეწყვეტა  
(სსკ-ის 105-ე მუხლი)**

სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებას აგრძელებს, ცვლის ან წყვეტს

სასამართლო იძულებითი ღონისძიებების განმახორციელებელი დაწესებულებების ადმინისტრაციის წარდგინებით, ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი სამკურნალო პირის საკომისიო შემოწმების ვადებს და ადგენს, რომ იმას, ვისაც დაენიშნა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, არა უგვიანეს ექვსი თვისა ამოწმებს ექიმ-ფსიქიატრთა კომისია იმ საკითხის გადასაწყვეტად, არსებობს თუ არა ასეთი ღონისძიების შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ სასამართლოში წარდგინების შეტანის საფუძველი. თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს, მაშინ იძულებითი მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების ადმინისტრაცია სასამართლოს წარუდგენს დასკვნას იძულებითი მკურნალობის გაგრძელების თაობაზე. იძულებითი მკურნალობა პირველად შეიძლება გაგრძელდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების აღსრულების დაწყების მომენტიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ხოლო შემდგომში ყოველწლიურად.

აღნიშნულ ვადებში გაგრძელდება იძულებითი სამკურნალო პირის გადამოწმების მიზანია, რათა მას ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების შემთხვევაში შეეცვალოს შეფარდებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება უფრო მსუბუქი ღონისძიებით, ხოლო თუ იგი გამოჯანმრთელებულია - მის მიმართ შეწყდეს იძულებითი მკურნალობა და ამ გზით არ იქნეს დაშვებული პირის უსაფუძვლო და უკანონო დაკავება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

განსახილველი მუხლის მესამე ნაწილი ეხება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის საკითხს და ადგენს, რომ სასამართლო შეცვლის სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებას, თუ პირის ფსიქიკური მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ საჭირო აღარ არის წინათ დანიშნული ღონისძიების გამოყენება ან სხვა აუცილებელი სამედიცინო ხასიათის ღონისძიების დანიშვნა.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილი ეხება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის საკითხს და ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია იძულებითი სამკურნალო პირის შესახებ სათანადო მასალები გადასცეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს მისი მკურნალობის ან ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებაში გაგზავნის საკითხს.

#### §4. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების დროის ჩათვლა

(სსკ-ის 106-ე მუხლი)

ქვეყნული

სსკ-ის 106-ე მუხლის შესაბამისად დრო, რომლის განმავლობაშიც პირს დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკური დაავადების გამო დანიშნული ჰქონდა იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სასჯელის დანიშვნისას ან მისი აღსრულების განახლების შემთხვევაში ჩათვლება სასჯელის ვადაში შემდეგი გაანგარიშებებით: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

#### §5. სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება

(სსკ-ის 107-ე მუხლი)

სსკ-ის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის ანალიზისას ვთქვით, რომ სასამართლომ შეიძლება სისხლისსამართლებრივ სასჯელთან ერთად აღკოპოლიცებს, ნარკომანებს და შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირებს დაუნიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებაც. თუ ამ კატეგორიის პირებს სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა, მაშინ სსკ-ის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიება აღსრულდება თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილას, ხოლო სხვა სასჯელით მსჯავრდებისას კი ფსიქიატრიული დასმარების გამწვევ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში. მაგალითად, ფსიქიატრიულ დისპანსერში ან ფსიქონეროლოგიურ დაწესებულებაში.

სსკ-ის 107-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ საჭიროა მისი საავადმყოფოში მკურნალობა, მსჯავრდებულს მოათავსებენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან სხვა სამკურნალო დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით და წესით. იძულებით სამკურნალო პირს მითითებულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის დრო ჩათვლება სასჯელის მოხდის ვადაში (სსკ-ის 107-ე მუხლის შესამე ნაწილი).

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.



**აპტორისაგან** .....  
**თავი I. სისხლის სამართლის ცნება, ამოცანები, პრინციპები და სისხმაგ. სისხლის სამართლის პენიშრა** ..... 5

§1. სისხლის სამართლის ცნება, საგანი და მეთოდი ..... 5  
 §2. სისხლის სამართლის ამოცანები, ფუნქციები და მიზანი ..... 9  
 §3. სისხლის სამართალი და მისი მომიჯნავე სამართლის დარგები ..... 10  
 §4. სისხლის სამართლისა და მორალის თანაფარდობა ..... 14  
 §5. სისხლის სამართლის პრინციპები ..... 15  
 §6. სისხლის სამართლის სისტემა ..... 17  
 §7. სისხლის სამართლის მეცნიერება, მისი შინაარსი და ამოცანები ..... 19

**თავი II. სისხლის სამართლის კანონი** ..... 22

§1. სისხლის სამართლის კანონის ცნება, მისი ძირითადი და სპეციფიკური ნიშნები ..... 22  
 §2. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიის ძირითადი ეტაპები ..... 24  
 §3. სისხლის სამართლებრივი ნორმები ქართულ სამართლებრივ ძეგლებში ..... 26  
 §4. რუსეთის იმპერიის კანონების მოქმედება საქართველოში მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ ..... 30  
 §5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლებრივი აქტები ..... 32  
 §6. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ..... 33  
 §7. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების სტრუქტურა ..... 36

**თავი III. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები** ..... 44

§1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში და დანაშაულის ჩადენის დროის ცნება ..... 44  
 §2. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა და ანალოგია ..... 47  
 §3. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში ..... 49  
 §4. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის ..... 51  
 §5. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის ..... 55  
 §6. დამნაშავეს გადაცემა და ექსტრადიცია ..... 59  
 §7. სისხლის სამართლის კანონის განმარტება ..... 61

**თავი IV. დანაშაულის ცნება და სახეები** ..... 68

§1. დანაშაულის ცნება და დამახასიათებელი ნიშნები ..... 68  
 §2. დანაშაულის განსხვავება სხვა სამართალდარღვევებისაგან, ამორალური ქცევისაგან ..... 87

§3. ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია .....	88
§4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და საფუძველი (სსკ-ის მე-7 მუხლი) .....	89
§5. ბრალი და ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების საკითხი .....	91
§6. პასუხისმგებლობა თანმდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის .....	91
§7. დანაშაულის კატეგორიები (სსკ-ის მე-12 მუხლი) .....	97

**თავი V. დანაშაულის შემადგენლობა** ..... 100

§1. დანაშაულის შემადგენლობის ცნება .....	100
§2. დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნებათა შორის სხვაობა და მსგავსება .....	105
§3. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი და ფაკულტატური ნიშნები .....	109
§4. დანაშაულის შემადგენლობის სახეები .....	109
§5. ქმედების დანაშაულად კვალიფიცაცია .....	111

**თავი VI. დანაშაულის ობიექტი** ..... 115

§1. დანაშაულის ობიექტის ცნება და მნიშვნელობა .....	115
§2. დანაშაულის ობიექტის სახეები .....	117
§3. დანაშაულის საგანი .....	121
§4. დანაშაულის საგანი და დამარალებული .....	123

**თავი VII. დანაშაულის ობიექტური მხარე** ..... 125

§1. დანაშაულის ობიექტური მხარის ცნება, მნიშვნელობა და დამახასიათებელი ნიშნები .....	125
§2. დანაშაულბრივი ქმედება და მისი სახეები .....	126
§3. დანაშაულის შედეგის ცნება .....	128
§4. დანაშაულბრივი შედეგი და მისი სახეები (ფორმალური და მატერიალური დანაშაული) .....	131
§5. მიუჭობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და მისი მნიშვნელობა (სსკ-ის მე-8 მუხლი) .....	131
§6. მიუჭობრივი კავშირი უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დროს (სსკ-ის მე-8 მუხლის შესამე ნაწილი) .....	140
§7. დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, სერბი, საშუალება და ვითარება, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის ფაკულტატურის ნიშნები ან მათი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა .....	

**თავი VIII. დანაშაულის სუბიექტი** ..... 146

§1. დანაშაულის სუბიექტის ცნება და დამახასიათებელი ნიშნები .....	146
§2. შეურაცხაობა ასაკის გამო .....	149
§3. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო .....	150
§4. შეზღუდული შესაძლებლობა .....	154
§5. დანაშაულის საეციალური სუბიექტი .....	155
§6. პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის .....	156
§7. დანაშაულის პიროვნების ცნება და მნიშვნელობა. მისი დანაშაულის სუბიექტისაგან განსხვავება .....	158

**თავი IX. დანაშაულის სუბიექტური მხარე ..... 160**

§1. დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნება.....	160
§2. განზრახი დანაშაული (სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი) .....	163
§3. გაუფრთხილებლობითი დანაშაული (სსკ-ის მე-10 მუხლი) .....	166
§4. დანაშაულის მოტივი და მიზანი .....	175
§5. შეცდომის ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში .....	178
§6. შეცდომა და გაუფრთხილებლობა .....	186

**თავი X. დაუმთავრებელი დანაშაული (სსკ-ის VI თავი) ..... 188**

§1. დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება.....	188
§2. დანაშაულის მომზადება (სსკ-ის მე-18 მუხლი) .....	189
§3. დანაშაულის მცდელობა (სსკ-ის მე-19 მუხლი) .....	191
§4. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (სსკ-ის 21-ე მუხლი).....	194

**თავი XI. დანაშაულის ამსრულელობა და დანაშაულში თანამონაწილეობა (სსკ-ის VII თავი) ..... 198**

§1. დანაშაულის ამსრულელობის ცნება.....	198
§2. დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ .....	202
§3. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში .....	206
§4. თანამონაწილის სახეები .....	209
§5. თანამონაწილეობის ფორმები .....	213
§6. ამსრულეობისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა .....	215
§7. ამსრულეობის ექსცესი .....	220
§8. დანაშაულის შეძებლობა.....	222

**თავი XII. მართლწინააღმდეგობის გამოვრიცხველი ბარემოვებანი (სსკ-ის VIII თავი) ..... 227**

§1. მართლწინააღმდეგობის გამოვრიცხველი გარემოებების ცნება და სახეები .....	227
§2. აუცილებელი მოგერიება (სსკ-ის 28-ე მუხლი) .....	229
§3. დანაშაულის შეპყრობა (სსკ-ის 29-ე მუხლი).....	234
§4. უკიდურესი აუცილებლობა (სსკ-ის 30-ე მუხლი) .....	237
§5. მართლმომიერი რისკი (სსკ-ის 31-ე მუხლი) .....	240
§6. მართლწინააღმდეგობის გამოვრიცხველი ზეკანონური გარემოებანი (სსკ-ის 32-ე მუხლი) .....	242

**თავი XIII. ბრალის გამოვრიცხველი და შემამსუბუქებელი ბარემოვებანი (სსკ-ის IX თავი) ..... 247**

§1. ბრალის გამოვრიცხველ გარემოებათა ცნება და სახეები. (სსკ-ის 34-ე მუხლი) .....	247
§2. შუორაცხაობა .....	248
§3. შეცდომა (სსკ-ის 36-ე მუხლი) .....	251
§4. ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ-ის 37-ე მუხლი).....	253
§5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს (სსკ-ის 38-ე მუხლი).....	254

§6 ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება (სსკ-ის 35-ე მუხლი) ..... 256

**თავი XIV. პრეტიენი დანაშაული და მისი სახეები** ..... 256

§1. ერთიანი დანაშაულის ცნება და სახეები სისხლის სამართლის თეორიაში ..... 256

**თავი XV. დანაშაულის სიმრავლე (სსკ-ის V თავი)** ..... 264

§1. დანაშაულის სიმრავლის ცნება, მისი სოციალური და იურიდიული დასასიათება ..... 264

§2. არაერთგზისი დანაშაული (სსკ-ის მე-15 მუხლი) ..... 266

§3. დანაშაულთა ერთობლიობა (სსკ-ის მე-16 მუხლი) ..... 269

§4. დანაშაულის რეციდივი (სსკ-ის მე-17 მუხლი) ..... 271

**თავი XVI. სასჯელის ცნება და მიზანი** ..... 275

§1. სასჯელის ცნება და მისი სპეციფიკური ნიშნები ..... 275

§2. სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა ცნება და მათი განსხვავება სასჯელისაგან ..... 277

§3. სასჯელის მიზანი ..... 279

§4. სასჯელის შინაარსი, მისი ეფექტურობის ამაღლების პირობები და საშუალებები ..... 285

**თავი XVII. სასჯელთა სისტემა და სასჯელის სახეები** ..... 287

§1 სასჯელთა სისტემის ცნება და სასჯელის სახეები (სსკ-ის მე-40 მუხლი) .... 287

§2. ძირითადი და დამატებითი სასჯელები (სსკ-ის 41-ე მუხლი) ..... 288

§3. სასჯელთა სახეები ..... 290

**თავი XVIII. სასჯელის დანიშვნა (სსკ-ის XI თავი)** ..... 301

§1. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები ..... 301

§2 სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას (სსკ-ის 54-ე მუხლი) ..... 305

§3 კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა (სსკ-ის 55-ე მუხლი) ..... 305

§4. სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის ..... 308

§5. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამტოვლებლობისათვის ..... 309

§6. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს ..... 310

§7. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს ..... 312

§8. სასჯელთა დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს ..... 315

§9. სასჯელთა შეჯამების წესი, სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა ..... 318

§10. პირობითი მსჯავრი, მისი ცნება და იურიდიული ბუნება ..... 319

**თავი XIX. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლობის საზღვარი** ..... 326

§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ცნება და მნიშვნელობა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების სახეები, საფუძვლები და წესი ..... 326

თავი XX. სასაქონლისაგან განთავისუფლება

(სსკ-ის XIV თავი) ..... 334

§1. სასაქონლისაგან განთავისუფლების ცნება, ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა და სასაქონლისაგან განთავისუფლების სახეები..... 334

თავი XXI. ამნისტია, შფხალვა, ნასამართლობა (შშკ-ის XV თავი) ..... 345

§1. ამნისტია ..... 345

§2. შფხალვა ..... 346

§3. ნასამართლობა ..... 347

თავი XXII. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის XVI თავი) ..... 350

§1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება (სსკ-ის 80-ე, 81-ე და 82-ე მუხლები) ..... 350

თავი XXIII. არასრულწლოვნის განთავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასაქონლისაგან (სსკ-ის XVII თავი) ..... 354

§1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებით ღონისძიების სახეები ..... 354

§2. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი სასაქონლისაგან განთავისუფლება და მისი სახეები ..... 356

§3. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასაქონლისაგან განთავისუფლებისას ზანდამზოლობის ვადები და ნასამართლობის გაქარწყლების ვადები ..... 359

თავი XXIV. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ..... 360

§1. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების მძხანი, საფუძველი და ოურიდიული ბუნება ..... 360

§2. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების სახეები (სსკ-ის 102-ე მუხლი) ..... 362

§3. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაგრძელება, შეცვლა ან შეწყვეტა ..... 364

§4. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების დროის ჩათვლა ..... 366

§5. სასაქონლის აღსრულებასთან დაკავშირებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ..... 366

კვთ. ნ. მ.

შ. 2344/2



ქართული  
ენის ინსტიტუტი

ტექ. რედაქტორი რ. ჭანტურია  
კორექტორი ი. ნაეროზაშვილი

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,25  
საბეჭდი ქალაქი №1 60X90, 1/16  
ბეჭდვა ოფსეტური

შეკვეთა № ტირაჟი 250

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 45

შ 3 ს „კაბაღონი“  
თბილისი, გურამიშვილის გამზირი 74



ეროვნული  
ბიბლიოთეკა